ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი



11-12

1999

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

წელიწადი 75-ე № 11-12 1999 წელი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

## შინაარსი

### მნათობი-75

**ედუარდ შევარდნაძე** — ჟურნალ "მნათობის" მთავარ რედაქტორს, სარედაქციო კოლეგიას, რედაქციის თანამშრომლებს და მკითხველებს 3
**საქართველოს მწერალთა კავშირი** — ჟურნალ "მნათობის" შემოქმედებით კოლექტივს 4
**თამაზ წივწივაძე** — მილოცვა 75 წლის "მნათობს" 5
**დროთა კავშირის შემკვრელი** 6

### პოეზია, პროზა, დრამატურგია

**ნუგზარ შატაიძე** — ორი მოთხრობა 8
**აკაკი გეწაძე** — ლექსები 13
**ზურაბ კუხიანიძე** — ლექსები 18
**ირაკლი სამსონაძე** — აბეშურა — ფარნავაზიანთა უკანასკნელი დედოფალი. პიესა 20
**გიგა მახვილაძე** — ლექსები 50
**ჯეიმზ ჯოისი** — ულისე. მე-18 ეპიზოდი. თარგმანი და კომენტარი ნიკო ყიასაშვილისა. დასასრული 51
**"ულისე" და ლიტერატურული სამყარო.** თარგმნა მანანა მიქელაძემ 79

### გიორგი ლეონიძე — 100

**თამაზ ჭილაძე** — მარადიული სიჭაბუკე 88
**გურამ ბენაშვილი** — პირველი ასწლეული დიდი შემოქმედისა 92
**ნოდარ შამანაძე** — ჩანაწერები გოგლა ლეონიძეზე 105
**შალვა მარკოზაშვილი** — პოეტის ბავშვობა 107
**გიორგი ხორგუაშვილი** — სადღეგრძელო და ლექსი ერთია 108

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

**ნუგზარ გოგიაშვილი** — შალვა კარმელის ლექსების ტექსტის დადგენისათვის (ეძღვნება პოეტის დაბადებიდან 100 წლისთავს) 110
**გერონტი გასვიანი** — ქართველი ხალხის დაქუცმაცების და რუსიფიკაციის იმპერიული პოლიტიკა 121

**ჟურნალ «მნათობის» 1999 წლის ნომრების შინაარსი** 130

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
თამაზ ჭილაძე

სარედაქციო საბჭო:
მარიამ აგიაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
აკაკი მინდიაშვილი
მანანა მიქელაძე
მზია შატბერაშვილი
ვაჟა ჩორდელი (პ\მგ. მდივანი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი-75

## ჟურნალ "მნათობის" მთავარ რედაქტორს, სარედაქციო კოლეგიას, რედაქციის თანამშრომლებს და მკითხველებს

ამ პატარა ბარათს განსაკუთრებული მღელვარებითა და პასუხისმგებლობით ვწერ, რადგან იგი იმ ჟურნალს ეხება და იმ ჟურნალში უნდა დაიბეჭდოს, რომელშიც მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის კლასიკოსები სტამბავდნენ თავის საუკეთესო ნაწარმოებებს.

სამოცდათხუთმეტი წელი იქნებ არც ისე ბევრია, მაგრამ "მნათობის" გარეშე წარმოუდგენელია არამარტო ქართული მწერლობის წარსული და დღევანდელობა, არამედ მისი მომავალიც.

სწორედ ამიტომ "მნათობს" საგანგებოდ უნდა მოვუფრთხილდეთ და საგანგებოდ უნდა ვიზრუნოთ მასზე.

ყველას გილოცავთ ამ თარიღს, ყველას, ვინც თავგამოდებით ილვწით, რომ შეინარჩუნოთ "მნათობი" და მისი სიმაღლე.

თქვენ და თქვენს მკითხველს გისურვებთ ღირსეულად გადაიტანოთ ეს ძნელი და საინტერესო პერიოდი.

მე იმედი მაქვს, მალე კვლავ დადგება წიგნის დრო და "მნათობი" კვლავაც არაერთხელ იტყვის იმ სიტყვას, რომელიც მისი და ქართული მწერლობის ტრადიციების შესაფერისი იქნება.

პატივისცემით, თქვენი ერთგული
მკითხველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟურნალ "მნათობის" შემოქმედებით კოლექტივს

ბატონებო!

საქართველოს მწერალთა კავშირი გულმხურვალედ მოგესალმებათ ქართველ მწერალთა ლიტერატურული ფლაგმანის - ჟურნალ"მნათობის" შემოქმედებით კოლექტივს და გილოცავთ დაარსების 75-ე წლისთავს.

თქვენი ჟურნალის იუბილე ჩვენი იუბილეცაა, ქართული მწერლობის საერთო დღესასწაულია, ვინაიდან შეუძლებელია XX საუკუნის ქართული მწერლობის წარმოდგენა თქვენი, მართლაც რომ აკადემიური ჟურნალის გარეშე, რომელიც ათწლეულების მანძილზე, თვით ქვეყნისათვის უმძიმეს წლებშიაც კი ამკვიდრებდა ქართული სულიერების, ქართული ზნეობრიობის უკეთილშობილეს იდეალებს, ნაცარში გახვეული ღველფივით ინახავდა ქართველი კაცის საუკუნეობრივ სწრაფვას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ.

დიახ, ათწლეულების მანძილზე ქართველი მკითხველი მუდამ ინტერესით მოელოდა "მნათობის" თითოეული ახალი ნომრის გამოსვლას, რადგანაც ეს მისთვის ქართული სულიერების ტაძართან მიახლოებას ნიშნავდა, რწმენისა და ოპტიმიზმის, იმედისა და ქედუხრელობის იმპულსებით დამუხტვას ნიშნავდა.

"მნათობი" ახლაც სჭირდება მკითხველს, სჭირდება სრულიად საქართველოს, სჭირდება ჩვენი თავისუფლების განმტკიცებასა და გაღრმავებას. ალბათ ამიტომაცაა, რომ მიუხედავად არნახული გაჭირვების, არნახული სულიერი კრიზისისა თუ აპათიის ჟამსაც, იგი ამაყად და შეურცხვენლად ეწევა უმძიმეს უღელს ქართული მწერლობის, ქართული ზნეობისა და ღირსების გადასარჩენად.

მტკიცედ გვწამს, რომ მიზანი მიღწეული იქნება - გადარჩება საქართველო, გადარჩება ქართული მწერლობა და ამაში თავის წვლილს ჩვენი ძვირფასი და საყვარელი ჟურნალი "მნათობიც" შეიტანს.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მილოცვა 75 წლის "მნათობს"

თუკი ხანგრძლივობას და უწყვეტობას, ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ტრადიციას, რაიმე მნიშვნელობა აქვს კულტურისათვის, მაშინ სრულიად სამართლიანი იქნებოდა იმის თქმა, რომ ჟურნალი "მნათობი" საგულისხმო მოვლენაა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

განა იმიტომ, რომ ჩვენში განსაკუთრებით ძლიერია მრავალი თარიღების მაგია და საიუბილეო განწყობილების გადამდები ძალა. არა, უბრალოდ, "მნათობი", რომელიც დღეს მსოფლიოში ალბათ ერთ-ერთი უძველესი სამწერლო ჟურნალია, საქართველოს ძნელი ბიოგრაფიის ლიტერატურულ მატიანეს წარმოადგენს და არ შეიძლება განსაკუთრებულ ყურადღებას არ იმსახურებდეს.

მოხდა ისე, რომ "მნათობი" დაარსებისთანავე ჩაება ეპოქის ფერხულში, იგი მოვლენებს კვალში კი არა, მხარში ედგა, ეს მისი ვალიც იყო და ბედიც. ამის გამო ჟურნალს გარკვეულ პერიოდებში ღრუბლიანი ამინდებიც ედგა, მაგრამ ავდარში თუ მნათობი არ ჩანს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი არ არსებობს.

იგი არსებობდა და ვითარდებოდა, აყალიბებდა თავის თავს, თავის კონცეფციას, მოვლენათა აღქმის თავის წესს. ჟამ-ვითარებათა ულმობლობა, რაღა თქმა უნდა, არ იყო ცხოვრების უცვლელი მდგომარეობა და არც ჟურნალი გახლდათ მუდამ შემგუებლის როლში. ბრძოლითა და შრომით შექმნა "მნათობმა" თავისი სახე და შინაარსი, რაც ყველა თაობის მკითხველს ერთნაირად წარმოუდგენია: სიდინჯე და აკადემიურობა. მის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ლექსს, მოთხრობას, რომანს, ნარკვევსა თუ სტატიას რომ სიმშვიდისა და წონასწორობის ნიშანი დაჰყვება, თუნდაც ეს კმარა იმის დასტურად, რომ "მნათობმა" მთელი კულტურა შექმნა ქართული პერიოდიკის ისტორიაში.

ჟურნალისათვის დრო არასოდეს არ გადის, მისთვის დრო ყოველთვის მოდის, მოედინება, როგორც დღის თემა, ცხოვრების საჭირბოროტო საფიქრალი და ათასი პრობლემა, როგორც ახალი სიტყვა, იდეა და მისაგნები ნიჭი.

ისიც ამ თვალით იყურება მომავლისაკენ.

სიცოცხლე გრძელდება, 75 წლის "მნათობი" კვლავ თავის დროს ქმნის, დრო კი - თავის "მნათობს".

**თამაზ წივწივაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დროთა კავშირის შემკვრელი

ჟურნალ "მნათობის" წლევანდელი საიუბილეო თარიღი - 75 წელი - ძალზე ნიშანდობლივი, და მეტის თქმაც შეიძლება, სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ქრონოლოგიური ნიშანსვეტია. მთელი ამ ხნის მანძილზე, საბჭოთა ტოტალიტარიზმის მძვინვარების პერიოდში "მნათობი" ავსებდა იდეოლოგიური წნეხით გამოწვეულ უშველებელ სიცარიელეს, რომელიც ყოველგვარი კულტურული ფასეულობის გასაქარწყლებლად იყო გამიზნული.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: "მნათობი" 1924 წელს თითქოს საგანგებოდ დაარსდა, რათა გარდასული საუკუნის ტრადიციები ძვირფასი აჩრდილებივით გამოეხმო, დარღვეული დროთა კავშირი შეეკრა და საზარელი იმპერიის კულტუროფობიურ, მიზანთროპიულ, ანტიეროვნულ მისწრაფებებს დაპირისპირებოდა.

ყოველივე ამას "მნათობი" ვერ შეძლებდა, რომ არ ქცეულიყო საქართველოში იმხანად არსებული საერთო კულტურული დონის ბარომეტრად. ჟურნალის გამოცემის პირველივე წლებში ზედმიწევნით ზუსტად მოიხაზა ინტერესთა ფართო წრე, ლიტერატურული პროფილი, საზოგადოებრივი მოღვაწეობის საკითხთა სფერო. სწორედ პირველი ნომრების გამოცემით ჩაიყარა საძირკველი, რომელზეც აღმოცენდა არსებითად მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა. "მნათობი" იყო ღრმად გაჭრილი კალაპოტი, რომელმაც სადინარი მისცა ქართული ლიტერატურის საუკეთესო ტენდენციებს.

აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, ბედნიერების რა გრძნობა უნდა დაუფლებოდა იმ ქართველ მკითხველს, რომელიც თუნდაც 1925 წლის №10 "მნათობს" შეიძენდა. - აქ ხომ გალაკტიონის ასი ლექსია გამოქვეყნებული! ასი შედევრი! ეს ასი ლექსი ჟურნალის ერთ ნომერს კი არა, ნებისმიერი მაღალმხატვრული ლიტერატურული ტრადიციების მქონე წარჩინებულ ქვეყანას ეყოფოდა მთელი მე-20 საუკუნის მანძილზე! აქ კი ჟურნალის ერთ ნომერშია თავმოყრილი. და არა მარტო ასი ლექსი, გვერდიგვერდ იბეჭდება გრიგოლ რობაქიძის "გველის პერანგი", დავით კლდიაშვილის მოგონებათა ბრწყინვალე წიგნი "ჩემი ცხოვრების გზაზე", ვახტანგ კოტეტიშვილის "ქართული ლიტერატურის ისტორია". აი, ასეთ ჟურნალად მოგვევლინა "მნათობი" დაარსების პირველი წლებიდანვე.

მე-20 საუკუნის ათიანი, ოციანი, ოცდაათიანი წლები ევროპასა და რუსეთში მძლავრი და მრავალნიშნა კულტურული აღმავლობის გზით წარიმართა. საბედნიეროდ, ამ პროცესების მიღმა არც საქართველო დარჩენილა. ფორმალურ ძიებათა მრავალმხრივობა და ახალი მსოფლმხედველობრივი აქცენტები ქართულ ლიტერატურაშიც თვალსაჩინოდ გამოვლინდა. "ცისფერყანწელებმა" სიმბოლისტური სკოლის პოეტური გამოცდილება გაიზიარეს, პროზაში კი ექსპრესიონიზმისა და იმპრესიონიზმის უახლესი მიღწევები დამკვიდრდა. ევროპულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესების ათვისება მექანიკურად, ზერელე იმპულსების კარნახით არ მომხდარა. ქართველი მწერლები თანადროული ევროპული კულტურის წიაღში წარმოშობილ ყველაზე უფრო ღრმა მსოფლმხედველობრივ და, შესაბამისად ფორმალურ მიმართულებებს ითვისებდნენ. უმთავრესი კი ის იყო, რომ საფუძვლიანი განათლება და, მისდა კვალად, უტყუარი ინტუიცია მათ ქართული ყალიბის მომარჯვებას კარნახობდა. მართლაც, განსაკუთრებული ნიჭიერება და კულტურა ესაჭიროებოდა უცხოურ ფასეულობათა ეროვნულ ნიადაგთან შერწყმას. "მნათობში" გამოქვეყნებული რომანები - გრიგოლ რობაქიძის "გველის პერანგი", კონსტანტინე გამსახურდიას "დიონისოს ღიმილი", დემნა შენგელაიას "სანავარდო", ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები ზუსტად მონიშნავს იმ ორიენტირებას, რომელიც იმდროინდელი ქართული კულტურისათვისაა დამახასიათებელი. ამ ორიენტირების თანახმად, ევროპული ნიჰილიზმის ფონზე სწორედ საქართველოში შემორჩა ნამდვილი სიცოცხლისმიერი საწყისები, აქ შეიძლებოდა მრავალსაუკუნოვანი ფესვების მოჩხრეკა და ზნეობრივი საყრდენების ძიება. ამ მწერლების აზრით, ჩვენში ჯერ კიდევ მოქმედებდა ის სასიცოცხლო ღირებულებები, რომლებიც იმდროინდელ ევროპაში დაკნინდა, გახუნდა და გაუფერულდა.

რომანის ჟანრის განვითარების თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი იყო ისეთი ნაწარმოების გამოჩენა, როგორიცაა ალქსანდრე ქუთათელის „პირისპირ".

გავმართოთ ქართული პოეზია ევროპული რადიუსით, - წერდა ტიციან ტაბიძე. და ეს "ევროპული რადიუსი", მართლაც, თვალსაჩინოდ გამომზეურდა ახალთაობელთა შემოქმედებაში, თუმცა ნოვატორული ძვრები, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ქართული ენის წიაღში მოხდა. "ცისფერყანწელებმა" ახალი პოეტური კონტექსტი გამოუძებნეს სიტყვას, განსხვავებული ლექსიკის მეშვეობით სასურველ ემოციურ ტონალობას და ინტონაციურ ჟღერადობას მიაკვლიეს.

სწორედ ამ ტენდენციის - ევროპული და ქართული კულტურული ფენომენების შერწყმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მესაძირკვლე იყო ოციან წლებში ჟურნალი "მნათობი", ოციან წლებს იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ ამ პერიოდიდან ხსენებულმა ტენდენციამ თვისობრივად განსხვავებული სახე შეიძინა. კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი 24-25 წლებში გამოცემულ ნომრებს და ვნახოთ, თუ რომელი ავტორები და ნაწარმოებები ავლენდნენ ყველაზე მკაფიოდ კულტურათა სინთეზს, მაშასადამე, აქტუალობას და მაღალმხატვრულობას. პროზა და დრამატურგია - მიხეილ ჯავახიშვილის "ჯაყოს ხიზნები", გრიგოლ რობაქიძის "მალშტრემი", პოლიკარპე კაკაბაძის "ლისაბონის ტუსაღები", სერგო კლდიაშვილის "ქალაქი ხევში". თეორიული ნააზრევი, წერილები - მოსე გოგიბერიძის - "რელატივობის თეორიის ფილოსოფიური საფუძვლებისათვის", სარგის კაკაბაძის "საქართველოს ეკონომიურ ვითარების შესახებ", ნიკო მარის "ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით", გერონტი ქიქოძის წერილები, თარგმანები - ვალერიან გაფრინდაშვილისეული "ექსპრესიონისტული ლირიკა", დემნა შენგელაიასეული ბორის პილნიაკის "შიშველი წელიწადი", გერონტი ქიქოძისეული ანატოლ ფრანსის "ღმერთებს სწყურიათ" და სხვა მისთანანი.

ეს ჩამონათვალი მცირე ნაწილია "მნათობის" პირველი გამოცემებისა, მაგრამ თვალნათლივ ამჟღავნებს იმ ესთეტიკურ ორიენტაციას, ინტელექტუალურ ინტერესს და საერთოდ, აზროვნების დონეს და დიაპაზონს, რომელიც მაშინვე იქცა ქართული მწერლობის კრიტერიუმად. ასეთი იყო და არის "მნათობის" პირველსათავე, საძირკველი, ქვაკუთხედი. ამ მაგარ ფესვებზე აღმოცენდა ორმოციანი, ორმოცდაათიანი, სამოციანი წლების მწერლობა. ამავე დროს, ის ერთხელ არჩეული გეზი და მხატვრულ-ესთეტიკური მრწამსიც არ შეცვლილა. უცხოური ლიტერატურული გამოცდილების გათვალისწინება და ეროვნულ ფენომენად ქცევა მუდმივ, გაუნელებელ ზრუნვას საჭიროებდა, რაც ჟურნალის უმთავრეს მიმართულებად იქცა.

დღევანდელ დღეს პატივისცემით და მოწიწებით ვიხსენებთ ყველას, ვინც ჟურნალის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა, ვინც საიმისოდ ილვწოდა, რომ ჩვენს სინამდვილეში შექმნილი ყოველი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწარმოებისთვის "მნათობის" ფურცლები დაეთმო. "მნათობი" არა მარტო აღმომჩენი იყო ტალანტებისა, არამედ მათი მხარდამჭერიც. ეს კი საკმარის სიძნელეს ქმნიდა მაშინ, როცა ნიჭიერ კაცს თითქმის კლასობრივ მტრად აღიქვამდნენ. ასე რომ, "მნათობის" საქმე ერთგვარი ბრძოლაც იყო. ჟურნალი პარტიული კრეტინიზმის, რუტინის, შემზარავი ერთფეროვნების და დოგმატური შეზღუდულობის წინააღმდეგ იბრძოდა. ქართული კლასიკური მწერლობის მდიდარი ტრადიციები ინერციით ევროპულ მიღწევათა ზეგავლენას აღემატებოდა და ესეც შინაგან სიმძლავრეს და მკვიდრ თავისთავადობას სძენდა "მნათობს". ტრადიციისადმი ამგვარი დამოკიდებულება მოგვიანებით "ჩვენი თაობის" და "ცისკრის" ფურცლებზეც აღიბეჭდა. "ცისკარში" დაფრთიანებულ სამოციანელთა ბრწყინვალე თაობას "მნათობმაც" გაუწოდა ხელი.

პარადოქსია, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტია, რომ სულ ცოტა ხნის წინათ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის და თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟამს ბევრმა ადამიანმა მიივიწყა ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი დამსახურება. არადა, სწორედ ქართულმა მწერლობამ გამოატარა საუკუნეებში და მოიტანა დღემდე ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა და სულისკვეთება.

სამოქალაქო ომის და მისი შემდგომი მოვლენების უპირველესი მსხვერპლი, როგორც მოსალოდნელი იყო მთელ ქართულ მწერლობასთან ერთად "მნათობიც" აღმოჩნდა. თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ "მნათობი" ქართული მწერლობის მედროშე გახლდათ და ყველაზე მტკივნეულ დარტყმებს ყოველთვის საკუთარ თავზე იღებდა.

და მაინც ყველაფერზე საშინელი, - ნგრევასა, განუკითხაობასა და სილატაკეზეც კი, - რაც ზემოთ აღნიშნულ მოვლენებს მოჰყვა, ნიჰილიზმია. ამ ნიჰილიზმის შხამიანი ისარი ყველაზე მეტად სწორედ ქართული კულტურის წინააღმდეგ იყო და არის მიმართული. კულტურა ერის ნიჭიერების უპირველესი წარმომჩენია, და ამიტომაც იქცა, ხელმოცარული ნიჰილისტების სამიზნედ.

წამებულმა, ათასგზის დამცირებულმა, ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში გამოტანჯულმა ქართულმა მწერლობამ ბოლომდე შეინარჩუნა თავისი ღირსება და მონობის ჯოჯოხეთურ პირობებში, XX საუკუნეში, დიდი, ევროპული მასშტაბის ლიტერატურა შექმნა, რომლის მსახურებაც "მნათობს" უაღრესად საპატიო მოვალეობად მიაჩნია.

დღესდღეობით საკმაოდ ხანდაზმული ჟურნალი, მიუხედავად უკიდურესი გაჭირვებისა, მხნედ ეგებება თავის იუბილეს და ამავე დროს იმედის თვალით უყურებს ჩვენი სამშობლოს, საქართველოს მომავალს, სწამს თავისი ბრძენი, მაღალკულტურული ხალხისა, სწამს იმ უმნიშვნელოვანესი მისიისა, რომელიც ქართულ მწერლობას გაჩენის დღიდან ჰქონდა.

# პოეზია, პროზა, დრამატურგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ შატაიძე

# ორი მოთხრობა

## ვენახი

დილით ქარი ჩადგა, მზე ამოვიდა და წუხანდელი ღრუბლის ნარჩენები ვარდისფრად შეღება. ნიკამ დაბამბული ქურთუკი და ქირზის დაფხოკილი ჩექმები ჩაიცვა, ყურებიანი ქუდი დაიხურა, აივანზე გავიდა და ხის მოაჯირს ხელებით დაეყრდნო.

ალინჭყულ ეზოს მარტის მზე მოსდგომოდა და ათბობდა. ტალახს თხელი, ოდნავშესამჩნევი ორთქლი ასდიოდა. ნიკა ჩუმად ათვალიერებდა დაბალ გომურს, სათონეს, ღობის ძირში მოკუტკუტე ქათმებს, გომურის კედელთან მოფანტულ თივას, ცულით ნალეჯნ კუნძსა და მესერზე აყუდებულ ფუჩეჩის კონებს.

მოვიდა, საიდანღაც გალექებული მოვარდა მურა და აივანზე გადმომდგარი პატრონის დანახვით გახარებული მოჰყვა ხტუნვასა და მხიარულ წკმუტუნს.

ნიკა გაღიმებული უყურებდა ძაღლს, მერე ხის კიბეზე ჩავიდა, მარნის მშრალ დერეფანში კედელზე მიყუდებული სახრე აიღო და ეზოში გავიდა.

მურა მაშინვე ფეხებში გაუგორდა, ზედ გაეგლასუნა, განზე გაუხტა და მერე ისევ გაეგლასუნა ფეხებზე.

ნიკა შეწუხებული ღიმილით იგერიებდა ძაღლს, მაგრამ არც სახრე მოუქნევია და არც ხმამაღალი სიტყვა უთქვამს. ფრთხილად, ჯოხის ბჯენით გადაიარა ტალახიანი ეზო და ის იყო, ჭიშკარი უნდა გამოეღო, რომ ცოლის ხმა შემოესმა:

— საით გაგიწევია შენა?!

ნიკა მობრუნდა და აივანზე გადმომდგარ, დოინჯშემოყრილ ქალს დანაშაულზე წასწრებული კაცის მორიდებული ღიმილით მიაჩერდა:

— ვენახში მივდივარ...

— უი, მამიკვდეს თავი! ვენახში რა გინდა, ადამიანო?!

— რა უნდა მინდოდეს, ჩავალ, ჩავხედავ...

— უიმეე, არა, ნიკა, გენაცვალე, არა!

— მაშ როდემდე ვიჯდე სახლში?

— კაცო, ვერ გაიგე, რა გითხრა ექიმმა?!

ნიკამ უმწეოდ მიიხედ-მოიხედა:

— რა გინდა, ქალო, განა უნდა ვბარო, რო...

— არც ეგ გაგიკვირდება. მოდი, მობრუნდი შინა!

— აკი მითხრეს, იარე ხოლმეო.

— მერე? აი, ეზო, დადექი და იარე!

— ვენახი რაღა შორია, რა...

— შენა, კაცო, აღარ უნდა მოიშალო შენებური?! როდემდე უნდა იყო ეგეთი კემუტი, ვეღარ გაიგე, რო ის ნიკა აღარა ხარ?!

ძაღლი ისევ ფეხებზე გაეგლასუნა პატრონს, მაგრამ იმან გაბრაზებულმა ამოუქნია წიხლი. მურა განზე გახტა, მოშორებით დადგა და ენაგადმოგდებულმა, აქასქასებულმა ახლა იქიდან დაუწყო კუდის ქნევა.

— რა გინდა, დედაკაცო, რას გადამეკიდე ძველი ხურჯინივითა, — ხმაში სუსხი გაირია ნიკამ, — ვენახში ჩავალ-მეთქი, იქ ხო არ მივდივარ, აიქა!..

მურამ მხიარულად შეჰყეფა და პატრონს აციმციმებული თვალებით მიაჩერდა.

— გაიწყვიტე ხმა! — დაუყვირა ნიკამ.

ძაღლმა კუდი ამოიძუა, პატრონს გაერიდა და გომურის კედელთან თივაში ჩაწვა.

ნიკას ცოლმა მოკუმულ ტუჩებზე ხელისგული მიიფარა, ერთხანს ეგრე უყურა, თვალები ჩაუნაღვლიანდა, მერე უთხრა:

— ბიჭი მაინც წაგეყოლებინა, კაცო...

— ბიჭი არა! — ხელი აუქნია ნიკამ, მერე კუტიკარი გამოაღო და გზაზე გავიდა.

გზა ალინჭყულიყო, მაგრამ საქონლის ნაჩლიქარებს შორის წყვილად მიდიოდა მანქანის ბორბლების ორი კარგად გატკეპნილი ნაკვალევი და ნიკაც ერთ-ერთ მათგანს გაუყვა. ნელა მიდიოდა, სახრეს მიიბჯენდა და ჩუმად ათვალიერებდა ორღობეს, გზის აქეთ-იქით ჩარიგებულ სახლებს, ნაბოსტნარებს, ნაფუზრებში ჩადგმულ თივის ბულულებს და იმ ბულულებთან მობალახე თითო-ოროლა ცხვარსა და ხბოს.

წყაროსთან, პატარა გუბეში ყიპყიპით ჭყუმპალაობდნენ იხვები. შორიახლოს ორი პატარა ბიჭი ტუტუნებდა.

ნიკას დანახვაზე ბიჭები გაჩუმდნენ და გამხდარ, გაყვითლებულ კაცს თვალების ხამხამით მიაჩერდნენ. ერთი შაქრიასი იყო, მეორე — შალასი.

ნიკას გაეცინა:

— გამარჯობათ, ე, როგორა ხარ?

— კარგად. თქვენა, თქვენ როგორღა ხართ, ნიკა ძია? — ჰკითხა შაქრიასამ.

— კარგად, მეც კარგად! — გაიცინა ნიკამ და გზა განაგრძო.

ჩასცდა წყაროს, ჩაუარა დომბურის სახლს და ვენახებისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. მიდიოდა ნელა, ზოგჯერ გაჩერდებოდა, ისვენებდა. ამ დროს საქმიანად ჩაიცქირებოდა რუში.

რუს პირს მოსდებოდა შარშანდელი, მაგრამ ჯერაც მწვანედ მოლაღანე ვირისპიტნა, იმ ვირისპიტნების ძირში წყალს მიეხვეტა კაკლის გაყავისფრებული, ზამთარგამოვლილი ფოთოლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობიოს დამბალი კუწენი და კაკლისავე გაშავებული წენგო.

იდგა, ათვალიერებდა იმ ვირისპიტნებს, იმ ფოთლებს, კუწენს, წენგოს. ათვალიერებდა, თან ისვენებდა. მერე ისევ წავიდოდა, ტალახს ფეხს არიდებდა, ცდილობდა, ბილიკის გასწვრივ, ამწვანებულ კორდზე ევლო.

ვენახამდე ისე ჩავიდა, რომ აღარავინ შეხვედრია.

მალე შორიდანვე დაინახა საკუთარი ვენახის ღობე, გულაჩქროლებული გაჩერდა, ჩუმად მოათვალიერა იქაურობა. მომიჯნავე ბაღში ვალიკო ბარავდა, მარჯვედ, ღონივრად მუშაობდა.

ნიკამ ერთხანს უყურა, მერე დაუძახა:

— გამარჯობა, ვალიკო!

ვალიკომ თავდაღუნულმა გამოიხედა, ნიკას დანახვაზე გაიღიმა, ბარი მიწაში ჩატოვა და გაღიმებული წამოვიდა.

— შენა ხარ, ნიკა? — ჰკითხა მოახლოებულმა.

— ჰო, მე ვარ.

— როგორ ხარ, კაცო?

— აი, როგორა ვარ... — ხელები გაშალა ნიკამ.

— ეე, შერცხვენილი ვარ შენთან, შერცხვენილი... — დაიწყო ვალიკომ.

— კარგი ერთი და!

— ველარა გნახე, კაცო, აი, დღეს, აი, ხვალ და...

— ეგ არაფერი.

— როგორ არაფერი, მაგრამ, აბა...

ვალიკო ღობეს მოადგა და იქიდან გადმოაწოდა დიდი, ხორკლიანი ხელი.

ნიკამ ჩამოართვა:

— არა ტალახობს, ვალიკო?

— ეჰ, ტალახობს, მაგრამ...

— ეს მზე გააშრობს, ხვალ უფრო კარგი საბარი იქნება.

— ხვალ, აბა, მცალია, რო? ჰა, თქვი ეხლა, როგორა ხარ?

— რა ვიცი, აი, გამოვლოლდი გარეთა...

— შეგიხორცდა?

— ხორცდება ნელ-ნელა, — მკერდზე ჩამოისვა ნიკამ ხელი.

— გტკივა თუ აღარა?

— არა, აღარა. ხანდახან თუ გამკრავს ხოლმე.

— ეგ კარგი ჭირი მოიშორე ნიკავ!

— მაშ, კაცო. ხო გახსოვს, წვეთს ველარა ვსვამდი...

— ეხლა რა გითხრეს, არ გითხრეს, ცოტ-ცოტას მიეპარეო?

— ჰო, დალიეო.

— მერე?

— რა მერე, — გაეცინა ნიკას, — ცოტა დრო ხომ უნდა გავიდეს!

— ნელ-ნელა უნდა მიეჩვიო, კაცო, — დაარიგა ვალიკომ, — დღეს ერთი ჭიქა დალიე, ხვალ — ორი, ზეგ — სამი და ეგრე...

— გუშინ დავლიე ერთი დიდი სტაქანი! — საქმიანად თქვა ნიკამ.

— მერე, ხო კარგადა ხარ?

— კარგად.

— გიშველა ღმერთმა! მაიცა, გამოკეთდი, იგეთი ღვინო დაგალევინო, რო!

— ღვინო მეც კარგი მაქვს! — გაიცინა ნიკამ.

— გექნება, რატომ არ გექნება!

— წავალ ეხლა, ვენახს თვალს გადავავლებ...

— აბა, თავს გაუფრთხილდი, იცოდე!

ნიკა წავიდა. კაკლის შარშანდელ ფოთლებს მიაშრიალებდა. ეგრე შრიალ-შრიალით მიადგა ჭიშკარს, გაალო და შიგ შეაბიჯა.

მშვიდად, უჩუმრად მიეგება ნაზამთრალი ვენახი, ფოთოლგაცვენილი ვაზები, თოვლის წყლით გაჟიებული მიწა, გვერდზე გადაყანთრული, გაშავებული ქოხი.

ზემოთ შეუყვა.

ნელი, მძიმე ნაბიჯით აიარა ბალახგადავლილი ბილიკი, თავში ავიდა და ვაშლის დაფუტუროებულ კუნძზე ჩამოჯდა.

იჯდა და უცნაურ ბურუსში წასული უყურებდა ვენახს, საიდანაც რაღაც სევდიანი სიმშვიდე მოდიოდა.

ის სიმშვიდე ნიკას დაკემსილ გულს მალამოდ ედებოდა.

# სტუმარ-მასპინძელი

ნინათ ჩვენში სტუმრიანობა, ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა მაშინ იწყებოდა, როცა შემოდგომა მიილეოდა, როცა წლის მოსავალს ბეღელმარანში დააბინავებდნენ და ბალახს თეთრად შეთრთვილავდა ნოემბრის პირველი სუსხი.

წარმოვიდგინოთ შემოდგომის სოფელი — დაბერტყილი კაკლები, გაკრეფილი ვენახები. წვიმს. მოდის, გულჯავრიანად მობუტბუტებს ამღვრეული ნაკადული. ჰაერში კვამლისა და ჭაჭის მომჟავო სუნი ტრიალებს. დერეფნიდან მოწყენილი ხბო გამოიცქირება. ეზოს ბოლოში, სანეხვეზე ჭაჭის ნახადი ყრია, ზედ აღარ დასტრიალებს ბურნა და მუმლი, სიცივისაგან აბუზული ქათმებიღა კენკავენ უხალისოდ.

მარნის კარი ღიაა. იქ, მოხდილ ქვევრთან მლოცველივით ჩაჩოქილა სახლის პატრონი და ტიკებში ღვინოს იღებს. იმისი დედაკაცი დერეფანში ქათმებს პუტავს. ჯეელ ბიჭს გომურიდან ჭედილა გამოუყვანია, ალინჭყულ ეზოში რქებით მოათრევს. ბერიკაცი ფარდაგგადაფარებულ ტახტზე ზის და ჯალაბის საქმიანობას ჩუმად უყურებს.

აქედან შორს, სულ სხვა სოფელში, ამათ ნათესავს — ბიძაშვილს, სიძესა თუ ბიჭის ნათლიას უკვე გზისკენ უჭირავს თვალი. სტუმრის მოლოდინში გულიღა გადალევია, აღარც ჭამაა მისთვის, აღარც სმა, საქმეც აღარაფერი აქვს და რომ ჰქონდეს, ხელიდან არაფერი გამოუვა. დადის. ეზოში დააბოტებს, იღრინება, დაცოფვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლ-შვილი, ძაღლს სცემა, მამას შემოსწყრა — აღარ ელაპარაკება. ერთი სიტყვით, გაბეზრდა, გაბოროტდა, შინ გული აღარ უდგება.

ჩავა, ჩაივლის ორღობეს, ტალახიან ბილიკს ჩაათავებს, იმ ძანძახში სერზე გადადგება და გზას გახედავს. წვიმის წყლით ალაპლაპებული, დაკლაკნილი შარაზე კაცის ჭაჭანება არ არის. გზის პირზე მარტო ერთი თეთრი ცხენი აბია და ისიც სველი, ავდრისგან შეღონებული სოფლისკენ იცქირება. წვიმაში თხელი ბურუსი ადის, კვამლია, ნისლია — ვერ გაიგებ.

სტუმრის მომლოდინე მასპინძელი კარგახანს დგას, ბრეზენტის კაპიშონზე წკაპუნით დასდის წვიმა, საჩიხზე წუნწკლები ჩამოსდის, სველდება, მაგრამ ფეხს მაინც არ იცვლის.

ბოლოს, როდის, როდის გამობრუნდება და წამოვა. მოდის შინისაკენ უფრო მეტად გაბოროტებული, დაბოღმილი. ტალახის ზელვით ამოივლის ბილიკს, ვიწრო ორღობეს და თავისი ეზოს ჭიშკართან გაჩერდება. ერთხელაც მიიხედ-მოიხედავს, ერთხელაც მოათვალიერებს დაცარიელებულ მიდამოს, მერე კუტიკარს შეაღებს და შინ შევა. ვაი, იმას, ვინც ეხლა ფეხებში გაებლანდება, ვაი, იმას, ვისაც მოუზომავი სიტყვა წამოსცდება!

იმ ღამით უთუოდ უნდა ამოქროლდეს ქარი, თანდათანობით გაძლიერდეს, გაღონიერდეს, აა-ფრიალოს დერეფანში გაფენილი სარეცხი, გაიტაცოს სახლის კედელზე აყუდებული თუნუქის ტაშტი, წაიღოს, ხმაურით, რახარუხით შემოატაროს მთელი ეზო. დაირეკოს ის შავი, შავად ჩამოწოლილი ღრუბლებიც და აღმოსავლეთით გადახვენცოს. ამ დროს; მოკრიალებულ ცაზე აუცილებლად უნდა ამოვიდეს მთვარე და იქაურობას მკრთალი ნათელი მოჰფინოს.

დილით ქარი ჩადგება და შემოდგომის ძალაგამოლეული მზე შემცბარი ღიმილით გადმოხედავს სოფელს, ატალახებულ გზებს, აჩალულ ნაფუზრებს, წითელკრამიტიან სახლებს.

გუნებაგამოკეთებული ბალღები ჟრიამულით წავლენ სკოლაში.

საქონელი ფერნაცვალ მინდვრებს მოედება.

სანახიროზე ნელ-ნელა მოგროვდებიან სოფლის კაცები. იქ, მყუდროში, მზის გულზე თბილა და ეს სითბო ადამიანებს ახალისებს, ხუმრობის, ლაზღანდარობის გუნებაზე აყენებს.

ამას კი, ამ ჩვენს ნაცნობ, გზისკენ მაცქერალ კაცს საქმე გამოუჩენია: ღუმელის ზომაზე დაჭრილ-დაჩეხილ სველ შეშას ეზოში კოშკურად ალაგებს, რომ ქარმა გაუაროს, მზემ დაჰხედოს და გააშროს. საქმეს რომ მოათავებს, განზე გადგება, კაცის სიმაღლეზე აკოკოლავებულ შეშის კოშკებს შუბლშეჭმუხნული, უკმაყოფილო სახით ათვალიერებს, ერთხანს ეგრე უყურებს, მერე წამოუვლის, დაშლის, დაანგრევს და შეშის ნაპობებს ახლა სახლის კედელზე აყუდებს, ღობის გასწვრივ ამწკრივებს.

ბერიკაცი შორიდან უყურებს, ულვაშებში ეღიმება, იცის, რა ცეცხლიც ტრიალებს იმის გულში, მაგრამ ხმას არა სცემს, ჯოხის ბჯენით მიდის სათონის კართან.

სათონეში სახელანძული ქალები პურს აცხობენ — ლავაში უკვე ამოუყრიათ, ახლა პურის გუნდა ჩაუკრავთ და თონისთვის ფიცრები დაუფარებიათ. გარედან ისმის ურმის ჭრიალი, კაცების მხიარული შეძახილი და ძაღლის ყეფა!

შეფუცხუნებული რძალ-დედამთილი ერთმანეთს გადახედავს:

— გადი, ქალო, გაჰხედე! — ეუბნება დედაბერი.

— პური არ დაგვეწვას!

— მე აქ არა ვარ?! გადი, სირცხვილია!

ახალგაზრდა ქალი პირზე ახვეულ ხილაბანდს მოიხსნის, წინსაფარსაც და ცომიანი ხელების ფშვნეტით, ღიმილით გადის სათონედან.

მასპინძელს ჭიშკარი მოუფრიალებია და კამეჩებშებმული ურემი ჭრიალით შემოდის ეზოში. ზედ ალაგია მანეულის კალათები, ღვინით სავსე ორი დიდი ტიკი. ურემს უკან მოსდევს ხელნის ბოლოზე თოკით გამობმული ჭედილა.

სტუმრის ჯალაბი მასპინძლის ცოლს შემოეხვევა, არის ერთი ხვევნა-კოცნა, სალამ-ქალამი.

— აი, პურს ვაცხობდი და... -ცომიან ხელებზე დაიცქირება მორცხვად მომღიმარი პატარძალი.

სტუმარი და მასპინძელი ჭიშკარს მიხურავენ, ურდულს გაუყრიან და ერთმანეთს მერეღა ჩამოართმევენ ხელს:

— გამარჯობა.

— გაგიმარჯოს!

— სადა ხართ, კაცო, დაგვებრიცა თვალები!

— გამოდარებას ველოდებოდით, განა ჩვენ კი არ გაგვისენდა გულები!

— აღარა ქნა, ამ ვერანმა, არა!

ძაღლი აღარ იყეფება, სტუმარ ბალღებს კუდის ქნევით შესცქერის.

— გადი, მოშორდი! — უწყრება პატრონი.

ძაღლი, გაეცლება, სათონესთან მივა და მოღიავებულ კარში ჩაწვება — იქნებ, პურის მცხობლებმა, ერთი კუტი მაინც გადმომიგდონო.

ბერიკაცი სათონის ღია კარიდან უყურებს სტუმრებს:

— აბა, დახე, ილა განა წამოუყვანიათ! — ეუბნება დედაბერს.

— არც ბაბუცა?

— არა. მარტო თითონ მობრძანდნენ.

დედაბერი თონეს ხდის, ყუადაბრაწულ პურს კინჭუტით ამოაფრენს და ამბობს:

— მაშ რა ექნათ, კაცო, უპატრონოდ ხომ არ დააგდებდნენ სახლ-კარს!

— ჰა, დროზე ეხლა, დროზე!!! — ისმის ქეიფის ეშხზე მოსული მასპინძლის ყვირილი.

— აი, გიჟიი!.. — ღიმილს ველარ იკავებს ბერიკაცი.

წყნარად, ქართლური სიდინჯით იშლება სუფრა: მაგიდაზე ჯერ საღვინეებს ჩამოსდგამენ, მერე უნდა ჩამოამწკრიონ ლავაშში გახვეული პურები, თეფშები, ჭიქები, სამარილეები, მწვანილი — ნაგვიანევი, სულმთლად დახუჭუჭებული ოხრახუში და წითელი ბოლოკი. ამას უნდა მოაყოლონ ყველი და, რაც მთავარია, მწნილი — ქართლური სუფრის მშვენება: წიწაკისა, კომბოსტოსი, შემრეშილი პამიდვრისა. იმათში აქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ უნდა ერიოს შუა-შუა დაჭრილი, მუშტისოდენა, ჩამწნილებული გოგრები. ჯამებით მოიტანენ დამტვრეულ კაკალს, ჩალაგდება მრგვალად მოხარშული, დაუჭრელი დედლებიც.

— დავსხდეთ, დავსხდეთ! — ჩქარობს მასპინძელი და ხელების ფშვნეტით ათვალიერებს გაშლილ სუფრას.

სტუმარი ყურს იყრუებს, ბერიკაცს ემასლაათება. დედაბერი ბალღებს ჯერ ისევ ნედლ, თასმასავით რბილ ჩურჩხელებს ურიგებს.

— დავსხდეთ, კაცო! — იძახის მასპინძელი და მაგიდას პირველი თვითონ მიუჯდება, — ჰა, მოდით ეხლა!

ნელა, აუჩქარებლად სხდებიან: მასპინძლის გვერდით სტუმარი, მერე იმისი ჯეელი ბიჭი, მერე ბერიკაცი, დედაბერი, იქით და იქით წვრილფეხობა.

ქალები ჯერ ისევ ფეხზე ტრიალებენ.

მასპინძელი ჭიქებს შეავსებს:

— მოდით, ამ ჭიქით, თქვენს მოსვლას და ჩვენს დახვედრას გაუმარჯოს!

ქალებს დიდი ორჯამიანებით შემოაქვთ კერძი და თვითონაც დასხდებიან.

შეავსებენ ისევ იმ პატარა ჭიქებს და ადღეგრძელებენ შინ დარჩენილ მოხუცებს — ილას და ბაბუცას, "ვისი სულიც ეხლა აქ ტრიალებს", იგონებენ იმქვეყნად წასულებს — "ვინც ჩვენი ხელით შესანდობარს მიელის". მომცრო ჯამით ამბობენ მაგიდის ირგვლივ შემომსხდარი, ჭამაში გართული ბალღების სადღეგრძელოს.

ჯეელი ბიჭი ჭიქებს ბოლომდე სცლის, ბოლომდე გამოსცლის თიხის ჯამსაც. მოხუცი ჩუმად ადევნებს თვალს, თავისთვის ეღიმება, მერე წამღერებით ამბობს:

— ბერიკაცი თვრესო, ვაჟკაცს ერთი ხვდესო, ყმაწვილს სუნი მიედინოს — ღმერთს თაყვანი სცესო!..

ყველას გაეცინება.

ბიჭს ლოყები შეეფაკლება, ატკრციალებულ ბალღებს თვალებს გადაუბრიალებს და თავს ჩაღუნავს.

— დალიე, შვილო, გუნება თუ გთხოვს, დალიე! — ამხნევებს მასპინძელი, მერე ჭიქებს შეავსებს და მორიგ სადღეგრძელოს ამბობს.

და სწორედ ამ დროს, ჯეელი ბიჭი, რომელიც ისევ თავჩაღუნული ზის, სიმღერას წამოიწყებს:

— ტურფანი სხედან ჩარდახსა არიგებ-ჩარიგებულნი...

ბერიკაცი გაკვირვებული გაჰხედავს, მასპინძელსაც ხელში შეაცივდება ჭიქა.

— პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო... — განაგრძობს ბიჭი. ხავერდივით რბილი ხმა იოლად ამოსდის ყელიდან, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ უწევს, ბანს ელოდება.

გაოცებული მასპინძელი სტუმარს გადახედავს. იმას ეშმაკურად უციმციმებს თვალეპი, ოდნავ, სულ ოდნავ დაუქნევს თავს და მასპინძელიც ჭიქას მაგიდაზე დადგამს, ბიჭს ბანს მიაშველებს, სტუმარი კი მეორეს ამბობს:

— არ ვიცი, ვისა გლოვობენ, არ ვიცი, არ იციანო!..

ბალღებიც კი გაჩუმდებიან და თვალებდადიდებულები მიაჩერდებიან მომღერლებს. ქალებს პირზე ღიმილი მოეფინებათ, ლოყაზე ხელებშემოწყობილნი ბიჭს ნეტარი სახით მიაჩერდებიან და ისიც, გათამამებული ხმას აუწევს, ხავერდში ფოლადს გამოურევს, მაგრამ მაშინვე ყველა იგრძნობს, რომ სიმღერას ბანი არ ყოფნის, ვილაცა თუ არ ჩაერია, არ ივარგებს და ბერიკაციც სწორედ ამ დროს აჰყვება — იმისი შელახული, ხრინწშეპარული, მაგრამ მაინც ჯერ ისევ ძლიერი ბანი მომღერლებს სულზე მიუსწრებს, სიმღერას ეშხს შემატებს.

გარეთ კი ისევ წკაპუნობს წვიმა. მოსულა, საიდანლაც მოხეტებულა შავად ჩალუსკუმებული ღრუბელი და სოფელს სულთამხუთავივით დასწოლია გულზე. წვიმის წვეთები წყნარად ფაჩუნობენ შემოდგომის ყვითელი ფოთლებით ამოვსებულ წუხანდელ გუბეებში. სიცივისაგან აბუზული ქათმები გომურის საჩიხს შეჰხიზვნიან. გომურში თბილა. ისმის საქონლის ქშენა, ზლვეზე დაცურებული ჩლიქის ბრაგუნი. სტუმრის კამეჩები — ლომა და მერცხალა მშვიდად იცოხნებიან, მასპინძლისანი კი სიბნელეში ავად აბრიალებენ თვალებს.

ბინდდება.

ძალლი მარნის კართან ჩაწოლილა, თვლემს და ძილბურანში ესმის შინიდან გამომავალი სიმღერა: — "მტერო, დამჩაგრე, არ ვსტირი, ტირილი დიაცთ წესია; ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში, მაგრამ არ დამიკვნესია. მაცალე, ერთი გავლესო ხმალ-ხანჯალ ცეცხლის მკვესია, სულ წალმა შემოგიბრუნო, რაც ჩემთვის დაგითესია!"

სიმღერა ნელ-ნელა ეფინება აჭონჭოხებულ ეზოს, გზას, მოწყენილ ნაბოსტნარებს, მთელს სოფელს და სახლების საკვამურებიდან ამომავალ ბოლთან ერთად ადის მაღლა, ჩამობურულ ზეცას უერთდება.

დილით, კაცები დერეფნის თავხეზე უკანა ფეხით დაკიდებულ, დაკლულ ციკანს ატყავებენ — რაღა ციკანს, თითქმის ბოტს! ქალები სათონეში ფუსფუსებენ, აგუზგუზებულ ცეცხლს რცხილის დიდრონ ნაპობებს უკეთებენ.

ჯეელი ბიჭი შინიდან გამოვა, დადგება და კაცების საქმიანობას თვალს ადევნებს. ბერიკაცი თხილის ჯოხებისგან შამფურებს თლის, ჩუმად ილიმება და მერე ამბობს:

— რა ყოფილა, კაცო, ეს ბალღი, რა ყოფილა!

ბიჭის მამას სიამოვნების ღიმილი ეფინება სახეზე.

— მაიცა, გადმოვუყვანო ჯერ კოლას ბიჭი, — იქადნება მასპინძელი, — ნახე, ესენი რას იზამენ!

და მართლაც, როცა ისევ გაიშლება სუფრა, როცა გუშინდელივით ისევ ეშხში შევა ქეიფი და კოლას ბიჭი ყელმოღერებით წამოიწყებს — ზამთარი ვარდსა დააჭკნობს, ფურცელი ჩამოცვი-

ეროვნული

ვაო! — ეს ჩვენი ნაქები ჯეელი ისეთ პირველს შემოსძახებს, ისეთ ხმას ამოიღებს ყელიდან და კაცებიც — სამივენი და მეოთხე თვითონ კოლა, ისეთ ბანებს დააგუგუნებენ, რომ კუთხეში მიმჯდარ, სახემონაღვლიანებულ დედაბერს ღაპალუპით ჩამოსცვივდება ცრემლები.

მესამე დილით სტუმარს ადრე ეღვიძება. გარეთ მამლები ყივიან. ფანჯრის მინებზე წვიმის წვეთები წკაპუნობენ. კაცი თვალებგახელილი წევს ლოგინში, მერე მძინარე ცოლს ხელს წაჰკრავს და გააღვიძებს:

— ადე, ქალო!

— რა იყო, ადამიანო?!

— ადე, ადე, უნდა წავიდეთ!

— სად უნდა წავიდეთ, ქა, რას ამბობ?!

— ადე, ფინთი სიზმარი ვნახე, გული ავად შემომკვნესის.

— იჰ, ნეტავი შენ! — ქალი გადაბრუნდება, ისევ დაძინებას აპირებს.

— ადე, შე ოჯახქორო!

— აი, დაგეწოს ხასიათი... — ქალი ლოგინში წამოჯდება და სკამზე გადაფენილ ტანისამოსს მისწვდება.

კაცი არ ჩქარობს, დააცდის, სანამ ცოლი ჩაიცვამს, მერე თვითონაც ადგება. ეზოში ჩასული გომურიდან კამეჩებს გამოიყვანს, ურემზე დააბამს, თივას დაუყრის...

გაკვირვებული მასპინძელი დერეფნიდან უყურებს:

— რას აკეთებ, ე?!

— უნდა წავიდეთ.

— სად უნდა წახვიდეთ, რას ამბობ, კაცო?!

— გიჟი ქორწილში შევიდა, ჩემს სახლს ესა სჯობიაო!

— რაიო?!

— უნდა წავიდეთ-მეთქი!

— შენა, ძმაო, ხატმა ხო არ შეგაშინა?!

— არა, არა, უნდა წავიდეთ!

— კიდე!!!

დერეფანში ჯოხზე ბჯენით გამოვა, გამოიკაკვება ბერიკაცი:

— რა იყოთ, რა ვერ გადაგიწყვეტიათ?

— აი, უნდა წავიდეო?!

ბერიკაცი კეფას მოიქექავს, სტუმარს შეათვალიერებს:

— რა გეჩქარება, შვილო?

— რა ვიცი, მიხა ძია, რაღაც ფინთი სიზმარი ვნახე, უნდა წავიდე!

— კაცო, ამისთვის ხაშხაში ხო არავის უჭმევია?! — გადაირევა მასპინძელი.

— კარგი, ჰო, კარგი, — უწყრება შვილს ბერიკაცი, მერე მარნის კარს შეაჭრიალებს, შიგ შევა და იქიდან ეძახის, — მოდი, აბა, აქა!

ამასობაში ყველა იღვიძებს. ისმის ბალღების ტირილი, ქალების ქოთქოთი. სათონიდან გამოშლილი კვამლი ატალახებულ ეზოში იბურდება.

იშლება დილის სახელდახელო სუფრა. კაცები ცხელ კერძს სამ-სამ არაყს აყოლებენ.

ბოლოს, როდის, როდის აიშლებიან, გამოვლენ აივანზე და სტუმარს პირკატა ეცემა: კამეჩებს, იმ მცივანა ოტროველებს, [illegible] უკეციათ, წვანან და დასდით ზედ ნოემბრის წვიმა! მივა, ერთხანს თავგზააბნეული დასცქერის სველ, პრიალა ზურგებზე, მერე ურმიდან სახრეს აიღებს და წამოუვლის:

— ადე, ლომა! ადე, მერცხალა!

მაგრამ ისინი აინუნშიც არ აგდებენ, ზანტად იცოხნებიან.

— ტყუილად ეხვეწები, არ ადგებიან, არა! — ეძახის მასპინძელი.

— რათა, კაცო?!

— მაგათა, შვილოსა, თითო ჩაფი ღვინო აქვთ დალეული, საღამომდე ვერ გამოფხიზლდებიან!

მართლაც, იქვე დგას დაჭეჭყილი ტაშტი, რომელშიც ცოტაოდენი ღვინო კიდევ ჩარჩენილა. სტუმარი შიგ ხელს ამოჰკრავს, ცხვირთან მიიტანს და დასუნავს. ერთხანს ეგრე დგას, არ იცის, რა ქნას — გაბრაზდეს თუ გამხიარულდეს.

აივნიდან სიცილს დააყრიან — იცინიან ბალღები, ქირქილებს ბერიკაცი, დედაბერს უკბილო პირზე ხელისგული მიუფარებია და მარტო თვალები უცინის. ფხუკუნებენ ქალებიც.

სტუმარი უილაჯოდ გაიღიმებს და ურმის ხელნაზე ჩამოჯდება.

სულ მალე მოვა კოლას ბიჭი თავისი ორი ამხანაგით, კოლა, კიდევ ერთი მაღალი, ოქროსკბილიანი კაკაროტი კაცი და იწყება ისევ ქეიფი...

არა, წასვლით, რა თქმა უნდა, მაინც წავლენ, მაგრამ წავლენ მეხუთე თუ მეექვსე დღეს. სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს ტკბილად დაემშვიდობება და ეზოდან ნელა, ჭრიალით გავა ურემი.

საშობაოდ ახლა ესენი ეწვევიან, ახლა ესენი იქნებიან სტუმრები, ისინი კი — მასპინძლები...

ასე გაჰყავდათ ზამთარი. სტუმრიანობა, ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა მაშინღა შეწყდებოდა, როცა გაზაფხულის მზე ძალას მოიცემდა, როცა ტყისპირებიდან ყვითლად გამოაჭყეტდა შინდი და ტყემლებიც თეთრად გადაიპენტებოდა. ასეთ დროს სტუმრისთვის ვიღა მოიცლიდა?! — სამჭედლოში საბერველი ქშინავდა, მჭედელი გულმოდგინედ უკაკუნებდა გამოსაწკეპად მიტანილ სახნისს; სანახიროზე უკვე გაეშალათ ღვედ-იარაღი; გუთნეულის საქონელს — უგრეხელნაჭამ, ნაზამთრალ ხარებს პატარა ბიჭები უდგნენ სახრეებით.

შორიდან გუგულის "კაფე-თესე" ისმოდა.

მეორე დღეს გუთნისდედა ღმერთს ახსენებდა და მინდორში პირველ კვალს გაიტანდა. ჰაერში ფხვიერი მიწის მსუყე სურნელი დატრიალდებოდა და ცაში წასული ტოროლების წკრიალს ნელ-ნელა უერთდებოდა ტკბილი, ნაღვლიანი სიმღერა: — "შენი ჭირიმე, გუთანო, მაგ შენი მრუდე ყელისა- შენა ხარ პურის მომყვანი, დამძველებელი ქერისაო"...

თუმცა, ეს ხომ წინათ იყო, ძალიან დიდი ხნის წინათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აკაკი გენაძე

ცნობილ მწერალს აკაკი გენაძეს 75 წელი შეუსრულდა. ჟურნალ "მნათობის" რედაქცია ულოცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.

### ადამის ჟამს ასე იყო

ხან იქცევა ლხინი კვნესად, ხან იქცევა ლხინად კვნესა,
თუ ჩამოჰკრავ კაჟზე რკინას, ცივი კაჟიც იწყებს კვესას.
სიყვარულს ცვლის სიძულვილი და იქცევა თაფლი გესლად.
ხან შევხარით ღრუბლის ღიმილს და ცრემლი სდის ზოგჯერ მზესაც.
ემტერება ნათელს ბნელი და ნათელი მუსრავს ბნელსა.
ზოგჯერ ღამე გვემზევება, ბნელი სუდრავს ზოგჯერ დღესაც,
სპობს მახვილი ზოგჯერ იმას, ვინც მახვილი სხვისთვის ლესა.
ზოგჯერ ერთი კაცის ჭირი ესენება მთლიან ერსა.
ზოგი კაცი ვერა ფიქრობს, მაგრამ ფიქრი მოსდის ხესაც.
თუმც ხვალის დღით ვცოცხლობთ მუდამ, დრო-ჟამი მკის, რასაც ვთესავთ...
ადამის ჟამს ასე იყო, ასე არის ესე დღესაც.

### მიმოდის ხალხი

ლომსა თუ არწივს, მგელსა თუ მელას,
ხელმწიფეს, მონას,
მოძლვარს თუ ჩაფარს,
სულს უდგამს ღმერთი
ამქვეყნად ყველას...
და ცა მათ არჩივს
იდუმლად ჩარხავს.
დრო-ჟამი ამკობს მავანის გზა-კვალს,
ზოგის სიცოცხლეს ამგვანებს ელვას,
მავანის ამბავს გვირისტით ლამბავს,
მავანის გზა-კვალს ადევნებს წყევლას.

მავანს ფეხებზე ჰკიდია განძი,
ზოგიც ოქროსთვის
მთავარ სულს ლაფავს.
ზოგის სულს მოსავს უცვეთელ ძაძით,
ზოგისთვის მუდამ ნადიმებს მართავს.
ზოგს სულ დარი აქვს, ზოგსაც სულ
უწვიმს,
ზოგს აწმინდანებს,
ზოგის სულს მზაკვრავს...
მიმოდის ხალხი... და არვინ უწყის,
ვის სად დაუგებს სიკვდილი ხაფანგს.

●

საწუთრო წალმა-უკუღმა ბრუნავს, არის დღეები გულშემზარავი,
ხალისი სულის დრომ გამიხუნა, განმახლებელი არ ჩანს არავინ.
დღეს გული მიგავს დარდების ბუნაგს, დრომ ჩამისახლა სულში წკვარამი.
როცა დუნიას ვაება თრგუნავს, ვიღას შევჩივლო ჩემი ვარამი?

### ადამიანი მოვიდა სანამ

სული ხან ტირის და ხანაც მღერის და უძიებლად სიცოცხლე ვერ ძლებს,
ადამიანი მიელტვის მერმისს, მაგრამ წარსულშიც თავის თავს ეძებს.
მომავლისათვის ოცნების გაშლით, თაკარა მზეში, წვიმაში, ქარში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც ერთობ ხშირად დავქრივარ ცაში, როგორც სიზმარში დაფრინავს ბავშვი.
ადამიანი მოვიდა სანამ, იყო სასტიკი გამყინვარება.
დღეს ვიკლებ ლუკმას და ვიკვლევ ამას, წარსულში წასვლაც არ მეზარება.
ქვეყნად რა იყო დიდი ხნის წინათ — წარღვნით თუ მიწის აზანზარებით,
ეს რომ გავიგო სიზმრეულ ლხინად დინოზავრებით მივემგზავრები.

●

არ მასვენებენ დღეს ფიქრები შავიც და თეთრიც,
მღვრიე და წმინდა, ორი ღელე, ერთმანეთს ერთვის.
როდესაც ჩემ სულს მიიბარებს ცარგვალში ღმერთი,
ჭია შემიჭამს შავ მიწაში, რაიც აქ ვერ ვთქვი.
მაგრამ არა ვარ უმადური მე ჩემი ხვედრის,
მინდა ვირწმუნო, არ გამწირავს მთლიანად ბედი,
დრო-ჟამს შერჩება ცოტა მაინც, რასაცა ვწერდი.
სიცოცხლისათვის, მე ასე მწამს, ისიცა კმარა,
თუ შენი სულის ერთი სხივი ჟამთა სულს ერთვის,
დაეკიდება დრო-ჟამის ხეს უშრობელ ცვარად
მელნადქცეული შენი სისხლის თუნდ ერთი წვეთი.

●

მზის ძმობილი და მთვარის დობილი საწუთრო რას არ მაჩვევს:
დღეს ჩემი ბედით ვარ მინდობილი დღისა და ღამის გამჩენს.

## ჩიტი

ფანჯრის რაფაზე შემოჯდა ჩიტი და სიყვარულით დამიწყო ცქერა,
თან ისე, ისე ლამაზად ხტოდა, გახარებული ცეკვავსო თითქოს,
მეც გამიხარდა, ასე მეგონა, რომ მომაკითხა კეთილმა სულმა.
აკი ამბობენ: არ კვდება სული, გადაეცემა ჭურჭლიდან ჭურჭელს...
და, ღმერთო, როცა ჩემ სულს წაიღებ მავანისათვის გადასაცემად,
ერთსა გთხოვ მხოლოდ, მგელს ნუ ჩაუდგამ, ანდა — მგელკაცას,
ჩიტივით მაფრინე ცაში!

## საითკენ მიდის შენი გზა

ჰეი, ღმერთის სულჩადგმულო, შენ, თიხავ, ფეხებიანო,
ხან ღამესავით გულბნელო, ხან დღისებრ თვალებმზიანო,
საითკენ მიდის შენი გზა, გამანდე, ადამიანო!

●

თმასაც ემჩნევა, ძე კაცის სულს ვისთვის რა სურდა
და რას ნატრობდა სანთლით ხელში, ანდა — გოდებით.
არის ჭალარა — სიკეთით რომ ანათებს მუდამ,
არის ჭალარა — სავსე შურით და ბოროტებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კაცობრიობას ისევ სდევს დარდად

კაცი რომ კაცის
სისხლს დაღვრის თოფით,
ვინმეს სიკეთედ მე ვერ ვიწამებ.
უკეთურობა კაცთ წუთისოფლის
როდის შეწყდება დედამიწაზე?
მიყვარს, ბნელს როცა
სჯაბნის სინათლე
და ულვთოდ არსად ილვრება სისხლი.
კაცი რომ კაცის სიკვდილს ინატრებს,
ის თვითონ გახდეს დალუპვის ღირსი.
როდესაც კაცი კაცს ტყვიას ახლის
და აზეიმებს ქვეყნად ავსულებს,

სისხლს უმოწყალოდ
მიწაზე დაღვრილს
ცა არხეინად რატომ დაჰყურებს?
როცა ძმებს შურის გრიგალი არბევს,
ან თუ სასტიკად სძულთ ერთმანეთი,
სული მევსება კუპრისფერ დარდით:
ნუთუ ამაზე არ დარდობს ღმერთიც?
კაცობრიობას ისევ სდევს დარდად,
სისხლის წვიმებით
ჟამი რომ ავდრობს,
როდესაც აბელს კაენი კლავდა,
რას უყურებდა უფალი ამ დროს?

●

ყველასთვის როდია ცა მუდამ მზისგულა,
ჰე, რამდენს აბრმავებს კაშკაშა ნათელი.
ზოგისთვის სიბერე საწუთროს ჯილდოა,
ხოლო მავანისთვის — სასტიკი სასჯელი.

●

ჟამი არ ჟამობს მუდამ მზისფერად, დავჯერდეთ, ბედმა რაც გვიწყალობა.
ზოგჯერ გალობა გლოვად იქცევა და გლოვის ზარი — ხმატკბილ გალობად.

●

ნუ იქნები კაცი ბეცი, გესლს თაფლად ნუ ელი,
თვალთმაქცობით, კანის შეცვლით, ზნეს არ იცვლის გველი.

●

ხან ვემსგავსებით ანგელოზებს და ხანაც მხეცებს,
ამ სამყაროში ყველა მხოლოდ თავის თავს ეძებს.

●

რომ აიცილო ცოდვისთვის ჯვარცმა, წუთისოფელმა რომ არ დაგხვანჯოს,
სიყრმითვე უნდა იაზრო კაცმა, შენი სიცოცხლე რისთვის დახარჯო.
საწუთრო კაცთა სულ ბრძოლით მიდის, დღე-ღამის მუდმივ ჭიდილსა ჰგავს...
გამარჯვებაა ყველაზე დიდი, ვინც ომს მოუგებს საკუთარ თავს.

●

ლხინი კაცის ცხოვრებას ფეხს მალიმალ არ უწყობს,
ერითმება ერთმანეთს სამწუხრო და საწუთრო...
მავანი სულ ულიმის ყანწს, ფიალას ღვინიანს,
მავანი კი საწუთრომ ლამის ცრემლად დაწუროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგისათვის საწუთრო მარტოოდენ ლხინია,
ხოლო მავანისათვის — ყოველი დღე სამწუხრო.
მწუხარებით საწუთრო, ვაჰ, რა ხშირად გვამწარებს,
ლამის უხმლოდ აგვკუწოს, გაგვატანოს შავ ქარებს.

●

მიჩანს დრო-ჟამი თავდებად და ამ რწმენით ვარ გაზრდილი,
ხშირად ძნელია გაგება, ვინ არის გმირი ნამდვილი.
ვერასდროს მოსპობს ცხოვრება ამ ქვეყნად მდიდრებს, ღარიბებს.
საწუთროს ზოგი გაათრევს, ზოგიც ხალისით გაირბენს.

●

ზოგის სულს ეშმა მგელივით დასდევს, მავანიც დადის მუდამ მზეგულა.
ბევრი ჩამკვდარა საწუთროს გზაზე და ზოგიც კიდევ ჩაძაღლებულა.

ერთი ხელი მალამოა, მეორეა კეტივით.
ერთი ხელი ბოროტი გვაქვს, მეორეა კეთილი.

ხალხი კეთილ დღეს სულ ელის, იმედს არ კარგავს ბოლომდის,
არა მთავრდება დუელი კეთილისა და ბოროტის.

●

ბევრის სიცოცხლემ საწუთროს გზაზე ჩაიარა და გაქრა...
ზოგის სიცოცხლეს დამარხვის შემდეგ კვლავ ჭიდილი აქვს ჟამთან.

ჭმუნვას ცვლის ლხინი, ხოლო ლხინი გვეცვლება თალხით,
რაც სიკვდილს ჯობნის ძლიერებით — ხსოვნაა ხალხის.

●

თუმც ხშირად ცრემლის გაქრობას ველით, ნუგეშს დავეძებთ მიწაზე, ცაში.
სამზეოში თუ მოკვდება ცრემლი, ადამიანიც მოკვდება მაშინ.
ვის არ სწვევია დღეები კრული, ეკლიან გზაზე ვის არ უვლია.
მწამს, სიხარული ცრემლებით თქმული, ყველაზე დიდი სიხარულია.
მოხდება: ცრემლიც გვეიმედება, თბილ ცრემლებს ზოგჯერ ავასხამთ მძივად,
ჰო, იმ სიხარულს რა შეედრება, გულის ლხინი რომ ცრემლებად გვცვივა.

●

ყოველ წამში და ყოველ წუთში ვიცვლებით ყველა,
ვით წვიმის შემდეგ აიმედებს თვალს ცისარტყელა.
აწინდელი დღე შეიცვლება ხვალ გუშინდელად,
მზით განათდება ყოველივე — ახლა რომ ბნელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემი სოფლის ღელე

მომენატრა ჩემი სოფლის ხმაღუღუნა ღელე,
მეჩვენება, ჩემკენ იშვერს ანგელოზის ხელებს.
ზედ გადამჯდარ წისქვილების გალობა კვლავ მესმის,
იქ, მწამს, კვლავაც ცოცხლად კვესავს ჩემი ლექსის ფესვი,
ჰგავს ღელის ხმა აკვნის ბავშვის ძილში ჩუმად სიცილს...
თუმცა ზოგჯერ უჩვეულო გალომებაც იცის.
ერთხელ დელგმის თქეშა წვიმით ისე გადიდგულდა,
რაც წინ დახვდა ყოველივეს გადაყლაპვა სურდა.
როგორც შმაგი ბაყბაყდევი, კბოდეს მომწყდარ ლოდებს
ზურგზე იკიდებდა რბენით ვით ცარიელ გოდრებს.
ეს ქვა-ლოდი მოგრუხუნე რიონს მიაყარა,
მდინარეს გზა ჩაუხერგა პიტალო კლდის დარად.
და რიონი ხევში ერთხან ტბისებრ გაიშალა...
აი, ასე ხალხს აჩვენა ღელემ თავის ძალა.
კაცსაც ასე გევალება — წუთისოფელს მყოფელს,
მთელი შენი ღონე ზოგჯერ დაანახო სოფელს.
თუმცა ახლა ჩემკენ იშვერს ანგელოზის ხელებს,
იმ დღისთვისაც მენატრება ჩემი სოფლის ღელე.

## შევთხოვ ყველა სალოცველს

ბავშვმა ერთობ გავიოცე, როცა ზეცა ვიხილე,
გავუღიმე მზეს და მთვარეს და ვარსკვლავებს — ცის შვილებს.
რა ხანია ბავშვი არ ვარ, ჟამს ვაბარებ გამოცდებს,
მაგრამ ზეცის ხილვა ახლაც ყმაწვილურად მაოცებს.
ცა მზიანი, მთვარიანი, თუ ვარსკვლავებთვალება,
ჩემთვის დარჩა მარადიულ ფიქრთა იდუმალებად.
გრძელ საწუთროგამოვლილიც შევთხოვ ყველა სალოცველს,
ნუ მომიშლის იმის ხილვას, რაიც ისევ მაოცებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ზურაბ კუხიანიძე

●

თითქოს დღეს მივხვდი გვიან და მძიმედ,
როდესაც თმები გამვერცხლებია,
რომ ვარსკვლავები, ცად მოციმციმე,
ძველ ოცნებათა ნაპერწკლებია.

თითქოს დღეს ვნახე,
წყალწითელასთან
რა მინდვრებია, რა ყანებია:
თითქოს დღეს ვიგრძენ,
რომ მე შენს გარდა
ამქვეყნად არვინ არ მყვარებია.

დღეს რომ მივხვდი
და დღეს რომ ვიგრძენი,
სწორედ ამიტომ განწირული ვარ...
დღეიდან, ალბათ,
სოლომონ ბრძენიც
ვერ გამომიყვანს აწი რულიდან.

ო, რა ვუწოდო ამას სახელად,
ან სად გავგზავნო ფიქრნი ხიზნებად...
რა, რა დავარქვა, თვალის ახელა,
თუ ცხოვრებიდან გამოფხიზლება?!

●

ცა იღრუბლება,
ცა იღრუბლება,
ჩვენს საქართველოს მთადაველიანს
ეს ვინ უქადის: "დაიღუპება!" —
საწყალი ფიქრი გადამერია.

ცა იწმინდება,
ცა იწმინდება,
იძახის ვიღაც უფრო ხმიანად:
"გაიყიდება, გაიყიდება,
გაიყიდება სულ-ხორციანად!"

თუ არ დაგვემხო თავზე ცარგვალი,
თუ არც ვულკანი ამოიფრქვევა...
სხვა მხრივ, ჩვენი გზა გასაკვალავი
იყო, არის და კვლავაც იქნება.

ისევ მუქარით უბერავს ქარი,
თავსმოხვეული ნისლი მქისეა...
ჩვენ რომ გვსურს,
საქმე ისე არ არის,
მტერს რომ ჰგონია,
მთალად არც ისეა.

●

უნდა იცხოვრო ისე უბრალოდ,
ვით შაშვი ცხოვრობს თავის ბუდეში
და გქონდეს სიტყვა და საუბარი
ალალი, როგორც სიჭაბუკეში.

უნდა მიიღო შენ შენი წილი
ცხოვრებისაგან — ღიაც, ფარულიც,
ცეცხლმოდებული ვარდი გაშლილი,
ტანჯვა, წვალება და სიხარული.

უნდა მოსტაცო ძუნწ წლებს და დღეებს
სიტკბო ბუტკოსი, თაფლი ვნებისა
და გაზაფხულზე ათქვირულ ხეებს
მკერდი უკოცნო გათენებისას.

ხელს ნუ შეახებ სხვის განძს შეფუთვნილს,
კრიფე იები მიმოფანტული;
მიიღე, ღვთისგან რაც კი გეკუთვნის,
შენი ჩოხა და შენი ბანდული.

შენ შენი გქონდეს ყურძნის ბიმბილი
და ნუ მოილხენ, სხვა რომ მარტვილობს,
შენად მიიღე სხვისი ტკივილი,
შენი ტკივილი სხვას არ ატირო.

უნდა იცხოვრო ისე უბრალოდ,
ვით თევზი ცხოვრობს მყუდრო ჯილეში
და გქონდეს გული და საუბარი
ალალი, როგორც სიყმაწვილეში.

თორემ დადგება დრო და კრიალა
ცა შავ ღრუბლებით აგეტკეჩება —
სხვისი განძი და ბაღჩა კი არა,
არც საკუთარი ხმა არ შეგრჩება.

მერე კი ავი სტვენით და ქშენით
დაჰბერავს შენს წილ ნატებს ქარები,
რომ უმოწყალოდ წაშალოს შენი
მიწაზე სუსტი ნატერფალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ვხედავ ბურუსში ჩაკარგულ დედას,
ქვესკნელს, გათანგულს მრუმე ქაოსით...
ფიქრებსაც ვხედავ,
სიზმრებსაც ვხედავ,
გამზადებულებს სასაკლაოსთვის.

ფიქრებს და სიზმრებს უგებენ მახეს,
ქვეყნად არ ესმით მათი ვედრება...
არვის უნახავს ოცნების სახე,
სულ ცის სარკეში რომ იხედება.

ფიქრებს და სიზმრებს გასდებ ხიდებად,
ოცნება ფიქრთა უხვი ნავია...
ოცნება, სანამ არ აგიხდება,
მამალმერთივით უხილავია.

ჩემო ოცნებავ,
ვერასდროს გნახე,
მუხლმოდრეკილი შეგთხოვ ვედრებით,
რომ, ერთხელ მაინც მიჩვენო სახე,
სულ ცის სარკეში რომ იხედები.

●

ჩვენი ბჭე ბევრჯერ მტერს დაულახვრავს,
ბევრჯერ გვაკადრეს ჩვენ განქიქებაც...
უმტერო კაცი არვის უნახავს,
ჰოდა ქვეყანა როგორ იქნება.

გვმტრობენ და მაინც ვერვინ გაგვრიყოს,
შუღლი ზემოდან,
შუღლი ქვემოდან...

შუღლი არ იყოს,
მტერი არ იყოს,
არც საქართველო არ იქნებოდა.

ჩვენი თარილი ისევ თარილობს,
მტრების ვარსკვლავი მიწყივ ქრებოდა...
რომ სიყვარული ქვეყნად არ იყოს,
არც საქართველო არ იქნებოდა.

●

არ გაყოფილა ჩემი და შენი
გულის ფანცქალი, წვა და ალმური...
ჩემზე ფიქრები გიხდება, გშვენის
ვით მოსასხამი სიასამურის.

შენით იწყება ჯერ არდამცხრალი
შენი და ჩემი ქორონიკონი;

მე შენზე ფიქრი ისე მაწვალებს
როგორც ჯიუტი ლექსის სტრიქონი.

გამოგვერია თმაში ფიფქები,
მაინც გვიმიზნებს ისარს ამური...
მაშ, მომახურე შენი ფიქრები,
როგორც ძვირფასი სიასამური.

●

მოდის ზამთარი — სუსხის მომბერი,
ვით დამპყრობელი გულქვა ბებერი;
ჩვენი ხანმოკლე წუთისოფელის
არც ახლობელი, არც შორებელი.

მოდის ზამთარი...
შიშველი ტყე თრთის,
ტყეს თოვლი მალე გააზლაპარებს
და შემოდგომის მკვდარ ფოთლებს თეთრი
სუდარის კალთას გადააფარებს.

მოდის ზამთარი ქარის ჯაჯღანით
და აღარ უჩანს ცაში მზეს სხივი;
მოდის ზამთარი...

ყინვის ხანჯალი
შორით უელავს ფხაალესილი.

შენ გაგიმარჯოს, ჩემო ზამთარო,
ცივო და თეთრო მზეთუნახავო,
თუ გსურს ფიფქების ყვავილს გადარო,
თეთრი ფიქრებით უნდა მახარო.

ფიქრი გავიყოთ თანაზიარად,
გამათბე დარდით დამზრალ გულამდე,
დიდხანს კი არა,
დიდხანს კი არა,
აგერ, ა,
კუკლუც გაზაფხულამდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი სამსონაძე

# აბეშურა - ფარნავაზიანთა უკანასკნელი დედოფალი

პიესა ორ მოქმედებად

თამაზ ბაძაღუას, ბადრი ჭოხონელიძის, ვაჟა ბრეგაძის ნათელ ხსოვნას.

მოქმედი პირნი:

1. აბეშურა
2. მირიანი
3. მირვანოზი — მამამძუძე მირიანისა
4. სეფელია — გამდელი აბეშურასი
5. მაეშანი — სპასპეტი
6. კარა — კერპთმსახური ქალი
7. ბაქარი — საბერძნეთის ელჩად გაგზავნილი დიდებული
8. ანაკი — ხაზინადარი
9. მალემრბოლი
10. პირველი
11. მეორე — ორი შეშლილი, თავი ნოეს ყორანთა სულებად რომ წარმოუდგენიათ. ვინ იცის, იქნებ არიან კიდეც.

III საუკუნის დასასრული. პირველსა და მეორე მოქმედებას შორის სხვაობა დაახლოებით 7-8 წელია.

მოქმედების ადგილი: მცხეთა, სამშვილდე, მცხეთა, სამეფო სასახლის მახლობელი ტყე.

*მცხეთა. სცენის სიღრმეში ხანშიშესული კაცი ზის. ხელებით ჯოხს ეყრდნობა. თავი ჩაუქინდრავს, ალბათ თვლემს. სცენის საპირისპირო კუთხეებში, წინა პლანზე, პირველი და მეორე წამოწოლილან. შემოდის სეფელია.*

სეფელია — აბეშურა ! აბეშურა!

პირველი */თავი ასწია/* — ასწლიანი მუხის ფუღუროშია ახლა აბეშურა. იქით, ტყისპირას ...

მეორე */თავი ასწია. პირველს მიმართავს/* — უცებ არ გაიგოს შენი ჩხავილი.

სეფელია */მიმოიხედავს/* — მოხუცო, კეთილო კაცო! */თავისთვის/* სძინავს ... აბეშურა! აბეშურა! */გასვლას აპირებს/.*

*შემოდის კარა.*

კარა — რაო, სეფელია, აბეშურას ეძებ?

სეფელია — ხო, დედაო კარა, რაც ასფაგური გავაცილეთ, აღარ მინახავს.

კარა — დედას რად მეძახი, განა შენი დედა ვარ?

სეფელია — შენ ყველა დედას გეძახის, დედაო კარა.

კარა — დედა მამაკაცებმა დამიძახონ, თუნდაც ბავშვებმა, თუნდ მოხუცებმა. შენ კი დედას ნუ დამიძახებ. */მოუახლოვდა/* ჩვენ ხომ თითქმის ერთი ხნისა ვართ ...

სეფელია */გაეცლება/* — ომის ცნობამ შიშში ჩამაგდო, სად უნდა იყოს აბეშურა! წავალ, მოვძებნი ...

კარა — განა შეშფოთდი? მო, ყურს დაგადებ მკერდზე, როგორ გიძგერს გული, გავიგო!

სეფელია */გაეცლება/* — ნეტავი ქასრეს გადვურჩებოდეთ ...

კარა — სიზმარი ვნახე ახალმთვარობას, მუჭებით ვჭამდი თაფლსა.

სეფელია */ინტერესით/* — რას ნიშნავს, მუჭით თაფლის ჭამა?

კარა */ისევ მიუახლოვდა/* — იქნება კარგის იყოს ნიშანიც ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეფელია – სულ ხიფათი მელანდება... ნეტა სად არის აბეშურა, უნდა მოვძებნო... /გაეცლება. მიდის. კარა თვალს გააყოლებს სეფელიას. ჩამოჯდება/.

პირველი /თავი წამოსწია, სეფელიას მისამართით/ – ხომ გითხარი, სულელო ქალო, ტყისპირას რომ ასწლიანი მუხაა, იმის ფუღუროში ზის-მეთქი აბეშურა. – რატომ არ ესმით?!

მეორე – გულს კი ესმის, ჭკუა რომ არა...

პირველი – ჭკუა თუ ტვინი?! თუმც, სულერთია...

მეორე – სულერთი როგორ იქნება, ტვინი იჭმევა, ჭკუა არა.

პირველი – ჭკუა იჭმევა, შე ბრიყვო, შენა! ტვინის ჭამა ვის გაუგია.

მეორე – როგორ თუ ვის... ნამდვილად მახსოვს, ტვინის კორტნა ერთ რამედ ღირდა. მივგლეჯ-მოვგლეჯდი მე იმ ტვინსა ჩემი ნისკარტით, აფუფუებულ მატლების სითბოს ვგრძნობდი თითქო; თითქო მეხვივნენ, ყნოსვის ალმურს მიცხოვლებდნენ; მიყვარდნენ თითქო ეს მოფუთფუთე, თბილი მატლები, და სიყვარულით აღგზნებული... /მიხედავს/ ნუთუ არ გახსოვს?

პირველი – ნუ გაილექსე. შენ რასაც ამბობ, მას ჭკუა ჰქვია.

მეორე – კარგი, მაშ, კარგი... ერთ კითხვაზე გამეც პასუხი. ჩვენ ვინა ვართ?!

პირველი – ვითომ არ იცის!.. სულები ვართ, ნოეს ყორნების...

მეორე – სხვას გეკითხები. ერთმანეთისთვის ვინა ვართ-თქო, ამას ვკითხულობ.

პირველი – გამაგიჟებს ეს ბრიყვი ყორანი... ტყუპი დები ვართ, ვინ უნდა ვიყოთ.

მეორე – ვაი შენ, ჩემო თავო!!! ტყუპი დები!.. ჩვენ ხომ და-ძმა ვართ, შენ ძმა ხარ ჩემი, მე კი შენი დაი უმცროსი. დაიკოსაც მეძახდი, არ გახსოვს, განა?! მე ძმად გიხმობდი, – ჩემო ძმაო, ჩემო იმედო, დამცველო ჩემი ღირსებისა, ჩემი სახელის...

პირველი – ხო, გამახსენდა. მე ძმა ვიყავი. /პაუზა/ მაგრამ... /პაუზა/ შენც ხომ ძმა იყავი? ჩვენ ძმები ვიყავით... ორი ძმა... კი, ასე იყო.

მეორე – მაშ, თუ მასეა, შთამომავლობა ვით გამრავლეთ, ვით განვიტოტეთ, სოფელ-ქვეყანას ვით მოვედეთ, საყორნეთი ვაბევრეთ როგორ ?!

პირველი – ისევ ეს გალექსილი მიეთმოეთი... /პაუზა/ ცოლ-ქმარი ვყოფილვართ და ისაა... /პაუზა/ მაგრამ... /პაუზა/ მე რომ და ვიყავი, და თანაც, უმცროსი და, ეს კარგად მახსოვს...

მეორე – იცი, რა!...

პირველი – ხო ...

მეორე – მე მგონი უკვდავებამ შეგვშალა ...

პირველი – უკვდავებამ?

მეორე – ხო, უკვდავებამ.

პირველი – იქნებ... არ ვიცი...

მეორე – გინდა ვიჩხაველოთ, ვიყრანტალოთ?...

პირველი – არა... არ მინდა...

მეორე – ისევ მარტონი, კვლავ მარტონი... ჩვენი ჩხავილიც არავის ესმის. მაშ, კარგი, ამათ ამბავს მივუგდოთ ყური.

პირველი – ვუსმენთ თუ ვყვებით?

მეორე – ეგ არც მე მახსოვს, ანაკი მოდის, ხაზინადარი ასფაგურ მეფის... /მიწვებიან. შემოდის ანაკი. კარასკენ გაემართება/

ანაკი – მშვიდობის თესლი არ ვახარეთ, ომი ვარჩიეთ! აჰა, ომი, მივიღეთ ომი!!! ქასრე მოდის ურიცხვი ჯარით, წარტყვნა სომხეთი, სადაცაა ქართლში შემოვა.

კარა – მოვაკელით პატივი კერპთა, კიდეც გაგვიწყრნენ – ახიცაა, ჭკუას ვისწავლით...

ანაკი – მეფე ასფაგურ ოქროს მთხოვდა, ლეკ-დიდოთა, ხაზარ-ოვსთა ჯარის საყიდლად. რას მივცემდი, რაც არა გვქონდა. მორჩა ოქრო, გათავდა ოქრო, რა გვეშველება!...

კარა – ერთ რწმენაზე არ ვდგავართ ყველა, ამიტომაც დავისაჯენით – არმაზის კერპი ყველას დასცემს, ყველას დაამხობს, მაგრამ გამოცდას მოგვიწყობს კი, მზად უნდა ვიყოთ.

ანაკი – გისმინოს გაიმ, გაცმა, ყველა კერპმა ერთად გისმინოს!

კარა – მე კი მისმენს, მაგრამ შენ!...

ანაკი – მე რა ბრალი მაქვს?!

კარა – ადრე, მახსოვს, კერპთმსახურთა სხვაგვარ გვიცქერდნენ ...

ანაკი /მხრების აჩეჩვით/ – ამაშია ჩემი ბრალი, დანაშაული?!

კარა – ხაზინადარი მეფის შენ ხარ, როგორც შენ ურჩევ, ისიც ისე გასცემს საბოძარს.

ანაკი – ვითომ არ იცნობ ასფაგურსა.

კარა – მეფის აუგი მე არ მითქვამს, შენსას კი ვამბობ.

ანაკი – ამგვარ საკითხთ მეფე სწყვეტს თავად.

კარა – რაგვარ საკითხთ?

ანაკი – ამგვარ საკითხთ!

კარა – კიდე, კიდე, რაგვარ საკითხთ?!

ანაკი /მზერას მოარიდებს/ – გვიშველოს კერპმა არმაზისა, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

კარა – გაგახსენდათ?! გაგხსენებიათ არმაზ კერპი! კერპთმთავრისგან დიდი მადლობა... კერპთმსახურთაგან მადლი დიდი ... ყოჩაღ! მადლობთ, – დიდი მადლობა!!!

ანაკი – ვფიცავ ჩემს გოგოს, ჩემს პატარა, თვალხატულა გოგოსა ვფიცავ!

კარა /ხელს შემართავს/ – მე კი კერპს ვფიცავ არმაზისა!... – ყოველივე მომეხსენება!

ანაკი – კარა!

კარა – დედაო კარას მეძახიან!...

ანაკი – დედაო კარა, ახლა გვიშველოს არმაზ კერპმა, საბოძარზე მერე ვილაპარაკოთ.

კარა – რა საბოძარზე ლაპარაკობ! პირადად მე, არა მინდა რა – კერპთმსახური ვარ ერთი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ

მცირე, მლილი პატარა... თქვენ გჭირდებათ, ისევ თქვენთვის, თქვენი მადლისთვის, სიმშვიდისათვის, სიცოცხლისათვის. ახლა ახსენებ საბოძარსა? ქასრე მოდის ურიცხვი ჯარით. — /ტრანსის იმიტაცია/ არმაზ, მითხარი, არმაზ, მითხარ, რა გვეშველება!!! კარა გიხმობს, არმაზ, კარა გეძახის!... /პირველი და მეორე ფეხზე წამოდგებიან. კარას მიაჩერდებიან/ აჩრდილებს ვხედავ, გარდაცვლილთა ჩაქუფრულ სულებს. სისხლის სუნი მცემს, წებოვანი სისხლი მედება!... არმაზ, სადა ხარ! კარა გიხმობს, კარა გეძახის!... ცეცხლის ენები, ღრუბლებიდან მოსული წყევლა!... / თვალი გაუცივდა/ ვხედავ, ვხედავ, ორ ტანჯულ სულსა ... რასა ჰგვანან, ეს რა საწყლად იცქირებიან...

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ /მეორეს/ — მართლა გვხედავს?

ᲛᲔᲝᲠᲔ — დაახლოებით... კარა, კარა, აქეთ მომხედე!... ჩვენ აქა ვართ! /გადახედა/ ხომ გითხარი, დაახლოებით გვხედავს — მეთქი, უფრო მეტს ცრუობს... /ისევ წამოწვებიან. ანაკი თვალგაციებულ კარას მიუახლოვდა/

ᲐᲜᲐᲙᲘ — რაო, სულებმა?

ᲙᲐᲠᲐ — გამწყრალია არმაზი ძლიერ... შენც არ გიცქერის კარგი თვალით...

ᲐᲜᲐᲙᲘ — მთელი ცხოვრება სიმშვიდე მსურდა. ასფაგური და სომეხთა მეფე კოსარო ერთად უშრობდნენ სისხლს ქასრესა. რა გვინდოდა, რა ძალა გვადგა. იცი კი, რა გვიჯდებოდა თითო ლაშქრობა? ბევრზედ ბევრი, იმაზე მეტიც, რა მივიღეთ ამ ომებიდან — ქასრეს ბოღმით სავსე გული და ცარიელი ხაზინა.

ᲙᲐᲠᲐ — ... ომებზედაც კარგად კეთდება.

ᲐᲜᲐᲙᲘ — მე მეუბნები, მე მაბრალებ?!

ᲙᲐᲠᲐ — შენა, შენა, შენ გეუბნები! სად აორთქლდნენ ჩვენი მონები?! შეპირებული მიწები სადა?! ოქრო სადა?! ვერცხლი სადა?! ვის ჯიბეში, სადა, როგორა?!

ᲐᲜᲐᲙᲘ — ომმა შეჭამა თქვენი მონები, ომმა შეჭამა თქვენი ოქრო! სწორედ იმ ომმა, შენ, დუქმომდგარმა რომ გამოსტყუე არმაზის კერპს, აი, იმ ომმა!!! შენ არ ურჩიე ასფაგურსა, არმაზ კეთილი თვალით გიცქერის, წადი სპარსეთს, გაილაშქრეო?!

ᲙᲐᲠᲐ — ცუდად ილაშქრა მეფემ იმ წელს?! — თქვი, მიპასუხე!

ᲐᲜᲐᲙᲘ — შედეგი რაა — ის მითხარი! მშვიდობის თესლი არ ვახარეთ, ომი ვარჩიეთ. აი, შედეგიც — ქასრე მოდის ურიცხვი ჯარით. ასფაგური დარიალანს გადავა დღესა, მისცემენ ჯარსა? ვინ რა იცის... ჩვენ კი აქ, მარტო... მეფენი შარბათს თავად სვამენ, ჩვენ შხამი გვრჩება.

ᲙᲐᲠᲐ — უკვე მეფის აუგსაც ამბობ...

ᲐᲜᲐᲙᲘ — მეფის აუგი მე არ მითქვამს.

ᲙᲐᲠᲐ — როგორ თუ არა, მაშ, ის რა იყო! დანარჩენი შენს თავს მოჰკითხე. /მიდის/ მოვა ასფაგურ, ჯარით მოვა, მერე მე ვიცი...

ᲐᲜᲐᲙᲘ /აედევნა/ — მეც ვიცი, მეცა... მეც მაქვს სათქმელი...

ᲙᲐᲠᲐ — სათქმელი რა გაქვს, [illegible] თქვა?!

ᲐᲜᲐᲙᲘ — როგორ მძალავდი ვერცხლს ხაზინიდან...

ᲙᲐᲠᲐ — ტყუილია! თქვენ გჭირდებათ-თქო, პატივმიგება კერპისა ვთქვი, სხვა არაფერი. დაბრუნდება ასფაგურ, ჯარით მოვა, ჯარით. ვნახოთ მერე...

ᲐᲜᲐᲙᲘ — ხო, მოვა! მაშ, არ მოვა! სათქმელი მეც მაქვს...

ᲙᲐᲠᲐ — დიდი ჯარით მოვა, დიდი ჯარით... მერმე მიცქირე...

ᲐᲜᲐᲙᲘ — დიდი ჯარით მოვა, ხო, დიდი ჯარით... თავად გაიგებ, რას ვეტყვი მეფეს ... /გავლენ. სცენის საპირისპირო კუთხეებიდან შემოვლენ მაეჟანი და ბაქარი/

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — მაეჟან!

ᲛᲐᲔᲟᲐᲜᲘ — ბაქარ!

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — სპასპეტს სიცოცხლე, დღეგრძელობა!

ᲛᲐᲔᲟᲐᲜᲘ — მოგესალმები მეც ასევე.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — ახლა დავბრუნდი მცხეთა-ქალაქში. მეფე სად არის?

ᲛᲐᲔᲟᲐᲜᲘ — მაშველ ჯარსა სთხოვს ლეკდიდოთა, ოვსთა, ხაზართა.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — ქასრემ კოსარო, სომეხთ მეფე მოაკვლევინა — ასე გავიგე, მართალია?

ᲛᲐᲔᲟᲐᲜᲘ — ხო, მართალია. სომხეთს სჯიჯგნის, გზა აქეთა აქვს.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — რად არ ვიცოდი ეს საბერძნეთში. კეისარიც მხარს დაგვიჭერდა.

ᲛᲐᲔᲟᲐᲜᲘ — საბერძნეთს ახლა თავის თავი გასჭირვებია.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — არა, მაეჟან, არ დაიჯერო. მართალია, ჰრომთა ქვეყანა ორად გაიყო, მაგრამ საბერძნეთს ძალაც შერჩა, სულის სიმტკიცეცის საქმეც თითქმის მოვაგვარე, წკიპზეა უკვე...

ᲛᲐᲔᲟᲐᲜᲘ — რა საქმეო?

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — კეისრის ვაჟი, უმრწემესი, ჩაესიძება მეფე ასფაგურს. კვლავ აღდგება შტო ფარნავაზთა, გაძლიერდება დასავლეთის შუქით მოსილი...

ᲛᲐᲔᲟᲐᲜᲘ — გამოიღვიძე! ქასრე მოდის, რა დროს ეგ არის.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — იქნებ სწორედ ახლაა ჟამი?

ᲛᲐᲔᲟᲐᲜᲘ — რისი ჟამი?

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — საბერძნეთში კვლავ გამგზავრების. მე მენდობიან, შეიძლება ჯარიც კი მომცენ...

ᲛᲐᲔᲟᲐᲜᲘ — ჯარს ვინ გაწდობს?! აგე, ასფაგურ თავად წავიდა ჯარის სათხოვნად... მეც არ გამიშვა, სპასპეტი მისი... შენ ჯარს ვინ მოგცემს... /გატრიალდა, მიდის, თავისთვის ამბობს/ მეც რასა ვცდები, უსმინე ღლაპებს...

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — რაო, რა ბრძანე? /მართლა კერ გაიგო/

ᲛᲐᲔᲟᲐᲜᲘ — რაც გაიგე... /გავიდა/

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — ... უპატიობა ვიგრძენ მისგან პირველ სალამზეც. ამან რა იცის, რა უნახავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

*/მაყვანის მისამართით/* საბერძნეთიდან ნათელი მოდის! ყოფილხარ იქა?! ჯერ რა დახვედრა, რანაირი სალამ-ქალამი, ჯარის სიმწყობრე, სახეების ერთსულოვნება... */ისევ გასძახებს/* სენატი იცი, რასა ნიშნავს?! არ იცი, არა! მეგობრები მყავს მე სენატში, მე მენდობიან! შენ კი ისაო, რა თქვა ნეტა... */მოხუცს შენიშნავს/* ჰეი, მოხუცო! */დააკვირდა/* მკვდარია-სძინავს?... */მაყვანის მისამართით/* შენ სპასპეტობის რა ღირსი ხარ?!! ბებერი მძორი... */ჩამოჯდა/*

მეორე */თავი წამოჰყო/* – სად არის მძორი?

პირველი */თავი წამოჰყო/* – მძორი?...

მეორე – საკვებია, ნუთუ არ გახსოვს?

პირველი */არც თუ თავდაჯერებული/* – ...კი, როგორ არა.

მეორე – არ გახსოვს, არა ...

პირველი – თუნდ არც მახსოვდეს! – ჩვენი საკვები დღეს ესაა – ვუსმენთ, ვუსმენთ, ან იქნებ ვყვებით. მთავარია, რომ არა გვშია!

მეორე – შენი არ ვიცი. ეს ამბავი კი ისეთ ნაღველს მგვრის, განა თანდათან, ერთიანად მენგრევა ღვიძლი.

პირველი – რომელი ღვიძლი? სად გვაქვს ღვიძლი?...

მეორე – სამაგიეროდ ნაღვლის ბუშტის ტკივილი მახსოვს, და რაღანდ მახსოვს, ესე იგი მქონია კიდეც. – ისიც მახსოვს, როდის ამტკივდა. თაგვს შევექეცი ერთხელ, თაგვსა, მცირე წრუწუნას. გარჯად არც ღირდა ისე მცირეს, ისე პატარას...

პირველი – ისევ ლექსად? ნუ შემშალე. ნუ შემარყიე...

მეორე – ცუდია განა?

პირველი – ეგ ლექსები ტანჯვად მექცა. ჩემს ჯოჯოხეთად გსახავ შენცა ...

მეორე – მე კი ჩემს... */პაუზა/* სამოთხედ. მო, მოდი ჩემთან, ჩემო ქმარო, ჩემო ერთგულო, ჩემო ვაჟკაცო, ხმალო ჩემო გაშიშვლებულო!...

პირველი – მიშველეთ ვინმემ! ვინმემ მიშველეთ!!!

მეორე – ტყუილად ჩხავი, ვერვინ გაიგებს!

პირველი – ნოე! სადა ხარ?! ნოე, ნოე! შენი ყორანი ყორნისგანვე დაიჭრა ულვთოდ!... ვაიმე, მგონი ლექსად ავლაპარაკდი...

მეორე – კარგი იყო. მიდი, მოგისმენ!

პირველი – მასხრადაც მიგდებს, ნოე! ნოე!

მეორე – მორჩი ყრანტალს!... რით ვერა ხვდები, სიცოცხლის ძაფს ჩავჭიდე კლანჭი. განა ვერა გრძნობ, ლამის გავქრეთ, ჰაერს შევერწყათ... უნდა ვიხუმროთ, ვიოინბაზოთ, ვიჩხავლვიყეფოთ, უკვდავებისგან გადათანგულ ორ შეშლილ ყორანს სხვა გზა არცა აქვს.

პირველი – ვითომ ასეა?

მეორე – ასეა, ასე...

პირველი – რა იცი, იქნებ ცოცხლებიც ვართ?

მეორე – ჩვენი ხმა კი არავის ესმის?... ცოცხლებიო... კარგად დაასკვნა..

პირველი – შენ ძმა იყავი, ახლა მახსოვს. */პაუზა/* მეც ძმა ვიყავი...

მეორე – ისევ აუშვა, აურია, ტვინი გაულღვა... შენ იყავ დაი, მე კი ძმა. */დაფიქრდა/* ამას რას ვამბობ... შენ ხომ ბიძისა შვილი ხარ ჩემი, მე კი დის შვილი შენი ბიძისა... არა, მოიცა, მოითმინე – აზრი დავაწყო... ჩვენ ხომ სიამის ტყუპები ვართ! ერთი სხეული, ორი სული, ოთხი თვალი და ორი ყური... თუ სამი – არა, ოთხი ყური და ორი თვალი ... არა, არა, გადავიღალე, ახლა შენ უსმენ ამათ ამბავს, მე დავისვენებ...

პირველი – ვერ დაისვენებ. აბეშურა მოდის აქეთ... ყური მიუგდე, როგორ უცემს გული. ხომ გესმის?

მეორე – უკვე დაქალდა, გაიზარდა, მაინც ბავშვია... ბაქარი უყვარს, სულ მალულად, თავისთვის, ნატვრად.

პირველიმ– კი არ უყვარს, ჰგონია ასე.

მეორე – თუნდაც უყვარდეს, მერე რაო, ბუნებრივია ასეთ ასაკში, არც ეს არ გახსოვს?!

პირველი */გაჯიუტდა/* – კი არ უყვარს, ხანდახან ფიქრობს...

მეორე – არა, არა, ეს ამბავი ისეთ ნაღველს მგვრის, განა თანდათან, ერთიანად მენგრევა ღვიძლი.. */მაღლა აიხედავს/* წითელი თვალიც დაგვაცქერდა, აგე, ღრუბლიდან... რა უნდა ამას, ამ თახსირსა, რა ცნობას გვაწვდის? ჯოხი აიღე, ეშინია მაგას ჯოხისა...

პირველი */ჯოხს ჯოხზე ურტყამს/* – წადი, გაგვშორდი! წადი-მეთქი, ჯოხი გვაქვს, ჯოხი!

მეორე – აბა, უცქირე, ამ მოცლილს, ამას... */მაღლა იცქირება/* ცოლი არა გყავს, ვიღაცა ხარ?! წადი, შენს ცოლს მიუჩუჩხუნე, შენი ცოლი აიგდე მასხრად...

პირველი – ჩვენთან რა გინდა, რა ხელი გაქვს, მიუჩუჩხუნე შენს ცოლსა, მასთან გაერთე!

მეორე – დასცხე ჯოხსა, აი აგრე... ეშინია მაგას ჯოხისა... ბული მიჰყვებათ სქელი მტვრისა მალ-მალ ცხენებს, დაბნელდა ზეცა, დაიღვარძლა ქასრეს გულივით... ფარნაოზის სახლი კვდება! ფარნაოზის სახლი კვდება!

პირველი – არმაზის კერპი აღარცა ჩანს, სულ გაიბურა. ფარნაოზის სახლი კვდება! ფარნაოზის სახლი კვდება!

მეორე – შეიმალე-თქო, შეიმალე, მაგ შენს ღრუბელში! გვანებე თავი, ნუ გვაჩხავლებ, ჯოხი გვაქვს ჩვენა! აი, ჯოხი! ჯოხს დაგცხებთ, ჯოხსა...

პირველი – ფარნაოზის სახლი კვდება! ფარნაოზის სახლი კვდება! */ჩხავილ-ყრანტალით, ჯოხზე ჯოხის ცემით, ხანდახან კი „ფრთების“ უშნო ხეთქებითაც, ორი შეშლილი სული სცენას დასტოვებს/*

*შემოდის აბეშურა. ბაქარს შენიშნავს. შედგება. ბაქარმა თითქოს მზერა იგრძნოო, მოიხედა, ფეხზე წამოდგა.*

ბაქარი – ერთი წელია რაც წასული ვარ, საოცარი წელი ყოფილა.

აბეშურა – საოცარი რითია, ბაქარ...

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — თვალს და ხელს შუა გაიზარდე... უკვე ქალი ხარ ...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ /ბაქარს მიუახლოვდა/ — რას გეძახდი ბალღობაში, ხომ კარგად გახსოვს?

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ— სულის ძუძუმტეს... რა დამავიწყებს...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — სულის ძუძუმტეს ჩემს დარდს ვეტყვი, ხომ შეიძლება?

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — რა დარდი გაქვს, აბეშურა, ქასრე რომ მოდის?

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — ხო, ქასრე მოდის... რაღაც ცუდს ამბობს ჩემი გული, რაღაც საზარელს. მამაჩემმა, დარდი ნუ გაქვსო.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — მართალიც უთქვამს. დარდი ნუ გაქვს, ასფაგური ქასრეს მოაშთობს...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — დარდი, ფიქრი თუ წინათგრძნობა... არც კი ვიცი, მას რა ვუწოდო... სახელს ვერ ვარქმევ, უცნაურად მექცევა ისიც. სახეს არ მიჩენს, მიმალულა... მეც დავემალე...

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — არ მითხრა, მუხის ფუღუროში შევიმალეო... აგრე იცოდი ბავშვობისას... ნუთუ ახლაც...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — ხო, ახლაც. დარდს გავექეცი... ფიქრს გავექეცი, ავ გულისთქმას... ტყის ხმა მამშვიდებს, მუხის წიაღი დედას მაგონებს გარდაცვლილსა. სიგრილეს ვსუნთქავ, მოფუსფუსე ჭიანჭველებს ვაცქერდები, ვერთობი იქა, იდუმალი სიმშვიდე მიპყრობს. დაცული ვარ, ვერავინ მამჩნევს... მაგრამ მომაგნო, მაინც მომაგნო...

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — ვინ მოგაგნო, აბეშურა ! აბა, რას ამბობ?..

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ (ბაქარს ჩაეკრა) — ბაქარ, ბაქარ, რა კარგია, რომ ჩამოხვედი!.. შენ, ბაქარ, ძია მაეჟანი, სეფელია... თქვენ არ დამტოვებთ არ მიმუხთლებთ, თქვენთან ვიქნები...

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — ასფაგური ქასრეს მოაშთობს... დამიჯერე, ვიცი რას ვამბობ...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — მამაჩემმაც ასე მითხრა. დარდი ნუ გაქვსო. შენც ასე ფიქრობ? ხომ ასეა, მითხარი, ბაქარ!.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — თქმაც კი არ უნდა... ასფაგური იქით ესხმოდა თავს ქასრესა, ქასრე ვინ არის...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — სულ ომი, ომი, ომი... ხან იქით ვესხმით თავსა, ხან ჩვენ გვესხმიან...

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — შენ დარდი ნუ გაქვს... აბა, მომხედე... (თვალებში ჩააცქერდა) . სულის ძუძუმტეს ხომ ენდობი? იცის, რას ამბობს... დარდი ნუ გაქვს...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — არა, აღარ მაქვს... მართლა, მართლა, დავმშვიდდი კიდეც...

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — შენც, აბეშურა, კვლავ აღადგენ შტოს ფარნავაზთა...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — ნეტავი კი ძმა მყოლოდა, თუნდაც დაი. ყველა მე მიცქერს, ყველა ელის, თითქო ვალი მაქვს...

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — გასაკვირი არც რა არის... მომავალი დედოფალი ხარ.

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ (გაეცინა) — მაშ, მომავალი დედოფალი ვარ ... სასაცილოა... სულის ძუძუმტეს მე ვუბრძანებ, ის აღასრულებს ჩემს ბრძანებას?

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — რაღა თქმა უნდა.

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — ძია მაეჟანს ვუბრძანებ და ისიც იმგვარის მოწიწებით მოიხრის ქედსა?

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — ის კი მოიხრის ქედს, მაგრამ...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — რა, მაგრამ?

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — ძიას რად უხმობ — ის სპასპეტია, შენ დედოფალი.

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — რას ამბობ, ბაქარ, მამაჩემის თანშეზრდილია. ძიაა ჩემი, მაშ, რა არის, სხვა რა ვუწოდო?

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — მაეჟანი წასული დღეა...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — არა, არა, არ გამაგონო, — მამაჩემის თანშეზრდილია, მამაჩემი ძმასაც ეძახის.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — აღარას გეტყვი, თავად მიხვდები, მაეჟანი წასული დღეა...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — აი, ისევ თქვი...

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — (მიაჩერდა) — აბეშურა, ძალიან მალე, შენს გადმოხედვას, გახსნას ბაგის ან წარბის შეკვრას, მნიშვნელობას მისცემენ ელჩნი. ნუთუ, ასეთი იქნები მაშინ?

აბეშურა — როგორ ასეთი? ვერ გავიგე?!

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — დიდი ბავშვი.

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — ალბათ არა, აღარ ვიქნები. /პაუზა/ განა ბავშვი ვარ?

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — ხო, დიდი ბავშვი.

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — ბავშვი აღარ ვარ.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — ხარ, ხარ!

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — არა-მეთქი, აღარ ვარ ბავშვი.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — მაეჟანს ძიას ეძახი, სეფელიას ალბათ დეიდას, იქნებ მამიდას ან ბიცოლას...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — შენ ბოროტი ხარ.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — მე ბოროტი ვარ, შენ კი ბავშვი, ჯერაც ბავშვი...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — შენ ბოროტი, ავთვალება, გრძელნისკარტა... /პაუზა/ ანჩხლ ფრინველს გავხ-არ. არ მიყვარხარ, სულ არ მიყვარხარ... დარჩენილიყავ საბერძნეთში, რას მოდიოდი?

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — საბერძნეთში საქმრო გიპოვნე.

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — მე არ ვთხოვდები.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — შენ არ თხოვდები, აბეშურა, აქეთ თხოულობ.

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — არც ვის ვთხოულობ, არც ვთხოვდები.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — ბავშვი არ ვარო, გათხოვების დრომ მოგიწია, შენ კი...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — ბავშვი არა ვარ. არა-მეთქი! ხმა არ გავიგო შენი! ხმა, კრინტი!

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ — კარგი, ჩუმად ვარ ...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ — ხმა —მეთქი, კრინტი!

*ხანმოკლე პაუზა, შემოდის სეფელია.*

ᲡᲔᲤᲔᲚᲘᲐ — სად არ ვეძებე, ეს აქ ყოფილა. /ბაქარს შენიშნავს/ ბაქარ, ნუთუ შენ! როდის დაბრუნდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქარი – სულ ახლახანს.

სეფელია /მიუახლოვდა/ – უცხო რამ ტილოს სამოსია... /სამოსზე შეავლო ხელი/ ალბათ ბერძნული... რა მსუბუქია, თეთრი, ქათქათა... ვაჭრებთანაც კი არ მინახავს.

ბაქარი – ვერც ნახავდი...

სეფელია – მართლაც კარგია. რა ამბები საბერძნეთიდან?

ბაქარი – სასიკეთო, გასახარელი. ასე მგონია, კეისარი თვის მეორე ვაჟს ჩაასიძებს მეფე ასფაგურს. კვლავაც აღდგება შტო ფარნავაზთა, გაძლიერდება დასავლეთის შუქით მოსილი.

სეფელია – საბერძნეთი ჩემ წინაპართა სამშობლოა. ერთხელაც კი არა ვყოფილვარ. როგორია, ნეტა მანახა...

ბაქარი – ულამაზესი. თეთრი, თეთრი...

სეფელია – ამ ტილოსავით?

ბაქარი – უფრო ლამაზიც...

სეფელია – ალბათ იცი, ჩემი გვარი ფროტათოსელ აზნაურთაგან მოდის, ბაქარ. ცოლი ვიყავი საურმაგის, ვაჩის ძისა. ომში მომიკლეს საურმაგი. ბავშვიც მომიკვდა. მას მერე მომცეს აბეშურა გასაზრდელად. ამას გადავყევ, ამას მივეც ჩემი სიცოცხლე... თორემ საბერძნეთს.../პაუზა/ საბერძნეთს როგორ არ ვნახავდი...

ბაქარი – საბერძნეთი დიდი ძალაა. აქ, ჩვენთან, ზოგი ტუჩს იპრანჭავს, ამრეზით არის. ასე არაა, არც არავის არ შეეშალოს! ასფაგურმა სწორად გათვალა. ქართლის მომავალს ხედავს მეფე ამ ქორწინებით. მე კი თითქმის დავასრულე საშური საქმე.

სეფელია – ნეტა ქასრეს გადვურჩებოდეთ.

ბაქარი – ქასრეო?! ქასრე ვინ არის, ვინ მიგდია... საბერძნეთზე ვილაპარაკოთ. უნდა გენახა, სეფელია, როგორ მიმიღეს საბერძნეთში. სენატშიც ვიყავ, იქ სიტყვა ვთქვი, ტაში დამიკრეს. კეისართან მიღებაზე უნდა გენახე... იქ, კეისართან, მიღებაზე... /იცინის/ სასაცილო ამბავი მოხდა.

აბეშურა – სასაცილოს ვერაფერს ვხედავ...

ბაქარი – ჯერ არ მითქვამს, სასაცილოს ვით გაიგებდი?!

აბეშურა – არარა გითქვამს, უკვე იცინი.

ბაქარი /სეფელიას მიუბრუნდა/ – მოდი, გავექცეთ, სეფელია, აბეშურას ცუდგუნებობას. ცალკე გიამბობ იქაურ ამბებს.

აბეშურა – შენ ჩემი სულის ძუძუმტე არ ხარ, აწ და მარადჟამს გრძელნისკარტა, ავთვალება თოლიად გიხმობ. სამოსიც ხომ თეთრი გაცვია...

ბაქარი – გრძელნისკარტა ფრიად მეამა /ღიმება/.

აბეშურა – რა ვქნა, ჩემი ბრალი არ არის. ცხვირი გაგზრდია...

სეფელია – რას ამბობ, გოგო... აბეშურა...

აბეშურა – დიახ, დიახაც, ცხვირი გაზრდია...

ბაქარი /ღიმება/ – ხან ძუძუმტე ვარ ამის სულის, ხანაც თოლია...

აბეშურა – გრძელნისკარტა, ავთვალება – არ დაგავიწყდეს.

სეფელია – მე რას ვასწავლი, ეს კი როგორ სიტყვებსა ხმარობს... აინინა, ო, დანანა, თქვენ შეგვეწიეთ!...

აბეშურა – სეფელია, შენ დანანა ხარ ჩემი სულის, თუნდ აინინა!..

სეფელია – რა ხუმრობაა კერპთა აგრე ხსენება, მითხარ! არ გეშინია? რიდი არ გაქვს, არც მოკრძალება?!

აბეშურა – არა, არა მაქვს.

სეფელია – ჩუ, ჩუმად-მეთქი! არა თქვა რა, არმაზ გაგიგებს...

აბეშურა – გაიგოს მერე, ვერას დამაკლებს, წავალ, მუხას შევეფარები.

ბაქარი – ისევ მუხა...

აბეშურა – მუხა მიფარავს...გარდაცვლილი დედაა მუხა... არც სისხლი სურს, როგორც კერპთა, არც მსახურება. არც ცუდს რას მეტყვის, არც მიბოროტებს, მიფარავს მხოლოდ. სიმშვიდეს მგვრის... მუხა დედაა...

სეფელია – ახალი კერპი შეგიქმნია, ჰოდა ისაა! მე კი ხევ-ხევ დავეძებ ამას. რა გინდა, გოგო, მითხარი, თქვი, გამაგებინე! გინდა რომ მომკლას მამაშენმა, ძელზედ გამაკრას?! ღირსიც ვიქნები, არ ვუარყოფ, ვერ გამიზრდიხარ. ო, უბედურო სეფელია, ტანჯულო ქალო, ვის ახსოვხარ, ვის უყვარხარ, ვინ რას გიფასებს... სადაცაა, უნდა გათხოვდეს, ეს კი...

აბეშურა – სადაცაა, უნდა ვითხოვო, გინდოდა გეთქვა!

სეფელია – თუნდ ასე იყოს.

ბაქარი – გავეცალოთ, სეფელია, ნუ ავყვებით, ნუ გავაბრაზებთ... /ხელმკლავს გამოსდებს/

სეფელია – ვერ ვერევი, ბაქარ, ველარ ვერევი. რა არის მუხა? კერპი არის? – გამაგებინეთ! ცოლი ვიყავი საურმაგის, ვაჩის ძისა, მამული მაქვს ჩემი ჯავახეთს, ფროტათოსელ აზნაურთა სისხლისა ვარ, განა მდაბიო... წავალ ჯავახეთს, რა თავს ვაკლავ, ვერ გამიგია...

ბაქარი – თავი ანებე! რას ვამბობდით?

სეფელია – საბერძნეთიო...

ბაქარი – ხო, საბერძნეთი /თან მიდიან/ იქ უნდა ნახო, სეფელია, იქ, სასახლეში რა ღირსებით უკრთიით მზერა. ან რა დახვედრა, რანაირი სალამ-ქალამი, რა მწყობრი ჯარი, სახეების ერთსულოვნება... თეატრშიც ვიყავ, გამაოგნა სანახაობამ ... /გავლენ/

აბეშურა /თვალი გააყოლა/ – გაოგნებული ელჩი არ ვარგა. – თავი მოაქვს! – შვიდი წლითა ხარ ჩემზე უფროსი, მეტით ხომ არა!!! მიდი-მოდის, ამბებსა ჰყვება! დიდი კაცია, მამაჩემმა ელჩად გაგზავნა. – საქმეებს აწყობს, მომათხოვოს უნდა ქმარი. არა ვთხოვდები, გაიგონე! არა ვთხოვდები, არც ვთხოულობ, ყველამ გაიგეთ!!! /შემოდის მეჟანი/

მაეჟანი – რა, აბეშურა, რა გავიგოთ ყველამ, მითხარი! ვინ გაგაბრაზა, არას ეტყვი ძია მაეჟანს?

აბეშურა – თვალებს რადა ხრი, ძია მაეჟან, ცუდი ხომ არა გაიგე რა?!

მაეჟანი – არაფერი... არაფერი... ცუდი რა უნდა გამეგო, ქალაქი სანდოდ დაცულია. მობრძანდეს ქასრე... მალე მეფეც ჩამოგვივა მაშველი ჯარით, ნახოს მერე ქასრემა... შენ დარდი ნუ გაქვს...

აბეშურა – მამამაც ასე დამიბარა – დარდი ნუ გაქვსო.

მაეჟანი – თან წაეყვანე, აჯობებდა. მაგრამ არა ჰქნა ასფაგურმა, რომ წავიყვანო აბეშურა, შეშინდებაო მკვიდრი მოსახლე...

აბეშურა – მეც ასე ვფიქრობ, მამაჩემი მართალი არის.

მაეჟანი – ხო, მართალია... შენ დარდი ნუ გაქვს.

აბეშურა – არა, არა მაქვს. ასფაგური ქასრეს მოაშთობს...

მაეჟანი – აი, ასე... ახლა მომწონხარ... ციხის კედელი მყარი არის, ხალხიც მზადაა. წყალი, სურსათი, ყოველი გვაქვს, ორ თვეს გავუძლებთ...

აბეშურა – იქამდე მამაც ჩამოგვისწრებს მაშველი ჯარით.

მაეჟანი – ჩამოგვისწრებს, აბა, რას იზამს...

აბეშურა – ორ თვე არც უნდა, /თან მიდიან/ მამაჩემიც ყოჩაღად იყო, უელავდა თვალები მკაცრად. დარდი ნუ გაქვსო, ასე მითხრა...

მაეჟანი – ორ თვე რად უნდა. მაშველი ჯარი მალე მოვა, ყველაფერი კარგად იქნება.

აბეშურა – გახსოვს, ძია მაეჟან, შენ მიაწოდე ღვინო თასით, ქასრეს მოვსპობთო – თქვა, დალია და გააქროლა კიდეცა ცხენი.

მაეჟანი – ხო, აგრე თქვა.

აბეშურა – რა უნდა ქასრეს, რა ვალი გვაქვს, რას გვემართლება?! ბოროტია ქასრე, დარდს გვიჩენს...

მაეჟანი – ნუ გაქვს დარდი, აბეშურა! შენ, დარდი ნუ გაქვს...

აბეშურა – ყველა ასე მეუბნება, დარდი ნუ გაქვსო. რომ არ მითხრან, დარდი უფრო არ მექნებოდა...

მაეჟანი – გეშინია?

აბეშურა – არა... იქნებ ცოტათი... სულ ცოტათი მეშინია...

მაეჟანი – ნუ გეშინია, გავიმარჯვებთ.

აბეშურა – გააჭენა ცხენი მამამ და ხელიც დაგვიქნია, – მშვიდობითო! გახსოვს, ძია მაეჟან?!

მაეჟანი – მშვიდობითო! – აგრე სთქვა სწორედ. მახსოვს, როგორ არ მახსოვს.

აბეშურა – თვალებს რადა ხრი, ავი ფიქრი ნაოჭად გექცა?

მაეჟანი – ჩემსას ვფიქრობ, შენ დარდი ნუ გაქვს.

აბეშურა – ყველა ასე მეუბნება, დარდი ნუ გაქვსო.

მაეჟანი – ხო, დარდი ნუ გაქვს...

გავლენ. ცოტა ხანში შემოდის მალემრბოლი. მიმოიხედავს, თავჩაქინდრულ მოხუცს შენიშნავს.

მალემრბოლი /მხარზე შეეხო, შეანჯღრია/ – ძიაკაცო, მაეჟანი საით იქნება, სპასპეტი ჩვენი?

მოხუცი – სპასპეტს ეძებ? თავად ვინა ხარ?

მალემრბოლი – მალემრბოლი ასფაგურ მეფის.

მოხუცი – ასფაგური როგორ არის?

მალემრბოლი – მოხუცო, თავი ხომ არ მოგბეზრებია? კითხვა დაგისვი, მაეჟანი საით არის-თქო!

მოხუცი – მე რა ვიცი მაეჟანი... მაეჟანი დიდი კაცია...

მალემრბოლი – ჰეი, ვინ იცით, მაეჟანი საით იქნება!

*მალემრბოლი გავა. მოხუცი თავს ჩარგავს. შემოდიან კარა და ანაკი.*

ანაკი – ვერცხლი გვქონდა ხაზინაში, ახლა მეფე აქ იქნებოდა...

კარა – მაშ, პატივგება კერპებისა არსაჭიროა?

ანაკი – ძლიერ ბევრს სჭამენ ჩვენი კერპები, ბევრნიც არიან.

კარა – აი, მაგასაც მოვახსენებ მეფე ასფაგურს. კერპებს გადაგცემ სამსჯავროზე, მერეც ილაყბე.

ანაკი – მო, ჯერხანობით ქასრეს სამსჯავროს ავერიდოთ. ქასრეს სამსჯავრო გველის ყველას, შენის წყალობით...

კარა – ჩემის წყალობით?!

ანაკი – შენ, დუჟმომდგარმა გამოსტყუე კერპებსა ომი. მონები გსურდათ, ოქრო-ვერცხლი, ნაალაფარი. ასფაგურ გენდო, აცდუნეთ მეფე, სპარსეთს წაჰკიდეთ...

კარა – აცდუნეთო! მეფეზე ამბობ?! მოვახსენებ მაგასაც მეფეს... ენას მოგაჭრის მეფე ძირში, მაგ სიტყვებისთვის.

ანაკი – მშვიდობის თესლი არ ვახარეთ, ომი ვარჩიეთ. აჰა, ომი, მივიღეთ ომი!

კარა – მოვა ასფაგურ, ჯარით მოვა... მერე ნახავ...

ანაკი – მოვა, ხო, მოვა! მაშ, არ მოვა?! სათქმელი მე მაქვს, თუ ვინმეს აქვს ... ხომ მძალავდი ვერცხლს ხაზინიდან?! ვერცხლი გვქონოდა, მეფე ვერცხლით იყიდდა ჯარსა...

კარა – ის ვერცხლი ახლა, ის ოქროცა, კარგად ვიცი, სადაც ისვენებს... ომებზედაც ბევრი კეთდება...

ანაკი – არ გაპატიებ მე მაგ სიტყვას, დედაო კარა... ჩამოვა მეფე, მერე ვნახოთ...

კარა – ჩამოვა, ხო! დიდი ჯარით მოვა. მისცემენ ჯარსა... მერმე ნახე შენა...

ანაკი – მოვა ასფაგურ, ჯარით მოვა, მე ვიცი მერე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარა — მოვა, ხო, მოვა!..

*შემოდის მაეჟანი.*

მაეჟანი — მეფე არ მოვა...

*ხანგრძლივი პაუზა.*

მაეჟანი — გზაზედვე ძლიერ ცუდად შექმნილა. დარიალამდე მაინც ასულა. მერე კი მოკვდა. მეფე მოკვდა. ასფაგურ მოკვდა...

პარა — ჰოი, მეფევ! ჰოი, მეფეო! ახდა სიზმარი საზარელი, ახალმთვარობას დამესიზმრა, ორივე მუჭით ვჭამდი თაფლსა!...

*შემოდის ბაქარი.*

ბაქარი */აგზნებულია/* — ღალატია! ღალატი მითქვამს! ასფაგურ მოკლეს, ვით კოსარო მოკლეს ღალატით... მეფენი ასე არა კვდებიან!!!

მაეჟანი */ხმამაღლა/* — მოკვდა-მეთქი! */უფრო ხმადაბლა/* მოკვდა ასფაგურ... */კიდევ უფრო ხმადაბლა/* დარიალამდე მაინც ასულა, მერმე კი მოკვდა...მეფე მოკვდა...ასფაგურ მოკვდა...

ბაქარი — მოქმედება არის საჭირო. შენ, მაეჟან, ხაზარეთს წახვალ, მე საბერძნეთს...

მაეჟანი — რის საბერძნეთი... ეს რას ამბობს...

ბაქარი — მაშ, რა ვქნათ? დავიკრიფოთ გულზედა ხელნი?! გავამაგროთ უნდა ციხენი, ვიდრე მაშველი ძალა მოვა.

ანაკი — მშვიდობით ვიყოთ, ჩვენთვის ვიყოთ...

მაეჟანი */ანაკს/* — შენ მოიცადე... */ბაქარს/* სიდგან მოვა მაშველი ძალა?

ბაქარი — ჰრომთაგან... ხაზართაგან...

მაეჟანი — ჰრომს და ხაზარს ერთად აომებ? ისევ საბერძნეთს მიხსენებს ესა?! შენ ქართლის ელჩი საბერძნეთში არა ხარ, არა! საბერძნეთის ელჩი ხარ ქართლში... არ მოგბეზრდა ბერძნულ წალებზე ფიქრი?

ბაქარი — შენ კი... შენა... თქვენა, ყველას! სპარსულ ქოშებზე...

პარა — სპარსულ ქოშებს ვერვინ მიხსენებს. მე ქართლის კერპთა მსახური ვარ. ყველა სპარსი ჩემთვის მოგვია.

ანაკი */კარას/* — დიახ, იმ კერპთა, ასფაგური რომ შეაცდინეს, წაკიდეს ქასრეს, სპარსეთს აომეს...

პარა */ანაკისკენ გაიწევს/* — ეს კვლავ აქ არის! კერპთა სამსჯავრო არც კი მინდა, ჩემი ხელით ვუჭეჭყავ თავსა...

ბაქარი */შუაში დგება/* — რა დროს ჩხუბია... მომისმინეთ, საბერძნეთს წავალ. კეისართან თავად ვიყავი, ვიცი განწყობა, მიმართება მათი აზრისა... სენატშიც ვიყავ...

მაეჟანი — კაცმა არ იცის, ვისი ფეხის ლოკვა სჯობია, სპარსთ თუ ბერძენთა...

ბაქარი — განსხვავება ძლიერ დიდია, ჰრომთაგან მოდის განათლება კაცობრიობის...

ანაკი — განათლება არც სპარსთ აკლიათ... ჩვენთვის ვიყოთ, მშვიდობით ვიყოთ...

პარა — კერპებსა ვკითხოთ, კერპთმთავართან თათბირი შევკრათ...

ბაქარი — რა დროს ბჭობაა... მოქმედება არის საჭირო...

ანაკი */კარას მისამართით/* — ეგ მე ვიცი, რასაც ნიშნავს თქვენი თათბირი, ატყუებენ გულუბრყვილოთა...

პარა */ანაკს/* — ჩუ-მეთქი, ვირთხავ, ვირთხის შვილო...

მაეჟანი */ხმამაღლა/* — ჩუმად! ჩუმად! რასა ვგავართ! რას დავემსგავსეთ!!! */ხანმოკლე პაუზა/* ჭირისუფალნი ვართ დღესა ჩვენა — მეფე მოგვიკვდა... */ხანმოკლე პაუზა/* ახლა სიჩუმე, მაეჟანი თავის აზრს იტყვის. */ხანმოკლე პაუზა/* ჯარი ჩვენი ერთობ მცირეა... დახმარება არსიდგან არის... ლეკ-დიდოთა და ხაზართა ასფაგურთან ჰქონდათ კავშირი, მას ენდობოდნენ, ასფაგურის სიტყვას უსმენდნენ... მოკვდა ასფაგურ... აღარ არის, კავშირიც გაწყდა...

ანაკი */ჩაურთავს/* — არც ოქრო გვაქვს, ჯარი ვიყიდოთ...

მაეჟანი */ხელის მოძრაობით აჩუმებს/* — საბერძნეთი კი... */პაუზა/* რა საბერძნეთი, საბერძნეთი ძლიერ შორსაა... ქასრე მოდის, ცეცხლმოდებულ ჰოროლებს ისვრის, ქასრე მოდის, სადაცაა ქართლში შემოვა.. */პაუზა/* ასე მგონია, ქასრეს უნდა მოვულბოთ გული...

*/მოხუცი, რომელიც აქამდე სცენის სიღრმეში იჯდა, ამ რეპლიკაზე წამოიმართება/.*

მირვანოზი — დიახ, დიახ, მეც მაგ აზრის ვარ. ქასრეს უნდა მოვულბოთ გული.

ანაკი — მირვანოზი, ქასრეს მრჩეველი...

ბაქარი — მირვანოზიო?! ღალატია! ღალატი მითქვამს!!!

მირვანოზი */ბაქარს მიუახლოვდა. შეაცქერდა/* — მირვანოზი, ქასრეს მრჩეველი. */პაუზა/* და აღმზრდელი მიჰრანისა... */შემობრუნდა, ახლა ზოგადად საუბრობს/* მიჰრან პირმშო შვილია ქასრე მეფის. ცნობისთვის გეტყვით, საყვარელი მხევლისგან ჰყავს ქასრეს მიჰრან. ძლიერ უყვარს, ძლიერ, ძლიერ, მზე და მთვარე მასზე ამოსდის... */ჩაეცინა/* ამასწინათ ხანჯალი მცირე უსახსოვრა. უნდა ნახოთ, როგორ იქნევს მიჰრან იმ ხანჯალს — დევებს ებრძვის, დევებს ამარცხებს, გაუმართავს დევებთან ომი... ნამდვილი ლომის ბოკვერია პაწია მიჰრან. ასაკს მკითხავთ? შვიდი წლისაა, მაგრამ ისეთი მამაცია, ჭკვიანი, ზრდილი — გაოცდებით, გაგიკვირდებათ, თქვენთვის იკითხავთ, — შვიდი წლისაა ეს კეთილი ყმაწვილი ნუთუ?! მადლობას ვწირავ ზარატუშტრას მაღალ განგებას, რომ მომანიჭა მე პატივი აღმზარდო მიჰრან. სიმართლე გითხრათ, მეფე ქასრეს არც უფიქრია, მომხვია ხელი, გამიღიმა, შემდეგ კი მითხრა — შენო, ჩემო მირვანოზ, გამიზარდოო უნდა მიჰრან მეფეთა წესზე. მეც, რას ვიტყოდი, მადლი ვუთხარ ამ პატივისთვის. თქვენი თვალით უნდა ნახოთ, ყურით ისმინოთ, როგორ კითხვებს სვამს ჩვენი მიჰრან, კითხვებს ათასგვარს. დროდადრო შეჰყრის წარბებს, ფიქრი უვლავს უსწრაფესი პაწუა თავში... */მიმოიხედავს/* ეს სადა ვარ?! მცხეთა-ქალაქში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგესალმებით, იდღეგრძელეთ, მოგესალმებით... */ყველას სათითაოდ დაუკრავს თავს/* დამშვენებულა მცხეთა-ქალაქი, ისე მოვიჩქაროდი, რომ ჯარსაც გამოვასწარი. აქ კი ცოტა ამტკივდა.. */ზერხემალზე შეივლო ხელი/* აი, აქა...

ანაკი – სომხეთში თურმე...

მირვანოზი – თურმე კი არა, დანამდვილებით...

ანაკი – მაშ, ჩვენ...

მირვანოზი */ისევ აწყვეტინებს/* – უცილობლად, იგივე გელით... ოხ, როგორ მტკივა... ვერ ვისწავლე ჭკუა ვერაფრით... რას მოვქროდი, რა ძალა მადგა... წავიდე ერთი, თავს ვუწამლო, თორემ მიჰრან ვილას დაუსვამს სასაცილო კითხვებს ათასგვარს. */მიდის/* ვარსკვლავებზე ვინ ცხოვრობსო, –მკითხა ერთხელ. და თუ ცხოვრობსო, აქ, მიწაზე, გვხედავსო განა?! */ჩაიცინა/* სიკვდილის მერე რა არისო? – ესეცა მკითხა. */მიდის/* კიდევ რაო?! ხო, ხო,... აქლემს რომ სამი კუზი ჰქონდეს, ორი კაცი ხომ უფრო თავისუფლად მოთავსდებაო... */ჩაიცინა/* დიახ, დიახ, ასეთი უცნაური აზრები აქვს ყმაწვილ მიჰრანს. */გავა/* . პაუზა.

მაეჟანი – მირვანოზმა ყველაფერი თქვა.

ანაკი – გამოსავალი ეს არის მხოლოდ.

კარა – თუ ჩვენ კერპებსაც სცემს თაყვანს, მაშინ, ხო...

მაეჟანი – ყველა მოთხოვნა, თუნდ თხოვნა თქვი, ჩამოვწეროთ უნდა გულდასმით, ისე მივართვათ მეფე ქასრეს.

ბაქარი – რაო, რას ამბობთ, რაღაც არ მესმის...

მაეჟანი – ჩვენ არაფერს არ ვამბობთ, არა! მირვანოზმა თქვა ყველაფერი

ბაქარი – შვიდი წლის ბავშვზე გსურთ გათხოვება აბეშურასი? */პაუზა/*

ბაქარი – გამაგებინეთ! შვიდი წლის ბავშვზე ათხოვებთ აბეშურას? შვიდი წლის ბავშვი ალგვიდგენს ფარნავაზთა შტოს? */პაუზა/* მე, სულელმა, კეისართან საქმე გავჩარხე. არც სახსარი არ დამიკლია, არცა ძალა, არც მოხერხება. ესენი კი... შვიდი წლის ბავშვზე აპირებენ გათხოვებას ჩვენი დედოფლის... */ნაძალადევი სიცილით/* სასცილო არ არის, განა?! შვიდი წლის ქმარი... შვიდი წლისა... პატარა ხანჯლით...

მაეჟანი – აბეშურა ქვეყნის ხსნა არის.

ბაქარი – ჰოი, სილაჩრევ, ქვეყნის სახელით საუბრობ მუდამ!

მაეჟანი – სილაჩრე ჩემთვის არვის უთქვამს, შენ პირველი ხარ. უკანასკნელიმც ყოფილიყავ... */ბაქარი და მაეჟანი ხმალს იშიშვლებენ/*

*შემოდის მირვანოზი*

მირვანოზი – სულ დამავიწყდა მეთქვა თქვენთვის, მეხარებინა... ენებსაც ისე სწრაფად სწავლობს ყმაწვილი მიჰრან – გაოცდებით, გაგიკვირდებათ. რა არის მაინც ბავშვის გონება – რა სხარტია, რა მოქნილი, ცნობისმოყვარე... ვარსკვლავთმრიცხველნიც გააოცა თავისი [illegible] რა არის, ჩრდილოეთიით, ყმაწვილო მიჰრან! – კითხულობენ ვარსკვლავთმრიცხველნი. ეს და ესაო – პასუხობს მიჰრან. ამ და ამ ვარსკვლავს, როს ღრუბელი დაფარავს შავი, რას ნიშნავს მიჰრან? – ამას და ამას– არ აყოვნებს პასუხს მიჰრანი. ანგარიში თქვით, ანგარიში, – ის როგორ იცის. მიჰრან, მითხარი, რამდენია თხუთმეტს ვამატოთ ოცდაშვიდი? – ორმოცდაორი. წამსვე პასუხობს, არ აყოვნებს, ნიჭიერია... */ამასობაში ბაქარს მიუახლოვდა. ხმალი ჩამოართვა. ბაქარს მიმართავს/* აბა, მითხარი, ჩემო მიჰრან, რამდენია ჩვიდმეტს ვამატოთ ორმოცდაცხრა. მიჰრანმა წარბი ოდნავ აზიდა... */ბაქარს/* შენ ვერ მეტყვი? ვერ გამცემ პასუხს?! ნუთუ, არ იცი! – სამოცდაექვსი... მიჰრან მხოლოდ წარბს აზიდავდა... ერთსაც გეტყვი, აბა, გამოგცდი. */ანაკს და კარას/* თუ შეიძლება ერთი წუთით, სულ ერთი წუთით... */ ანაკი და კარა მიუახლოვდებიან. მირვანოზი ბაქარის ხელებს გააკავებინებს მათ. მაეჟანისკენ გაემართება. ბაქარის ხმალსაც მაეჟანს გადასცემს/* აი, ასე... დიდი მადლობა... ხო, რას ვამბობდით? ვამატოთ თუნდაც თერთმეტს ოცდათორმეტი! – ჰა!... თერთმეტს ოცდათორმეტი... არც ეს იცი? ვერ მპასუხობ? ნუთუ არ იცი? ნუთუ... ნუთუ... არ იცი, ნუთუ... */მაეჟანს ხელი წაკრა/*. ნუთუ, დასავლეთისკენ მაცქერალ თვალებს ლიბრმა გადაჰკრა...

*მაეჟანი ბაქარისკენ დაიძრა. წამით ჩამობნელდა. განწირული ხმა. შუქი. ბაქარი აღარ ჩანს სცენაზე. ანაკს, კარას, მაეჟანსა და მირვანოზს სტატიკური მდგომარეობა აქვთ. ხანგრძლივი, მძიმე პაუზა.*

მირვანოზი – ... ხმაურისაგან იშვა სიჩუმე! */თითქოს სიჩუმეს აყურადებსო/*. ცოტა ხანში აბეშურა შემოდის.

აბეშურა – ძია მაეჟან, ძია მაეჟან! სპარსნი თურმე ციხის კედლებს მოადგნენ, ძია მაეჟან! არ მეშინია, სულ აღარ მეშინია! სპარსთ დავამარცხებთ, აბა, რას ვიზამთ... კუდით ქვას ვასროლინებთ, ძია მაეჟან! გავუძლევეთ ჯარსა, მოვამზადოთ ცეცხლის ისრები! მეც უნდა ვიყო ბრძოლის ველზე, მეც შემწევს ძალა. */იქ მყოფთ ათვალიერებს. პირველი აღტკინება ნელ-ნელა ქრება. თითქოს ინერციით ლაპარაკობს/*. აქამდე სულ მეშინოდა, ძია მაეჟან... ახლა აღარ მეშინია... მოვამზადოთ დიდი ლოდებიც... ციხის მაღალი ქონგურებიდან დავუშინოთ დიდი ლოდები... */მირვანოზის მისამართით/* ამ კაცს არ ვიცნობ... */ჩამოუარა იქ მყოფთ/* ცეცხლის ისრები არ დაგვავიწყდეს, ცეცხლის ისრები... რა მოხდა?

*პირველს და მეორეს ასფაგურის ცხედარი შემოაქვთ. სცენაზე დაასვენებენ. თავად დამწუხრებული ჭირისუფლებივით დაიკრეფენ ხელებს, თავს ჩარგავენ.*

აბეშურა – მამა... */ცხედარს შუბლზე დაადო ხელი. დაბალი ხმით ამბობს/* მამა ცივია... */გაკვირვებული/* ცივია მამა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირვანოზი — გაიყვანეთ დედოფალი, თორემ პირიქით მოხდება ახლა, სიჩუმე შობს დიდ ხმაურსა...

*ანაკი და კარა აქეთ-იქეთ ამოუდგებიან აბეშურას. სცენიდან გაჰყავთ.*

აბეშურა — */ცხედრისკენ იცქირება/* ცივია მამა... არ ტოკდება... მამა ცივია... სამივენი გავლენ... პირველი და მეორე კი სცენის საპირისპირო მხარეს მოთავსდებიან.

მაეჟანი — მე ქვეყნისათვის მოვიქეც ასე...

მირვანოზი — ქვეყანა ხომ აოხრდებოდა...

მაეჟანი — ჩემს გულში იჯექ თუ რა არის, ეგ უნდა მეთქვა. ეს რომ არა, ქვეყანა ხომ აოხრდებოდა...

მირვანოზი — ხო, რა თქმა უნდა. ასფაგური მომკვდარიყო უნდა უცილოდ.

მაეჟანი — მეც მაგას ვამბობ... არჩევანი აღარც კი იყო... ასფაგური მომკვდარიყო უნდა უცილოდ... */პაუზა/* ჩემი ხელით მივართვი თასი. შხამგარეული ღვინო ვასვი. ცხენზედ იჯდა, ღვინო დალია, მოისროლა მერმე თასი, დაგვიქნია თავი ამაყად. მშვიდობითო!... — მოგვაძახა, გააქროლა უმალვე ცხენი. მეც ავუწიე მეფეს ხელი, დავემშვიდობე. */თითქოს ცოცხალ ადამიანს უქნევსო ხელს/* მშვიდობით, მეფევ, თანშეზრდილო, ერთგულო ძმაო! მშვიდობით მეფევ, გამარჯვებით გეაროს კვლავაც! */ხელს უქნევს/* მშვიდობით, მეფევ! მეფე, მშვიდობით!... */ხელი ჩამოუშვა/* მე მეომარი ვიყავი მუდამ, ჯალათივით მომეცხო სისხლი...

მირვანოზი — ეგ ტყუილია... ჯალათი განა მაშინ არ იყავ, როს სპარსეთში შენ და ასფაგურ ნაალაფარით ვერგამძღარნი მეკობრეობდით?! ქასრემ ყოველი ამბავი იცის. შენი ცოდვებიც მოეხსენება. გამოსყიდვა სჭირდება ცოდვებს... თავს ნუ იტანჯავ, ქვეყნისათვის ასე სჯობდა. ალბათ, შენთვისაც...

მაეჟანი — ხო, ქვეყნისათვის გავისარჯე... თავი გადავდე... ეს კი, ეს ჭია, არაკაცი, ლაჩარს მიწოდებს. დიახაც, სწორად მოვიქეცი, თვალნი დავთხარე... მომეკლა სჯობდა...

მირვანოზი — არა სჯობდა. სიკვდილი რაა? ფუჰ და მორჩა, ანუ აღარ ხარ... მირვანოზ იცის რას აკეთებს, იცის მირვანოზ! ეს ქორწინებაც, დამიჯერე, მშვიდობას მოგვცემს. ჩავუკეტავთ ბარბაროსთა დარიალანს. ვინც მოძმე იყო, მართალია, მტერი გახდება, სამაგიეროდ ამოისუნთქავს ქართლი მშვიდად.

მაეჟანი — სიმართლეს ბრძანებ... მაგრამ ესაა... აბეშურას შეხედვა მიჭირს. ველარც დაკრძალვას დავესწრები ასფაგურისას. ვიტყვი ავად ვარ, ავადაც ვარ. მართლა ასეა...

მირვანოზი — შენ არჩევანი არა გქონდა. თავს ნუ იწვალებ. ჟამი გაივლის, ყოველივე დაგავიწყდება...

მაეჟანი -- არასა ვჩივი, არარასა ვწვალობ მე, არა! ერთი წამის სისუსტე იყო. მომეცი ხელი, მაეჟანი არ გილალატებს! *მირვანოზი ხელს გაუწვდის. მაეჟანი ავადმყოფური ჟინით ართმევს ხელს.*

მირვანოზი — ხო, იდღეგრძელე... საქმეს უნდა მივხედო ახლა...

მაეჟანი — იდღეგრძელე, შენც იდღეგრძელე... */პაუზა/* ხელსაც მართმევენ, საოცარი არ არის, განა?! */თავის ხელს დასცქერის/*

*შემოდის მალემრბოლი.*

მალემრბოლი — სპასპეტს სიცოცხლე!

მაეჟანი — */მოხედავს/* მალემრბოლი ხარ ასფაგურის? თქვი, — რა გინდა, დროზე გამშორდი!

მალემრბოლი — იმგვარი ამბის მე მომიხდა შენთან მოტანა, რომ სიჩქარეში დამავიწყდა მეფის სიტყვები.

მაეჟანი — რა თქვა მეფემ?.

მალემრბოლი — როს კვდებოდა, მიმიხმო თვისთან. ხმალი გადმომცა. */ხმალს გაუწვდის/* ჩემთან თანშეზრდილ, ერთგულ ძმასო, მსურს მივცე ხმალი... ერთგულ სპასპეტსო, ერთგულსაო... — გაიმეორა. ამ სიტყვებზე დალია სული... */მაეჟანი ხმალს ჩამოართმევს. დაცქერდება. მალემრბოლისაგან ზურგით დგას. შემდეგ ნელა, ძალიან ნელა მიიბჯენს მახვილის წვერს ყელთან. ერთხანს ასეა. უეცრად შემოტრიალდა, მალემრბოლს მოუქნია მახვილი/*

მაეჟანი — გამშორდი-მეთქი, ხომ გითხარი, მონავ წყეულო!!! გამშორდი-მეთქი, წა, გამშორდი, თავი მანებე!!! ხმალსა მჩუქნი! რატომ ხმალი! რატომ მეთქი! რატომ მე, რატომ!!! */ჩამობნელდა. შემდეგ ინათა/* პირველმა თავი წამოჰყო. ცარიელი სცენა მოათვალიერა.

პირველი */პაუზის შემდეგ/*— მიმისკლინტია ამნაირი სპასპეტისათვის!

მეორე */თავი წამოჰყო/* — ხაზინადარისათვისაც მიმისკლინტია! ოქროს იპარავს.

პირველი — ვერცხლსაც.

მეორე — ძირითადად ოქროს.

პირველი — ყველა თავის გამორჩენაზე ფიქრობს. კერპთმსახურისთვისაც მიმისკლინტია!

მეორე — კი, ბატონო, მიმისკლინტია და მიმისკლინტია!

პირველი — საერთოდ, ყველასათვის მიმისკლინტია აბეშურას გარდა!

მეორე — აბეშურა, აბეშურა, რასა გრძნობ ახლა. მამა მოგიკლეს, გათხოვებენ შვიდი წლის ბავშვზე...

*აღმოსავლური მელოდია. სცენის სიღრმეში, შემაღლებულ ადგილზე აბეშურა დგას. მსახიობთა ერთი ჯგუფი ასფაგურის ცხედარს დასწვდება. ამ პროცესიას პირველიც აჰყვა, კუდში მოექცა. მსახიობთა მეორე ჯგუფს ტახტრევანით შემოჰყავთ მიჰრანი. ამ საქორწინო პროცესიას მეორე მოექცა კუდში.*

პირველი — რა პატივით კრძალავენ ასფაგურს! თავად რომ იცოდეს, ხელახლა მოკვდებოდა, ხელახლა! უცნაურია მეფეთა წესი!!!

მეორე — ორმოცი ათასი ჯარისკაცი და მამამთუძე მირვანოზი მოჰყვა მაყარში პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჰრანს. ქასრეც აქ არის, ჩამობრძანდა! აი, ქორწილიც ამას ჰქვია!!!

*ეს ორი პროცესია ერთმანეთის საპირისპირო კუთხეებიდან ძალიან ნელი ნაბიჯით მიემართება სცენის სიღრმისკენ; სწორედ იქით, სადაც შემაღლებულ ადგილზე აბეშურა დგას განმარტოებით. მელოდიის ხმა გაძლიერდა. უეცრად ჩამობნელდა.*

პირველი – რა იყო, რა მოხდა?! /*დამფრთხალია*/ დავიჩხავლო!

მეორე – თუნდ დაიჩხავლე, ვის რა ესმის...

პირველი – აბეშურას გული შეუღონდა. აბეშურა! აბეშურა!

მეორე – მოდი და ნუ შეგიღონდება გული ამგვარის ქორწინებითა. როდესაც ქასრეს მიჰრანისთვის მოელოცა უნდა მეფობა. დაიხარა იგი შვილისკენ. ჯერ დააცქერდა, გადაუსვა თავზე ხელი, მიუალერსა... გადაუწია სამოსი მხართან. საკოცნელად ემზადა თითქოს. მოულოდნელად კი დააცხრა, ავი კბილები თოთო ხორცზე დაასო ბავშვის. თავისი შვილის სისხლი ეცხო კიდევ ტუჩებზე, მიმოავლო იქ მყოფთა თვალი. მიჰრანს მიმართა – ეს ნაკბენი გაგახსენებსო ქასრეს მუდამ, ჩემო ვაჟკაცო... – შემდეგ წავიდა. ტკივილმა, შიშმა, შეძრწუნებამ სასოწარკვეთის ამოძახილიც კი დაადუმა, კლიტე დაადო გალურჯებულ ბაგეებს ბავშვის. აბეშურამ მიჰრანს შეხედა. გაიწვდინა მისკენ ხელი... სისხლიო... – ეს თქვა. იქ ჩაიკეცა... თუმც, ვის ვუყვები, ჩემი ხმა ხომ არავის ესმის...

პირველი – იქნებ გაიგონ, ჩვენ ჩვენი ვთქვათ, ცდა არ დავაკლოთ...

მეორე –– კი, ბატონო, მაშინ მოვყვეთ. მირვანოზის სიტყვა გამართლდა. ქართლში მშვიდობამ დაისადგურა. უსაქმობით გაბეზრებული ჯარისკაცები ჯვარედინად აშარდავენ ციხის კედლებზე... ფუჰ, უსირცხვილო... თანაც, როგორ იცოხნებიან... შეხედვაც მზარავს...

პირველი – თითქმის წელია, აბეშურა სამშვილდეს ცხოვრობს გამნმარტოებით...

მეორე – განმარტოებით? ბაქარიც ხომ მასთან არის?!

პირველი – საბრალო ბაქარ, თვალნი დასთხარეს.

მეორე – აღარც მძორია, არცა სული, აღარცა კაცი... თავად ხედავენ, ის კი ვერა, ეს ცხოვრებაა?! ჩვენ კი ვხედავთ, მიმოვდივართ, კოსმოსსაც ვერთვით, ჩვენ თვალები ვართ, თვალებს ვხუჭავთ, მაინცა ვხედავთ...

პირველი – ყორნის თვალები, ყორნის სული... ჩვენ ვერ გვხედავენ. '

მეორე – ბევრზე უმეტეს ბედნიერნიც ვართ, კაცმა რომ სთქვას.

პირველი – მოსალოდნელი როგორც იყო, ის მოხდა სწორედ...

მეორე – აბეშურა ბაქარს მიენდო. შეიყვარა... ან შეებრალა. იქნებ მოვალედ იგრძნო თავი, ან მარტოსულად... არ ვიცი, არა, სიყვარულისა ამათ ამბავს არა სცხია რა...

პირველი – გინდა აქვე გავათამაშოთ, როგორც მოხდა მათი ამბავი?

მეორე – კი, ბატონო, გავათამაშოთ...

პირველი – ესე იგი, ჩვენ ვყვებით, არა?

მეორე – ეგ არ ვიცი, ვყვებით თუ ვუსმენთ, ის კი კარგად მომეხსენება, სულ ტყუილად ვილაყბე ახლა. ჩვენი ჩხავილი არავის ესმის... მო, ვითამაშოთ, თავი გავირთოთ. აბეშურა მე ვიქნები, შენ ბაქარი ხარ.

პირველი – ეგრე არა... არა ვთამაშობ! აბეშურა მე უნდა ვიყო.

მეორე – არა, არასგზით! ქალი ხომ მე ვარ?! შენ ძმა იყავი, მე კი ცოლი... /*პაუზა*/ თუ და?...

პირველი – აი, ხომ ხედავ, აღარ გახსოვს. ეს მე ვარ ქალი!

მეორე – ეს შენ ხარ ქალი?! შენ რა ქალი ხარ, მახინჯი, ჯოჯო.

პირველი – ნოე! ნოე! რას ამბობს ნახე, მოუსმინე როგორ მლანძლავს, წყეული ესა... ვაიმე, ისევ ლექსად ავლაპარაკდი...

მეორე – მიმისკლინტია შენისთანა მეგობრისათვის!

პირველი – მე მიმისკლინტია შენთვისაც, სპასპეტისთვისაც, ხაზინადარისთვისაც, კერპთმსახურისთვისაც, ბაქარისთვისაც, მირვანოზისთვისაც, აი, მაგ ლექსებისთვისაც მიმისკლინტია მთელის გულითა... /*პაუზა*/ სკლინტი რა არის, ხომ არ გახსოვს?

მეორე – როგორ არ მახსოვს!!! სკლინტი არის... /*პაუზა*/ ცუდი სიტყვაა...

პირველი – ცუდი რად არის? ნახე, რა კარგად ჟღერს. /*ტუჩთან მიიტანს ხელებს*/ მი-მისკლინ- ტი-ა-ა-ა!!!

მეორე – ამნაირი სპასპეტისათვის...

პირველი– მი-მი-სკლინ-ტი-ა-ა-ა!!!

მეორე – ამნაირი ხაზინადარისთვის!!!

პირველი – მი-მი-სკლინ-ტი-ა-ა-ა!!!

მეორე – ამნარი კერპთმსახურისთვის!!!

პირველი – ტყუპი დები ვართ, ამას გავიძახით რა ხანია, არავის ესმის!

მეორე – ძმები.

პირველი /*უყოყმანოდ ეთანხმება*/ – ტყუპი ძმები ვართ, ამას გავიძახით რა ხანია, არავის ესმის!

მეორე – იქნებ ცოლქმარი!

პირველი – ტყუპი ცოლქმარი ვართ, ამას გავიძახით... /*დაფიქრდა. მოხედა*/ მე მგონი და-ძმა.

მეორე – არ ვიცი... იქნებ... /*პაუზა*/ იქნებ შეგვშალა უკვდავებამ? /*თითს გაილოკავს. მაღლა ასწევს*/ ქარი უბერავს სამშვილდისკენ, ავყვეთ ქარსა, იქით გავფრინდეთ.

პირველი – აქედანაც ხომ კარგად ხედავ?!

მეორე – რა ვიცი, იქნებ გავერთოთ-თქო, გავინანაოთ...

პირველი –გავინანაოთ? კი, ბატონო, გავინანაოთ...

*ქარის ხმა.*

*სამშვილდე. შემოდის ბაქარი. მალემრბოლი მოჰყვება.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქარი /*ილიმება*/ – შენ მალემრბოლი იყავი ადრე. ახლა, ჩემის წყალობით, ნელა დადიხარ, დაჩანჩალებ. მძიმე ტვირთი ვარ, მალემრბოლო, ასე არ არის?

მალემრბოლი – ჩემი ხელობა დღეს ესაა... პურს ამითა ვჭამ.

ბაქარი – დრონი გაცუდდნენ, ხომ მეთანხმები?

მალემრბოლი – დრონი გაცუდდნენ, ეგ მართალია.

ბაქარი – უკეთესია, რომ გაცუდდნენ. ცუდი დროება გამოაფხიზლებს დიდს და პატარას... ხომ მეთანხმები?

მალემრბოლი – ... დიახ.

ბაქარი – /*ღალიმებული სახით*/ ხო, ასე... მირვანოზის დღე დათვლილია, ცოტა ხანიც და... ხომ ასეა?

მალემრბოლი – ალბათ ასეა.

ბაქარი – რაო – ალბათო?! ხომ არ მომესმა?

მალემრბოლი – დიახ, ასეა.

ბაქარი – არავითარი ჭოჭმანი, არავითარი ალბათ... /*ღალიმებული*/ მირვანოზის დღე დათვლილია, გავრეკავთ სპარსთ, შემოვიყვანთ ბერძენთ მცხეთაში... ხომ მეთანხმები, მიპასუხე, რატომ ხარ ჩუმად?!

მალემრბოლი – გავრეკავთ სპარსთ, ჰრომთ შემოვიყვანთ... უეჭველად.

ბაქარი – უეჭველადო – მომეწონა. კარგი სიტყვა მოძებნე ახლა. /*ხანმოკლე პაუზის შემდეგ*/ თვალს რად მარიდებ მიპასუხე, ძაღლო, თახსირო!

მალემრბოლი – მე... /*პაუზა*/ გაგეცლები...

ბაქარი – მოდი აქა... აქ, მო ! /*იპოვნის მალემრბოლის ხელს. ჩაეჭიდება*/ სად წახვალ, სად?!

მალემრბოლი – თვალს მარიდებო – სიდგან იცი, ვერარას ხედავ.

ბაქარი – რაც საჭიროა იმას ვხედავ, თქვენ ნუ გგონიათ... ვხედავ მე, ვხედავ! აბეშურამაც თვალი მარიდა ამასწინათ...

მალემრბოლი – ეგ ტყუილია.

ბაქარი – ჩუ! ვიცი მე, ვიცი... სწორედ მოვიქეც, რომ წავედი. /*პაუზა*/ აღარ უნდა მოვსულიყავი.

მალემრბოლი – წავალთ ხოლმე, მერმე ისევ მოვალთ... ეს მერამდენედ...

ბაქარი – ხმასაც იღებ!

მალემრბოლი – მაშ, დავდუმდები.

/*პაუზა*/

ბაქარი – ან ის რა იყო – მიჰრანზე რომ სთქვა, იმ ძაღლის ლეკვზე – საბრალოო... ეგეც მომესმა? გამეცი ხმა!

მალემრბოლი – ქასრეს ნაკბენი ახსენა მხოლოდ.

ბაქარი – ისემც უქნიათ, ძვალ-ხორციანად დაუჭამიათ ერთმანეთი მამა-შვილსა. ... საბრალოო – იმ ძაღლის ლეკვზე... აბეშურამ უნდა თქვას ეგა? ქასრეს შვილზე უნდა თქვას?! არც მაშინ ვიყავ მართალი? თქვი, ხმა გამეცი!

მალემრბოლი – იქნებ მართალი იყავი კიდეც, მაგრამ...

ბაქარი – რა, მაგრამ?!

მალემრბოლი – აღარ მოგბეზრდა, ჩემო ბატონო, მაშინაც წავედით, მერე ისევ მოვბრუნდით... ეჩხუბე აბეშურას, კიდევ წავედით, ორი დღის მერე ისევ დავბრუნდით...

ბაქარი –– ჩუ, განსჯა იწყო...

მალემრბოლი – აღარას ვიტყვი, მიბრაზდები ყველა სიტყვაზე...

ბაქარი – წადი, წადი... აბეშურას უთხარ, ბაქარ გიხმობს-თქო... /*პაუზა*/ წახვედი?

მალემრბოლი – მივდივარ!

ბაქარი – აგრე უთხარი, ამ სიტყვებით – ბაქარ გიხმობს-თქო! /*პაუზა*/ მოიცადე... /*პაუზა*/ გთხოვა-თქო, უთხარ. წადი ახლა... /*პაუზა*/ ჰეი, სადა ხარ, გიხმობს-თქო, გიხმობს! – აგრე უთხარი.

*შემოდის აბეშურა. მალემრბოლს ვერცხლს ჩაუდებს ხელში.*

მალემრბოლი – დიდი მადლია, დედოფალო, დიდი წყალობა.

აბეშურა – კარგი, წადი.

*მალემრბოლი გავა.*

აბეშურა – გისმენ, ბაქარ, მე აქა ვარ.

ბაქარი /*პაუზა*/ – რა ამინდია?

აბეშურა – ცა იქუფრება. ჭექას აპირებს.

ბაქარი – რა დრო არის?

აბეშურა – მზე შუბის ტარს გადასცდა უკვე.

ბაქარი – სხვას რას მეტყვი?

პაუზა

ბაქარი – განა იმ დღეს მართალი იყო შენი მოქცევა? წავედი, არც კი დამედევნე. ისევ მე მოველ ჩემი ფეხით. შენ დამამცირე.

აბეშურა – კარგი, ბაქარ, პატიება მე გთხოვე მგონი. ნუღარ იხსენებ...

ბაქარი – როგორ თუ ნუღარ იხსენებო, ან ის რა იყო! – მიჰრანზე რომ სთქვი – საბრალოო... აბა, მიჰრანზე საბრალო ითქმის?!

აბეშურა – ბაქარ, არ გვინდა...

ბაქარი – თუნდაც იმის წინ ცხადლივ ვიგრძენ თვალი მარიდე. იქნებ იქ გინდა, მცხეთაქალაქში, მირვანოზთან, მიჰრანთან გინდა?

აბეშურა – არა, ბაქარ! მე აქ მინდა. არც ვინ მეძახის.

ბაქარი – რომ დაგიძახონ, წახვიდოდი? ასე გამოდის.

აბეშურა –უბრალოდ ვამბობ, არც არავის ვუნდივართ იქა. არც მე, არც შენ, არც სეფელია. თავის საქმე აქვთ. ჩვენ აქ ვცხოვრობთ, ისინი იქა. ეს გითხარ მხოლოდ.

ბაქარი – დაფარული აზრით თქვი ეგა. ან კი, ვინ უნდა დაგიძახოს საკუთარ სახლში. – მირვანოზმა? მიჰრანმა? ძია მაეჟანმა?! ამიტომ ვამბობ, მომეც დასტური, წავალ საბერძნეთს,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გამოვიხმობ იქიდან ჯარსა... /*პაუზა*/ თვალს რად მარიდებ, მიპასუხე, თვალს რად მარიდებ!

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – არ გარიდებ...

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ – /*პაუზის შემდეგ*/ შენი დასტური არც კი მინდა. თავადაც წავალ.

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – კარგი, წადი.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ – წადიო – ამბობ. მაშ, მიშორებ, აღარ გინდივარ.

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – ... ბაქარ.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ – რა, ბაქარ... ბაქარი ვარ , აგრე არ არის?!

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – /*ცრემლი მოებჯინა*/ შემიბრალე, ძალა აღარ მაქვს.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ – /*პაუზის შემდეგ*/ შემიბრალეო – ამბობ... გაგტანჯე... /*პაუზა. ხელი მოხვია*/ რატომ ვერ გხედავ ახლა ... რატომ, რატომ, რატომ გამწირა კაცმაც, ღმერთმაც ამ ქვესკნელისთვის... დავდიოდი, აბეშურა, დავმაჭანკლობდი; შენი ღიმილი, შენი ცრემლი სხვისთვის მინდოდა... ახლა ჩემი ხარ, სულ ახლოს ხარ, მაგრამ ვერ გხედავ... შენ ცრემლს ვერ ვხედავ, აბეშურა... შენ ცრემლს ვერ ვხედავ... /*გულში ჩაიკრავს*/ ვერც შენ გხედავ... ვერ გხედავ, ვერა... მე ვერ ვხედავ...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – /*ეფერება*/ შენ ჩემს გამო დაგთხარეს თვალნი... მე ვიქნები შენი თვალები, მხოლოდ ვიყოთ ასე, ბაქარ... უბრალოდ ვიყოთ... არ შევაწუხოთ სულ არავინ... ჩუმად... ჩვენთვის... ჩვენთვის ვიყოთ, ბაქარ, ვიარსებოთ უბრალოდ. არ გავახსენოთ თავი არავის, ვიარსებოთ უბრალოდ ბაქარ...

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ – /*აბეშურას ხელს ჩამოიშორებს*/ ვიარსებოთო?! ეგ იოლია, როცა ხედავ... როცა ვერ ხედავ, არსებობა სამარეს ნიშნავს... უნდა ვიცხოვროთ აბეშურა, უნდა ვიომოთ! გავყაროთ სპარსნი, მოვიწვიოთ მცხეთას ბერძენნი... ხომ მეთანხმები, აბეშურა, მითხარი სიტყვა!

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ /*ულონოდ*/– ხო, გეთანხმები.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ – ხმამაღლა თქვი!

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – დიახ, ასეა...

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ – უფრო ხმამაღლა, აბეშურა!

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – დიახაც, დიახ!

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ – მირვანოზის დღე დათვლილია. ხომ ასეა!

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – დიახ, ასეა!

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ –– თეთრ ცხენებზე ამხედრებულნი შევალთ მცხეთას. თვალს ნუ მარიდებ, ხომ ხედავ ამას?!

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – ვხედავ, ბაქარ.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ – სახელმწიფოსაც ბერძენთ წესით, რიგით მოვაწყობთ. ხომ მეთანხმები?!

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – დიახ, მოვაწყობთ...

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ – სენატის თავში მე დავჯდები. ვიცი ეს საქმე!

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – ხო, ბაქარ, იცი.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ – შევკრავთ ქვეყანას, გავამაგრებთ, სპარსეთს მოვაშთობთ!

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – დიახ, ასეა...

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ – რაღაც არ მესმის!

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – ასეა, ბაქარ...

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ – არ მესმის – მეთქი! ხმა ამოიღე, თვალს რად მარიდებ?!

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – თვალს არ გარიდებ.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ – როგორ არა. ვგრძნობ ყველაფერს, თვალს მარიდებდი!!!

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – ბაქარ, ისევ...

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ – ისევო?! – გტანჯავ განა?! ჰეი, თახსირო, აქ მო ჩქარა. ამ წამს მივდივართ!

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – გთხოვ, ბაქარ!

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ – არა –თქო, არა! მე მივდივარ, ამ წამს მივდივარ!

*შემოდის მალემრბოლი.*

ᲛᲐᲚᲔᲛᲠᲑᲝᲚᲘ – ისევ?!

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ /*წამოიმართა*/ – შენც ისევს – ამბობ! ძაღლო, მონავ, აქ მოეთრიე! /*მალემრბოლის ხელს დაეყრდნო*/ წავედით, ჩვენ წავედით, აქ არ ვუყვარვართ, თვალს გვარიდებენ... ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს, ჩვენი საქმე, იმ საქმეზე მივდივართ ახლა! /*გადიან/*

*აბეშურა ქაზე ჩამოჯდა. ცოტა ხანში შემოდის კარა.*

ᲙᲐᲠᲐ – შენთვის კი არა, მას ჰრომთათვის დასთხარეს თვალნი. საბრალოაო, – იტყვი. ვინ არ არის ქვეყნად საბრალო. თუნდაც მე, კარა, კერპთმსახური, საბრალო არ ვარ? არმაზმა თვითონ ამირჩია, ხილვად მეცხადა... ეს რომ არა, მეც ვიქნებოდი ერთი ქალი ამ ქვეყანაზე... პატარპატარა ფიქრებითა, აურზაურით... რით არის ცუდი, აბა, მითხარი! ახლა კი მართლაც შეწირული მსხვერპლი ვარ რწმენის... თქვენ სამსახურში მითენდება და მიღამდება. ჩემთვის არ ვცხოვრობ, მხოლოდ თქვენთვის, მხოლოდღა თქვენთვის...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – ყურს გვიგდებდი?

ᲙᲐᲠᲐ – მესმოდა... ასე უფრო სწორი იქნება...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – რისთვის გვეახელ, დედაო კარა?

ᲙᲐᲠᲐ – ... მოვაკელით პატივი კერპთა.

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – ხაზინადარი ანაკია ისევ მცხეთაში?

ᲙᲐᲠᲐ – ანაკია, მაშ, ვინ იქნება! მირვანოზთანაც გამოძებნა საერთო ენა...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – უთხარი ანაკს, რაც საარსებოდ ერგებოდა, იმის ნახევარს კერპებს სწირავს აბეშურა–თქო.

ᲙᲐᲠᲐ – დიდი მადლია, დიდი წყალობა...

*აბეშურა წამოდგება. გასვლას აპირებს.*

ᲙᲐᲠᲐ – კიდევ ერთი... /*პაუზა*/ როგორ ჩქარობ, დედოფალო, გამირბი როგორ... მეგობარია კარა შენი, შენი მოკეთე...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – მე საქმე მქონდა...

ᲙᲐᲠᲐ – კარგი, კარგი, დაგიჯერებ, თუმც კი ძნელია დაჯერება, ტუსაღს სასწრაფო საქმე ჰქონდეს. ხალხში ხმა დადის, დედოფალი ახალ კერპსა სცემს თაყვანსო!

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – რომელი კერპი, რომ არ ვიცი!

ᲙᲐᲠᲐ – როგორ არ იცი!

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – ვერ გავიგე, რას მეუბნები?

ᲙᲐᲠᲐ – მაშ, გეტყვი! – მუხა... მუხა გაგიხდია კერპად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბეშურა – მუხა კერპი არ არის. გარდაცვლილი დედაა ჩემი.

კარა – კერპი ყოფილა, ხომ ასეა?!

აბეშურა – ეგ ვინ გითხრა, სეფელიამ?

კარა – ხალხი ამბობს, სეფელია რა შუაშია. დედოფალი ხარ იბერიის, გინდა თუ არა, ხალხი გიცქერის!

აბეშურა – შენ საბოძარზე მოხვედი ჩემთან... მიიღე კიდეც, სხვა რა გინდა, თავი მანებე! */გადის/*

*კარა თვალს გააყოლებს. პაუზის შემდეგ.*

კარა – სხვა რა გინდაო! გეგონება სამათხოვროდ ვიყო მოსული... ვერ დაგანებებ ეგრე თავსა, ვერ დაგანებებ! ხალხი გიცქერის, ვის სცემ თაყვანს, ან ვის უწვები?! სიძვა–მრუშობ, ბორგნეულად აიტლიკე, აშარიშურდი... ფარნავაზთა სახლის დედოფალი ხარ, დაგავიწყდა?! მე გაგახსენებ!!!

*შემოდის სეფელია.*

სეფელია */ჩუმად/* – მე მახსენა?

კარა – ხო, გახსენა.

სეფელია – შენ რა უთხარ?

კარა – რას ვეტყოდი, ხალხი ამბობს-თქო.

სეფელია – უბედური, ეგ უბედური... ველარ ვერევი, რა ვუშველო ისიც არ ვიცი! მამამისი ცოცხალი იყოს, დავანებებდი სულაც თავსა. კარგი მინდა ამ სულელისთვის, ცუდი ხომ არა. რა ვქნა, რა ვუყო, ვით ვუშველო, დედაო კარა!

კარა – დედას ნუ მიხმობ, ხომ შევთანხმდით...

სეფელია – კარას ვერ გეტყვი...

კარა – რატომ, განა ასე უცხო ვარ?

სეფელია – უცხო არა, არც ვიცი რატომ... ეშველება?

კარა– მამაკაცია აქ შუაში... მამაკაცი უხეშია, ავი სულია... შენ ქალი ხარ... რა ლბილი ხარ... რა... რა ნაზი ხარ... რა ქალური... */თავზე გადაუსვამს ხელს/* მამაკაცებთან ომმა გამტანჯა...

*შემოდის აბეშურა. სეფელია უეცრად გაეცლება კარას.*

აბეშურა – წვიმას აპირებს, დედაო კარა, ჭექა–ქუხილიც იქნება ალბათ... გზაში არ დაგიღამდეს...

კარა – ჭექა-ქუხილის არ მეშინია. მაგრამ წავალ, თუ ასე გსურს...

აბეშურა – აგრე მსურს...

კარა – ანაკს გადავცემ შენს დანაბარებს... მაშ, წავედი! */მიდის/*

*პაუზის შემდეგ.*

სეფელია–... აბეშურა!

აბეშურა – არა მითხრა, რა...

სეფელია – მე, აბეშურა, სულ მარტო ვარ... მარტოკა დავრჩი... შენ სხვაგანა ხარ შენის ფიქრით... მე კი მარტო ვარ, აბეშურა... კარგი მინდა შენთვის, განა ცუდი...მიტომ ვუთხარი დედა კარას, იქნებ გიშველოს...

აბეშურა არა მითხრა, რა! წა, გამშორდი! გასწი აქედან!

სეფელია– რა იყო, მოხდა განა რამე? რა მოხდა?!

აბეშურა */ყურებზე შემოიჭდობს ხელებს/* – გასწი-თქო! გასწი! არ დამენახო!!! *სეფელია აბეშურას მიაჩერდება. შემდეგ სცენას სტოვებს. ცხენის ფლოქვების ხმა.*

აბეშურა – უცხო მგზავრი... უკმური დღეა... ჭექას აპირებს...

*შემოდის მაეჟანი. თავდახრილი დადგება აბეშურას წინ.*

აბეშურა –– მაეჟან, შენა?!

მაეჟანი – ადრე, მახსოვს, ძიას მეძახდი.

აბეშურა – რისთვის მოხვედი?

მაეჟანი – რად მიწყრები, ჯერ ეს მითხარი!

აბეშურა – შენ თვალები დასთხარე ბაქარს. თითქოს ჯალათი დაილია ამ ქვეყანაზე. შენის ხელითა დააბრმავე, კიდე კითხულობ?!

მაეჟანი – ბაქარ ვინ არის, ვინ მიგდია, მე სხვა მაქვს ცოდვა...

აბეშურა – რა ცოდვაო, რას ამბობ?

მაეჟანი – ჯერ მადროვე, გეტყვი ყველაფერს... ამისთვის მოველ, ცოდვა გითხრა, განვთავისუფლდე...

აბეშურა – დაბრმავებას ბაქარისას ცოდვად არა თვლი? მაშ, რა გაქვს ცოდვა?

მაეჟანი – უფრო დიდი ცოდვაა ისა... უფრო მძიმე, უფრო მტანჯველი... შიშმა აკურთხა ჩემი ცოდვა თავის ხელითა... შიშმა დამძლია, ძირს დამაგდო, ფეხითაც შემდგა... პირველ სისუსტეს უმალ მოსდევს დაცემა კაცის. ვერ მოვახერხე თავის მოკვლა, ძნელი ყოფილა.

აბეშურა – რა სისუსტე?

მაეჟანი – შიში სიკვდილის... მეც არ ვიცი როდის გამიჩნდა ეგ შავი ჭირი... ადრე არ ვიყავ თითქოს ლაჩარი. სიკვდილის შიში შემეყარა, როგორც სახადი... მით ისარგებლა მირვანოზმა– დამაკარგვინა განსჯის ძალა, შიშზედა კიდევ შიში მაჭამა... მტერია ჩემი მირვანოზი, ჩემს ცოდვასა ჰგავს, დაჭიანებულ კბილებითა, მაცდურ თვალებით... ხსნა შენგან არის, არც ვისაგან, მხოლოდდა შენგან! მომეცი ნება, გამოვისყიდო ჩემი ცოდვა, დაკარგული მაეჟანი კვლავ გამოვჩხრიკო... მომეცი ნება, გამოვისყიდო ჩემი ცოდვა, აბეშურა, გეგმაცა მაქვს, თუ მომისმენ, იმასაც გეტყვი...

აბეშურა – გეგმა მაქვსო...

მაეჟანი */აფაციფუცდა/* – მოგახსენებ, აბეშურა... დედოფალო, ახლავე გეტყვი! წავალ სპარსეთს, ქასრესთან მივალ, დავუდგები მსახურად ქასრეს. იქ ვიომებ, სახელს მოვიხვეჭ, დავბრუნდები ისევ ქართლში, მირვანოზს მოვკლავ ქასრეს ხელით, ამოვძირკვავ მირვანოზს სრულად...

აბეშურა –– ახლა ცოდვა თქვი.

მაეჟანი – ცოდვა გითხრა? განა არ გითხარ ჩემი ცოდვა ?

აბეშურა – არა, არ გითქვამს.

მაეჟანი – მიმხვედრი კაცი მიხვდებოდა. შენც მიმხვდარი ხარ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბეშურა — ცოდვა თქვი, ცოდვა... სიტყვა დაარქვი იმ ცოდვას, ამოაგდე შენის პირიდან!

მაეჟანი — მე...

აბეშურა — ხო, გისმენ... ჩქარა... ანდა ნელა, ნელა მითხარი, გამოკვეთე ყოველი ბგერა... გისმენ, მაეჟან, მიდი, ბრძანე!

მაეჟანი — მე თავს ვიკლავდი...

აბეშურა — ეგ ვიცი უკვე, ვერ მოახერხე... სხვა მითხარ ახლა!

მაეჟანი — ... სპარსეთს წავალ. მირვანოზსაც ჰყავს მტრები იქა, მათთან ვიქნები. დავბრუნდები ისევ ქართლში. პატივ-ღირსებას, დედოფლობას, აღვადგენ შენსას!

აბეშურა — მე ისედაც დედოფალი ვარ. შენი ცოდვა თქვი...

მაეჟანი — უპატრონობის თალხი კაბა აცვია მაგისთანა დედოფლობას, აბეშურა. ჩემზე ერთგული შენ არავინ არ გეყოლება. ერთგულება წამალია იმ სახადისთვის, მე რომ მჭირს ახლა... მხოლოდ...

აბეშურა — რა მხოლოდ, რაო?

მაეჟანი — ძილი მომეცი... ხანდხან მომეცი ძილი, თუნდაც იმისთვის, რომ ისევე შენს სამსახურში დავხარჯო ძალა, სისხლიც დავღვარო... ძილი მომეცი, ბევრს არა გთხოვ...

აბეშურა — ბევრს არა მთხოვ?!

მაეჟანი — ესეც ბევრია?! მოვედი შენთან თავდახრილი, ტანჯული კაცი... გულით მოვედი, წრფელი გულით, მაინცა მტანჯავ?!

აბეშურა — შენ, მაეჟან, შენს სამსახურს მთავაზობ ახლა. ცოდვას კი სიტყვა ვერ დაარქვი. თქვი შენი ცოდვა, ამოაგდე შენის პირიდან... სიტყვა დაარქვი, გელოდები, ნელ-ნელა ბრძანე!

მაეჟანი- ისევ მტანჯავ, არ მეშვები, სიტყვას მაძალებ...

აბეშურა — ბრძანე-თქო, ბრძანე!

მაეჟანი — მაშ, გეტყვი სიტყვას... /ხანმოკლე პაუზა/ ცოდვა ცოდვით მოიკლავს წყურვილს... უპატრონობის თალხ კაბასაც ჩამოგაცლის, ფეხქვეშ გათელავს... ცოდვას ცოდვა სურს, როგორც ახლა მე მსურხარ შენა!... /ხელს არტყამს. აბეშურა მოწყვეტით ეცემა. მაეჟანი მისკენ იხრება/ აგრე [illegible] არ, აგრე, აგრე... უპატრონო, წყეული ბავშვო...

*შორიდან ჭექა-ქუხილის ხმა ისმის. ჩამობნელდა. განათდა, წამით კვლავ ჩამობნელდა. ცოტახნის შემდეგ შუქი გაძლიერდა. აბეშურა ნელ-ნელა წამოიწია. მის შორიახლოს პირველი და მეორე სხედან.*

პირველი — მგონი გვხედავს.

მეორე — ბოლო მოელო ჩვენს მარტოობას... დაგვინახა! — აბეშურა!

აბეშურა — თეთრი წერტილები საუბრობენ... თბილი წერტილები საუბრობენ... თქვენ რა გქვიათ?

პირველი — როგორ გითხრა... ჩვენ...

მეორე — ჩვენ ყორნები ვართ.

აბეშურა — არა, თქვენ თეთრი წერტილები ხართ. ჩემთან მოხვედით. /ჭექა-ქუხილის ხმა/ რა ხმაურია... თავი მტკივა მე... ხმაური ცუდია...

პირველი — ელვამ დაჰკრა მუხას.

მეორე — იწვის მუხა...

აბეშურა — მუხა იწვის... საბრალო მუხა... არავის არ ებრალება მუხა... მე კი გული მიკვდება... რა საბრალოა ირგვლივ ყველა...

პირველი — ყველა საბრალოა?

აბეშურა — ხო, ყველა... სეფელიას ვაწყენინე, სად არის ნეტავ?

მეორე — სეფელია უკვე წავიდა.

აბეშურა — საბრალო სეფელია... საბრალო ბაქარ...

მეორე — კარაც საბრალოა? მაეჟანიც?...

აბეშურა — ხო... საბრალონი არიან... მე გული მტკივა, მეწურება გული, ისეთი საბრალონი არიან... /პაუზა/ საბრალო ბავშვი, თოთო ხორცი მოსწყვიტეს მხარზე... მე მიცქერის, შველასა მთხოვს, თვალებით მიხმობს... /წამოდგა/

პირველი — ქმრის გამდელობა გადაწყვიტე, აბეშურა! არ გირჩევ, არა!

მეორე — არც მე გირჩევ. აქ ვიყოთ, ერთად...

აბეშურა — ტირის ბავშვი... ქასრემ უკბინა... ტკივა ბავშვსა, მე მელოდება...

*ჩამობნელდა.*

## II მოქმედება

*მცხეთა.*

*სცენის საპირისპირო კუთხეებში პირველი და მეორე წვანან. სცენის სიღრმეში მალემრბოლი ჩამომჯდარა ქვაზე. ხელი გაუწვდენია. შემოდის სეფელია.*

მალემრბოლი — მოწყალებას ხომ არ გაიღებთ!

სეფელია — არმაზ გიშველის. /ჩავლა უნდოდა/ მეცნობი მგონი.

მალემრბოლი — განა, ვეცნობი ვინმეს კიდევ. შვიდი წელია აქ არ ვყოფილვარ.

სეფელია — შენ მალემრბოლი იყავი...

მალემრბოლი — მალემრბოლი ასფაგურ მეფის. ეგ როდის იყო!..

სეფელია — ვით დაგლახაკდი?

მალემრბოლი — მეც არ ვიცი... ასე კი მოხდა... შენც შეცვლილხარ, ახლა გიცანი. აბეშურას გამდელი ხარ.

სეფელია— ვიყავ გამდელი. აბეშურამ ხელი მკრა მერე, მომიშორა. თვის თავს აბრალოს, თორემ ჩემთვის კარგიც კი იყო. ჭეშმარიტება ახლა შევიცან.

მალემრბოლი — ჭეშმარიტება შეიცანი? რაში არის ჭეშმარიტება?

სეფელია — სულ უბრალო მსახურებაში, კერპებისა პატივცემაში, დაფარულის ხილვით ტკბობაში, შენ სად იყავ ეს შვიდი წელი?

მალემრბოლი — საბერძნეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეფელია – ბაქართან ერთად? ბაქარ სად არის?

მალემრბოლი – ეგ არ ვიცი, ჩემი გზა ენახე.

სეფელია– რა გზა ნახე, გლახაკობისა?

მალემრბოლი – რატომ მარტო გლახაკობისა. ვინ ჩამოთვლის რა არ ვიყავი. – მეთევზე, ქურდი, მიწის მუშა, ბაჟის ამღები. მკვლელიც ვიყავი, აი, ცხოვრება მაშინ იყო!

სეფელია – მერე, რალატომ შეიცვალე საქმე, ხელობა?

მალემრბოლი – ქადაგებას ავყევი.

სეფელია– რა ქადაგებას, რომელ ღმერთის?

მალემრბოლი —ჰურიათა ხორციელ ღმერთის. ერთხანს მივსდიე იმის მცნებას, მერმე მივხვდი, მასაც , ვით ყველას, მეფობა სურდა. გული გამიტყდა, აღარა მწამს, დრო გავაცდინე...

სეფელია – არმაზ კერპი ყველას დასცემს, ყველას დაამხობს!...

მალემრბოლი – ჭეშმარიტება არც იქ არის, არც აქ არ არის.

სეფელია – აი, ბრძენის ენამზეობა! მაშ, სად არის ჭეშმარიტება?

მალემრბოლი – ბაიყუშის სკორეში, მგლის ხახაში, ვირის საშოში. ისეთივე ბინძურია, ისეთივე საშიში, ისეთივე უსასრულო. დღეს ხარ, მერმე აღარა ხარ–ჭეშმარიტი მხოლოდ ესაა!

სეფელია – ჭეშმარიტება ხილვაშია დაფა...

მალემრბოლი /ხელის მოძრაობით აჩუმებს/ – შენ ასე თვლი, მე სხვაგვარად, სალაპარაკოც არაფერია... აბეშურას უყვარდი თითქოს, ასე მახსოვს, მერე რა მოხდა?

სეფელია – ... მიღალატა. რაც თავი მახსოვს, ყველა მღალატობს. საურმაგის ცოლი ვიყავ, წავიდა ომში საურმაგი, მარტო დამტოვა, მოკლეს ომში, ღალატია, აბა, რა არის! შვილი მყავდა, სულ პატარა მომიკვდა შვილი, მანაც დამტოვა, ღალატია, აბა, რა არის! აბეშურას გამდელი ვიყავ, კარგი მსურდა მისთვის, განა ცუდი... წადიო! – მითხრა. მომიშორა... წა, გასწიო! – მითხრა. ღალატია, აბა, რა არის! კარას ავყევი, კერპთმსახურსა, ვიღაც გომბიო მოიყვანა, ვიღაც თარსი, კოკობზიკა, ღალატია, აბა, რა არის!

მალემრბოლი – ვინ კოკობზიკა? ვინ გომბიო?

სეფელია /გამოფხიზლდა/ – გავერთე ალბათ, ჩემსას ვფიქრობ, აგრე დამჩემდა... საკუთარ თავს ვებაასები... აბეშურას ამბავი მკითხე?

მალემრბოლი – ხო, აბეშურას ამბავი გკითხე...

სეფელია – აბეშურა ჭკუაზე შეცდა. უბოროტო გიჟს ეძახიან, კეთილ გიჟსაც. ებრალება, რომ ჰკითხო, ყველა. მეც ნიადაგ პატიებას მთხოვს. როცა შემხვდება, რა თქმა უნდა, მე მას არ ვეძებ...

მალემრბოლი – სასახლეშია?

სეფელია – ხო, იქ არის. [illegible] ყველას. მაინც ითმენენ, ხალხს თავისი დედოფალი სურს. არ კი მესმის, სიმართლე გითხრა, მაგისთანა დედოფლობა. – კერპებს ეგ არ სცნობს. მისნობს მგონი, ავ სულებთან შეკრა კავშირი. სულ ტყუილია ეგ სიკეთე, ეგ სიბრალული. გაწუხებს მხოლოდ, ამას ფიქრობ– დროზე გამშორდეს.

მალემრბოლი – მე კი მართლაც კეთილად მახსოვს, ვერცხლსაც მჩუქნიდა.

სეფელია – დაიჟინა, ბავშვს ვუწამლო უნდა მხარიო. რაღა ბავშვი, მიჰრან კაცია. ის კი დასდევს– მირიან მხარი გტკივა განა, ჩემო პატარავ?! მოდი, გიწამლოს აბეშურამ, აი, მალამო... მე გამაგდო, მიჰრანს კი დასდევს. ახია, ახი... ვინც მიღალატა დაისაჯა ყველა უკლებლივ...

მალემრბოლი – მაეჟანი სად არის? ანაკ? მირვანოზ რას იქმს, ყველა მითხარი!

სეფელია – მაეჟანი სპარსეთს წავიდა, ქასრეს ჩაუდგა სამსახურში. მირვანოზი, გეცოდინება, მცხეთას განაგებს, არის მორჭმით. ამას წინათ ანაკ ამხილა ხელმრუდობაში, მოიშორა თავიდან ანაკ.

მალემრბოლი – ბაქარ საბერძნეთს, მაეჟან სპარსეთს, შენ კერპთმსახური, აბეშურა გამდელი ქმრისა. მე, გლახაკი, არაფრის მქონე დავბრუნდი ქართლში, ვზივარ ახლა გზაზედ, ხელს ვიწვდენ... შენ კი იძახი, ის და ესაო... ჭეშმარიტება იმაშია, რომ მშია ახლა...

სეფელია – უცნაურად ლაპარაკობ...

მალემრბოლი – ჯერ სადა ხარ! მომსმენი იყოს თორემ, ისეთებს ვიტყვი...

სეფელია – წამო, წავიდეთ... საჭმელს გაჭმევ.

მალემრბოლი /წამოდგა/ ეგ კი მომწონს. ეგრე დაგეწყო...

*მიდიან.*

მეორე – /*თავი წამოჰყო*/ -ჩვენც ხომ არ გვესადილა?

პირველი –თუ გვესაუზმა?

მეორე – თუგინდ გვესამხრა!

პირველი –რა გვაქვს სამხრად?

მეორე – შენ კითხულობ? კაცი ყოფილხარ.

პირველი – ეგრე იყოს. შენ სამხარი თქვი.

მეორე — სამხრად გვაქვს... /პაუზა/ მოწურული ღრუბლებიდან მოსულს წვიმაზედ მომზადებული გავასქელი შავი ბაჭია...

პირველი – სულ უკოპლო?

მეორე – დიახ, უკოპლო.

პირველი – ყოჩაღ, კარგია.

მეორე – ჯერ სადა ხარ... /პაუზა/ აგრეთვე გვაქვს, დრო-ჟამისაგან გახრუკული ერთი ქიშმიში, აქლემის თვალი, ჩაქაფული კოლო-ბუზების, კვერცხის პაშტეტი და რძიანი ყავა... ვაიმე, ახლა მგონი აბსურდში წაველ...

პირველი – აბსურდი რაა, საჭმელია?

მეორე – ხო, საჭმელია.

პირველი – როგორია, მითხარ, აბსურდი! ნერწყვი მომადგა...

მეორე – იმგვარია, რომ არ იცი რასა სჭამ, არც შენ, არც იმან, ვინც მოგართვა ეგ საჭმელი, მაგრამ მაინც ჭამ-იფ, იფს, – იძახი...

პირველი –კარგი ყოფილა.

მეორე – ხო, კარგია. ასე ამბობენ.

პირველი – აბსურდი მშია. დიდი მათლაფა აბსურდი მომეც!

მეორე – ფაი ფაით გინდა, თუ ფაი ფაის გარეშე?

პირველი – რას მატრაბაზობ, თუ ცოლი ხარ, ცოლი იყავი...

მეორე – არა გცოდნია. მათლაფას როცა გამოვიტან, აგრე უნდა ვთქვა – ფაი, ფაი, ფაი, ფაი... უკეთ გერგება, კუჭ-ნაწლავი უკეთ ინელებს.

პირველი – კუჭ-ნაწლავი? სად გვაქვს კუჭ-ნაწლავი?!

მეორე – ჰოდა, თუ არ გვაქვს, თავი მანებე. მთელი დღე სახლის საქმეს ვაკეთებ, ბახალებს ვართობ, დავიღალე, ქალი ვარ მეცა!...

პირველი – აღარ ვთამაშობთ?

მეორე – არა... აღარ ვთამაშობთ. სევდა მომაწვა უცაბედი...

პირველი – მაშ, აბეშურას გავესაუბროთ, თავს გავირთობთ. აი, ისიც! მიჰრანს მოსდევს...

*შემოდის მირიანი. სანადირო სამოსი აცვია.*

მირიანი /*უხილავ მსახურს გასძახის*/ – მიმინოს კარგად მიმიხედე, თავით აგებ პასუხს იცოდე!

მეორე – დავაჟკაცდა როგორ მიჰრანი!

პირველი – ნახე, შეხედე, თვალებიდან ცეცხლსაც აკვესებს.

მირიანი /*ისევ უხილავ მსახურს*/ – აუხვიე თვალნი! აგრე, აგრე...

/*შემოდის აბეშურა*/

აბეშურა – სანადიროდ იყავ მირიან?

მირიანი – ხო... ვიყავ... ოღონდ არ დაიწყო, საბრალოო, ვაიმე, რა ლამაზია ეს ხოხობი, მაგრამ მკვდარიაო... არ დაიწყო, რა...

აბეშურა – კარგი, არ ვიტყვი... ნუ გაცხარდი... /*პაუზა*/ მხარი ხომ არ იტკინე?

მირიანი – /*მხარზე სამოსს ჩამოიწევს*/ – აჰა, მხარი... აღარა მტკივა, რით ვერ ხვდები?! მორჩა ტკივილი, აღარა მტკივა, გავიზარდე! ის დღეც არ მახსოვს წესიერად, რაღა ტკივილი...

აბეშურა – ვაი, საბრალო, როგორ გემჩნევა ქასრეს ნაკბენი...

მირიანი – ჰოი, ზარატუშტრა...

აბეშურა – რად მიწყრები მირიან აგრე?

მირიანი – შენ რას გიწყრები... ჩემს ბედს ვუთხარ ორიოდ სიტყვა...

აბეშურა – მე მგონი იმაზედ მიწყრები, მაშინ რომ ვერ მოგეშველე. თავად გავვოგნდი, პირკატა მეცა... მაპატიე, მირიან, ის დღე...

მირიანი – თუმც საპატიო არაფერი გაქვს, გაპატიე უკვე ათასგზის...

აბეშურა – ასე ბოროტად მაპატიე... გაპატიე უკვე ათასგზის – როცა ესა სთქვი, შენს სიახლოვეს /*თავთან მოუტარა ხელი*/ აი, აქა, აქაც... ცეცხლისფერი წერტილები გაჩნდა... რომც არ ვხედავდე, რომც არ მესმოდეს, ის ავი წერტილები მაინც შემეხებოდნენ, გულს დამწყვეტდნენ... მოდი ახლა, იყავ კეთილი, წამასმევინე მხარზე მალამო.

მირიანი – მალამო?

აბეშურა – ხო, მალამო... აი, მალამო... სულ თან დამაქვს...

მირიანი – ამასწინათ კეთროვანებთან რომ იყავ, იცი? გახსოვს?!

აბეშურა – როგორ არ ვიცი...

მირიანი – კეთროვანი იცი რას ნიშნავს?

აბეშურა – როგორ არა... საბრალოს ნიშნავს...

მირიანი – მერე... /*აღარ ჩათვალა საჭიროდ აზრის დამთავრება*/

აბეშურა – რაო მერე, მითხარი, მირიან...

მირიანი – ყველა მიჰრანს მეძახის, რაღა შენთვის ვარ მირიანი.

აბეშურა – მირიანი უფრო კარგად ჟღერს... უფრო მახლობლად...

მირიანი – მაშინ მიჰრანი დამიძახე, თუ მირიანი მახლობლად ჟღერს...

აბეშურა – აი, ისევ წერტილები... ცეცხლისფერი... შიგნით ლურჯია, ღია მწვანეც, გარეთ წითელი... ავი წერტილებია...

მირიანი – რაღაცას მისნობ, გონს მიბნელებ... რა წერტილები, რის წერტილები...

აბეშურა – მე არ ვმისნობ... მართლა ასეა... ორნაირი წერტილებია... კეთილი და ბოროტი... ზოგი სხვაც არის, ის იკბინება, თავს მატკივებს... წამასმევინე რა მალამო, იყავ კეთილი.

მირიანი – წაგასმევინებ თუ მისნობას მანახებ შენსას. აბა, მითხარი, რა ფრინველი მოვინადირე!

აბეშურა – არ მომატყუებ, როგორც მაშინ, გულს არ დამწყვეტ?

მირიანი –არა, არა-თქო.

აბეშურა – კარგი, მაშ გეტყვი.

პირველი – ორი გნოლი.

აბეშურა – ორი გნოლი.

მეორე – ოთხი კაკაბი.

აბეშურა – ოთხი კაკაბი.

პირველი – ერთი ხოხობი.

აბეშურა – ერთი ხოხობი. ...ცოცხლები იყვნენ, ახლა მკვდრები არიან...

მირიანი – რაკი ასეა, კითხე შენს წერტილებს, თუ იცოცხლებს-თქო მიჰრანი დიდხანს.

აბეშურა – უკვე ვკითხე.

მირიანი – რა გიპასუხეს?

აბეშურა – იცოცხლებ დიდხანს. მაგრამ ასე თქვეს წერტილებმა, მთელი ცხოვრება აბეშურას მოუხმობ შენთან. ბოლოს იპოვნი, სიცოცხლის ბოლოს...

მირიანი – /*იღიმება*/ – აბეშურა! აბეშურა! – აგრე მოვუხმობ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბეშურა — ეგ არ ვიცი. ასე კი მითხრეს. ხომ შემპირდი, ახლა ვუწამლოთ უნდა შენ მხარს.

მირიანი — იქნებ გეცეკვა, აბეშურა? მომეწყინა, მინდა გავერთო...

აბეშურა — მერე ვუწამლებთ ქასრეს ნაკბენებს?...

მირიანი — ხო, რა თქმა უნდა... მოდი, იცეკვე... ცეკვა მინდა შენი ვიხილო...

აბეშურა — დაირა არ გვაქვს...

მირიანი — შენ დაირა არც რაში გინდა... წერტილებს დააკვრევინებ... მიდი, მიდი, თუ გინდა რომ ჩემს მხარს ვუწამლოთ...

აბეშურა */მიმოიხედავს/* — დაირა არ გვაქვს...

*პირველი და მეორე მუსიკალურ საკრავებს დაიჭერენ ხელში. მხოლოდ უჭირავთ, არანაირი იმიტაცია დაკვრისა. მელოდიის ხმა შორიდან მოატანს. სევდიანი მელოდიაა.*

აბეშურა — რა ვიცეკვო, მირიან?

მირიანი */ფეხი მოირთხა/* — რაც შენა გსურს.

აბეშურა — სევდიანი ხმებია... მაშინ ჩემი დობილის ცეკვას გიცეკვებ...

მირიანი — დობილიც გყავს?

აბეშურა — ... ალბათ მყავს! სადღაც... იქნებ სპარსეთშიც... */სევდიანი მელოდია უფრო გულში ჩამწვდომი, უფრო მახლობელი გახდა/* როგორ არა მყავს... ვიცნობ კიდეც, ლეილა ჰქვია... მარტო არის ლეილა ახლა... როცა მარტოა, ასე ცეკვავს, დობილს მიხსენებს... ასფაგურმა, მამაჩემმა, გული ატკინა... მარტო დასტოვა ჩემი დობილი, მშობლის გარეშე... ცეკვავს ლეილა... მერე ტყისკენ გაემართება... ასწლოვან მუხას ხელს შეახებს... მიუალერსებს... მუხა დედაა გარდაცვლილი... მის წიაღში სიმშვიდე სუფევს... ვერვინ მოგაგნებს, დაცული ხარ... წვიმის ხმას უსმენ... წკაპ და წკაპ... წვეთავს... მარტო არის ლეილა ახლა... როცა მარტოა, ასე ცეკვავს, დობილს მიხსენებს...

მირიანი — კი ნუ ირწევი, იცეკვე— თქო! */მელოდიის ხმა შეწყდა/*

აბეშურა — ... აკი ვცეკვავდი!

მირიანი — ცეკვას ეძახი ადგილზე რწევას?... ეგ რა ცეკვაა */წამოდგება/* შენ პირობა დამირღვიე... არ გიცეკვია...

აბეშურა — მირიან, ნუ იქნები ბოროტი... კარგი მსურს შენთვის.

მირიანი — ყველა გამდელი ასე ამბობს...

აბეშურა — ხო, მართალია, სეფელიაც ასე ამბობდა...

მირიანი — ხოდა, წადი სეფელიასთან... მე გამდელი აღარ მჭირდება — ჰე, ბაზიერო გაგიფრინდა იქით მიმინო! იქით-თქო, იქით... */გარბის/*

აბეშურა — მომატყუა...

პირველი — აბეშურა!

აბეშურა */ცრემლმომდგარი/* — მომატყუა. ხედავთ?!

მეორე — აბეშურა, ეს გვითხარი, სულ ოდნავადაც არ გავშავებულვართ? იქნებ ნაცრისფერი მაინც გადაგვკრავს?!

აბეშურა — არა, ისევ ისეთი იქედნები ხართ. */გასვლას აპირებს/*

პირველი — რა უბედურებაა...

მეორე — დაანებე მირიანს თავი, მოდი ჩვენთან...

აბეშურა */მიდის/* — ტკივა ბავშვსა, მე მიხმობს ბავშვი... ქასრემ უკბინა... მხარი სტკივა... თვალებით მიხმობს... */გავიდა/*

პირველი — თეთრადაო... თეთრად გვხედავს...

მეორე — ახლა ვიხსენებ, სწორედაც რომ ასე იქნება... გამოიცანი, აბა, რატომ?

პირველი — რა, რატომ?!

მეორე — რა და, ჩვენ ხომ თეთრი ყორნები ვიყავით... ძლივს არ დავმშვიდდი... კი, ასე იყო! ორი თეთრი ყორანი ვიყავით, შთამომავლობა კი სულ შავ-შავები გვყავდა... მიკვირდა კიდეც, ამ ორ თეთრ ყორანს, ასეთი შავ-შავი ბახალები საიდან-მეთქი. ნუთუ არ გახსოვს?

პირველი — კი, როგორ არა... ხან სიამის ტყუპები ვართ, ხანაც თეთრი ყორნები. მიდი და გაიგე, ვინა ვართ... მაეჟანს ხედავ?

მეორე — სად, სადა?!

პირველი — აგერ მოდის... სახესაც მალავს...

მეორე — ანაკი, კარა, ისინიც აქეთ მოდიან. რა შეკრებაა! აბა, ჩუმად, მივუგდოთ ყური...

პირველი — იქნებ ვყვებით, კი არ ვუსმენთ.

მეორე — იქნებ... არ მახსოვს... */მოხერხებულად მოკალათდებიან/*

*მაეჟანი სცენის ცენტრალური ნაწილიდან გამოჩნდა. ანაკი და კარა საპირისპირო კუთხეებიდან.*

მაეჟანი — დროს ნუ მოვკლავთ ფუჭი სიტყვებით. ანაკ, ვიცი, დაგითხოვა შენ მირვანოზმა. ცილი დაგწამა ხელმრუდობაში, შეიძლება არც ეგ გაკმაროს. დედაო კარა, ყურად მესმა არ სწყალობსო მიჰრანი კერპებს. თითქოს შენც...

კარა — ეგ მე ვიცი... შენ საქმე ბრძანე...

მაეჟანი — სწორედ მაგითი გააცხადე ჩემი სურვილიც... შენ, ანაკ...

ანაკი — მეფე მიჰრანი ცელქი არის ერთობ ბუნებით... სალაპარაკო გაუხდია ჩემი გოგონა... თავსაც დავდებ მის სიწმინდეში, მაგრამ მიჰრანი არ იქცევა მეფეთა წესსზე.

მაეჟანი — ხო და ასე... ახლა მეც გეტყვით... მიჰრანის შემდგომ ბარტამია ქასრეს შვილებში. ბარტამს აღმზრდელად ფეროზი ჰყავს, მირვანოზის მტერია ფეროზ. მათთან ვიყავ ეს შვიდი წელი, მათი ფრთის ქვეშ დავიდე ბინა.

ანაკი — ფეროზი ვიცი... დიდი ძალაა. ომის პირველ ყიჟინას ჰგავს ეგ შენი სიტყვა.

კარა */იცინის/* — ადრე მშვიდობას გაიძახოდა, მოაშორეს ქერის ორმოს, ახლა ომი სურს.

ანაკი — არც მაშინ ვიყავ მე შემცდარი. არც ახლა ვცდები.

მაეჟანი — დროს ნუ დავკარგავთ. მომისმინეთ... თუკი ფეროზის მხარდაჭერა გვსურს, ქართლს გავამეფოთ ჩვენ ბარტამი. მიჰრან კი... */პაუზა/* მოკვდეს... მირვანოზი მერე ვინღაა... ჩემი ხელით ვუჩეჩქვავ თავსა, იმ ბილწ ენას ჭიან კბილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავაჭმევინებ... შვიდი წელი ვიხვეჭდი ნდობას, რომ ფეროზისთვის სიტყვა მეთქვა, მას მოესმინა.

ᲐᲜᲐᲙᲘ – რაო ფეროზმა?

ᲛᲐᲔᲟᲐᲜᲘ – დამეთანხმა. მაშ, აქ რატომ ვარ!

ᲐᲜᲐᲙᲘ – ის დაგეთანხმა, კი ბატონო, ფეროზ რას აგებს... შენ ის მითხარ, დაზღვეულნი რითი ვიქნებით, რომ ფეროზი მირვანოზად არ გადიქცევა. პასუხს გამცემ, ოქროს გავიღებ. ჯარსაც ვიყიდით, მიჰრანსაც მოვკლავთ.

ᲙᲐᲠᲐ – აკი ოქრო არა მაქვსო?!

ᲐᲜᲐᲙᲘ – არა მაქვს ოქრო... ოქრო სადა მაქვს. */პაუზა/* მაგრამ ვიშოვნი... მაეჟან, სიტყვას ველოდები!

ᲛᲐᲔᲟᲐᲜᲘ – მირვანოზის სიძულვილია ჩემი სიტყვა.

ᲐᲜᲐᲙᲘ – სიძულვილი სიტყვა არაა... საბუთი გვინდა... ბეჭდიანი სიტყვა ფეროზის, თავის დაზღვევა სამომავლოდ. */თითის აწევით/* ბეჭდიანი სიტყვა ფეროზის...

ᲛᲐᲔᲟᲐᲜᲘ – მაგას არ იზამს.

ᲐᲜᲐᲙᲘ – არ იზამს და კარგადაც იყოს. მკვლელიც არ ვიცი იმისთანა, ეს რომ გაბედოს.

ᲙᲐᲠᲐ – მკვლელი მე ვიცი...

ᲛᲐᲔᲟᲐᲜᲘ – მკვლელის ცნობა უკვე საქმეა... კარგია, კარა. გამაცანი მერე ის მკვლელი.

ᲐᲜᲐᲙᲘ – სანამ საბუთი არ იქნება ფეროზისაგან, მე არაფერი გამიგია, არც სიტყვა მითქვამს. */მიდის/*

ᲙᲐᲠᲐ – ეშმაკია, წყეული, ვირთხა...

ᲐᲜᲐᲙᲘ – */ძალიან მშვიდად/* ვირთხისგან მესმის... */პაუზა/* ისე, მკვლელი მეც გამაცანი, დედაო კარა!.. თუ მცოდნე არის თავის საქმის რაღა თქმა უნდა... */გავა/*

ᲙᲐᲠᲐ – მაგის საფიცარ გოგოს ჰბურჯღნის თურმე მიჰრანი. უმეტესად ეგ ბოლმა აქვს. ბოლმა მაინც გონს არ უკარგავს.

ᲛᲐᲔᲟᲐᲜᲘ – მაგგვარ საბუთს ფეროზ არ მოგვცემს. სიტყვაზე უნდა ვენდოთ ფეროზს, სხვა გზა არ არის.

ᲙᲐᲠᲐ – გზების მეტი რაა, მაეჟან. მე წავედი, კრპთმთავარი იყო შეუძლოდ. შენც დაიმალე, არვინ გიცნოს, ფრთხილად იყავი...

ᲛᲐᲔᲟᲐᲜᲘ – ხო, კარგად, კარა! */გადის/*

ᲛᲔᲝᲠᲔ – */პაუზის შემდეგ/* ამ ქვეყანაში კვლავ მზადდება ბილწი მკვლელობა. მოლოდინისგან შედედებულ ჰაერსა ვსუნთქავთ! აგე, შეხედე, ისევ გვიცქერის... რა გინდა, რა! წადი, ვიღაცა ოხერი ხარ, თავი გვანებე! აბა, აიღე ჩქარა ჯოხი...

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ */ჯოხს ჯოხზე ურტყამს/* – ჯოხი გვაქვს ჩვენა! აი, ჯოხი, არ გეშინია!

ᲛᲔᲝᲠᲔ – ჯერ იმ ღრუბლიდან გვიცქეროდა, ახლა ამ ღრუბლიდან დაიწყო ჭვრიტინი... მოცლილი ხარ? რას გვაყრანტალებ, წადი, შენს ცოლს მიუჩუჩხუნე! შენი ცოლი ააყრანტალე!!!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ – დაგცხებთ ჯოხსა, დაგცხებთ, იცოდე! რას მოგვაჩერდი აგრე მკაცრად, რა ცნობას გვაწვდი!

ᲛᲔᲝᲠᲔ – ამაყრანტალა ამ თახსირმა ... აი, დავიწყე... მოლოდინისგან შედედებულ ჰაერსა ვსუნთქავთ! მოლოდინისგან შედედებულ ჰაერსა ვყლაპავთ! დასცხე, დასცხე, იქნებ გაგვშორდეს...

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ – დავცხო კი არა, მეც ჩემი მჭირს... მოლოდინისგან შედედებულ ჰაერსა ვსუნთქავთ, ამ ქვეყანაში კვლავ მზადდება ბილწი მკვლელობა...

ᲛᲔᲝᲠᲔ – მოლოდინისგან შედედებულ ჰაერსა ვყლაპავთ!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ – ამ ქვეყანაში კვლავ მზადდება ბილწი მკვლელობა!

ᲛᲔᲝᲠᲔ – დასცხე ჯოხსა, ეშინია მაგას ჯოხისა...

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ – აი შენა, აი, შენა!

*ჩხავილ-ყრანტალით ჯოხზე ჯოხის ცემით, 'ფრთების" უშნო ხეთქებით, ორი შეშლილი სული სცენის სიღრმისკენ გარბის. შემოვა აბეშურა.*

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – რა გჭირთ? რა მოხდა? სად გარბიან? მარტოკას მტოვებთ?! პირველი და მეორე გაუჩინარდნენ.

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – მარტო დამტოვეს.

ᲑᲐᲥᲐᲠᲘᲡ ᲮᲛᲐ – მარტო დაგტოვეს, აბეშურა? მეც მარტოკა ვარ...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – ბაქარის ხმაა... ბაქარ, სადა ხარ?

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ */ჯოხის ცეცებით შემოდის. იღიმება/* – სულის ძუძუმტე დაგიბრუნდა, აბეშურა, საბერძნეთიდან... არ მისცეს ჯარი, არც სახსარი გაუჩინეს ძველ მეგობრებმა... უფრო ძველი მეგობრების იმედილა აქვს... მე მიმხვდარი ვარ შენს მოქცევას, კიდეც ვამართლებ... როდესაც ძალა ალმართს ვერ ხნავს, ეშმაკობა უნდა ვიხმაროთ... ხვნა მაღლიდან უნდა დავიწყოთ... */უფრო მეტად იღიმება/* ხომ ასეა? ხომ მიგიხვდი?

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – ბაქარ, ბაქარ... იღიმები, გული კი გტკივა... როგორ ვხედავ!!!

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ – ეგ არაფერი, აბეშურა... ღიმილი ჩემმა ბედმა მასწავლა... არაფერს ვეძებ, არც არაფერს ვჩივი მე, არა! რადგან... მო, ახლოს მოდი, ხომ არავინ გვისმენს, შეხედე!

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – არც არავინ... წერტილებიც გაქრნენ...

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ – ჩემთან არ გინდა, ნუ ეშმაკობ... ახლა მისმინე... მართალია, ჯარი ვერ მომცეს, მაგრამ სარწმუნო ცნობები მაქვს, გასახარელი. იქ, სენატში, სიტყვა ჩამიგდეს... ეგ ხომ იცი, როგორც ხდება, პირდაპირ სიტყვით არას გეტყვიან, შენ უნდა მიხვდე, თუ თავი გაქვს, მცირედი ტვინი...

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ */ინტერესით/* – რაო სენატში?

ᲑᲐᲥᲐᲠᲘ – ახლა გამჟღავნდი... */იღიმება/* ჩემი ფიქრიც მართალი იყო. ეშმაკობ შენა... სხვა მოატყუე, მე კი გიცნობ, ასფაგურის სისხლს ვის შეარჩენ!

ᲐᲑᲔᲨᲣᲠᲐ – საწყალი მამა... ცივი იყო, არ ტოკდებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქარი — შენ დარდი ნუ გაქვს... ახლა ისეთ ცნობას მოგაწვდი, სარწმუნო ცნობას, სენატიდან, განა ქუჩიდან, რომ დამერწმუნე, შურისძიების სავსე მთვარეს ერთად ვიხილავთ... სენატში მითხრეს... /პაუზა/

აბეშურა — რაო, რაო, სენატში?

ბაქარი — მესმის ეგ შენი მოუთმენლობა... ვაფასებ კიდეც... /საზეიმო იერსახეს მიიღებს/ მიმანიშნეს სენატში ასე... საბერძნეთი ომს აპირებს თურმე სპარსეთთან... /დამფრთხალი/ ცოტა ხმამაღლა მომივიდა, ხომ არვინ გვისმენს?

აბეშურა — არა, არავინ...

ბაქარი /უბიდან რაღაცას ამოიღებს. აბეშურას გაუწვდის/ მოდი, ჩვენ მივცეთ უცილობელ ომსა ნიშანი... პირველი სისხლი ჩვენ დავღვაროთ, აჰა, აიღე!...

აბეშურა — ეს რა არის, მალამოა?

ბაქარი — ხო, მალამოა... ასფაგურის შურისძიების მალამოა ეგ, აბეშურა... ხომ მიმიხვდი?

აბეშურა — ქასრეს ნაკბენს ვერ მოარჩენს?

ბაქარი — მიგიხვდი მაგასაც. მირვანოზთან ერთად მიჰრანიც... რაღა თქმა უნდა, არ შევმცდარვარ, ასე ფიქრობ! მიგიხვდი, მომწონს! ეს იქნება ომის ნიშანი... ბერძენთა ჯარი მცხეთას შემოვა მაგ ნიშანზე, ენდე ჩემს სიტყვას!

აბეშურა — ამ მალამოსაგან ავი წერტილები მოდიან...

ბაქარი — რა წერტილები, აბეშურა!

აბეშურა — როგორ გითხრა, ორნაირი წერტილებია, კეთილი და ბოროტი ... სხვადასხვა ფერის... ფიქრებივით არის. ეს ფიქრი კეთილია, მაშ, კარგია. აი ეს კი, ბოროტია, მაშ, ცუდია! წავიდეს უნდა, წავიდეს, გაქრეს ბოროტი წერტილები... /იქვე, ფეხებთან დააგდებს საწამლავს/

ბაქარი /ამ ხმაზე დაიხრება. ხელის ცეცებით ეძებს საწამლავს, ცოტა ხნის შემდეგ იპოვნის კიდეც. იქამდე კი ასე, მუხლჩახრილი, თავაღერილი საუბრობს/ — უარს ამბობ? შურს არ იძიებ მამაშენის, ასფაგურის მოკვდინებისთვის... აგრე იაროს მირვანოზამა ამ ქვეყანაზე? გაიხაროს მირვანოზმა? არ მოკვდეს მირვანოზი?!

აბეშურა — მირვანოზი საბრალოა...

ბაქარი — მირვანოზია საბრალო?

აბეშურა — ხო, საბრალოა. გული მკვდარი აქვს მირვანოზს. სულ გონებით სჯის... ხან ანგრევს, ხან აშენებს, მიდი-მოდის, ფიქრებშია. გული კი მკვდარი აქვს... იქნებ თავისი მკვდარი გულის გაცოცხლება უნდა მირვანოზს? მიტომ დადის, რაღაცას ფიქრობს, სულ განსჯაშია... საბრალოა, აბა რა არის?

ბაქარი /ისევ მუხლჩახრილია/ — მაშ, თეთრ ცხენებზე ამხედრებულნი ვერ შევალთ მცხეთას?! მაშ, ფუჭია ჩემი იმედი!

აბეშურა — თეთრი ცხენებით გინდა ჯირითი? წამო, ვთხოვოთ მეჯინიბეს. გვყავს ჩვენ ცხენები.

ბაქარი /იმედით/ — იქნებ მატყუებ, მასხრად მიგდებ... მორჩი თამაშს, მე მიმხვდარი ვარ.

აბეშურა —შენგან უცნაური წერტილები მოდის... არც კეთილია, არც ბოროტი... რაღაც სხვა არის... ეკლებივით... პატარ-პატარა ეკლებივით არის... თავი მტკივა მე... ათასი ფიქრია ... ათასი ეკალივითაა ფიქრი.. თავი მტკივა მე...

ბაქარი /ხმამაღლა/ — წადი, წადი! ბავშვი გიხმობს!

აბეშურა — ბავშვი? სად არის?! ტკივა ბავშვსა... ქასრემ უკბინა... თოთო ხორცი მოსწყვიტა მხარზე... თავი მტკივა მე... სად არის ბავშვი? მე მელოდება. /მიდის/

ბაქარი /ჯოხს დაეყრდნო/ — დამიწყევლია ბედისწერის ცივი თვალები, იმ სიცივეში ცრემლის ვარსკვლავს არა აქვს ბინა... მომეცით ძალა, მე უღონოს, დაჩამიჩებულს, ძალა მომეცით, თქვენ ღმერთებო, შურისძიების სავსე მთვარე ერთხელ ვიხილო... ერთხელ... სულ ერთხელ, მეტად არა, მხოლოდღა ერთხელ... /ჯოხის ცეცებით გადის/ ჩამობნელდა.

*სასახლის დარბაზი მცხეთაში. შემოდიან მირიანი და მირვანოზი.*

მირვანოზი — ანაკის ქალს თავი ანებე. მხევლების მეტი რა გყავს, მიჰრან!

მირიანი — არც არაფერი იყო ისეთი. გავებაასე. ნადირობას ჰგავს ეგეც სწორედ...

მირვანოზი — ხმა ვინ დააგდო?

მირიანი — ალბათ თვითონ... მხოლოდ ორი სიტყვა ვუთხარი. ისე ეამა...

მირვანოზი — არ უნდა გეთქვა ის ორი სიტყვა...

მირიანი — როდემდე ასე, მირვანოზ, მითხარ! ლაშქრობაში ჯერ არ მიშვებ! ჰოდა, ვნადირობ სადაც მომიხერხდება...

მირვანოზი — ნადირობა ისეთი უნდა, არ გაგიგოს მხეცმა მიპარვა. მეფე ხარ მიჰრან, არ გეკადრება.

მირიანი — ქასრეს ამას გაუბედავდი?

მირვანოზი — ქასრე თავის ქვეყანას მართავს. ჩვენ უცხონი ვართ მაინც ამათთვის. ერთსაც გეტყვი — შენ ქასრე არ ხარ.

მირიანი — მისი სისხლის ვარ. შვილი ვარ მისი.

მირვანოზი — მამა-შვილობა მეფობაში არაფერს ნიშნავს. ეს გითხრა ქასრემ, როს დაგდალა, თავის კბილი მხარზე დაგასო. გახსოვდეს მუდამ მამაშენი ქასრეო, გითხრა. იცი რატომ? უამრავი შემთხვევა ვიცი, როცა მეფობა მამაშვილსაც წაჰკიდებს ერთურთს. კიდე რა გითხრა, იცი, ქასრემ, რა დაგიბარა?! მეფობის დამღას გაუფრთხილდი, მიჰრანო, გითხრა. შენ კი ივიწყებ შენს მეფობას, ვნებასა ჰყვები.

მირიანი — მირვანოზ, ვფიცავ, უკადრისი არაფერი ჩამიდენია, ენაჭარტალა მატრაკვეცამ მოსდო ქვეყანას. ორი სიტყვა ვუთხარი მხოლოდ.

მირვანოზი — ჩაიდინე!!! მტერი იმატე. დაუფიქრებლად მოიქეცი. მიტომ არ გიშვებ ჯერ სალაშქროდ. შენ მზად არა ხარ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირიანი – როგორ არა ვარ მზად, მირვანოზ. სისხლი მიდუღს. სისხლი მაწვება...

მირვანოზი – ვიცი ეგ სისხლი... ისიც ვიცი, ტვინს რას უშვრება – აზურებს ტვინსა, ხურუშს ჰკიდებს, მერმე აბნელებს... სიფხიზლე გვმართებს, მიჰრან, სიფხიზლე! არ გვაკლია მტრები არც აქ, ქართლში – არც იქ, სპარსეთში. ფეროზ ხომ იცი? – ჩემი მტერი... მაეჟანი გამოუშვია თურმე მცხეთაში...

მირიანი – მაეჟანი მცხეთაში არის?

მირვანოზი – ჯერ არ ვიცი. დავაგზავნე ყველგან მსტოვრები. თადარიგს ვიჭერ. ვემზადები. მკვლელიც მოვძებნე...

მირიანი – მაეჟანისთვის?

მირვანოზი – მაეჟანი ვიან არის, შვილო! ფეროზისთვის...

მირიანი – გამაცანი მკვლელი, მირვანოზ. არ მინახავს არასდროს მკვლელი.

მირვანოზი /*მიაჩერდა*/ – რაში გჭირდება მკვლელი, მიჰრან?

მირიანი – არც არაფერში... არც კი ვიცი... თუმცა, ვიცი... ანაკისთვის მჭირდება მკვლელი. ანაკს მოვკლავ, მერე რას იტყვი, კიდევ დამიშლი იმის ქალთან გაბაასებას? /*იცინის*/

მირვანოზი – დიახ, დაგიშლი... არც ხუმრობის არ მაქვს გუნება... შენ ცოლი გყავს, აბეშურა. იმას მიხედე.

მირიანი – აბეშურა სადაური ცოლია ჩემი. ერთხელაც კი არ ვწოლილვართ. სურვილიც არ მაქვს, მასთან დავწვე.

მირვანოზი – ეგ ჩემი საქმე არ არის, მიჰრან. მე ერთი ვიცი — ამ ქვეყნის ხალხს დედოფალი უყვარს თავისი. და რადგან უყვარს, მოვალე ხარ, შენც შეიყვარო... პატივი სცე, არ დაამცირო...

მირიანი – ვინ შევიყვარო! ვის ვცე პატივი?! გიჟია, გიჟი, აბეშურა.

მირვანოზი – ვიცი...

მირიანი – მისანი არის, ავ სულებთან შეკრა კავშირი.

მირვანოზი – ეგეც ვიცი...

მირიანი – მდაბიოთა ქოხებში შედის, ებაასება მდაბიოთა, მათთან პურსაც სჭამს.

მირვანოზი – მიტომაც უყვართ.

მირიანი – მარცხვენს, მაწითლებს... ამაწინათ, არ გახსოვს განა, ელჩები გვყავდა მიღებაზე. შემოეხეტა ფეხშიშველი, გვერდით მომიჯდა. მირიან მხარი მაჩვენეო, მთხოვა სახალხოდ...

მირვანოზი – კეთილი სიტყვით გავაცილე, ისიც წამომყვა...

მირიანი – შენ გააცილე, მართალია. მე როგორ ვიგრძენ თავი ელჩებთან, რად არ კითხულობ!

მირვანოზი – თუ მეფობა გსურს, არ შეგემჩნეს უნდა სიწითლე...

მირიანი – კეთროვანები დაუნახავს, მათთან მისულა, უწამლია რაღაც წამლებით...

მირვანოზი – ეგეც ვიცი.

მირიანი – თუ სამკაული ჰქონდა რამე, ყველა არიგა... დამიყენა ბრბო სასახლესთან... მათხოვარნი, გლახაკ-გლუხაკნი დაამდიდრა.

მირვანოზი – ის სამკაული, ოქრო-ვერცხლი მაინც აქ მოდის...

მირიანი – კერპებს არა ცნობს, არც ცეცხლს სცემს თაყვანს, არცა ციურ ვარსკვლავებს...

მირვანოზი – ხალხს მაინც უყვარს. იმედი აქვს, ფარნავაზთა შტოს აღგვიდგენსო... იცი რა არის მეფისათვის ხალხის იმედი!!!

მირიანი – რისი იმედი, რა იმედი... ან რა, რომ უყვართ? მე რა ბრალი მაქვს, მიპასუხე, მის სიგიჟესთან! წარმოდგენებში ცხოვრობს სადღაც, თავის ფიქრებში. არეული აქვს დრო, ფიქრი, განსჯა, საქციელი... მე კი ვუცქირო, ქმრობა უთხრა, ცოლად დავისვა?!

მირვანოზი – ცოლობას, მიჰრან, არც ეგა გთხოვს.

მირიანი – რისი ცოლი, რისი ცოლობა! გამდელია თავისი ჭკუით, დამსდევს წამლებით, ბალახ-ბულახი მოუხარშავს, მალამოს არქმევს. შეგახედა ერთი, რა ფერი აქვს იმ მალამოს, ან რა სიმყრალე...

მირვანოზი – როგორც გავიგე, ბევრისათვის უწამლია მართლაც კეთილად.

მირიანი – საბრალო არის თურმე მისთვის ყველა ამ ქვეყნად. მეფე, მდაბიო, აზნაური, – გარჩევას ნუ სთხოვ... საბრალოა ბალახიც თურმე გათელილი. ხეც ჩაჩეხილი საბრალოა... ნანადირევიც...

მირვანოზი – ... იქნებ ასეა.

მირიანი – შენ რა, დამცინი?!

მირვანოზი – კი არ დაგცინი, გიცქერი და ჩემთვისა ვფიქრობ...

მირიანი – რას ფიქრობ, რაო, მართლა ძალიან საბრალო ვარ ამ გიჟის ხელში, არა, მირვანოზ?!

მირვანოზი – იცი რას ვფიქრობ?! ჯერ მხოლოდ გქვია მეფე. მეფე არა ხარ. მეფე თუ გინდა იყო სრული: დაივიწყე შენი ხორცი, შენი სურვილი; დაივიწყე რა გაწუხებს, ან არ გაწუხებს; ყოველივე დაივიწყე, თუ ასე გთხოვს გარემოება... დაივიწყე შენი რწმენაც ან ურწმუნობაც! სხვა ხალხისა ხარ შენ აქ მმართველი. თავისი გიჟი ურჩევნიათ – მართალიც არის. ქვეშევრდომების ზურგზე დგახარ, — გახსოვდეს მუდამ. ფალოსს უდრეკენ მუხლსა? მოუდრიკე შენც მათებრ მუხლი! ძაღლის ენაზე საუბრობენ? შენც აყეფდი! არმაზის კერპს სცემენ თაყვანსა? რად არ უნდა სცე შენც თაყვანი?! გიჟი დედოფალი უყვართ? შენც გიყვარდეს ის დედოფალი... მისით არის შენი მეფობა კანონიერი!

მირიანი — მაშ, თვალთმაქცობა არის მეფობა?!

მირვანოზი -- ხო, ცბიერებაც.

მირიანი – მოსისხლეობაც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირვანოზი – შემართებაც. ბრძოლის ჟინი, ჟინი მეფობის!!!

მირიანი – შენ ზარატუშტრას დიდ მოძღვრებას მაზიარე. ახლა ამბობ, კერპს ვცე თაყვანი...

მირვანოზი – უნდა სცე, დროა...

მირიანი – მე კი კარა დავითხოვე...

მირვანოზი – კარა დაითხოვე? ეგ როდის, მე რად არ ვიცი? ...

მირიანი – სიმართლე გითხრა, არც ეგ ვაკმარე... მომაბეზრა თავი კარამ... სამჯერ მეახლა საბოძარზე. მესამედ კი, ათი დღის წინათ, პანჩური ვკარი, ისე გავაგდე...

მირვანოზი – მიჰრან, მიჰრან... */პაუზა/* რაღაცას ფიქრობს კარა... რომ მოსულიყო საყვედურით, არ ვინაღვლებდი... რაღაცას ფიქრობს კარა... ხალხს აგიჯანყებს... */პაუზა/* აგისრულდა ოცნება მიჰრან! სალაშქროდ წახვალ. ლეკ-დიდოთა დალაშქრავ უმალ.

მირიანი – სალაშქროდო... ეს რა მესმის... მადლობთ, მირვანოზ!

მირვანოზი – მომისმინე... ნაალაფარი რომც არ გქონდეს, ოქროს მე მოგცემ... იმ ოქროთი მიხვალ კერპობას, როცა იქნება თავყრილობა ხალხისა დიდი. ნახევარ ოქროს ხალხში მოაბნევ, ნახევარს-კი კერპებს შესწირავ... გაიგონე, რაც გითხარი?!

მირიანი – დიახ, მირვანოზ... მაშ, სალაშქროდ!

მირვანოზი – ხო, სალაშქროდ...

მირიანი */სარკმელში გასძახებს/* – ეჰე, ლაშქარი შეკრიბეთ ჩქარა, ბარბაროსნი უნდა დავლაშქროთ!!!

*ხმაური. სცენაზე ხელგაკოჭილი მაეჟანი დაეცა.*

მირვანოზი – ამას ვის ვხედავ. მაეჟანი გვესტუმრა, მიჰრან!

მირიანი */ინტერესით შესცქერის/* – მაეჟანი გოლიათის დარი მახსოვდა.

მირვანოზი – შენ ბავშვი იყავ, რომ წავიდა, ამიტომაც გახსოვდა ასე. ფეროზ როგორ მყავს, მაეჟან, მოკეთე ჩემი...

მაეჟანი – უფრო კარგად, ვიდრე შენ გინდა. დაიახლოვა ქასრემ ფეროზ, ძმასავითა ჰყავს.

მირვანოზი – ბევრი ვიცი, თავის ძმას შხამსაც გაუმზადებს, თასით მიართმევს.

მაეჟანი – ძაღლთაპირო, ცოდვას მიხსენებ?! არ მეშინია სიკვდილისა, დამკარ მახვილი!

მირვანოზი */მაეჟანს მიაჩერდა/* – მიჰრან, შენ რას იზამდი?

მირიანი – რა უნდა მექნა, მახვილს დავკრავდი.

მირვანოზი – განა მექისეები ვართ, მიჰრან, მოვემსახურით ამ ვაჟბატონს, ჩვენივ ხელით ჭუჭყი ვუგოროთ, ვათავისუფლოთ ცოდვებისგან, შვება მოვგვაროთ?!

მაეჟანი – ის დღე, ის წუთი რატომ არ დაბრუნდება, როს შეაცდინე მაეჟანი, დააკარგვინე თავი თვისი, შიში აჭამე... მაშინ ხომ, მაშინ...

მირვანოზი – მაშინ, ალბათ, მოიქცეოდი შენ სხვაგვარად. ყველა ლაჩარი ასე ამბობს, ჩემო მაეჟან... ახლა საქმეზე... დაიმახსოვრე, მიჰრან შვილო, ესე ჩემი სიტყვა. შენი მტრისგანაც გამოსხლიტო უნდა ხეირი. სიკვდილი რაა, მიჰრან, ფუჰ და მორჩა, ანუ აღარ ხარ... უკეთესი არ იქნებოდა, მცირე უსტარი გაგვეგზავნა ფეროზისათვის. უსტარი ფეროზს- მაეჟანის დათხრილი თვალნი...

მაეჟანი – არა, არა! ეგ არა!!! მომკალ მირვანოზ!!! თუნდ მაწამე, ნუ დამაბრმავებ!...

მირვანოზი – */შესცქერის/* სიკვდილს კი გვთხოვდა... სიკვდილი რაა...

*/შემოდის აბეშურა./*

აბეშურა — ხმა მომესმა რაღაც საზარი... მირიან, რამე ხომ არ იტკინე!

მირვანოზი – არაფერი, აბეშურა, სულ არაფერი. */მირიანს გადაულაპარაკებს/* აბა, მიჰრან, დამანახე შენი მეფობა. */აბეშურას მიუახლოვდა/* ჩვენ, აბეშურა, სტუმარი გვყავს. ვსაუბრობდით მასთან ტკბილად. უეცრად კი... */ხანმოკლე პაუზა/* თვალში რაღაცა ჩაუვარდა... თვალი ეტკინა.

აბეშურა — თვალი ეტკინა?

მირვანოზი – დიახ, თვალი. ახლა რა უჭირს, კარგადაა. არა, მაეჟან!

აბეშურა – მაეჟან...

მირვანოზი – ხო, მაეჟანი გვესტუმრა მცხეთას...

აბეშურა – მაეჟანი... რაღაც მქონდა მასთან სათქმელი...

მაეჟანი – დამაბრმავე, მირვანოზ, ჩქარა... დამთხარე თვალნი, ჩქარა – მეთქი, ჩქარა, მირვანოზ!

აბეშურა */მაეჟანს მიაჩერდა/* – დამაბრმაველო... უცნაურია... რატომ უნდა დაგაბრმავონ, ძია მაეჟან? ცუდია ეგა... მტკივნეულია... მერე ველარა ხედავ, ძია მაეჟან... რა უნდა მეთქვა შენთვის, რაღაც მქონდა შენთან სათქმელი...

მაეჟანი */გაბოროტებით/* – არა მაქვს ცოდვა, სულ არა მაქვს! მოდი, მოდი, დამაცქერდი, არარას ვწვალობ! ცოდვა არა მაქვს, რად ვიწვალო?! მე რა ბრალი მაქვს...

აბეშურა – არა ვწვალობო... იტანჯები, ძია მეჟან... განა ვერ ვხედავ... როგორ ვხედავ... როგორრა ვხედავ!...

მაეჟანი – არ ვიტანჯები, არა, არა,! მე მართალი ვარ! მოვედი შენთან, არ მიმილე! შენს თავს აბრალე თუ რამ მოხდა, შენი ბრალია! დედოფლობასაც აღგიდგენდი, ეგ არ ისურვე!... მე ბრალი არ მაქვს, მართალი ვარ, მე მართლი ვარ!!!

აბეშურა – ხო, გამახსენდა...

მაეჟანი – ღალატი არ თქვა! მე ეგ სიტყვა არ მფერობს, არა! ასფაგურ თავად მღალატობდა, მახეს მიგებდა...

აბეშურა – მამაჩემი მახეს გიგებდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაეჟანი – ხო, ხო, მახეს... ის ფიქრობდა ჩემს მოკვდინებას. აგრე არ არის, მირვანოზ, უთხარ... უთხარ!

მირვანოზი – რის მოკვდინება, რა მოკვდინება, ასფაგური მოკვდა თავისით.

მაეჟანი – ... უთხარ, შე მართლაც ძაღლთაპირო, უთხარ მაცდურო, ვით აცდუნე შენ მაეჟანი!... ჰოი, ასფაგურ, ნეტავ მართლაც შენ გეღალატა... ჰოი, ასფაგურ, ცოდვას ცოდვა ვამატე, ძმაო! სად არის ის დრო, როს სილაღით ვიდოდით ომში! სად არის ის დრო, როცა ძმობა ძმობას ნიშნავდა! შიშმა დამჯაბნა, დამაოსა, დამაძაბუნა... შიშმა მაჭამა ვირის ჭკუა... შიშმა მოჰგვარა გულს სილაყე, მკლავს კი სიქლესე... აბეშურა, ყოველ ღამე ვიკლავდი თავსა... თან შევეჩვიე მე მაგ გრძნობას, თითქოს შევვუღლდით... დამკარ მახვილი, მამაშენის ხმალი მარტყია, ხმალი დაჰკარი მაეჟანსა, მაეჟანი თავს ვერ მოიკლავს...

აბეშურა */დააცქერდა/* – გაკოჭილია?! */მაეჟანთან ჩაიჩოქებს/* ვიცი მე... გამახსენდა... ძალა იხმარე, შეურაცხმყავ, მამაც მომიკალ... ვიცი, მაეჟან, გამახსენდა... რა საბრალო იყავი მაშინ... განა რა არის, რატომ ასე ან რისთვის ასე?! მიდიმოვდივართ, ერთმანეთს ვკლავთ სიტყვით და საქმით. თითქოსდა ფიქრი, ჩვენი ფიქრი ამისთვის ფიქრობს... თითქოსდა გული, ჩვენი გული ამისთვის ფეთქავს... მკვლელიცა და მოკვდინებულიც ორივე ისე საბრალოა, ისე ტანჯული... საბრალო არის ისიც, ისიც, მესამე, განზე... თუკი არ სტკივა საბრალოა, აბა, რა არის?... მირიან, შენ ხომ გებრალება მაეჟანი?

მირიანი – ხო, აბეშურა, მებრალება.

აბეშურა – მეც მებრალება... ნახე, სტკივა, მირიან, ხელნი... გაუკოჭავს ვიღაცას... ვინ არიან, რატომ კოჭავენ... იქნებ მიშველო, მირიან, ვერ ვხსნი...

*მირიანი მიუახლოვდება, მაეჟანს ხმალს შეხსნის. წამოაყენებს. ხელებს გაუნთავისუფლებს. მაეჟანი უხმოდ ემორჩილება მას.*

მირვანოზი – მოდი, აბეშურა, გავაცილოთ მაეჟანი, შორი გზა აქვს, სპარსეთში მიდის...

აბეშურა – მართლა?

მირვანოზი – ხო, მართლა... როდის იყო ტყუილს ვამბობდი... */ხელს მოხვევს მაეჟანს. გაჰყავს/* ესეც ასე, დაემშვიდობე აბეშურას, ჩემო მაეჟან!

მაეჟანი – */შედგა. აბეშურას მოხედა/* მე, აბეშურა... */აღარ დაასრულა სიტყვა. გავიდა/*

*მირვანოზი მალე შემობრუნდა.*

მირიანი – აბეშურა, მალამო თან გაქვს? მოდი, წამისვი მხარზე მალამო. მხარი მტკივა. ქასრემ მიკბინა...

აბეშურა – თვითონა მთხოვ? შენი პირითა?!

მირიანი – ხო. ძლიერ მტკივა.

აბეშურა – გინდა, გიცეკვო.

მირიანი – არა, აბეშურა, ცეკვა არ მინდა. მხარი მტკივა. მხარს ვუწამლოთ.

აბეშურა – ნუ გეშინია, მირიან, მოვარჩენთ ქასრეს ნაკბენს. */სამოსს ჩამოუწევს მხართან/* ნახე, თუ არ მოვარჩენთ. არ მიჯერებდი, გამირბოდი, აი, შედეგიც... როგორ გემჩნევა, შენც ხომ ხედავ! */მალამოს უსვამს/* ეს მალამო თეთრმა წერტილებმა მასწავლეს. ქასრეს ნაკბენს არჩენსო – მითხრეს. */თან მალამოს უსვამს/* რა კეთილი ხარ, მირიან, დღეს. კარგი დღეა... კეთილი დღეა...

მირიანი – კითხვა მაქვს შენთან, აბეშურა!

აბეშურა –– ბრძანე, მირიან!

მირიანი – კეთროვანები არ შეგეზიზღა?

აბეშურა – შემეზიზღა, მაგრამ რა მექნა... შემეცოდა...

მირიანი – არ შეგეშინდა მათთან მისვლა?

აბეშურა – რა უცნაურად ლაპარაკობ. რატომ უნდა შემშინებოდა, წამალი უნდა მიმეცა და...

მირიანი – გლახაკებთან სჭამე პური...

აბეშურა – მშიოდა, მირიან, მაშ რა მექნა?

მირიანი – ვერ მოხვიდოდი სასახლეში, აქ ვერ სჭამდი პურსა?!

აბეშურა – სადაც მომშივდა იქ შევჭამე. ეს რა უცნაურ კითხვებსა სვამ, მართლაც ბაღდი ხარ. */თან მალამოს უსვავს/*

მირიანი – ღმერთი არა გყავს, აბეშურა? არც კერპს სცემ თაყვანს, არც ცეცხლსა, არცა ციურ ვარსკვლავებს.

აბეშურა – როგორ არა... განა არ გითხარ... წერტილებს ვხედავ... როცა კეთილი წერტილებია, კარგია, მირიან, მაშინ... ჩიტებივით არიან... ლაღები, სუფთები, მხიარულები... კიდე ბოროტი წერტილებია... წავიდეს უნდა, გაქრეს უნდა... ცუდია ბოროტი წერტილები... თავს მატკიებს მე... ესეც ასე! */მალამო შეინახა/* დღეს კარგი დღეა... მოვარჩენთ ქასრეს ნაკბენს. აი, ნახავ, არც დაგემჩნევა... ოღონდ ასეთი დამჯერი იყავი და ისე მოვარჩენთ რომ... */მიდის/*

მირიანი – ტკივილს ვეღარც ვგრძნობ, აბეშურა. დიდი მადლობა!

აბეშურა */ელიმება/* – მადლობაო. სასაცილოა... მადლობასაც მიხდის... */გავა/* ხანმოკლე პაუზა.

მირვანოზი – აქ მეფე იყავ შენ, მიჰრან. ახლა წადი, ლაშქრობაშიც მეფე იყავი.

*მირიანი წამით შეხედავს მირვანოზს. სწრაფი, ენერგიული ნაბიჯით დასტოვებს სცენას.*

მირვანოზი – ... მაეჟანს თვალნი დასთხარეთ! გაუშვით მერე, წაჩანჩალდეს, ფეროზს ესტუმროს. */ხმალს დააცქერდა/* აი, ეს ხმალიც შეარტყით წელზე. – სპასპეტია, განა მდაბიო...

*ჩამობნელდა. ისევ ინათა.*

*სცენაზე კარა და სეფელია შემოვლენ.*

კარა – კერპთმთავარი მოკვდა დღესა. კერპთმთავარი უნდა ვირჩიოთ.

სეფელია – კაცი რომ იყო, ეგ ადგილი შენი ღირსია...

კარა – შენც კარგად იცი, ადგილს, ღირსებას, მე არ ვეძებ... სეფელია, ახლა მისმინე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე მაქვს შენთან საჩუმათო... მო, აქ ჩამოვსხდეთ! /პაუზა/ აგრე მომესმა, ლაყბობენ თითქოს, დედა კარას ლესბოსელ ქალთა სენი სჭირსო... თვალი მისწორე... /პაუზა/ არა... შენ არა... /პაუზა/ იქნებ იმან, იმ გომბიომ, ამასწინათ რომ შევიფარე...

**სეფელია** — ... ვერაფერს გეტყვი.

**კარა** — ნაწყენი ხარ. განა ვერ ვხვდები. /პაუზა/ მამაკაცებთან ომმა გამტანჯა... შენც ხომ იცი, როგორ ვილწვი ჩვენი რწმენისთვის... მხოლოდ ხანდახან მინდა სითბო... სილბილე ქალის ხასიათის... თავს ვუბრუნდები ამითი თითქოს... კერპმა მირჩია, სეფელია, ხილვად მეცხადა... მე არ მინდოდა, ასე მერგო, ეს დამეწერა... განა დაუშვებ, რომ ჩვენს რწმენას ჩრდილი მიადგეს? რომ შენი კარა ფეხქვეშ ათრიონ, სამარცხვინოდ ძელზე გააკრან?

**სეფელია** — უმალ მოვკვდები რწმენისათვის... შენთვისაც კარა... მხოლოდ საყვედურს ნუ კი იწყებ... რაც ის გომბიო...

**კარა** — მოვრჩეთ, არ გვინდა... ახლა წავალ, დავიბარებ, კარგად გამოვცდი. თუ რამე ეჭვი დამებადა, ალასრულოს გლახაკმა საქმე. დაგვანახოს თავის ხელობა.

**სეფელია** — ამბობს, ხელობა მკვლელისაო სრულყოფით ვიცი.

**კარა** — ჰოდა, ვნახოთ. ახლა წავედი, საღამოთი შემომიარე.

*/კარა გავა. სეფელია თვალს გააყოლებს/*

**სეფელია** */პაუზის შემდეგ/* — შენ ის გომბიო მოაკვლევინე, მერე მე ვიცი... /პაუზა/ მერე მე ვიცი, რანაირად გადაგიხდი ამ ღალატისთვის. ვისში გამცვალა, ვიღაც თარსში, კოკობზიკაში... სახეს მიქცევდა, დანახვისას მერიდებოდა. შენ დაბერდიო, ეს მაკადრა, სხვა რა ვიფიქრო... ასე გონიათ, სეფელია არ გრძნობს არაფერს... ასე გონიათ, რომ შერჩებათ მისი ღალატი... ახლა მკვლელმა ილაპარაკოს. ამ ღალტისთვის, ჩემს მაგივრად მკვლელმა თქვას სიტყვა.

*ბაქარი გამოჩნდა.*

**ბაქარი** — სეფელია, შენი ხმა არის?

**სეფელია** — ბაქარ, საიდან?

**ბაქარი** */ილიმება/* — არ შევმცდარვარ, მახსოვს შენი ხმა. */უახლოვდება/*

**სეფელია** */წამოდგა. ბაქარი ჩამოაჯინა/* — საბრალო ბაქარ, შე საბრალო, ეს რა გაცვია...

**ბაქარი** — საბრალო არ თქვა, მე არ მითხრა, არ მეკადრება...

**სეფელია** — საბერძნეთიდან ჩამოხვედი?

**ბაქარი** — ხო, რა ხანია.

**სეფელია** — სად იყავი, ალბათ მამულში?

**ბაქარი** — გავყიდე ისიც, აღვასრულო უნდა ნაფიქრი.

**სეფელია** — რა ნაფიქრიო, რასა ფიქრობ, რა გიდევს გულში?

**ბაქარი** — ... შენ აქ მკვლელზე ლაპარაკობდი. ვინ არის მკვლელი?! გამაცანი, სეფელია მკვლელი! ჩემს ჩანაფიქრს მკვლელი სჭირდება..

**სეფელია** — არის ერთი... შენც კი იცნობ... ვისთვის გსურს მკვლელი?

**ბაქარი** — განა ვერ ხვდები? ვინც დამიხშო თვალის სინათლე... ორი კაცია ამისთანა. — მირვანოზი და მაეჟანი. მათთვის მსურს მკვლელი. სახსარიცა მაქვს, არ ვიძუნწებ... */დაჩოქებას ცდილობს/* მხოლოდ მიშველე, სეფელია, ახლა მიშველე. დაგიჩოქებ თუნდაც, სეფელია, შურისძიების სავსე მთვარე უნდა დავინახო, სეფელია...

**სეფელია**— კარგი. დამშვიდდი.

**ბაქარი** — მითხარ დასტური.

**სეფელია** — დამშვიდდი-თქო, ფეხზე წამოდექ!

**ბაქარი** — შურისძიების სავსე მთვარე ოცნებად მექცა... მითხარ დასტური, სეფელია... მითხარ დასტური...

**სეფელია** — ადე, წავიდეთ... დასტური მითქვამს... */წამოდგომაში მიეხმარა/*

**ბაქარი** — მე არ ვიძუნწებ... მხოლოდ ახლა მეცი პატივი...

**სეფელია** — წავიდეთ, ბაქარ...

**ბაქარი** — მირვანოზი და მაეჟანი... ორი მკვლელობა, ორად ორი მხოლოდ მკვლელობა.

**სეფელია** — ჩუმად იყავი...

**ბაქარი** — ხმას არ დავძრავ... ხელი ჩამჭიდე...

**სეფელია** — საბერძნეთი როგორ დასტოვე?

**ბაქარი** — მშვიდობაა, კეთილდღეობა... წამოსვლის წინ სენატში ვიყავ. მერე გიამბობ... */გავლენ/* პირველი და მეორე უტყვი მოწმეები იყვნენ ამ სცენისა.

**მეორე** */მიაჩერდება მათ/* — სწორად გვაჩხავლა იმ თახსირმა... შეადედეს ჰაერი, შეადედეს... ყველამ ერთად მოიყარა ისევ თავი... დაამძიმეს ჰაერი, დაამძიმეს... იცი, რას გეტყვი? ერთი მაგრად... /პაუზა/ დავასრულო?

**პირველი** — რახან დაიწყე დაასრულე!

**მეორე** — მაშ, დავასრულო... კეთილი... ერთი მაგრად მი-მი-სკლინ-ტი-ააა, ამ ცხოვრებისთვის! მეფეებიდან დაწყებული, უკანასკნელი მდაბიოთი დამთავრებული, ყველასათვის მი-მი-სკლინ-ტი-ააა!!!

**პირველი** — აბეშურას გარდა.

**მეორე** */მოხედა/* — რა იცი ხოლმე, რა... რანაირი მუდო ხარ... ექსტაზში ვიყავ... */დაფიქრდა/* ექსტაზი ვახსენე? ვაი, აბსურდისკენ წაველ ისევ, დრო ავრიე.

**პირველი** — რა არის დრო?

**მეორე** — დრო ის არის, რაც მე და შენ კლანჭის წვერზე გვკიდია... დროისთვისაც მიმისკლინტია, მე უკვდავი ვარ!

**პირველი** — რა აიმყრალე ენა-პირი, ქალი ხარ ბოლოსდაბოლოს, არ გეკადრება!

**მეორე** — შენც ხომ ქალი ხარ?

**პირველი** — მეე? /პაუზა/ ხო, ქალი ვარ.

**მეორე** — ესე იგი დები ვყოფილვართ.

**პირველი** — ასე გამოდის. დები ვყოფილვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე — მაშ, მიპასუხე, შთამომავლობა ვით ვამრავლეთ, ვით განვიტოტეთ, სოფელ-ქვეყანას ვით მოვედეთ, საყორნეთი ვაბევრეთ როგორ?!

პირველი — როგორ ვაბევრეთ?

მეორე — ხო, როგორ, როგორ?

პირველი — ხომალდზე რომ აგვიყვანეს, უკვე განაყოფიერებულები ვიყავით.

მეორე /*თითქოს აღმოაჩინაო. ხმამაღლა*/ — მაშ, ქვრივები ვართ?!

პირველი /*დაიბნა*/ — ქვრივები? ხო, ქვრივები ვართ.

მეორე — შენი არ ვიცი, ჩემო კარგო, მაგრამ მე რომ ხომალდზე ამიყვანეს, ნამდვილად მახსოვს, დაბეჯითებითაც ვამტკიცებ, ქალიშვილი ვიყავი მაშინ...

პირველი /*უკიდურესი აღშფოთებით*/ — მე ამ... მე ამის... მე ამისატანა აღარ შემიძლია! მე ამ... მე ამას ველარ ავიტან!!! შენი ატანა მე აღარა მაქვს!!!

მეორე — რატომ ვითომ, რა დაგიშავე?

პირველი — როგორ თუ რა დამიშავე... როგორ თუ... რაც კარგია ხოლმე, სულ შენა ხარ?

მეორე — მერე ვინ გითხრა კარგიაო. მახსოვს, ისე განვიცდიდი, ისე ძალიან განვიცდიდი...

პირველი — ერთი კითხვა მაქვს შენთან!

მეორე — ბრძანე.

პირველი — ...მკვლელს არ იცნობ?

მეორე — მკვლელიო! ვისთვის გსურს მკვლელი?

პირველი — ...არის ერთი.

მეორე — მაინც, მაინც, მე რას მიმალავ?!

პირველი — შენთვის, შენთვის!!!

მეორე — მე კიდე შენთვის!

პირველი — პირველად მე დავიჩხავლე, — მე შენთვის!

მეორე — მეორედ კი მე დავიჩხავლე, — მე შენთვის!

შემოდის აბეშურა.

აბეშურა — გაიგეთ?!

მეორე — რა გავიგეთ? /*პირველს გადახედა*/ შენ გაიგე რამე?

აბეშურა — მირიანი სალაშქროდ წასულა!!!

პირველი — წავიდეს მერე... ჩვენ რა?!

აბეშურა — როგორ თუ რა?! ამას მე მეუბნებით?! როგორ თუ რა?!

მეორე — აბეშურა, ცოტა ნაცრისფერმა არ გადაგკრა?!

აბეშურა — მე წავედი, მირიანს უნდა დავეწიო...

პირველი — სად დაეწევი ახლა, დარიალანს იქნება უკვე...

აბეშურა — ... აკი არაფერი გაგვიგიაო... მე წავედი... ტკივა მირიანს მხარი... მე მელოდება... /*მიდის*/

მეორე /*პირველს*/ — რა ვუყოთ ამას! საგზალი მაინც არ გინდა, გოგო! მართლა ვერ არის ეს, ხომ იცი!!! აი, მიდის... წავიდა...

პირველი /*მეორეს*/ — სასახლის ირგვლივ, ტყე-ტყე ვატაროთ. ვითომ დარიალანის გზა არის. არ დაიმალა და...

მეორე — ...არ დაიმალა და, რა [illegible] ახლა! აბეშურა, აბეშურა !

პირველი — თავს შევიქცევთ გზა- გზა, აბეშურა!

/*გარბიან. თვალს მიეფარებიან. ცოტა ხანში კარა და ანაკი შემოდიან სცენაზე. ანაკს ხელმკლავი გაუკეთებია კარასთვის*/

ანაკი — ეს სამძიმარი, დედაო კარა, მიიღე ჩემგან წრფელი გულით... მოკვდა საწყალი კრპთმთავარი, განვიცადე მისი სიკვდილი...

კარა — მოკვდა საწყალი, მოკვდა...

ანაკი — სწორედ ამიტომ გეახელი, სამძიმარი მინდოდა მეთქვა...

კარა — მოკვდა, მოკვდა... დიდხანს იწვალა, მერმე კი მოკვდა...

ანაკი — მეც მაგას ვამბობ, მოკვდა საწყალი, ძლიერ დიდხანს იწვალა, ძლიერ დიდხანს იწვა ლოგინად... მერმე კი მოკვდა...

კარა — მოკვდა...მოკვდა...

ანაკი — მოხუცი იყო, კაცმა რომ სთქვას, ასაკსრული... მოსალოდნელი იყო მაინც მისი სიკვდილი.

კარა — ხო, ალბათ... სიკვდილი არცერთს არ გაგვახარებს...

ანაკი — მეც მაგას ვამბობ... ვის გაახარებს სიკვდილი, ვის, ვის დაივიწყებს?! სამწუხაროა... ბრძენი კაცი იყო...

კარა — კი... ბრძენი იყო კრპთმთავარი...

ანაკი — ავადმყოფობდა ძლიერ დიდხანს... გაწვალდა ძაან.

კარა — ხო, გაწვალდა... მერე კი მოკვდა...

ანაკი — მეც სამძიმარი მინდოდა მეთქვა, ამისთვის მოველ... /*პაუზა*/ მე კი ვარ ასე... არც ის ვიცი, რას ვემსახურო. ძალა მერჩის, მაგრამ რად გინდა, არვინ მიხმობს, არვინ მეძახის...

კარა — დიდი მადლობა სამძიმრისთვის...

ანაკი — რისი მადლობა, პატივს ვცემდი იმ კაცს, მიყვარდა...

კარა — კი, ბრძენი იყო კრპთმთავარი, ეს უდაოა...

ანაკი — ჰოდა... /*პაუზა*/ მეც მაგას ვამბობ... მოვაკლდით პატივი კრპთა. კაცი გვინდა... კაცი ძლიერი, მქონებელი, რომ კვლავ ვაშენოთ, ხალხის გულში რწმენა ჩავსახოთ!

კარა — შენც ხომ იცი, ანაკ, ამგვარ საკითხთ კრპი სწყვეტს თავად.

ანაკი — რომელი კრპი?

კარა — არმაზ კრპი სწყვეტს ამგვარ საკითხთ!

ანაკი — რაგვარ საკითხთ?...

კარა — ამგვარ საკითხთ!

ანაკი — აა, ამგვარ საკითხთ?! მეც მაგას ვამბობ... კაცი გვინდა, კაცი ძლიერი, მქონებელი...

კარა — მერე კი არის ვინმე ასეთი? მე ვერა ვხედავ...

ანაკი — არმაზ კრპი ავიხსნის ბაგეს, ის საუბრობდა შენის პირით.

კარა — როცა დრო მოვა, ალბათ მაუწყებს... ჯერ კი სდუმს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანაკი — არმაზს კერპი...

კარა /აწყვეტინებს/ — რა ხშირ-ხშირად ახსენებ კერპსა. ადრე, მახსოვს, ვჩხუბობდით კიდეც...

ანაკი — ის ადრე იყო.

კარა — ოქრო გვქონდა, არ იძლეოდი!

ანაკი — ოქრო სად მქონდა, სადა მქონდა მაგის სახსარი... /პაუზა/ მაგრამ ვიშოვნი.

კარა — რას იშოვნი?

ანაკი — ოქროს ვიშოვნი...

პაუზა.

კარა — ამასწინათ სიზმარი ვნახე... /*ანაკი რაღაცის თქმას აპირებს. კარა ხელის მოძრაობით აჩუმებს*/ ნუ მაწყვეტინებ... გავიხსენო უნდა ის სახე; იქ რომ მეცხადა, იმ სიზმარში, იქნებ ხილვაშიც... კერპებისაგან ხელდასხმული იდგა კაცი მაღალ მთაზედ... /*პაუზა. ანაკს მიაჩერდა*/ შენ ჩამოგგავდა, რომ იცოდე! მსგავსებას ვხედავ... კი, შენა გგავდა, როგორც მშობელს ჰგავს მისი შვილი.

ანაკი — რწმენა არის ჩვენი მშობელი. მშობლის პატივი, მოკრძალება გვმართებს შვილებს, ჩვენი ვალია!

კარა /*სახეში შესცქერის ანაკს*/ — გგავდაო ვამბობ. კი არ გგავდა, მგონი შენ იყავ! მგონიც არ მინდა. შენ მეცხადე მე იმ ხილვაში... შენ იყავ, შენა!

ანაკი — რწმენის სიმტკიცით გაძლიერდეს უნდა ქვეყანა! რწმენა ფარია, აბჯარია, მახვილი მტრისთვის...

კარა — სასწაული! სასწაული, აი, ეს არის! მე, კერპთმსახურს, ერთ მღილს მცირეს, არარაობას, კერპებისაგან ხელდასხმული კაცი მეცხადა!

ანაკი — კერპთა სამსახურს, პატივგებას კერპნი ხედავენ. უპატიობა კერპებისგან მკაცრად ისჯება!!!

კარა — მორწმუნენო! აქ მოდით ჩემთან! მორწმუნენო, ხილვა მეცხადა! არმაზ კერპმა რა დაგვტოვა მწყემსის გარეშე... კარა გიხმობთ, კარა გეძახით, არარაობა, მღილი ერთი, კერპთა მსახური!...

*გადიან. ცოტა ხანში სეფელია და მალემრბოლი შემოდიან. სეფელიას ხელი ჩაუჭიდია მალემრბოლისათვის. აქეთ-იქეთ იცქირება.*

სეფელია — არავინ გვხედავს! მომისმინე მაშინ, ძვირფასო! როს აღასრულებ შენ იმ საქმეს, ჯავახეთს გელი. იქ, ჩემს მამულში განვმარტოვდეთ, დავიდოთ ბინა... იქ, ჩემო კარგო, მარტოობის მოვკლათ წუხილი... ხომ მეთანხმები, ხომ ჩამოხვალ?!

მალემრბოლი — აკი შევთანხმდით...

სეფელია — იქნებ დამბერდი, არ გინდივარ? ტყუილს ნუ მეტყვი.

მალემრბოლი — ჯერ სადარდო არაფერი გაქვს.

სეფელია /*ჩაცქერება*/ — თუმც მდაბიურად სწონი სიტყვას, მაგრამ იცოდე, ეგ მდაბიური მიმოზანტვა გულს კვლავ მიხარებს... არაფრად ვაგდებ მე ქვრივობას საურმაგისას, არაფრად მიღირს ფეროტათოსელ აზნაურთა სისხლის ყივილიც. მარტოობასთან ბრძოლა არის თურმე მთავარი. მე მარტოობით გავიტანჯე, ღალატმა მომსპო. ყველა მღალატობს, ყველა მტოვებს, სადღაც ჰქრებიან. შენ კი აქა ხარ, ჩემს გვერდით ხარ, შენ არ დამტოვებ... ხომ ასეა, თქვი, მიპასუხე!

მალემრბოლი — დაგვინახავენ. ახლა წადი, ბარგი აკრიფე.

სეფელია — ერთი კოცნაც... /*კოცნის*/ ვერ კი გშორდები... /*გაიცინა*/ ჭეშმარიტება სად არისო?

მალემრბოლი — ბაიყუშის სკორეში, მგლის ხახაში, ვირის საშოში.

სეფელია /*იცინის*/ — მეც აგრე ვფიქრობ. კარგად ამბობ, შენი ხმა მათრობს... მაშ წაველი, როგორცა ვთქვით ისე მოვიქცეთ. /*მიდის*/

მალემრბოლი /*თვალით გააცილა*/ — ...იქნებ მომკლა მე სეფელია, ჩემი თავისთვის ერთადერთხელ მეცა პატივი. /*მოფარებულ ადგილს ნახავს, იქ წამოწვება*/

*სცენის სიღრმიდან ჯოხის ცეცებით მოდის მაეჟანი.*

მაეჟანი — შიშთან შეულღდა მაეჟანი, შიშმა დაჯაბნა. ახლა ცეცებით დადის ქვეყნად, მიწას ამძიმებს. ვინა ხართ მანდა, შემომხედეთ, სიტყვა ისმინეთ! — ხმალი დაჰკარით მაეჟანსა, მაეჟნი თავს ვერ მოიკლავს... ხორხთან სიცივე მახვილისა, ნერწყვის გაშრობა, წყვდიადი ღამის უსაშველო, ცოდვის სიმძიმე. არავინა ხართ? სულ მარტო ვარ?! სიტყვა არ გესმით!!! — ხმალი დაჰკარით მაეჟანსა, მაეჟანი თავს ვერ მოიკლავს... ჰოი, ასფაგურ, თანშეზრდილო, ერთგულო ძმაო! ჰოი, ასფაგურ, ჩემო მეფევ, ჩემო უფალო!... სიკვდილს ნატრულობს მაეჟანი, თავს კი ვერ იკლავს, გულში სილაყე ჩაეღვარა, მკლავში სიქლესე... წელზე მარტყია შენი ხმალი, ცოდვით დავმძიმდი... დავეხეტები ალმა-დალმა, შიში თანა მდევს. ვერ მოვახერხე თავის მოკვლა— სიკვდილი მინდა! დაჰკათ, დაჰკარით მაეჟანსა ეგ ცოდვის ხმალი, ხმალი დაჰკარით მაეჟანსა, მაეჟანი თავს ვერ მოიკლავს...

*სცენის კუთხიდან ბაქარი გამოჩნდა.*

ბაქარი — მაეჟან!

მაეჟანი — შენ ვინა ხარ, კეთილო კაცო! შენთან მოვდივარ, კეთილო კაცო, აჰა, ეს ხმალი, კეთილო კაცო! აჰა, ეს ხმალი, აი, მაეჟან... ხმალი დაჰკარი მაეჟანსა, მაეჟანი თავს ვერ მოიკლავს...

ბაქარი — ბაქარი ვარ...

მაეჟანი /*შეჩერდა*/ — მაშ, განგებას მოუგზავნიხარ... მოდი, ბაქარ, ანდა მე მოვალ... აი, ხმალი... შენის ხელით მინდა სიკვდილი...

ბაქარი — დააბრმავესო მაეჟანი, ეგ მართალია?!

მაეჟანი — რას კითხულობ ჩემს სიბრმავესა! შენ ვინც დაგიხშო თვალის ნათელი, მისივე ფეხით მივა სიკვდილთან. მე აქა ვარ...

ბაქარი — მეც აქა ვარ, მაეჟან. /*ხელს მოუსვამს სახეზე*/ ამოლამებულ ფოსოების ვიგრძენ სიგრილე... /*მაეჟანს ხმალს ართმევს. შემართავს კიდეც. მაეჟანი უძრავად დგას*/

მაეჟანი — დაჰკარი, ბაქარ, დაჰკა ეგ ცოდვის ხმალი მაეჟანსა, იცდის მაეჟან...

ბაქარი — სიკვდილს მიილებ... მოემზადე... ჩემი ხელით მოკვდეს მაეჟან... სიკვდილს მიილებ... ხომ აქა ხარ?...

მაეჟანი — ხო, არ ვტოკდები... მიდი, ბაქარ, გიცდის მაეჟან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქარი – სიკდილს მიიღებ... თუმცა არა, არ მიიღებ სიკვდილს, მაეჟან! /ხმალს მოისვრის/ აი ხმალიც, ვისროლე, გაქრა! /იცინის/

მაეჟანი – ასფაგურის ხმალია ეგა! ხმალი რა უყავ, მაგ ხმლით უნდა მოკვდეს მაეჟან.

ბაქარი – არ არის ხმალი... გაქრა ხმალი... წამო, ვეძებოთ!

მაეჟანი – რად გადამიგდე ხმალი, ბაქარ, ვიპოვნოთ ხმალი!... ხმა საით იყო? თითქოს იქით, ასე მომესმა!

ბაქარი – კი, იქით იყო. არა, აქეთ, აქეთ დავარდა...

მაეჟანი – უნდა ვიპოვნო, უცილობლად უნდა ვიპოვნო... რად გადამიგდე ხმალი, ბაქარ?! ვიპოვნოთ ხმალი...

ბაქარი – ვიპოვნით ალბათ... შენ ის მითხარი, სპარსეთში იყავ მგონი, ქასრესთან.

მაეჟანი – აქეთ კი არა, ხმა იქიდან მომესმა, ბაქარ!... სად გადამიგდე ხმალი, ბაქარ!... ჩემი სიკვდილი მაგ ხმლით უნდა მოხდეს, ბაქარ!...

ბაქარი – ვიპოვნით-მეთქი. დარდი ნუ გაქვს, ვიპოვნით მაგ ხმალს...

მაეჟანი – ცოდვის ხმალია, ჩემი ცოდვა ჰკიდია ზედა. უნდა ვიპოვნო... არავინ ხართ! მოდით, გვიშველეთ!

ბაქარი – წამო. წამომყევ, ხმა იქიდან მომესმა ცხადად...

მაეჟანი – ვითომ იქიდან?

ბაქარი – ხო, იქიდან... მაშ, სპარსეთს იყავ. ქასრემ როგორ მიგიღო, ის თქვი?!

მაეჟანი – კარგად, კარგად... მე მომეჩვენა, რომ აქეთკენ იყო ეგ ხმა, ბაქარ!...

ბაქარი – დამიჯერე-თქო, ვიპოვნით... მაშ, კარგადო... თავად სპარსეთზე რაღას მეტყვი?

მაეჟანი – დღეს სპარსის ჯარი ყველას სჯობნის, შიშის ზარსა სცემს... სწორედ მივდივართ, როგორ ფიქრობ?

ბაქარი – აქვე იქნება, ნუ გეშინია... სპარსის ჯარი ყველას სჯობნისო... მაგაში კი ვერ შევთანხმდებით... საბერძნეთი სპარსეთს მოაშთობს...

მაეჟანი – ეს რა მესმის... საბერძნეთი სპარსეთთან მოვა?!

ბაქარი – არ იცქირები წინ, მაეჟან!... შენ სახელმწიფოს მოწყობა თქვი, ის როგორი აქვთ?

მაეჟანი – ერთპიროვნული არის სპარსეთს ქასრეს მეფობა.

ბაქარი – მეც მაგას ვამბობ. სიბნელეა, ეგა, სიბნელე! აი, საბერძნეთს სენატი აქვს!... იცი, რა არის სენატი? გაგიგია? არ გაგიგია!...

მაეჟანი – რისი სენატი, რა სენატი. აზანზარებს ქასრე ქვეყანას...

ბაქარი – მალე ნახავ, მაეჟან, მალე, რასაც სპარსეთს უზამენ ჰრომნი...

მაეჟანი – სპარსეთსაო?! საბერძნეთი სპარსეთს ფეხზე ჰკიდია... საბერძნეთიო, სენატიო... რა გამაცინე...

/გავლენ/

სცენის მარცხენა კუთხიდან, ფარდას ამოფარებული პირველი გამოჰყოფს თავს.

პირველი – რა საოცრად დაწყვილდნენ!

მეორე /სცენის მარჯვენა კუთხიდან. ისიც ფარდას ამოფარებული გამოჰყოფს თავს/ – საოცრადო? ლაყე სიტყვაა... რა საზარლად დაწყვილდნენ!... ასე აჯობებს.

პირველი – შენ აქ რა გინდა?

მეორე – აბა, სად მინდა?!

პირველი – სძინავს აბეშურას, მარტო დასტოვე ტყეში?..

მეორე – შენი მორიგეობის დრო არ იყო? მეც ავყევი ქარსა, ქარი აქეთ უბერავდა, გამოვინანავე...

პირველი – ვინ არის, ეს უსინდისო... შენი მორიგეობის ჯერი იყო, შენი!

მეორე – კარგი, ნუ ჩხუბობ... სიო ახლა ტყისკენ უბერავს, ხოდა, იქით გავინანაოთ...

პირველი – ...ისე, მართლაც, რა საზარლად დაწყვილდნენ!..

მეორე – საზარლად მჭახე სიტყვაა... უფრო რბილად ვთქვათ, რა საოცრად დაწყვილდნენ... ასე აჯობებს...

პირველი – წეღან არა თქვი, არვარგა ეგ სიტყვაო! არა, არა, უნდა მოვნახო ამისთვის მკვლელი...

მეორე – მკვლელს ეძებ?

პირველი – შენთვის ვეძებ, დიახაც, შენთვის...

მეორე – წამო, გაგაცნობ...

პირველი – გამაცანი, ხო, გამაცანი...

მეორე – აბა, შემსუბუქდი... ახლა სიო დაუბერავს...

/გაუჩინარდნენ/

სცენის სიღრმიდან მირიანი მოდის.

მირიანი – მირვანოზ! მირვანოზ! გავიმარჯვეთ მირვანოზ!

მირვანოზი სცენის კუთხიდან გამოვა. მირიანს შესცქერის.

მირიანი – ჩვენ გავიმარჯვეთ! ნაალაფარი წამოვიღეთ უძვირფასესი. შევკარით კარი დარიალის, ბარბაროსნი ვასაჭურისეთ. ფიქრიც არ გქონდეს, ვერ გაბედავენ ვეღარასოდეს აქეთ გადმოსვლას!

მირვანოზი – მოლაშქრენი როგორ გიცქერდნენ?

მირიანი – ალტაცებითა, მირვანოზ, ალტაცებით მიცქეროდა ჯარი. სიტყვას ელოდა მხოლოდ ჩემგან, მეც შევძახებდი – ეჰე, ბიჭებო! შუბლზე შუბლი ვუხეთქოთ მაგათ, წვერით ვითრიოთ, სისხლი შევსვათ, მაგ ურჯულოთა. შევძახებდი, მირვანოზ, ამას, ხმალს ვიშიშვლებდი, – წინ, წინ-მეთქი, ერთსაც ვიტყოდი. შეიკრებოდა ჯარი მუშტად, ამიტაცებდა. მეც მისი სუნთქვით, ოხშივარით გაგიჟებული ხმალს ვიქნევდი მარჯვნივ და მარცხნივ, მტერს ვკაფავდი, ციხეს ვიღებდი!!! მე ლაშქრობისთვის ვარ გაჩენილი, ახლაღა მივხვდი, მირვანოზ, ამას...

მირვანოზი – ბრძოლაში დაგჭრეს?

მირიანი – სულ მცირედი მქონდა ჭრილობა. აღარც კი მახსოვს, შენ ნუ სწუხხარ...

ეროვნული

მირვანოზი /აწყვეტინებს/ — მე არ ვწუხვარ. ეგ კარგიცაა... გაავრცელებენ ხმას მეომარნი, მეფე გმირია, უშიშარი, — ამას იტყვიან.

მირიანი — გმირი იქნება არც კი ვიყო, არც გოლიათი, მაგრამ, მირვანოზ...

მირვანოზი /აწყვეტინებს/— ეგ არა თქვა... შენ გმირი ხარ... გოლიათი ხარ, ათი ათას გოლიათს სჯობნი... დაიმახსოვრე, ეგ არა თქვა. გმირი ხარ შენა!..

მირიანი — ხო, გმირი ვარ!.. დიდი ძალა მაქვს, დიდი რწმენა ჩემი თავისა.

მირვანოზი — ზედმეტმა ბაქმა, ბაქი-ბუქმა სიბრმავე იცის. სხვანი იტყვიან შენს გმირობას. შენ ჩუმად იყავ... ახლა მისმინე, ხალხში გაეც ოქრო თუ არა?

მირიანი — ხო, გავეცი. მაშ, რას ვიზამდი?

მირვანოზი — ანაკ აკურთხეს დღეს კერპთ-მთავრად... ნახე ანაკი?

მირიანი — დიახ, ვნახე. ნაალაფარი მივართვი ანაკს. კერპებს შევწირე.

მირვანოზი — ბრბოში რა იგრძენ, ეს მითხ-არი?!

მირიანი — თვალები... ერთნაირი ყველას თვალე-ბი... ერთი წყვილი თვალი ვიგრძენ ამდენ ხალხში, ოღონდ დიდი, ფართო თვალები... ნესტოები ვიგრძენ ბრბოში, დაბერილი ნესტოები ვიგრძენ ბრბოში... დაღე-ბული სულ ოდნავ პირი და სურვილი რაღაც ცხელი ამოძახილის!..

მირვანოზი — ეგ კარგია... ამოიძახეს ფილტვე-ბიდან, მეფეს დიდება!

მირიანი — ამოიძახეს, ერთ სუნთქვაზე ამ-ოიძახეს, — გავმაღლდი თითქოს, გავძლიერდი. ძლი-ერ მეამა...

მირვანოზი — შენ მეფე ხარ!

მირიანი — მეფე ვარ, მეფე!

მირვანოზი — ხალხის გარეშე მეფე არ არის... შენ კი მეფე ხარ... შენმა ხალხმა გმირად დაგსახა... ვით ამჟუებულ დედაკაცსა ძლიერი მამრი, მათაც ასე სურთ ახლა მეფე... გაუფრთხილდი მათ სურვილს, მიჰრან! ძლევამოსილი მეფე ხარ შენა... შენ მეფე ხარ!

მირიანი — ხო, მეფე ვარ! რა მათრობელი გრძნობაა, ღმერთო...

მირვანოზი — ახლა მისმინე... ერთს გეტყვი მხოლოდ... არ შეიცხადო, ასე არის მეფეთა წესი... ძალიან მალე მოისურვებ ჩემს მოკვდინებას... მაგას ნუ იზამ... გაიხსენე ჩემი ამაგი... მითხარი მხოლოდ, თუკი წასვლა დამიგვიანდა... ნიშანი მომეც, ჩემით წავალ, მე გაგეცლები... ქასრეს ბევრი ჰყავს კიდევ შვილი, მომანდობს ერთ-ერთს... თუკი დამცალდა, იქნებ მეფედ გავზარდო ისიც... შენ კი, მეფე ხარ ახლა უკვე... მშვიდად დაგტოვებ...

მირიანი — მამამთუძე ხარ, მირვანოზ, ჩემი. ამას რას ამბობ?.. მე მოვისურვებ შენს მოკვდინებას?! ჩემს ყურს რა ესმის!!!

მირვანოზი — ვიცი რას ვამბობ... კარგად ვიცი... მართალიცა ვარ... რომ არ მცოდნოდა, ახლა შენთან არ ვიქნებოდი... სიკვდილი რაა მეფეთათვის ქვეშევრ-დომისა... სულის შებრკვა, ფუჰ და მი[illegible] ხარ... ახლა წამოდი, ერთი კაცი უნდა გაგაცნო. კარი გაალეთ, მეფე მოდის! მეფეთ-მეფე მიჰრანი მოდის!!! /გადიან/

*სცენის სიღრმიდან აბეშურა, პირველი და მეორე მოდიან.*

აბეშურა — თითქოს მეცნობა აქაურობა. რა ხანია რაც მოვდივართ, მოვდივართ, მაინც ტყეში ვართ...

პირველი — ასეთი გზაა, რა ვუყოთ...

მეორე — ხომ არ მოგშივდა, აბეშურა, დასვენე-ბა ხომ არ გინდა?

აბეშურა — არა, რას ამბობ, დროზე გადავც-დეთ ნეტა დარიალს...

პირველი — სასახლეში გეძებენ ალბათ..

აბეშურა — ქასრეს ნაკბენი მოვურჩინო უნდა მირიანს...

მეორე — ფეხსაცმელიც თითქოს გაგიცვდა...

აბეშურა — არაუშავს, მაინც ჩავაღწევ დარ-იალანს. მირიანი ისეთი კეთილი არის, ისეთი დამჯერი გახდა... თვითონ მომიხმო. — აბეშურა, მოდი ჩემთან, მხარს ვუწამლოთო, — აგრე მითხრა!.. მადლობაც მითხრა, მადლობაო... სასაცილო ბიჭია მირიანი... ეს ხევი მახსოვს თითქოს... წრეზე ხომ არ დავდივართ?

პირველი — აბეშურა, ოდესმე ჩვენგან ტყუილი გახსოვს?

აბეშურა — არა, არ მახსოვს...

მეორე — ხოდა, რა გინდა?! მოგვენდე, მივალთ დარიალამდე!..

აბეშურა — რა ხანია უკვე მოვდივართ. შარაც ვერ ვნახეთ, სულ ტყე და ტყე... არც არავინ შეგვხ-ვდა...

პირველი — მოდი, დაისვენე... წყაროს წყალი შესვი...

აბეშურა — არა, არა! წავიდეთ, მეჩქარება...

მეორე — ფეხსაცმელიც გაგიცვდა... გტკივა ალბათ ფეხები, აბეშურა. დაისვენე, ასე აჯობებს.

აბეშურა /შეჩერდა/ — ეს ხეც მახსოვს... აი, აქ ჰქონდა ამ ხეს ნიშანი... შეშისმჭრელმა სანახევროდ ჩაჩეხა ეს ხე... მიატოვა. საბრალო ხე... მახსოვს ეს ხე. წრეზე დავდივართ.

პირველი — წრეზე დავდივართ?

მეორე /პირველს/ — შენი ბრალია, შენი! სწორი გზიდან გადაგვაცდინე!

პირველი — აქეთ კა არა, იქითაო... ვინა თქვა, ვინა!!!

აბეშურა — ნუ ხმაურობთ, რა... ხმაური ცუდ-ია... თავი მტკივა მე... იქნება მგზავრი შეგვხვდეს ვინმე... მან მიგვასწავლოს დარიალის გზა...

პირველი — მგზავრი?

მეორე — აი, მგზავრი, აბეშურა. ხის ძირას სძინავს. ჩვენ ჩამოვსხდებით, შენ კი მიდი, კითხე მგზავრსა...

პირველი — ხო, ჩვენც აქვე ვართ... ეგ მიგას-წავლის დარიალის გზას.

აბეშურა — აბა, მგზავრი?! /მიმოიხედა. შემ-დეგ შენიშნა მალემრბოლი. მიუახლოვდა. პირველი

და მეორე სცენის წინა პლანზე, საპირისპირო კუთხეებში ჩამოსხდნენ/ კეთილო კაცო! /მხარზე შეახო ხელი/ ჩავძინებია, მაპატიე... გზა ამერია... დარიალანის გზას ვერ მეტყვი?!

მალემრბოლი /ფეხზე წამოდგა/ – ...სიცოცხლე დედოფალსა, დღეგრძელობა!

აბეშურა – იქნება მითხრა ახლა სად ვარ, თორემ მოვდივარ, მოვდივარ, იცი რამდენი ვიარე! ფეხსაცმელიც გამიცვდა...

მალემრბოლი – სასახლესთან, დედოფალო, მახლობელ ტყეში. აი სასახლეც, მოდი აქეთ, აქედანაც ჩანს.

აბეშურა – სასახლესთანო? მართლაც ასეა... მირიანი მელის ალბათ. მე კი აქ, სასახლესთან... გზის დასაწყისში...

მალემრბოლი – მირიანი უკვე დაბრუნდა, დედოფალო. ულაშქრია მეფეს კარგად. ნაალაფარიც დიდი იყო, ერთობ ძვირფასი.

აბეშურა – მირიანი დაბრუნდა? სასახლეშია ახლა მირიანი? განა რა იცი, შენ ვინა ხარ?

მალემრბოლი – იქნებ გახსოვარ, ასფაგურ მეფის მალემრბოლი ვიყავი ერთ დროს.

აბეშურა /დააკვირდა/ – კი... გავიხსენე... მართლაც ის ხარ, ახლა გიცანი. სიმართლე გითხრა, შემეშინდა უეცრად ძლიერ. თითქოს ზმანებას მიგამსგავსე... მალემრბოლო, მაშ, მირიანი სასახლეშია? ახლა დავმშვიდდი...

მალემრბოლი – მალემრბოლი უკვე აღარ ვარ. თუ კი გახსოვს, მსახურადაც ვედექი ბაქარს. მერე საბერძნეთს გავემგზავრეთ. იქ კი რა ვიცი, რა არ ვიყავ: მეთევზე, ქურდი, მიწის მუშა, ბაყის ამლები, მკვლელიც ვიყავი, აი, ცხოვრება მაშინ იყო!

აბეშურა – მკვლელიო... უცნაურია... განა ესეც ხელობაა? ვისა ჰკლავდი?

მალემრბოლი – ხან ვის, ხან ვის. დღეს კი შენ მოგკლავ, დედოფალო, ასე ისურვეს...

პაუზა.

აბეშურა – შენ ცხადი ხარ? არ მატყუებ?

მალემრბოლი – ცხადი ვარ, დედოფალო, ყველაფერზე, ყველაზე ცხადი!..

აბეშურა – არა, შენ ზმანება ხარ...

მალემრბოლი – ზმანება არ ვარ, დედოფალო. მე ცხადი ვარ, – ყველაფერზე, ყველაზე ცხადი... მოდიოდნენ ჩემთან ცალ-ცალკე, ერთის მთხოვდა ყველა, მავალებდა, ოქროს მაძლევდა. მოგვიკალიო აბეშურა, გვაწუხებს ძლიერ...

აბეშურა – ყველა მთხოვდაო, ასე ამბობ. ვის რას ვუშავებ... მოგვიკალიო აბეშურა?! ტყუილია. შენ ზმანება ხარ, ავი ზმანება. გიცანი, ვიცი, ავ წერტილებს გაუმართავთ ალბათ ღრეობა, ერთად შეყრილან, კაცის სახე მიუღიათ... შენ ზმანება ხარ...

მალემრბოლი – აკი გითხარი, დედოფალო, კვლავ გიმეორებ: მე ცხადი ვარ, ყველაფერზე, ყველაზე ცხადი!.. /ბაქარის მიერ გადაგდებულ ხმალს შენიშნავს/ ეს რა ძვირფასი ნაპოვნია, ბედის წყალობა... მეცნობა კიდეც, მამაშენის მახვილს ჰგავს სწორედ... /ქარქაშიდან ამოიღებს მახვილს. მთელი ამ სცენის განმავლობაში ხელში ათამაშებს მახვილს. ხან ათვალიერებს, ხან პირს უსინჯავს და ა.შ/ გავს კი არა, ასფაგურის მახვილია, თავსაც კი დავდებ.

აბეშურა – მომისმინე, გამაგებინე... ყველა მთხოვდაო, ხომ ასე თქვი!

მალემრბოლი – ზოგი მთხოვდა, ზოგიერთი ფულს მიტოვებდა,ზოგიერთი კი მავალებდა... სხვანი გერჩიან, დედოფალო, მე არას გერჩი. გულიც კი მტკივა, კარგის მეტი შენგან რა მახსოვს... მაგრამ მკვლელი ვარ, დღეს ესაა ჩემი ხელობა...

აბეშურა – სხვანი მერჩიან?! ვინ სხვანი, ვინა?! აბა მითხარი, თუ ცხადი ხარ, თუ არ მატყუებ. მე კი მოგისმენ, უმალ გამხელ შენს სიცრუეში. შენ ცხადი არ ხარ, ზმანება ხარ...

მალემრბოლი – მე ცხადი ვარ ... ყველაფერზე, ყველაზე ცხადი! ანაკი იყო ჩემთან...

აბეშურა – ანაკი? რაო, ანაკმა, რას მერჩოდა, რა დავუშავე?

მალემრბოლი – ჩემს გოგონასო ყვარობს მიჰრანი, ახლა უკვე კერპთმთავარი ვარ, შემეფერება სიმამრობა მეფისო, მითხრა... აბეშურა კი ხელს გვიშლისო...

აბეშურა – გამოგტეხე... ზმანება ხარ! არ გცოდნია. რა დროს ცოლია, – რისი ცოლი, რისი სიმამრი... მხარი ტკივა ბავშვსა, უნდა უწამლოს აბეშურამ.

მალემრბოლი /აწყვეტინებს/ –კარაც იყო...

აბეშურა – კარა? რაო კარამ?

მალემრბოლი – აბეშურა ხმებს მივრცელებს, თითქოს ლესბოსელ ქალთა სენი მჭირსო. რწმენას ადგება დიდი ჩრდილი აბეშურასგან, არც კერპებსა სცნობს, ამიტომაც მოკვდესო იგი.

აბეშურა – ტყუილია, რა ხმებს ვავრცელებ, რისი კერპი, რომელი სენი? შენ ზმანება ხარ, ავი ზმანება...

მალემრბოლი – სეფელიამაც იგივე მთხოვა...

აბეშურა – სეფელიამ?

მალემრბოლი – ხო, სეფელიამ... მილალატაო აბეშურამ, მარტოობისთვის გამწირაო გამდელი თვისი... ბაქარმაც მთხოვა...

აბეშურა – შენ ცხადი ხარ?

მალემრბოლი – მე ცხადი ვარ, დედოფალო, – ყველაფერზე, ყველაზე ცხადი!

აბეშურა – რაო ბაქარმა?

მალემრბოლი – აბეშურასთვის დავკარგეო თვალის სინათლე. ოცნება მქონდა, მასთან ერთად შევსულიყავ მცხეთასო ჯარით. არ შემარჩინა ის ოცნება აბეშურამ, მის თვალებში ცრემლის ვარსკვლავს არ აქვსო ბინა...

აბეშურა – შენ ზმანება ხარ, არა მჯერა შენი სიცხადის! წადი, გამშორდი, ზმანება ხარ, არა ხარ ცხადი!.

მალემრბოლი – მაეკანიც მოვიდა ჩემთან... დიდი ცოდვა მაქვს ჩადენილი აბეშურასთან. მაწვალებს, მტანჯავს, მაძაბუნებს, – ამიტომაც მომიკალიო ჩემი ცოდვა – ასე მთხოვა, ცრემლიც დაღვარა...

აბეშურა – ცრემლი დაღვარა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალემრბოლი – მომხედე აქეთ, დედოფალო, ყური დამიგდე! კაცნი ვართ ჩვენა, სიმხეცითა მხეცთაც ვცობივართ!.. ზმანება არ ვარ, მე ცხადი ვარ – ყველაფერზე, ყველაზე ცხადი! მირვანოზმა თქვა, აღარ არისო აბეშურა უკვე საჭირო, ჰყავსო ამ ხალხს მეფე, გიჟი დედოფლის გარეშედაც გაჰყვებაო იმ მეფეს ხალხი...

აბეშურა – გიჟი დედოფლის გარეშეცო? იმ მეფესაო?!

მალემრბოლი – მირვანოზთან მიჰრანიც იყო...

პაუზა.

მალემრბოლი – მირვანოზთან მიჰრანიც იყო... მირვანოზმა თქვა...

აბეშურა – რაო იმ მეფემ?!

მალემრბოლი – მოითმინე, დედოფალო, იქამდეც მივალ... მირვანოზმა თქვა, გიჟი დედოფლის გარეშედაც გაჰყვებაო იმ მეფეს ხალხი...

აბეშურა – აკი ვერ ამბობ... სიტყვას წელავ, ალბათ იგონებ... არა, არა, შენ ზმანება ხარ, არა ხარ ცხადი...

მალემრბოლი – მე ცხადი ვარ, – ყველაფერზე, ყველაზე ცხადი!.. იმ მეფემ კი, გამიღიმა, გამებასა, შინაურულად მომიკითხა, მერე ისე, სხვათაშორის ჩააგდო სიტყვა. – მომაბეზრაო აბეშურამ ძალუმად თავი; დამსდევს ეს გიჟი, ბალახ-ბულახს მისვამსო მხარზე... იქნებ ეშველოს, მოისვენოს, მიიძინოსო...

აბეშურა – ...მიიძინოსო?

მალემრბოლი – სამუდამოდ მიიძინოსო...

აბეშურა – შენ ცხადი ხარ?

მალემრბოლი /ხმლის ათამაშებას/ – ყველაფერზე, ყველაზე ცხადი...

აბეშურა – რატომ ასე, ან რისთვის ასე... თითქოსდა ფიქრი, ჩვენი ფიქრი ამისთვის ფიქრობს; თითქოსდა გული, ჩვენი გული ამისთვის ფეთქავს... რა სიცივეა... ვბორიალობთ ამ სიცივეში... არ ვარ საჭირო... მე ვერ ვათბობ... სამწუხაროა... /პაუზა/ ქასრეს ნაკბენი ყველას მხარზე... ჰე, რამდენია!!! ქასრეს ნაკბენი, აი ცხადი!.. არ მინდა, არა!!! /გამოექნება. თავად წამოეგება მახვილს, რომელსაც მალემრბოლი მხოლოდღა დაახვედრებს მას/

მალემრბოლი /პაუზის შემდეგ/ – ...ასფაგურის მახვილს დააკვდა. სწორედ ეს არის სრულყოფილება ჩვენი ხელობის, სათქმელი დაგრჩეს – ბრალი არა მაქვს, მე არ მომიკლავს, მოიკვდინა მოკლულმა თავი!.. /წარმოდგენის დამთავრებამდე მალემრბოლი იგივე პოზაში გაქვავდება/

მეორე /საკმაოდ ქირგილულად, ისე რომ ორი ფანდლი არ იგრძნობოდეს/ – ...მოიკვდინა მოკლულმა თავი?!

პირველი – ხო, მოიკვდინა მოკლულმა თავი.

*წამოდგებიან. მკაცრი თუ საზეიმო ნაბიჯით გაემართებიან აბეშურასკენ. ერთდროულად ასწევენ აბეშურას, – ხელზე გადაიწვენენ, ასე გამოემართებიან წინ. უკანა პლანზე დანარჩენ მსახიობთა გაქვავებული სილუეტები გამოჩნდა. თითქოს ვიღაცას უხმობენო. პირველი და მეორე წამით შეყოვნდნენ.*

მეორე – გესმის, უხმობენ...

პირველი – აბეშურა! აბეშურა! – როგორ არ მესმის.

მეორე – ერთმანეთის დასანახად ეძებენ.

პირველი – ჩვენ კი აქა ვართ; სასახლესთან, მახლობელ ტყეში. წამოდი იქით, ასწლოვანი მუხის ფესვებს შევეფარო, ბინა დავიდოთ.

მეორე /თითქოს კვლავ მიაყურადა/ – აბეშურა! აბეშურა!

/მრავალმნიშვნელოვნად უსვამს ხაზს/ – ასე უხმობენ!..

*იგივე საზეიმო ნაბიჯით გამოსწევენ წინ. ჩამოსხდებიან. აბეშურას მუხლებზე გადაიწვენენ.*

მეორე – შევუდგეთ?

პირველი – უნდა შევუდგეთ...

*ორივენი ერთდროულად დახრიან თავებს. თითქოს აბეშურას ჩაუნისკარტესო. იგივე შემზარავი ეფექტით მოქმედებენ, რა შეგრძნებასაც წყლის სმის დროს სტოვებს ხოლმე ფრინველი. ჩანისკარტების შემდეგ თავს მაღლა ასწევენ. წამით თვალებში რაღაც გაუმაძღარი, ავი, უაზრო უჩნდებათ.*

მეორე – ბედისწერის ბედისწერაც ესა ყოფილა! გიყვარს, გიყვარს, მერმე კი სძიძგნი... /ჩაუნისკარტა/

პირველი – იქნებ დღეს მოკვდა სიბრალული?.. ამ ქვეყანაზე შეწყდა სუნთქვა ადამიანის?.. /ჩაუნისკარტა/

მეორე – მაშ, საკვებიც გამოგვილევია... დაზოგვით ძიძგნე! /ჩაუნისკარტა/

პირველი – ჯოჯოხეთია, მაშ რა არის! გიყვარს, გიყვარს, მერმე კი სძიძგნი...

/ჩაუნისკარტა/

მეორე – ბედისწერის ბედისწერაც ესა ყოფილა... /ჩაუნისკარტა/

პირველი /გადმოხედა/ – ისევ მარტონი... კვლავ მარტონი...

მეორე – ქართლის გზებზე ორი ბრმა დაძრწის; მათ ავედევნოთ, ყური ვუგდოთ, თავი გავირთოთ...

*თითქოს ამ სიტყვებზე ჩაუდგესო სული, მაყანი და ბაქარი ერთმანეთის გვერდიგვერდ მდგარნი, ჯოხის ცაცუნით, ძალიან ნელი ნაბიჯით გამოსწევენ წინ.*

პირველი – ხო, დავინახე! ქართლის გზებზე ორი ბრმა დაძრწის...

მეორე – ყორნის თვალები... ყორნის სული...

პირველი – ყორნის თვალები, ყორნის სული... ჩვენ ვერ გვხედავენ, ჩვენ კი ვხედავთ, კოსმოსსაც ვერთვით...

მეორე – ჩვენ თვალები ვართ, თვალებს ვხუჭავთ, მაინცა ვხედავთ...

*ორივენი ერთდროულად დახუჭავენ თვალებს.*

*სცენის სიღრმიდან წამოსულმა ბრმებმა მხოლოდ სცენის შუამდე მოაღწიეს. იდუმალი მდუმარე მიჰყვებათ მათ. თანდათან ქრება შუქი. "აბეშურა! აბეშურა! – მოისმა შორეული ხმა.*

*შუქმა იკლო.*

ფარდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გიგა მახვილაძე

### შეგონება

ნუ შეაფასებ
ცხოვრებას მკაცრად,
დასაბამიდან
ასეა მუდამ:

მიდის ის, ვისაც
არ უნდა წასვლა,
რჩება ის, ვისაც
სიკვდილი უნდა.

●

იქ, სადაც ხშირად ნებივრობს ძალა,
არ მიაწვდიან ავადმყოფს წამალს.

იქ, სადაც ხშირად ბობოქრობს შური,
ვერ შეისრულებ ვერასგზით სურვილს.

იქ, სადაც ხშირად ზეიმობს შუღლი,
ზეცა ეხსნება ყოველმხრივ უღირსს.

იქ, სადაც ნორმად ქცეულა ცოდვა,
ფასი არა აქვს არაფრის ცოდნას.

### ბედნიერების მოსვლამდე

*ვუძღვნი ქ-ნ ელდინოს*

გავყურებ სივრცეს ნისლიანს
და სულაც არ მემღერება,
რა ვქნა, ჯერ ისევ ძილშია,
არ მოდის ბედნიერება.

ის დრო წავიდა, ელდინო,
მრწამსს ვარდებით რომ ვმოსავდით,
შენც არაფერი გეტკინოს
ბედნიერების მოსვლამდი.

### ტერენტი გრანელს

თმას ქალღმერთივით გაიშლის ქარი,
შენს აკაციას მოსწყდება ტოტი,
შეგაჟრიალებს საფლავში ღამით
და შენს ძვირფას დას დაუწყებ ლოდინს.

მოგეახლები ცისფერი ქნარით,
მთვარეც ჩვენს ახლოს ყოფნას ისურვებს,
მერე საფლავზე ჩადგება ქარი
და ვიკამათებთ მე და სიჩუმე.

●

სამოცდაათის
ალმართს შევები,
ჭკნება ნარგიზი
სულში დარგული,

სად მიყვებიან
დღეებს დღეები,
სად არის მათი
ბოლო სადგური?!

### სიჩუმე

ბერდება ჩემი ცოდვილი ლეში,
სული კი ისევ ჭაბუკად რჩება
და გამოუცნობ კოსმიურ ხმებში
ბგერად შეცურვით პოულობს შვებას.

ზოგჯერ ზარივით ხმიანობს სული,
თითქოს აფხიზლებს იმ ქვეყნის მკვიდრებს,
ზოგჯერ კი უსმენს ბინდისფერ დუმილს
და ბევრ რაღაცას სიჩუმით იგებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეიმზ ჯოისი

# ულისე

## მე-18 ეპიზოდი

## პენელოპე

თარგმანი და კომენტარი
ნიკო ყიასაშვილისა

ჰო რადგან ადრე არასოდეს გაუკეთებია ასეთი რამ ორი კვერცხის საუზმე რომ მოეთხოვა ლოგინში სიტი არმზ ოტელის შემდეგ როცა ვითომდა ხმაწასული იწვა და ცდილობდა მისი უდიდებულესობით დააინტერესებინა ის ბეხრეკი ქნი რიორდანი რომელზედაც დიდი გავლენა მაქვსო ეგონა და მას კი ერთი გროშიც არ დაუტოვებია ჩვენთვის ყველაფერი საკუთარი თავის და საკუთარი სულის მოსახსენიებლად უდიდესი წუწურაქი კაცმა რომ თქვას ეშინოდა 4 პენი დაეხარჯა თავის დენატურატში გამომაყრუა ყველა თავისი სატკივარით ნამეტანი ბევრი ქონდა სალაქლაქო პოლიტიკაზე და მიწისძვრებზე და სამყაროს დასასრულზე მოდი ჯერ ცოტა გავერთოთ ღმერთმა ნუ ქნას ყველა ქალი მასავით იყოს საბანაო კოსტუმებს და ჩახსნილ საკინძეებს ესხმოდეს თავს რა თქმა უნდა არავის მოუნდებოდა მას სცმოდა ვფიქრობ ღვთისმოსავი იყო რადგან არც ერთი მამაკაცი ორჯერ არ შეხედავდა იმედია მასავით არასოდეს ვიქნები საოცარია რომ არ ითხოვდა სახეები დაგვეფარა მაგრამ რა თქმა უნდა ზრდილი ქალი იყო და მისი ჭიჭინა ლაპარაკი ბნი რიორდანი ისა და ბნი რიორდანი ესა ალბათ გაუხარდა მისგან რომ გამოიკეტა და მისი ძაღლი ჩემ ბუჩქს რომ ყნოსავდა და სულ მეჯიკავებოდა ქვედატანის ქვეშ რომ შემძვრომოდა განსაკუთრებით იმ დროს მაინც მომწონდა რომ ზრდილობიანად ეპყრობოდა მოხუც ქალს და ოფიციანტებსა და მათხოვრებსაც ცრუ ამპარტავანი არ იყო თუმცა ყოველთვის არა ოდესმე თუ მართლაც სერიოზულმა რამემ შეაწუხა გაცილებით უკეთესია მაგათთვის საავადმყოფოში მოთავსება სადაც ყველაფერი სუფთაა მაგრამ ვგონებ ამისთვის ერთი თვის ჯიჯღინი დამჭირდებოდა ჰო და მერე საავადმყოფოს მედდა გამოჩნდება ხალიჩაზე იქამდე გააჩერებინო სანამ გამოაპანღურებენ ანდა მონაზონი მაგისი უხამსი ფიტოსურათის მსგავსი ისეთივე მონაზონია როგორც მე არა ჰო რადგან ისეთი უსუსურები არიან და ზლუქუნებენ როცა შეუძლოდ გრძნობენ თავს ქალი სჭირდებათ კარგად რომ გახდნენ ცხვირიდან სისხლი თუ დაედინა იფიქრებ ვაიმე ტრაგედიაა და კიდევ მომაკვდავსახიანი სამხრეთ წრიულ ქუჩაზე ფეხი რომ იღრძო მომღერალთა გუნდების წვეულებაზე შუგარლოუფის მთასთან პირველად რომ ჩავიცვი ის კაბა მისს სტეკმა ყველაზე დამჭკნარი ყვავილები მოუტანა კალათის ძირიდან ამოღებული რადაც უნდა დაჯდომოდა კაცის საძილე ოთახში უნდა შეეღწია თავისი შინაბერა დედაკაცის ხმით ცდილობდა წარმოედგინა თითქოს მისი გულისათვის კვდებოდა *აღარასოდეს დამენახოს შენი სახე* თუმცა წვერიანი უფრო მამაკაცურად გამოიყურებოდა ცოტა მეტად წაზრდილი მამაც ასე იყო საწოლში ამას გარდა ვერ ვიტან შეხვევას და წამლის მიცემას როცა სამართებლით კოჟრის მოჭრისას ფეხის თითი გაიჭრა შეეშინდა სისხლი მომეწამლებაო მაგრამ ისე რომ მოხდეს მე გავხდე ავად მაშინ წარმომიდგენია რა ყურადღებას მხოლოდ რა თქმა უნდა ქალი ამას მალავს რომ არ შეაწუხოს რასაც ისინი აკეთებენ ჰო საიდანღაც მოვიდა დარწმუნებული ვარ მისი მადის მიხედვით ყოველ შემთხვევაში სიყვარული არა თორემ საჭმელს არ მიეკარებოდა სულ იმაზე იფიქრებდა ასე რომ შეიძლება ერთერთი იმ ქუჩის ქალთაგანი იყო თუ მართლაც იქიდან მოვიდა და სასტუმროს ამბავიც ტყუილების ბოღჩა იყო რაღაცის დასამალად ჰაინზმა გამაჩერაო ვინ შემხვდაო მენტონი გახსოვსო და კიდევ ვინ დაიცა გავიხსენო ის დიდი ბალღისსახიანი ვნახე და ახლად დაქორწინებული როგორ ეარშიყებოდა ახალგაზრდა გოგოს პულზ მირიორამას მოხეტიალე შოუზე და ზურგი შევაქციე როცა მოულოდნელად გამოხტა სახეზე ეტყობოდა თითქოს რაღაც დააშავა თუმცა ისეთი რა მოხდა მაგრამ თავხედობა ეყო გამარშიყებოდა ერთ დროს დიდი ვინმე გონია თავისი თავი და მისი დაბინდული თვალები ყველა ბენტერაზე უფრო

დასასრული. იხ. „მნათობი", № 9-10

ბიბლიოთეკა

ვინც კი ოდესმე შემხვედრია და მაგას ქვია ვექილი მხოლოდ იმიტომ რომ მეჯავრებაა დიდხანს ჭიდაობა საწოლში და ეგ თუ არა მაშინ რომელიმე კახპა სადღაც რომ გადაეყარა ანდა მოჩანგლა ჩემსავით კარგად რომ იცნობდნენ ჰო რადგან გუშინწინ რაღაც წერილს ჯღაპნიდა შევედი წინა ოთახში გაზეთში რომ მეჩვენებინა დიგნამის სიკვილის ამბავი თითქოს რაღაცამ მიკარნახა და საშრობი დააფარა ვითომ საქმეზე ფიქრობდა ისე რომ ადვილი შესაძლებელია ვილაცისთვის იყო ვინც ფიქრობს ჩვარიაო რადგან ყველა კაცი ცოტათი მაინც ასეთია მის ასაკში განსაკუთრებით ორმოცს რომ უკაკუნებს ესეც ასეა ქალი რამდენსაც უნდა იმდენ ფულს გამოცანცლავს ლაქუცით ბებერი სულელი ყველაზე დიდი სულელია და შემდეგ როგორც ყოველთვის ჩემ დუნდულებზე კოცნა იმის დასაფარავად ის კი არა რომ მენაღვლებოდეს ვის რას უშვება ანდა ადრეც ხომ ვიცოდი თუმცა მინდა გავიგო ვინაა რომ სულ მუდამ ცხვირწინ არ მყავდნენ იმ ბოზანკალა მერისავით ონტარიო ტერასზე ბამბადადებულ ტრაკს რომ გამოიშვერდა ამის გასაღიზიანებლად გულის ამრევია იმ წათითხნილი ქალების სუნი რომ უდის ამას ერთხელ თუ ორჯერ ეჭვი გამიჩნდა როცა მომიახლოვდა გრძელი თმა რომ ვუპოვე პალტოზე გარდა იმ შემთხვევისა როცა სამზარეულოში შევედი ვითომ წყალს სვამდა 1 ქალი არ ყოფნით სულ მაგის ბრალი იყო რაღა თქმა უნდა მსახურების ხელიდან წასვლა მერე იტყოდა ესეც ჩვენთან ერთად მიუჯდეს საშობაო მაგიდას თუ შეიძლებაო ოჰ არა გმადლობთ მხოლოდ ჩემ სახლში არა კარტოფილს რომ მპარავდა და კიბორჩხალებს დუჟინი 2/6 მამიდამისის სანახავად მიდიოდა გეთაყვა ჩვეულებრივი ქურდობა აი რა იყო მაგრამ დარწმუნებული ვიყავი სწორედ იმასთან ჰქონდა რაღაც ასეთი რამე არ გამომეპარებოდა ამან მითხრა საბუთი არა გაქვსო ოჰ რა თქმა უნდა იმისი საბუთი იყო მამიდამისს ძალიან უყვარდა კიბორჩხალები მაგრამ მავახსენე რასაც ვფიქრობდი მასზე მთავაზობდა რატომ არსად გადიხარო მარტო რომ დარჩენილიყო მასთან ისე არ დავეცემოდი მეთვალთვალა მათთვის გოგოს ოთახში ვიპოვე ლეკვერთხები პარასკევს შინ რომ არ იყო ეს საკმარისი იყო ჩემთვის მეტისმეტიც საქციელი წაუხდა როცა ერთი კვირის ვადა მივეცი დათხოვნამდე უმაგათოდ ჯობია იოლად წასვლა თვითონ უფრო სწრაფად ვალაგებ ოთახებს მარტო დაწყევლილი სადილები და ნაგვის გადაყრა დავუტოვე ამას ასეა თუ ისე ან ის გოგო ტოვებს სახლს ან მე მეთქი ვერც მივეკარები ამას თუ ვიფიქრებ იმ ტურტლიან უსინდისო მატყუარა და ფეთხუმთან იყო უტიფრად რომ უარყოფდა და ტუალეტში რომ ღიღინებდა კიდეც რადგან ფიქრობდა ბედი წყალობდა ჰო რადგან ამ ვაჟბატონს ამის გარეშე ამდენხანს არ შეეძლო ამიტომ სადღაც უნდა ქნას ეს ამასწინ ჩემ დუნდულებზე გაათავა როდის იყო იმ საღამოს ბოილანმა მაგრად რომ მომიჭირა ხელი როცა ტოლკას პირას მივდიოდით *ჩემ ხელში ხელი* მოიპარება აი ასე პასუხად ცერი მივაჭირე ხელზე თან ვღიღინებდი ახალი *მთვარე მაისისა სიყვარულის* სხივებს გამოსცემს რადგან ეს აზრზეა ჩვენ შესახებ ასეთი სულელიც არ არის მან თქვა სახლში არ ვსადილობ და გეიეტიში მივდივარო თუმცა არ ვაპირებ აშკარა საბუთი მივართვა ღმერთია მოწამე ეს მაინც რაღაცნაირი ცვლილებაა არ შეიძლება სულ ერთსა და იმავე ქუდში გქონდეს თავი ან იქნებ ფული ვაჩუქო რომელიმე ლამაზ ყმაწვილს ამის გასაკეთებლად რაკი თვითონ ვერ ვახერხებ ახალგაზრდას რომ მოვწონებოდი მარტო დარჩენილები ცოტას შევაცბუნებდი კიდეც ჩემ ახალ ლეკვერთხებს დავანახებ ერთს ისე შევხედავ გავაწითლებ შევაცდენ ვიცი რას გრძნობენ ახლადშელინლლული ლოყებიანი ბიჭები ანძრევენ მთელ საათს წელავენ კითხვა პასუხი გააკეთებდი ამას და იმას მენახშირესთან ჰო ეპისკოპოსთან ჰო გავაკეთებდი ძოვუყევი ერთი მოძღვარი თუ ეპისკოპოსი რომ მეჯდა გვერდზე ებრაელების ტაძრის ბაღში როცა იმ მატყლის რაღაცფს ვუქსოვდი დუბლინში პირველად იყო რა ადგილია ეს და სხვა ძეგლების შესახებ და არაქათი გამაცალა ქანდაკებებით გაღიზიანება დავუწყე მისი ხასიათის ფინთი მხარე გამოვაღვიძე ვინ გიტრიალებთ ფიქრებში მითხარით ახლა ვიზე ფიქრობთ მითხარით ვინ არის რა ქვია ვინ მითხარით რა გერმანელი იმპერატორია ჰო წარმოიდგინე მე ის ვარო იფიქრე იმაზე გრძნობ მასო ცდილობდა ბოზივით მომქცეოდა რასაც ვერასოდეს მოახერხებდა თავიდან უნდა ამოიგდოს ახლა მის ასაკში უბრალოდ დამღუპველია ნებისმიერი ქალისათვის და არავითარი დაკმაყოფილება ვითომ ეს მსიამოვნებს სანამ გაათავებს და მერე ისევ თვითონ ვათავებ და ეს ტუჩებს გიფერმკთალებს ყველაფერი მორჩა გათავდა მთელი ეს ენის ტარტალი ამაზე მხოლოდ პირველადაა შემდეგ კი ჩვეულებრივია უბრალოდ აკეთებ და აღარ ფიქრობ ამაზე რატომ არ შევიძლია აკოცო კაცს ისე რომ ცოლად არ გაყვე პირველად ზოგჯერ გაგიჟებით მოგინდება და საოცარი გრძნობა გეუფლება თავს ვერ იკავებ მინდა ვინმე კაცი ერთხელ მისი თანდასწრებით მომეხვიოს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკოცოს მაგარ მკლავებში კოცნას არაფერი შეედრება გრძელი და მხურვალე სულამდე რომ გწვდება თითქმის დამბლადაცემული ხარ მერე მეჯავრება ის ალსარება მამა კორიგანთან უნდა წავსულიყავი ხელი შემახო მამაო მერე და რა დაშავდა ამით სად და მე ვუთხარი არხის ნაპირზე სულელივით მაგრამ თქვენი პიროვნების რა მიდამოში შვილო ჩემო ფეხზე უკან მაღლა დიახ საკმაოდ მაღლა იქ რითაც ჯდებით ხოლმე დიახ ოჰ ღმერთო ვერ იტყოდა პირდაპირ ტრაკზეო და ამით მორჩებოდა და გაათავებდა ეგ რაღა შუაში იყო და თქვენ კი დამავიწყდა როგორ თქვა არა მამაო და მე მუდამ ვფიქრობ ნამდვილ მამაზე რისთვის უნდოდა ამის ცოდნა როცა მე უკვე ალსარება ვუთხარი ღმერთს კოხტა პუტკუნა ხელი ქონდა ხელისგული მუდამ ნოტიო არ შემზიზღდებოდა რომ შემხებოდა ვგონებ მასაც რასაც მისი ულლიანი ხარის კისერი მაფიქრებინებდა ნეტა თუ მცნობდა საალსარებოში მე ვხედავდი მის სახეს ის ვერ ხედავდა ჩემსას რა თქმა უნდა არ მობრუნდებოდა და არ იკადრებდა მაინც თვალები დაწითლებული ქონდა როცა მამამისი მოკვდა ქალისთვის დაკარგულები არიან რა თქმა უნდა საშინელია როცა მამაკაცი ტირის მით უფრო ესენი მინდა რომ რომელიმემ ჩამიხუტოს თავის შესამოსელში და საკმევლის სუნი რომ ასდის პაპივით თანაც მღვდელთან საშიში არ არის გათხოვილი თუ ხარ თვითონაც ძალიან ფრთხილობს მერე აძლიოს რაღაც მის უწმინდესობა პაპს ცოდვის გამოსასყიდად ნეტა თუ დარჩა კმაყოფილი ჩემით ის არ მემეწონა გასვლისას ჰოლში უკნიდან რომ წამომიტყაპუნა ფამილიარულად თუმცა კი გამეცინა მაგრამ ცხენი ხომ არა ვარ ან ვირი იქნებ მამამისისაზე ფიქრობდა საინტერესოა თუ გაიღვიძა ფიქრობს ჩემზე თუ სიზმარს ხედავს მე თუ მხედავს ვინ მისცა ის ყვავილი ვიყიდეო მითხრა რაღაც სასმელის სუნი უდიოდა ვისკი არა არც პორტერი იქნებ სახამებლის წებო რომლითაც აბრებს აკრავენ სიამოვნებით მოვწრუპავდი იმ შესახედად მიმზიდველ მწვანე და ყვითელ ძვირფას სასმელებს ცილინდრიანი თეატრალები რომ სვამენ ერთხელ გავსინჯე ამერიკელი ბოზანკალა რომ ახლდა ჭიქაში თითი ჩავუყავი როცა მამაჩემს საფოსტო მარკებზე ელაპარაკებოდა რა ძალიც ჰქონდა თავს იკავებდა არ ჩასძინეოდა უკანასკნელად როცა შემდეგ პორტვეინი და პაშტეტი გემრიელი მომლაშო ჰო მეც მშვენივრად ვგრძნობდი თავს და დავიღალე და მკვდარივით ჩამეძინა როგორც კი ლოგინში მივეგდე სანამ იმ საზარელმა ქუხილმა არ გამომაღვიძა თითქოს ქვეყნის დასასრულიაო ღმერთი იყოს ჩვენი მოწყალე ვიფიქრე ზეცა რისხვით ჩამოგვექცა მეთქი თავზე როცა პირჯვარი გადავიწერე და ვთქვი ავე მარია. იმ საზარელი ჭექა-ქუხილივით გიბრალტარზე მეორედ მოსვლასავით მერე მოდიან და გეუბნებიან ღმერთი არ არსებობსო რა უნდა გააწყო როცა ყველაფერი ირყევა და ინგრევა მხოლოდ ისღა რომ შეეგუო სანთელი რომ დავანთე იმ საღამოს კარმელიტების სამრეკლოში უაიტფრაიერის ქუჩაზე მაისის თვისთვის ჰოდა აკი იღბლიანი გამოდგა თუმცა მასხრად ამიგდებდა რომ გაეგო რადგან არასოდეს არ დადის წირვაზე ან საეკლესიო შეკრებაზე ამბობს შენი სული შენ სული არ გაქვს შიგნით მხოლოდ რუხი ნივთიერება რადგან არ იცის რას ნიშნავს როცა გაქვს ჰო როცა ლამფა ავანთე რადგან 3 თუ 4 ჯერ მომანთხია იმ უზარმაზარი წითელი მხეცით მეგონა ვენა თუ რა ჯანდაბას ეძახიან ლამის გაუსკდეს მეთქი თუმცა არც ისეთი დიდი ცხვირი აქვს ერთსაათიანი ჩაცმის და სუნამოს დასხმის და თმის დავარცხნის შემდეგ ფარდები ჩამოვუშვი ყველაფერი გავიხადე რკინასავით ან რაღაც სქელი ძალაყინივით ამდგარი მთელი ხნის განმავლობაში კიბორჩხალები თუ ქონდა ნაჭამი ვფიქრობ რამდენიმე დუჟინი გვარიანად იყო ჯანზე მოსული არა ჩემ სიცოცხლეში არასოდეს მიგრძვნია ვინმეს ამხელა ქონოდა რომ გაგრძნობინოს თითქოს აივსე მერე ალბათ მთელი ცხვარი შეჭამა ასეთი რატომ შეგვქმნეს დიდი ნახვრეტით შუაში ულაყმა რომ შემოგცეს რადგან სულ ეს არის რაც უნდათ გამოხედვაც შეუპოვრად უხამსი აქვთ თვალები ნახევრად დავხუჭე მაინც ისეთი საოცრად დიდი რაოდენობის თესლი არა ქონდა როცა გამოვაღებინე და ჩემზე გავათავებინე მით უფრო რომ ამხელა აქვს ძალიან კარგი თორემ წესიერად ვერც გამოვიბანდი უკანასკნელად გავათავებინე შიგ კარგ ჭკუაზე არიან გამოიგონეს მთელ სიამოვნებას რომ კაცი იღებს მაგრამ აბა ერთი თვითონ განიცადონ გაიგებდნენ რა გადავიტანე მილი როცა გავაჩინე არავინ დაიჯერებს მერე კბილები რომ ეჭრებოდა მაინა პიურფოის ქმარი კიდევ თავისი ბაკენბარდებით მისცხობს და წელიწადში ერთხელ მუცელს გამოუბერავს ერთი ან ტყუპი ბავშვით საათივით რეგულარულად სულ საფენების სუნით რომ არის გაჟღენთილი ერთერთი მოუსვენარას თუ რაღაცას ეძახიან პირწავარდნილი ზანგია ხუჭუჭა თმა ღმერთო დიდებულო ბალღი შავკანიანია უკანასკნელად რომ ვიყავი იქ მთელი არმია დაერია ერთმანეთს ისე ღრიალებდნენ საკუთარ ხმას ვერ გაიგონებდი ამბობენ ჯანმრთელობისთვის მარგიაო ჰოდა ვერ ისვენებენ სანამ არ გაგბერავენ სპილოსავით ან არ ვიცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასავით ხომ არ გამერისკა ერთიც მეყოლა თუმცა არა მისგან მაგრამ ცოლიანი რომ იყოს დარწმუნებული ვარ კარგი ჯანმრთელი ბავშვი ეყოლებოდა თუმცა პოლდის მეტი თესლი აქვს ჰო ძალიან კარგი იქნებოდა ამ შეხვედრამ ჯოუზი პაუელთან და დასაფლავებამ და ფიქრმა ჩემზე და ბოილანზე ალბათ ისე გააღიზიანა რაც უნდოდა ის იფიქროს თუკი სიკეთეს მოუტანს ვიცი ერთმანეთს ეკურკურებოდნენ როცა იქ გამოვჩნდი ეს ეცეკვებოდა და ერთად ისხდნენ გარეთ ჯორჯინა სიმპსონის მოწყობილ ახალსახლობის წვეულებაზე მერე უნდოდა ჩაეგონებინა ჩემთვის თითქოს არ ემეტებოდა მისი ნახვა უკავალრებოდ ამიტომ მოვაწყეთ გამწარებული კამათი პოლიტიკაზე ამან დაიწყო და არა მე როცა თქვა რომ ჩვენი მეუფე დურგალიაო ბოლოს ამატირა ქალი რა თქმა უნდა ისეთი მგრძნობიარეა ყველაფრის მიმართ მერე სასტიკად ვბრაზობდი რომ დავუთმე მხოლოდ იმის გამო რომ ვიცოდი გულგრილი არ იყო ჩემდამი და პირველი სოციალისტი სწორედ ის იყოო[1] მითხრა ვბრაზობდი ვერაფრით ვერ გამოვიყვანე მოთმინებიდან ისე კი ბევრი რამე იცის განსაკუთრებით ჩვენი სხეულისა და შიგნეულობის შესახებ ხშირად მინდოდა თავადაც მესწავლა რა გვაქვს შიგნით საოჯახო საექიმო წიგნით მუდამ ვცდილობდი თუნდაც ოთახი ხალხით ყოფილიყო სავსე თვალი არ მომეცილებინა მისთვის და მისი ხმა გამეგონა თავი მოვიკატუნე თითქოს იმ შემთხვევის შემდეგ ნაწყენი ვიყავი რადგან ეჭვიანობდა როცა კი მეკითხებოდა ვისთან მიდიხარ და მეც ვპასუხობდი ფლორისთან მეთქი და მაჩუქა ლორდ ბაირონის ლექსები და სამი წყვილი ხელთათმანი შევრიგდეთო ისე რომ ადვილად შემეძლო ნებისმიერ დროს შემომერიგებინა ვიცი ეს როგორ კეთდება თუნდაც კვლავ დაახლოვებოდა და სადმე მის შესახვედრად გასულიყო მივხვდებოდი ხახვის ჭამაზე თუ უარს იტყოდა ბევრნაირი ხერხი ვიცი ვთხოვ ბლუზის საყელო გამისწოროს ან სახლიდან გასვლისას ვუალით და ხელთათმანებით შევეხები მერე 1 კოცნა საკმარისია სულ შეაპროწიალებს მაგათ კეთილი და პატიოსანი შევხედავ წავიდეს იმასთან ის რა თქმა უნდა მოხარული იქნება თავი მოიკატუნოს ვითომ გიჟდება ისე უყვარს მაგრამ ამით ვერ შემაშინებს თვითონ მივალ პირდაპირ თვალებში ჩავაშტერდები და ვკითხავ მართლა გიყვარს მეთქი ვერ გამაცურებს მაგრამ ამან კი შეიძლება მართლა წარმოიდგინოს რომ ნამდვილად და დაღვარჭყნილი სიტყვებით დაუწყებს ახსნას როგორც მე ამიხსნა თუმცა ჯოჯოხეთური რამ იყო მისგან ამის ამოქაჩვა თუმცა ესეც მომწონდა მაგისი თავშეკავებულობა და [illegible] წამოეგება სხვის ჰადაჰა აპირებდა იმ საღამოს სამზარეულოში კარტოფილის ღვეზელს რომ ვამზადებდი რაღაცა მინდა გითხრაო მაგრამ თავიდან მოვიშორე ვითომდა უგუნებოდ ვიყავი ხელები და მკლავები ცომფქვილში მქონდა ამოთხვრილი ასეა თუ ისე მეტისმეტად გადავუხსენი გული წინა საღამოს სიზმრებზე რომ ვლაპარაკობდით ისე რომ არ მინდოდა მეტი ცოდნოდა ვიდრე საჭიროა მუდამ მეხვეოდა ხოლმე ჯოუზი მისი თანდასწრებით მას გულისხმობდა რა თქმა უნდა ყველაფერს მის დასანახად და გასაგონად აკეთებდა და როცა სიყვარულით ვთქვი თავით ფეხებამდე დავიბანე სადამდეც შეიძლებოდა მეთქი მაშინვე მეკითხება შესაძლებელიც დაიბანეო ქალებს მუდამ ასეთი რამეებისკენ მიყავთ საუბარი როცა კაცი იქაა ცუღლუტი თვალების პაჭუნით და ვითომ არაფერიო როცა ასეთი რამეები ესმის მისგან სულაც არ მიკვირს რა აფუჭებს რადგან იმ ხანებში ძალიან ლამაზი იყო ცდილობდა ლორდ ბაირონს დამსგავსებოდა ვუთხარი მომწონდა თუმცა კაცის კვალობაზე მეტისმეტად ლამაზი ხარ მეთქი და მართლაც ცოტა გავდა ჩვენ დანიშვნამდე თუმცა ჯოუზის მაინცდამაინც არ მოწონდა იმ დღეს სიცილით დამასკდა ფერდები თავს ვერ ვიკავებდი თმის სამაგრები ერთმანეთის მიყოლებით მცვიოდა ხშირი თმიდან მუდამ კარგ უნებაზე ხარო თქვა ჯოუზიმ ჰო იტანჯებოდა რადგან იცოდა რისი ნიშანიც იყო მისთვის კარგა ბლომად რამეები მითქვამს თუ რა ხდებოდა ჩვენ შორის ყველაფერი არა მაგრამ სრულიად საკმარისი იმისათვის რომ პირზე ნერწყვი მოსდგომოდა მაგრამ ჩემი ბრალი არ იყო მისი ფეხი ჩვენი კარის დირეზე აღარ შემოდგმულა მას შემდეგ რაც დავქორწინდით ნეტა ახლა როგორ გამოიყურება რაც იმ თავის დარტყმულ ქმართან ცხოვრობს უკანასკნელად რომ ვნახე სახე დატანჯული და შემჭკნარი ქონდა ალბათ სწორედ მასთან ჩხუბის შემდეგ შემხვდა რადგან მაშინვე შეეცადა ლაპარაკი ქმრებზე გადაეტანა და აბუჩად აეგდო რაო რა მითხრა ჰო ზოგჯერ ლოგინში ჭუჭყიანი ფეხსაცმლით წვებაო როცა შეურიკინებს აბა წარმოიდგინოს ადამიანმა ასეთ რამესთან დაწვეს ლოგინში ყოველ წამს რომ შეიძლება მიგასიკვდილოს ყველა თავისებურად გადადის ჭკუაზე ყოველ შემთხვევაში პოლდი რაც არ უნდა მოხდეს მუდამ ფეხსაწმენდზე იწმენდს როცა დასველებული შემოდის და ყოველთვის თვითონ აკრიალებს თავის ფეხსაცმელს და ქუჩაში მისალმებისას ქუდს იხდის და ფოსტლებში დადის 10000 გირვანქა სტერლინგის საძებნელად საფოსტო ბარაითისთვის ჭოჭი ჭოჭი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი რალაც ყელში ამოგივა და ეგ არი ისე აფრენს ფეხსაცმელსაც არ იხდის რა უნდა უყო ასეთ კაცს უმალ 20 ჯერ მოვკვდები ვიდრე მაგათი სქესის კიდე სხვაზე გავთხოვდები რა თქმა უნდა ჩემნაირ ქალს ვერ მოძებნიდა ჩემსავით რომ აეტანა დავწვეთ ჰო და მაგანაც კარგად იცის გულის სიღრმეში ავილოთ თუნდაც ქნი მეიბრიკი[2] ქმარი რომ მოწამლა მგონი რომ სხვა კაცი შეიყვარა ჰო დაუმტკიცდა აბა გათახსირებული არამზადა არ იყო ასეთი რამ რომ ჩაიდინა რა თქმა უნდა ზოგმა კაცმა შეიძლება საშინლად გაგალიზიანოს ჭკუიდან გადაგიყვანოს და კიდევ გვთათხავენ რილასთვის გვთხოვენ რომ ცოლად გავყვეთ თუ ასეთი ცუდები ვართ ჰო რადგან უჩვენოდ ვერ ძლებენ თეთრი დარიშხანი ჩაუყარა ჩაიში მგონი ბუზების საჭერი წებოვანი ქალალდიდან საინტერესოა რატომ ქვია ასე პოლდის რომ ვკითხო მეტყვის ბერძნულიდანააო დაგვანებეთ ბატონო თავი ვიყოთ ისეთივე უჭკუონი როგორც აქამდე ალბათ გაგიჟებით უყვარდა ის მეორე ჩამოხრჩობის რისკზე რომ წავიდა ოო არაფრად დაგეძებდათ თუ ეს მისი ბუნება იყო რა თქმა უნდა რა ექნა ამას გარდა არც ისეთი ნადირები არიან აელოთ და ჩამოეხრჩოთ ქალი არ არიან

ისე განსხვავებულები არიან უცებ მიუქცევია ყურადლება ბოილანმა თქვა როგორი მოხდენილი ფეხი მაქვს სანამ გამიცნობდა როცა პოლდისთან ერთად რესტორნის თამბაქოს მოსაწევ ოთახში ვიყავით ვიცინოდით თან ვცდილობდი მომესმინა და ფეხს ვაქანებდი ორივემ 2 ჩაი და უბრალო ბუტერბროდები შევუკვეთეთ ორ შინაბერა დასთან ერთად ვხედავდი როგორ მიყურებდა როცა წამოვდექი და მიმტან გოგოს ვკითხე სად არის მეთქი რა მექნა თითქმის წვეთწვეთი გამდიოდა თანაც ეს ვიწრო შავი ნიფხავი ამან რომ მაყიდინა ჩაიფსავ სანამ ჩაიხდი ყოველ კვირა ახალახალი ახირება ისე დიდხანს მოვუნდი რომ ზამშის ხელთათმანები დამრჩა სკამზე ველარც ვიპოვე ვილაც ქურდბაცაცა ქალმა აწაპნა ამას კი უნდოდა აირიშ ტაიმზში გამოეცხადებინა დაკარგულია ქალის საპირფარეშოში დეიმ სტრიტის რესტორანში მპოვნელს ვთხოვთ დაუბრუნოს ქნ მერიონ ბლუმს ვხედავდი როგორ მიყურებდა წვივებზე იქიდან რომ გამოვედი და როცა მერე მოვიხედე ისევ მიყურებდა 2 დღის შემდეგ კვლავ შევიარე იქ ჩაის დასალევად იმ იმედით რომ მაგრამ იქ არ იყო განსაკუთრებით ალაგზნებდა ფეხს ფეხზე რომ გადავიდებდი ჯერ უნდოდა ისეთი ვიწრო ფეხსაცმელი აერჩია ჩემთვის რომ ვერ მევლო ხელიც ლამაზი მაქვს მხოლოდ კარგი იქნებოდა ბეჭედი მქონოდა ჩემი დაბადების თვის შესაფერისი ლამაზი აქვამარინით ვეცდები იქნებ დავცინცლო და კიდევ ოქროს სამაჯური ჩემი ფეხი კი მაინც და მაინც დიდად არ მომწონს თავად თუმცა ერთხელ დიდი სიამოვნება მივანიჭე ჩემი ფეხით იმ კონცერტის შემდეგ რომელზედაც გუდვინმა ასე ჩაახალტურა ძალიან ციოდა და ქარი ქროდა კარგია რომი გვქონდა სახლში შევათბეთ კერაში ცეცხლი მთლად არ ჩამქრალიყო მთხოვა წინდები გამეხადა ეს ლომბარდ სტრიტ უესტზე იყო სხვა დროს უნდოდა ტალახიანი ფეხსაცმელი არ გამეხადა რაც კი გზაზე ცხენის ნეხვი შემხვდა ზედ მეცხო რა თქმა უნდა ნორმალური ადამიანივით არ იქცეოდა მე ვისაც ამბობდა კეტი ლენერს 10-იდან 9 ქულა მივცემ და მაინც მოვუგებო ეს რას ნიშნავს მეთქი არ მახსოვს რა მიპასუხა რადგან სწორედ ამ დროს გაზეთის უკანასკნელი გამოშვება ჩაატარეს და ლუკანის რძის ნაწარმის დუქნის თმახუჭუჭა კაცმა გაიარა ძალზე ზრდილი მგონი ადრეც შემხვედრია ყურადლება მივაქციე კარაქს რომ ვსინჯავდი არსად მეჩქარებოდა და არც ბარტელ დარსის რომელსაც დასცინოდა როცა კოცნა დამიწყო გუნდის ქანდარაზე გუნოს ავე მარია რომ ვიმლერე რალას ვაყოვნებთ ოო *სულიკო მაკოცე* ბარემ ძალიან მგზნებარე იყო მიუხედავად თავისი სუსტი ხმისა ალტაცებაში მოდიოდა როცა დაბალ ნოტებს ვილებდი თუ დაეჯერება მისი ტუჩების მოძრაობა მომწონდა როცა მლეროდა მერე თქვა რა ცუდია რომ ასეთ ადგილს ვაკეთებთ ამასო ვერაფერ ცუდს ვერ ვხედავდი ამაში ერთხელაც იქნება სხვა დროს მოუყვები გაოცდება მაშინ წავიყვან და ვაჩვენებ სწორედ იმ ადგილს სადაც გავაკეთეთ მოეწონება თუ არა კი გავაკეთეთ და ამას კი გონია არაფერი ხდება მან რომ არ იცოდეს დედაჩემზე აზრადაც არ მოსვლია[3] ჩვენ ნიშნობამდე არადა ასე იოლად ვერ მიიღებდა ჩემს თავს თვითონ კი 10ჯერ უარესი იყო მევედრებოდა ჩემი ნიფხავის პატარა მონახევი მიმეცა ეს იმ სალამოს იყო კენილუორთ სკვერით რომ მივდიოდით და ხელთათმანის ჭრილში მაკოცა და გაძრობა მომიხდა მთხოვა თუ შეიძლებოდა ჩემი საძილე ოთახი ამეწერა და დავუტოვე ვითომ დამავიწყდა ჩემზე რომ ეფიქრა როცა დავინახე ჯიბეში როგორ ჩაიცურა ნიფხავზე კი აშკარად გიჟდება ეს ველისიპედებზე გადალაჯული სინდისგარეცხილები ჭიპამდე წამოხილი ქვედატანი თვალებით ჭამდა მაშინაც კი როცა ჩემთან და მილისთან ერთად იყო ქალაქგარეთ წვეულებაზე ის ქალი კრემისფერი მუსლინის კაბაში მზის პირდაპირ რომ იდგა და სუყველაფერი უჩანდა უკან მომყვებოდა წვიმაში და მიყურებდა უფრო ადრე დავინახე

ვიდრე იმან იდგა ჰეროლდს კროს როუდის კუთხეში ახალ ლაბადაში ჭყეტელა შარფით სახის ფერი და მუქი ქუდი უფრო ეფექტურად რომ გამოკვეთილიყო და როგორც ყოველთვის ცბიერი გამოხედვით რას აკეთებდა იქ სადაც საერთოდ არ ესაქმებოდა მაგათ შეუძლიათ სადაც უნდათ იქ წავიდნენ და რაც უნდათ ის მიიღონ ნებისმიერისაგან ოღონდ კი კაბა ეცვას და ჩვენ არაფერი არ უნდა ვკითხოთ თვითონ კი ყველაფერი უნდა იცოდნენ სად იყავი სად მიდიხარ ვგრძნობდი როგორ მომდევდა კეფაში მოშტერებული სახლთან ახლოს მოსვლას ერიდებოდა ალბათ არ შევტოპოო ჰოდა შევჩერდი ოდნავ მოვტრიალდი ჩამაცივდა ჰო მითხარიო სანამ ნელა ვიძრობდი ხელთათმანს თან ვუყურებდი მითხრა სახელოები მეტად შალიფად გაქვს წვიმიანი ამინდისათვისო საბაბს ეძებდა ხელი შემოეპარებინა ნიფხავი ნიფხავიო აღარ მომეშვა სანამ არ შევპირდი ჩემი თოჯინისას მოგცემ ჟილეტის ჯიბით ატარე მეთქი ოო წმინდაო მარიამ სულელურად გამოიყურებოდა თავსხმაში შესანიშნავი კბილები ჰქონდა რო ვუყურებდი მომშივდა კიდეც და შემევედრა ამეწერა ნარინჯისფერი ფურჩალიანი ქვედა კაბა  გარშემო არავინაა თუ არა და აქვე სველში დაგიჩოქებ თუ არ დამთანხმდებიო ისე ჯიუტად თანაც ახალ ლაბადას გაათახსირებდა კაცი მარტო რომ რჩება შენთან არ იცი რას მოიმოქმედებს ველურდებიან შემთხვევით ვინმეს რომ გაევლო ჰოდა ოდნავ ავიწიე და ბეჭდიანი ხელით შევეხე მის შარვალს გარედან როგორც შემდეგ გარდნერს[4] ვუკეთებდი ხოლმე უარესი რომ არ დაეწყო საქვეყნოდ ერთი სული მქონდა გამეგო წინდაცვეთილი თუ იყო ჟელესავით ცახცახებდა ყველაფერი ერთბაშად უნდა სიამოვნებაც ნაკლებია და მამა კი ამასობაში სადილს ელოდებოდა მამას უთხარი ვითომ საფულე დაგრჩა დუქანში და დაბრუნება მოგიხდაო რა მატყუარაა[5] მერე ის წერილი მომწერა მთელი იმ სიტყვებით როგორ შეეძლო სახეში შეეხედა ქალისთვის ასეთი დახვეწილი მანერების მქონეს ძალიან უხერხული იყო მერე რომ შევხვდით მეკითხება გაწყენინეთო თვალები რომ დავხარე რა თქმა უნდა მიხვდა არ მწყენია ამას ჭკუა მოეკითხებოდა იმ სულელ ჰენრი დოილისგან განსხვავებით უსათუოდ გატეხავს ან გახევს რამეს შარადებს როცა ვთამაშობთ მეჯავრება ასეთი ბემურაზები და რომ მცოდნოდა თუ რას ნიშნავდა ეს უნდა მეთქვა არა თუნდაც პროფორმისათვის მე კი ვუთხარი არ მესმის თქვენი მეთქი განა ბუნებრივი პასუხი არ იყო რა თქმა უნდა გიბრალტარის იმ კედელზე ეხატა ხოლმე ქალისა და მიწერილი იყო ის სიტყვა რომელიც ვერსად ვიპოვე მხოლოდ ბავშვებისათვის ადრეა ამის ნახვა მერე ყოველ დილას წერილს მწერდა ზოგჯერ დღეში ორჯერ მომწონდა როგორ მეარშიყებოდა იმ ხანად იცოდა როგორ უნდა დაეპყრო ქალი 8 უზარმაზარი ყაყაჩო გამომიგზავნა რადგან 8ში დავიბადე მერე მეც მივწერე იმ საღამოს დოლფინზ ბარნში შიგ გულში რომ მაკოცა აღწერა შეუძლებელია რასაც იმ დროს გრძნობ ქვეყანაზე ვერაფერს შეედრება მაგრამ მაინც გერდნერივით კარგად არ იცოდა ჩახუტება იმედია ორშაბათს მოვა როგორც თქვა ოთხ საათზე ვერ ვიტან როცა გაუფრთხილებლად მოდიან კარს უღებ გგონია ბოსტნეული მოიტანესო და აღმოჩნდება რომ სტუმარია და დგახარ ჩაუცმელი ანდა უცებ იღება ჭუჭყიანი სამზარეულოს კარი როგორც იმდღეს გაყინულსახიანი გუდვინი მეახლა ლომბარტ სტრიტზე კონცერტის თაობაზე და მე აწითლებული და თმაგაწეწილი ისწუთია საჭმლის კეთებას მოვრჩი ნუ მიყურებთ პროფესორო იძულებული ვარ ვუთხრა საშინელი სანახავი ვარ თქო მაგრამ ის ჭეშმარიტად ძველი ჯენტლმენი იყო ზრდილი და თავაზიანი მოახლე არა მყავს რომ ათქმევინო შინ არა ხარ იძულებული ხდები ჟალუზებში გაიჭყიტო როგორც დღეს დამტარებელი ჯერ ვიფიქრე გადაიფიქრა მოსვლა რაკი ეს პორტვეინი და ატმები გამომიგზავნა და ის არის ნერვული მთქნარება მეწყებოდა ვიფიქრე მასულელებს მეთქი როცა უცებ წკრწკრწკრ გავიგონე ალბათ მაინც შეაგვიანდა რადგან ოთხის თხუთმეტი იყო როცა დავინახე დედალოსის 2 ქალიშვილი რომ ბრუნდებოდა სკოლიდან არასოდეს არ ვიცი ზუსტი დრო მისი მოცემული საათიც კი წესიერად არ მუშაობს ოსტატს უნდა აჩვენოს კაცმა იმ კოჭლ მეზღვაურს *ინგლისის სამშობლოსა და სილამაზისთვის* პენი გადავუგდე ჩემთვის რომ ვუსტვენდი კოხტა გოგო შემიყვარდა და არც სუფთა თეთრეული არ მეცვა და არც პუდრი მესვა და საერთოდ არაფერი ერთი კვირის შემდეგ დღეის სწორს ბელფასტში უნდა წასულიყო და კარგია რომ სწორედ ახლა უნდა წავიდეს ენისში მამამისის წლისთავია 27-ში არ იქნებოდა კარგი ჩემთან ერთად ვთქვათ და სასტუმროში ჩვენი ოთახები ერთმანეთის გვერდით ყოფილიყო და ყოველგვარი გიჟობა ახალ ლოგინში ხომ ვერ ვეტყვი თავი გამანებე ნუ მაწუხებ თქო და ის კი მეზობელ ოთახში სულაც რომელიღაც პროტესტანტი მღვდელი ხველებით დაგვიკაკუნებს კედელზე და მეორე დღეს არაფრით არ დაიჯერებს რომ ისეთს არაფერს ჩავდიოდით ქმართან კიდევ არაუშავს მაგრამ საყვარელს ვერ გააცურებ მას შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ნათქვამი მაქვს მისთვის რომ ჩვენს შორის არასოდეს არაფერი ყოფილა რა თქმა უნდა არ დამიჯერა არა ჯობია წავიდეს სადაც მიდის მით უფრო რომ მასთან მუდამ რაღაც უნდა შეგემთხვას მაშინ მელოუს კონცერტზე რომ წავედით მერიბაროს სადგურზე სუპი შეუკვეთა ჩვენთვის ამასობაში ზარი ჩამოკრეს და ვხედავ ბაქანზე მოდის სუპი აქეთიქით ელვრება ის კი გზადაგზა კოვზს კოვზზე იხრის პირში ამას ქვია სიმშვიდე ოფიციანტი მოსდევს ერთი ამბავი დაგვაწია ორთქმავალი უკვე უნდა დაიძრას მაგრამ ის არც აპირებს გადახდას სანამ არ ამოთქვლეფს მესამე კლასის ორმა ჯენტლმენმა თქვა სწორად მოიქცაო მართლაც სწორად მოიქცა სახედარივით ჯიუტია როცა რაღაცას ჩაიდებს თავში კიდევ კარგი მოახერხა ჯიბის დანით გაეღო ვაგონის კარი თორემ კორკამდე წაგვიყვანდნენ ვფიქრობ სამაგიერო გადაუხადეს ოო როგორ მიყვარს გასეირნება მატარებლით ან ეტლით მოხერხებულ რბილ სავარძელში საინტერესოა პირველი კლასს თუ ამიღებს იქნებ მატარებელში მოინდომოს იმის გაკეთება რაღაც გასამრჯელოს მისცემს გამყოლს ოო როგორც ყოველთვის ვიღაც იდიოტი კაცები სულელურად მოგვაშტერდებიან ალბათ გამონაკლისი იყო ის უბრალო მუშა მარტო რომ დაგვტოვა კუპეში ჰოუთში რომ მივდიოდით კარგი იქნებოდა რამე გამეგო მის შესახებ მგონი 1 თუ 2 გვირაბია მერე ფანჯარაში უნდა გაიხედო მით უფრო სასიამოვნოა მერე დაბრუნება რა იქნებოდა რომ აღარ დავბრუნებულიყავი რას იტყოდნენ მასთან ერთად გაიქცა ასე იკეთებენ კარიერას სცენაზე უკანასკნელი კონცერტი რომელშიც ვმღეროდი სად იყო წელიწადზე მეტი გავიდა როდის იყო წმ ტერეზას დარბაზში კლარენდონ სტრიტზე ახლა წვრილფეხები ყავთ კეთლინ კირნი და მისთანები მიშველა მამა რომ სამხედრო იყო ვმღეროდი უდარდელ მათხოვარს სამკერდე ნიშანი მივიბნიე ლორდ რობერტსის საპატივცემოდ და პოლდიმ არასაკმაო ირლანდიელმა მოაწყო მგონი ეს ეხერხება მაგალითად მომიხერხა რომ სტაბატ მატერში მემღერა ვითომდა მუსიკას თხზავდა ჰიმნისათვის მე შევაგულიანე აბრახუნებდა პიანინოზე *შენი შუქი მინათებს გზას* რომელიღაც ძველი ოპერის ჰანგზე სანამ იეზუიტებმა არ აღმოაჩინეს რომ მასონი იყო ჰო და დაიარებოდა ზოგიერთ იმ შინფეინელებთან თუ რასაც ეძახიან თავის თავს და როგორც მუდამ რაღაცეებს ჩმახავდა ვიღაც უკისრო ჯუჯა მაჩვენა და მეუბნება ეს გრიფიტსიაო ამომავალი ვარსკვლავი საშინლად ჭკვიანი რა ვიცი რომ შევხედე არ გავს ამის მეტს ვერაფერს ვიტყვი და მაინც ალბათ ისაა იცოდა ბოიკოტი რომ გამოაცხადეს მეჯავრება მაგათი პოლიტიკაზე ლაპარაკი ომის შემდეგ მთელი ეს პრეტორია და ლეიდისმიტი და ბლუმფონტეინი სადაც გარდნერ ლეიტ სტენლი ჯი მე-8 მე-2 ალმო ლენკშ ლეგიონი მუცლის ტიფით მოხდენილი ჭაბუკი ხაკისფერში ჩემზე ზომიერად მაღალი დარწმუნებული ვარ გულადიც მითხრა ლამაზი ხარო საღამოს გამოთხოვებისას არხთან რომ გადავკოცნეთ ერთმანეთი *ჩემო ირლანდიელო მზეთუნახავო* ღელვისგან ფერი დაკარგა რომ მიდიოდა ან იქნებ რომ არავის დავენახეთ გზიდან ფეხზე ძლივს იდგა მე კი ისე ავენთე როგორც არასოდეს უკეთესი იქნებოდა დასაწყისშივე დაზავებულიყვნენ ანდა ბებერი ბიძიკო პოლი და დანარჩენი კრიუგერელები[6] გამოსულიყვნენ და ერთმანეთს შებრძოლებოდნენ იმის ნაცვლად რომ წლობით გაგრძელებულიყო მოხდენილ ყმაწვილებს ხოცავდნენ ტიფით ბრძოლაში მაინც რომ დაცემულიყო ისეთი საცოდაობა არ იქნებოდა მიყვარს ლეგიონის ყურება პარადზე პირველად რომ ვნახე ესპანელი ცხენოსნები ლა როკში ლამაზი იყო ზღვის უბის გადაღმა ალხესირასიდან კედელზე ციცინათელებივით მოციმციმე სინათლეები ანდა 15 აკრიანი მინდვრები შოტლანდიურ კილტებში მარშით რომ ჩაუვლიან უელსის პრინცის ჰუსართა მე10 ლეგიონს ანდა ულანებს ოო ეს ბრწყინვალე ულანები ანდა ტიუგელასთან გამარჯვებული დუბლინელები მამამისი[7] იმით გამდიდრდა რომ ცხენებით ამარაგებდა კავალერიას შეეძლო დალოცვილს რაღაც რიგიანი საჩუქარი ეყიდა ჩემთვის ბელფასტში იმის სანაცვლოდ რაც მივეცი იქ შესანიშნავი საცვლები იყიდება ანდა ვთქვათ მოხდენილი კიმონო ხსენებაზე ნაფტალინი მაქვს საყიდელი როგორც წინათ რომ მქონდა ხოლმე და იმ რაღაცეებს ჩავუდებდი უჯრაში ძალზე საინტერესო იქნებოდა მასთან ერთად საყიდლებზე სიარული უცნობ ქალაქში აჯობებს ბეჭედი შინ დავტოვო ხათაბალაა მაგისი თითიდან მოძრობა უნდა ატრიალო და ატრიალო არადა მთელ ქალაქს მოსდებდნენ თავისი გაზეთებით სულაც პოლიციას შეატყობინებდნენ თუმცა იფიქრონ რომ ცოლ-ქმარი ვართ ეჰ ჯანდაბას მაგათი თავი ფეხებზეც არა მკიდია რას იტყვიან ბლომად ფული აქვს დაცოლშვილების პირი არ უჩანს ისე რომ ჯობია ვიღაცამ დაცინცლოს რომ გამეგო თუ მოვწონვარ ცოტა არ იყოს უფერულად გამოვიყურებოდი პუდრის წასასმელად რომ ჩავიხედე პატარა სარკეში სარკე არასოდეს გაძლევს ზუსტ გამომეტყველებას ამას გარდა იმდენხანს მაწვებოდა თავისი დიდრონი ბარძაყებით თანაც ამსიმძიმე და ბან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯგვლიანი მკერდიანი და ასეთ სიცხეში ქვეშ წოლა უმჯობესია უკანიდან მოვიდეს როგორც ქნი მასტიანსკი მეუბნებოდა მისი ქმარი უკეთებდა როგორც ძაღლები შვრებიან თანაც ქალს ენა უნდა გადმოეგდო გვარიანად თვითონ ციტრონს ისეთი უწყინარი მიამიტი გამომეტყველება აქვს ციტრას აჟღარუნებს თავისთვის ვხვდები კი რა უნდათ ამ კაცებს შესანიშნავად გამოიყურებოდა იმ ცისფერ კოსტუმში მოდური ჰალსტუხი აბრეშუმით ნაქსოვი წინდები ზედ ეტყობა რომ მდიდარია მისი ტანსაცმლის ფასონზე ვატყობ და ასეთი მასიური საათი გიჟივით იყო გაზეთით რომ მობრუნდა ბილეთებს ხევდა უკანასკნელი სიტყვებით იგინებოდა რადგან 20 გირვანქა დაკარგა რომელიღაც აუტსაიდერი ცხენის გამო რომელმაც გაიმარჯვა და ნახევარი ჩემს სახელზე ქონდა დადებული ლენეჰანის რჩევით გინებით ამოუტრიალა ყველაფერი პარაზიტი უტიფარი ხელებს მიფათურებდა სადილის შემდეგ რომ ვბრუნდებოდით გლენკრიდან ფედერბედის გორაკზე ეტლი საზარლად ჯანჯღარებდა ლორდ მერი ბინძური თვალებს არ მაშორებდა ღიპიანი ულვთო ველ დილონი პირველად დესერტის დრო შევამჩნიე თხილს რომ ვაკნატუნებდი ისეთი წიწილა იყო სუფრაზე ნამცეცის დატოვება არ მინდოდა გემრიელი და შებრაწული მხოლოდ არ მინდოდა თეფში მთლად მოსუფთავებელი დამეტოვებინა ჩანგლები და თევზის დანები ნალდი ვერცხლისა კარგი იქნებოდა მეც მქონდეს ადვილად შემეძლო ორიოდე მუფთაში ჩამეცურებინა სანამ ხელში ვატრიალებდი მუდამ მაგათ ფულზე ხარ დამოკიდებული ყოველი ლუკმის რესტორანში ყოველი ქეციანი ჭიქა ჩაის გამო მაგათი მადლიერი უნდა იყო როგორც დიდი რამ მოწყალებისა ასეა ქვეყანა მოწყობილი ყოველ შემთხვევაში ასე თუ გაგრძელდა კიდევ ორი კარგი პერანგი მაინც მინდა ჯერ ერთი არ ვიცი რანაირი ნიფხავი მოწონს ალბათ ურჩევნია სულ არ გეცვას მგონი ასე თქვა კიდევაც ჰო გიბრალტარზე ნახევარზე მეტი გოგოები საერთოდ არ ატარებდნენ დედიშობილად დაიარებიან ის ანდალუზიელი ქუჩის მომღერალი არც თუ მაინცდამაინც მალავდა იმას რაც არ ქონდა ჰო მეორე წყვილი აბრეშუმის წინდებსაც პირველივე დღეს წაუვიდა თვალი იქნებ ღირდა კიდეც დილით დამებრუნებინა ლიუვერისთვის და ერთი ამბავი ამეტეხა რომ შეეცვალათ მაგრამ ნერვების აშლად არ ღირს თანაც სარისკოა იმას რომ წავაწყდე და ყველაფერი გავაფუჭო და კიდევ ის შემოტკეცილი კორსეტიც მინდა ქალების ჟურნალში რომ იყო რეკლამირებული ელასტიური ფირფიტებით ამან ჩემი ძველი გამიოხრა მაინც არაფრად ვარგოდა რა ეწერა შესანიშნავ ფიგურას გიყენებსო 11 შილინგი და 6 ზედმეტ სიფართოვეს ფარავს წელის ქვედა ნაწილშიო მუცელი ცოტა დიდი მაქვს სადილზე ლუდი უნდა მოვიკლო თორემ მეტისმეტად მივეტანე უკანასკნელად რომ გამოუგზავნეს ორურკისგან მთლიანად წყალწყალა იყო იოლად შოულობს ფულს ეგ ლერი ფეთხუმი როგორც შეარქვეს შობაზე გამოგვიგზავნა ხაჭოს ღვეზელი და ერთი ბოთლი გამონარეცხი ბორდოდ რო მონათლა სხვას ვერავის რომ ვერ მიასაღა ამისთანას ფურთხიც შემოენახება გვალვაში ფეხები რომ არ გაფშიკოს იქნებ სუნთქვის ვარჯიშები დამეწყო არ ვიცი გასუქების საწინააღმდეგო საშუალება რამდენად ძლიერია თორემ შეიძლება გადავაჭარბო ახლა გამხდრები მაინც და მაინც არ არიან მოდაში ლეკვერთხები მაქვს იისფერი დღეს რომ მეკეთა ეს ერთადერთი რამაა რაც იმ ჩეკიდან მიყიდა რომელიც პირველ რიცხვში მიიღო თუმცა არა აგრეთვე სახის ლოსიონიც გუშინ რომ გამითავდა მისგან კანი სულ სხვანაირია ასჯერ ვუთხარი იმავე ადგილას დაუკვეთე მეთქი არ დაგავიწყდეს და მაინც კაცმა არ იცის შემისრულა თუ არა თუმცა ეტიკეტით ვიცნობ თუ არ მოიტანს ისლა დამრჩენია საკუთარი ფსელი გამოვიყენო ხორცის ნახარშს ან ქათმის ბულიონს გავს ოპოპონაქსის და იის დამატებით ვიფიქრე კანი უკვე ცოტა ბებერი ან გაუხეშებული გამიხდა სადაც რაიმე მიზეზით მომძვრა იქ ახალი გაცილებით ნაზია როგორც ამ თითის დამწვრობის შემდეგ ცუდია რომ ყველგან არ არის ასე და კიდევ ოთხი იაფფასიანი თავშალი სულ რაღაც 6 შილინგისა ცხადზე უცხადესია დღესდღეობით ამქვეყნად ელეგანტურობის გარეშე ვერაფერს მიაღწევ სულ საჭმელზე და ბინის ქირაზე მიდის და როცა რამეს ვიღებ მაშინვე ვფლანგავ მთელ მუჭა ჩაის ჩაყრა მინდება ჩაიდანში თუნდაც უხეშ ფეხსაცმელს როცა ვყიდულობ მაინც დიდხანს ვიზომავ და სარკის წინ ვტრიალებ როგორ მოგწონს ეს ახალი ფეხსაცმელი ჰო რა ღირდა ტანსაცმელი სულ არ გამაჩნია ყავისფერი კოსტუმი და ქვედატანი და პიჯაკი და ის გასაწმენდად რომ მაქვს მიცემული ესეც 3 აბა ეს რა არის ნებისმიერი ქალისთვის ერთი ქუდი ძველიდან გადაკეთებული მეორე დაკერებული კაცები არც შეგხედავენ ქალები ზედ გადაგივლიან მაშინვე იყიდიან რომ კაცი არა გყავს ყველაფერი ძვირდება ყოველდღიურად სულ რაღაც 4 წლის სიცოცხლე დამრჩენია 35-ამდე სექტემბერში გავხდები რამდენის ვიქნები 33-ის მერედა რა ქნი გელბრეითი ჩემზე გაცილებით უფროსია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასულ კვირას ვნახე სილამაზე ელევა შესანიშნავი ქალი იყო დიდებული თმა წელამდე უკან გადავარცხნილი კიტი ოშეასავით გრენთჰემ სტრიტიდან ყოველ დილას ფანჯრიდან ვუცქერდი ქუჩის გადაღმა როგორ ივარცხნიდა თითქოს უყვარდა და გულდასაწყვეტია ჩვენ წასვლამდე მხოლოდ ერთი დღით ადრე გავიცანი და ის ქნი ლენგტრი ჯერზის შროშანი[8] უელსის პრინცს რომ უყვარდა ალბათ ისეთივეა როგორც ნებისმიერი მამაკაცი ქუჩაში მხოლოდ ის არის რომ სამეფო გვარისა ყველა ერთნაირადაა გამოჭრილი აი ზანგთან კი ვცდიდი ერთი ლამაზმანი 45იოდე წლის რაღაც ისტორია მახსოვს ბებერი ეჭვიანი ქმრის შესახებ როგორ იყო კიდევ ხამანწკას ამოსაჩიჩქნი დანა მიემგზავრებოდა არა ცოლს თუნუქის რაღაცა ჩამოაცვა უელსის პრინცმა კი ჰო ხამანწკას დანა ქონდა რა თქმა უნდა წარმოუდგენელია როგორც ზოგ წიგნებშია ჩემთვის რომ მოაქვს მაგისტრ ფრანსუა რომელიღაცის ვგონობ მღვდელია[9] იმის შესახებ როგორ დაბადა ქალმა ბავშვი ყურიდან რადგან სწორი ნაწლავი გამოუვარდა მშვენიერი სიტყვაა მღვდლისთვის და მისი ტ—ი ნებისმიერი ჭკუასუსტიც მიხვდება თუ რას ნიშავს ყველაზე მეტად ფარისევლობას ვერ ვიტან თანაც მატრაბაზის სიფათი აქვს ყველასათვის აშკარაა რომ ტყუილების ბოლჩაა და ის რუბი და მშვენიერი მტარვალები[10] ორჯერ მომიტანა მახსოვს 50 გვერდამდე მივაღწიე სადაც ქალი კაუჭზე ჩამოკიდებს მას თოკით და შოლტავს დარწმუნებით ვამბობ ქალისათვის აქ საინტერესო არაფერია სუ მონაჩმახია ანდა იმაზე მეჯლისის შემდეგ შამპანურს რომ სვამს მისი ფეხსაცმლიდან როგორც ინჩიკორის თოთო იესო ყოვლად წმინდა ქალწულის მკლავებში რა თქმა უნდა არცერთ ქალს არ შეიძლება გასჩენოდა ამხელა ბავშვი[11] ამიტომ ჯერ იმას ვფიქრობდი ფერდიდან გაუჩნდა მეთქი თუ არადა როგორ მოახერხებდა საჭირო ოთახში სიარულს როცა დასჭირდებოდა ის კი მდიდარი მანდილოსანი[12] იყო რა თქმა უნდა მიაჩნდა პატივი ერგო მისი სამეფო უდიდებულესობამ იმ წელს მოინახულა გიბრალტარი მე რომ დავიბადე დარწმუნებული ვარ შროშანებიც ერგო და ხეც დაარგვევინეს თავისი სიცოცხლის მანძილზე არა მარტო ეგენი დაურგავს მეც შეეძლო დავერგე ცოტა ადრე რომ ჩამოსულიყო მაშინ აქ აღარ ვიქნებოდი იმ ფრიმენისთვის თავი უნდა გაენებებინა უბადრუკ რამდენიმე შილინგს შოულობს წასულიყო რომელიმე ოფისში სადაც მუდმივი შემოსავალი ექნებოდა ან ბანკში სადაც ტახტზე შემოსვამდნენ ფულის სათვლელად მთელი დღე ამას კი რა თქმა უნდა ურჩევნია მთელი დღე სახლში [illegible] დეს თავს ვერ დააღწევ მისგან რა გეგმები გაქვს დღეს ნეტავ ჩიბუხი მაინც მოეწია მამაჩემივით მამაკაცის სუნი ექნებოდა ანდა ვითომ თავის რეკლამების გამო დაყიალობს თუმცა შეეძლო ბნ კაფთან ყოფილიყო რაღაცეები რომ არ ჩაედინა მერე საქმის მოსაგვარებლად გამაგზავნა შემეძლო მიმეღწია რომ დაეწინაურებინათ მმართველად დაენიშნათ ერთი ორჯერ ისეთი mirada[13] მტყორცნა დასაწყისში უბედურად ცივად მექცეოდა აბა რა გითხრათ ქნო ბლუმ და საზარლად ვგრძნობდი თავს ძველ გაქუცულ კაბაში კალთის ბოლოებიდან ფირფიტები ამოვარდნილი ამოჭრილ გულზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია ახლა ისევ შემოდის მოდაში ვიყიდე მესიამოვნებინა მისთვის ვიცოდი გუნებაზე რომ ვერ იყო და სულ ტყუილად არ წავედი ტოდ და ბერნზთან როგორც ვთქვი იმის ნაცვლად რომ ლისთან კაბაც ისეთივე ქონდა როგორც თავად მაღაზია ვითომდა ჩამოფასებული ტანსაცმელი და დიდძალი ხარახურა მეჯავრება ის მდიდრული მაღაზიები ნერვებზე მოქმედებს ვერაფრით გამაოგნებ მხოლოდ ამისი თვითდაჯერება რომ დიდი მცოდნეა ქალის ტანისამოსის და კერძის მომზადების და ბავშვის მოვლის და რისი არ გინდა თავად კი ქვაბში დურთავს რასაც კი თაროებზე იპოვის ამის რჩევებს რომ ავყოლოდი ყველა უბადრუკ ქუდზე მიხდება ჰო აილე გიხდება მითხრა იმაზე საქორწინო ტორტივით რომ ამკოკოლავებია თავზე ანდა მეორე ქვაბის სარქველივით უკან საჯდომამდე რომ იყო ჩამოგრძელებული და ის კი ეკლებზე ნოქარი გოგოს გამო გრეფტონ სტრიტზე ჩემდა საუბედუროდ ეს რომ მივიყვანე და თავხედი გოგო უტიფრად იღრიჭება ეს კი ეუბნება ვშიშობ ძალიან გაწუხებთ მაშ რისთვის არის იქ მაგრამ ერთი ისე შევხედე უცბად გაუქრა დიდგულობა ჰო საშინად შემხვდა არც არი გასაკვირი მაგრამ მეორედ რომ მივედი შეიცვალა მათვალიერებდა პოლდი ჯორივით ჯიუტია მაგრამ ვხედავდი როგორ დაჟინებით მიყურებდა მკერდზე როცა ჩემთვის კარის გასაღებად ადგა მეტად თავაზიანად მიმაცილა კარამდე მერწმუნეთ დიდად ვწუხვარ ქნო ბლუმ ძალიან კი არ გაუმახვილებია ამაზე ყურადღება მაინც პირველად მას შემდეგ რაც ეუხეშა და მე კი მის ცოლად მიცნობდა ოდნავ გავულიმე ვიცი მკერდი წინ მქონდა გაწეული კართან როცა თქვა დიდად ვწუხვარ და მე დარწმუნებული ვარ თქვენ

ჰო მგონი გამიმაგრდა ამდენხანს რომ ასე მწუწნის მეც მაწყურებს ძუძუკებს ემახის მეცინებოდა ჰო აი ძუძუს თავი მაშინვე ადგება და მაგრდება ხოლმე ვეუბნები მიდი მეთქი მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი ამ ათქვეფილ კვერცხებს ვაჭმევ მარსალით უფრო მეტად რომ გავუზარდო საოცარია ეს ვენები თუ რაც არის რისგანაა გაკეთებული 2 ერთნაირი ტყუპების შემთხვევაში ითვლება რომ სილამაზეს განასახიერებენ იმ ქანდაკებებისა არ იყოს მუზეუმში ერთი მათგანი თითქოს ხელით იფარებს ვითომ მართლა ასე ლამაზები არიან რა თქმა უნდა თუ შევადარებთ იმას თუ რას გავს კაცი თავისი ორი სავსე ტოპრაკით და დაკიდული ან ქუდის საკიდივით შენზე მოშვერილი იმით არ არის გასაკვირი კომბოსტოს ფოთლით რომ ფარავენ ის ამაზრზენი კამერონელი ჯარისკაცი ყასბის რიგთან ანდა ის წითური სალახანა ხეს მოფარებული სადაც უწინ თევზის ქანდაკება იდგა რო ჩავუარე ვითომ ვფსავო არადა მაჩვენებდა აიჩარა თავის სახვევები სამეფო ლეგიონი წყალწაღებული ხალხი იყო კიდევ კარგი სარიელებმა შეცვალეს სულ ცდილობენ დაგანახონ როცა კი კაცების ფეხსალაგს ჩავუვლიდი ჰარკოტ სტრიტ სადგურთან განგებაც რომ შემემოწმებინა თითქმის მუდამ ხან ერთი და ხან მეორე ცდილობდა დამენახა თითქოს ქვეყნის შვიდ საოცრებათაგან ერთერთი ყოფილიყო ოჰ რას ყარს იქაურობა იმ ღამეს პოლდისთან ერთად კამერფორდების წვეულებიდან რომ ვბრუნდებოდით შინ ფორთოხალი და ლიმონათი სასიამოვნოა და შარდმდენიც ერთერთ ასეთში მომიხდა შესვლა საშინლად ციოდა ველარ ვიკავებდი როდის იყო 93ში არხი გაიყინა ჰო იმ თვეებში აფსუს კამორენელები იქ არ იყვნენ რომ ენახათ როგორ ჩავცუცქდი კაცების მეადეროში[14] ერთხელ ვცადე დამეხატა მერე დავხიე რალაც სოსისივით მიკვირს როგორ დადიან და არ ეშინიათ რამე მოხვდებათ ან წამოედებათ ქალი რა თქმა უნდა მშვენიერია ყველა აღიარებს მითხრა რომ შემეძლო პოზირება ვილაც მდიდარი მოყვარულისთვის შიშველს ჰოლეზ სტრიტზე სამუშაო რომ დაკარგა ჰილისთან და ტანსაცმელს რომ ვყიდდი და პიანინოს ვუბრახუნებდი ყავახანაში ვიქნებოდი კი იმ მობანავე ნიმფასავით თმაგაშლილი ჰო მხოლოდ ის ჩემზე ახალგაზრდაა თუ ცოტა იმ ბინძურ კახპას ვგავარ ესპანური ფოტო რომ აქვს ნიმფები სულ ასე დაიარებიანო ამ ნიმფაზე შევეკითხე და მეტემ რალაცა[15] ენისმოსატეხი სიტყვები დაანთხია ინკარნაციის შესახებ არ შეუძლია უბრალოდ აგიხსნას რამე ისე რომ კაცმა გაიგოს მერე აილებს და ტაფას ძირს ამოუწვამს სულ თირკმლის გულისათვის ამას კიდევ რა უშავს ნაკბილავი მატყვია ძუძუსთავზე კბენა რომ დამიპირა წამოვიყვირე მაშ მხეცები არ არიან გატიკნილი ძუძუები მქონდა მილი რომ გამიჩნდა ორს ეყოფოდა ნეტავ რატომ შემეძლო კვირაში შილინგი მიმელო როგორც მაწოებელ მოწყალების დას დილაობით სულ მისივდებოდა იმ სუსტმა სტუდენტმა ციტრონებთან 28ში რომ გაჩერდა ლამის თვალი მომკრა ფანჯრიდან რომ ვიბანდი მაგრამ უცებ პირსახოცი ავიფარე ესეც სტუდენტობა მერე ტკივილები დამეწყო მილის ძუძუს ვაშორებდით და სანამ ექიმმა ბრედიმ ბელადონა არ გამომიწერა ამას უხდებოდა გამოწოვა საშინლად გამიმაგრდა ძროხისაზე უფრო ტკბილი და სქელიაო მეუბნებოდა მერე მოინდომა ჩაიში ჩაეწველა უკვე ნამეტანი გააფრინა ვინმემ უნდა მოთოკოს მე კი ნახევარი მაინც რომ შემეძლოს დავიხსომო მაგისტრ პოლდის თხზულებათა წიგნი გამოვიდოდა ჰო ახლა კანი გლუვი გამიხდა უკვე მთელი საათი რაც თავს არ მანებებს დიდი ძუძუთა ბავშვივით მყავდა მოკრული ყველაფერი უნდათ პირში ჩაიდონ ყოველგვარ სიამოვნებას იღებენ ქალისგან მის პირს ვგრძნობ ო ღმერთო წელში უნდა გავიშალო ნეტა აქ იყოს ან ვინმე რომ მეც მომეშვას ვგრძნობ ცეცხლი მიკიდია შიგნით ან რომ შემეძლოს დამესიზმროს მეორედ უკანიდან რომ მილიტინებდა თითით 5 წუთი დამჭირდა ფეხები მის ტანზე მერე მევეხვიე ო ღმერთო მინდოდა წამომეყვირა ყველაფერი მიდი შემიდე ან რაც უნდა ყოფილიყო ოღონდ ასე მახინჯად არ გამოვჩენილიყავი თანაც ნაოჭები დაძაბულობისაგან ვინ იცის რა თვალით შეხედავს ამას შენ გინდა შენი გაიტანო კაცთან ყველა ამისნაირი კი არაა მადლობა ღმერთს ზოგიერთი უფრო ტაქტიანია ამაში შევატყვე სხვანაირი რომაა აკეთებს და არ კი ლაპარაკობს მეც დაბინდული თვალებით შევხედე გორაობისაგან ოდნავ თმააშლილი და ტუჩებში გამოყოფილი მისკენ მიშვერილი ენით ველური მხეცი ხუთშაბათი პარასკევი ერთი დღე შაბათი ორი დღე კვირა სამი ოო ღმერთო ორშაბათამდე რა მაცდევინებს

ფფფფფშშშსსსსსსსსუუუუ სადლაც მატარებელი სტვენს რა ძალა აქვთ მაგ ორთქმავლებს უზარმაზარი გოლიათები წყლის შხეფებს ისვრიან გარშემო როგორც *ტკბილი სიმღერა სატრფიალო* საწყალი კაცები მთელი ღამე ცოლებსა და ოჯახებს მოცილებულები იხრაკებიან იმ მანქანებში დღეს ისე ცხელოდა ადამიანი დაიხრჩობოდა კიდევ კარგი ფრიმანებისა და ფოტოკადრების ძველი ნომრების უმეტესობა დავწვი ასე ყრის ყველაფერს ყველგან ძალიან დაუდევარი ხდება და დანარჩენი ტუალეტში დავაწყე ვეტყვი ხვალ დამიჭრას იმის ნაცვლად რომ მომავალი წლისათვის შეინახოს და რამდენიმე პენი მიიღოს აბა კიდე მკითხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოს სად არის შარშანდელი იანვრის ნომერი და ის ძველი პალტოებიც მოვაშორე შემოსასვლელიდან ჰაერს რომ უფრო ხუთავდნენ სასიამოვნოდ აგრილდა წვიმის შემდეგ როცა ჩამეძინა ვიფიქრე გიბრალტარივით იქნებოდა ღმერთმა დაგვიფაროს რა სიცხე იცოდა აღმოსავლეთის ქარის წინ და ბნელდებოდა როგორც ღამე და ელვაზე კლდე უზარმაზარი გოლიათივით ამოიმართებოდა ხოლმე ამათი 3 კლდე იმათსას[16] ვერ შეედრება ფიქრობენ ისეთი დიდიაო აქა იქ წითელი გუშაგები და ალვის ხეები თეთრად გიზგიზებენ და წვიმის წყლის სუნი ავზებში გავარვარებულ მზის გულზე და ის ლამაზი კაბა გამიხუნდა მამას ნაცნობმა ქნმა სტენჰოუპმა რომ გამომიგზავნა პარიზის ბონ მარშედან რა დასანანია ჩემო ძვირფასო ცუგრუმელავ მწერდა ისეთი საყვარელი იყო კიდევ რას ეძახდნენ ამ საფოსტო ბარათით გატყობინებ რომ მცირე საჩუქარი გამოგიგზავნე ამწუთას სასიამოვნო თბილი აბაზანა მივიღე დიდად ვისიამოვნე და გაზივზივებული ცუგრიასავით ვგრძნობ თავს შავტუხაც თავის არაბს შავტუხას ეძახდა რას არ მივცემდით კვლავ გიბში რომ ვიყოთ და ვისმენდეთ როგორ მღერი *მოლოდინს* და *ძველ მადრიდში* კონკონე ერქვათ იმ ექსერსისებს რომ მიყიდა ახალი მოდური სიტყვა ვერ გავიგე შალი საინტერესო რაღაცაა მაგრამ სულ უბრალო რამეზე იხევა მაინც ვფიქრობ კარგი რამეა და შენ მუდამ გემახსოვრება სასიამოვნო ჩაის სმა მოცხარის გემრიელი ღვეზელით და ჟოლოს ვაფლებით მე რომ ვგიჟდებოდი აბა შენ იცი ძვირფასო ცუგრუმელავ და მოიწერე მალე თბილი მოკითხვები გამოტოვა მამაჩემი და კაპიტანი გროუვი სიყვარულით შენი ჰესტერი მპუ მპუ მპუ მპუ მპუ გათხოვილ ქალს სულაც არ გავდა გოგოსავით გამოიყურებოდა ის გაცილებით უფროსი იყო ვიდრე მისი შავტუხა ძალიან ვუყვარდი ფეხი დააბიჯა მავთულს რომ გადამელაჯა მაშინ ლა ლინეას კორიდაზე როცა მატადორმა გომეზმა ხარის ყური მიიღო როგორი კაბების ტარება გვიხდება ნეტა ვინ იგონებს კილინის გორაკზეც ვერ ახვალ როგორც მაგალითად მაშინ პიკნიკზე კორსეტში ჩაჭედილი საქმე რომ იყოს ვერც გაიქცევი ვერც განზე გახტები ბრბოში ამიტომაც შემეშინდა როცა იმ მეორე გაავებულმა ხარმა შარფებიან და ქუდზე იმ 2 რაღაციან ბანდერილიეროს შეუტია და ველურმა კაცებმა ბრავო ტორრო დასჭექეს არც ქალები აკლებდნენ თავის თეთრ ლამაზ მანტილიებში საცოდავი ცხენები გამოფატრული მუცლებით ასეთი რამ ჩემს სიცოცხლეში არ მსმენია ჰო სიცილით ასკდებოდა ფერდები მე რომ წარმოვუდგენდი როგორ წკმუოდა ის საცოდავი ავადმყო[illegible] ლეინზე რა ბედი ეწიათ მას შემდეგ ვფიქრობ დიდი ხანია დაიხოცნენ ორივენი გახსენდება როგორც ბურუსში და თავი ისეთი ბებერი გეჩვენება ღვეზელს ვაცხობდი რა თქმა უნდა ყველაფერი მქონდა ჩემთვის მერე ის გოგო ჰესტერი ერთმანეთის თმას ვადარებდით ჩემი უფრო ხშირი იყო ის მაჩვენებდა როგორ უნდა დაიმაგრო კეფაზე მერე კიდევ როგორ უნდა გამენასკვა ძაფი ცალი ხელით დებივით ვიყავით რა ხნის ვიყავი ქარიშხლის ღამეს მის ლოგინში მეძინა ხელები მომხვია მერე დილით ბალიშს ვესროდით ერთმანეთს კარგად ვიმხიარულეთ ის კაცი კი მუდამ მიყურებდა როგორც კი ამის საშუალება ქონდა როცა ალამედას ესპლანადაზე ვიდექი ორკესტრის გვერდით მამასთან და კაპიტან გროუვთან ერთად ჯერ ზემოთ ეკლესიას ავხედე შემდეგ ფანჯრებს მერე ქვემოთ და ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა ისეთი გრძნობა გამიჩნდა თითქოს ნემსებმა დამიარა ტანში თვალები მიბრწყინავდა მერე სარკეში ჩავიხედე ძლივს ვიცანი საკუთარი თავი ისე შევიცვალე თავისუფლად შეიძლება ქალიშვილს მოწონებოდა მიუხედავად იმისა რომ ოდნავ შემელოტებული იყო ჭკვიანი დარდიანი და ამავე დროს მხიარული გავდა ტომასს ეშლიდაიატის ჩრდილიდან მე ვარდივით ვიყავი შესანიშნავი კანი მზისაგან და ღელვისაგან ღამე თვალი არ მომიხუჭავს ჰესტერის მიმართ არ იქნებოდა ლამაზი მაგრამ მე ადვილად შევძლებდი დროზე შემეწყვიტა ჰესტერმა წასაკითხად მომცა მთვარის ქვა იქამდე უილკი კოლინზის არაფერი წამეკითხა ისტ ლინი წავიკითხე და ქნი ჰენრი ვუდის ეშლიდაიეტის ჩრდილი აგრეთვე ჰენრი დანბარი მეორე ქალისა მერე იმას ვათხოვე შიგ მალვის ფოტო მქონდა დატანებული რომ ენახა მეც მყავდა და ლორდ ლიტონის იუჯინ ერამი ქნ ჰანგერფორდის ტურფა მოლი მომცა სახელის გამო არ მიყვარს წიგნები რომელშიც მოლია აი ისეთი ამან რომ მომიტანა ფლანდრიელ კახპაზე[17] რასაც და სადაც მოიხელთებდა ყველაფერს რომ იპარავდა ტანსაცმლის ნაჭრებს იარდებით ოო ეს საბანი მეტისმეტად მძიმეა აი ასე უკეთესია ერთი წესიერი ღამისპერანგი არა მაქვს მთლად გადამეგრიხა ქვეშ და ეს კი თავისი სულელური ასე უკეთესიათი ამასწინათ სკამზე ვცმუკავდი სიცხეში სულ რომ გამიოფლიანდა და ღუმებში ჩამეჩხირა რომ ავდექი ისეთი სქელი და მკვრივები მქონდა ტახტზე შევდექი მენახა კალთები ავიწიე ლამე ბალლინჯლოები ფუთობით და კოღოების ბადეები სტრიქონი ვერ წავიკითხე ღმერთო რა დიდი ხნის წინათ იყო ეს ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაფერი რა თქმა უნდა აღარასოდეს დაბრუნებულან და თავისი მისამართიც არ მოიწერა წესიერად შესაძლოა შეამჩნია რომ მისი შავტუხები მუდამ მიდიოდნენ და ჩვენ კი არასოდეს მახსოვს ის ღელვიანი დღე და აპრეხილცხვირიანი ნავები ტალღებზე ირწეოდნენ და გემის სუნი ოფიცრების მუნდირები ნაპირზე გამგზავრების გამო ზღვის ავადმყოფობა დამემართა მას არაფერი უთქვამს ძალიან სერიოზული იყო მაღალყელიანი ფეხსაცმელი მეცვა ღილებზე და ქვედატანი მიფრიალებდა ჰესტერმა ექვსჯერ თუ შვიდჯერ მაკოცა ვტიროდი თუ არა ალბათ ჰო ანდა თითქმის ტუჩები მითრთოდა როცა ვეთხოვებოდი მას ტანზე შესანიშნავი საგზაო მოსასხამი ქონდა რაღაც განსაკუთრებული ცისფერი უცნაური ფასონის და ძალზე ლამაზი მათი წასვლის შემდეგ საშინელი მოწყენილობა ჩამოვარდა მზად ვიყავი გიჟივით გადავკარგულიყავი სადმე არასოდეს მოგვწონს იქ სადაც ვართ მამა ან მამიდა ან ქორწილი ელოდება მუდამ ელოდები მას ელოოდეებ მოოოვიდეს შენთან მათი წყეული ზარბაზნები ისროდნენ და გრუხუნებდნენ განსაკუთრებით დედოფლის დაბადების დღეს და ყველაფერი ცვიოდა ფანჯრებს თუ არ გააღებდი როცა გენერალი ულისე გრანტი ვინც და რაც იყო დიდ ვინმედ კი ითვლებოდა გემიდან გადმოვიდა და ბებერი სპრეიგი[18] რომელიც იქ უხსოვარი დროიდან კონსულად იყო საზეიმოდ ჩაცმული ბედშავი შვილზე მგლოვიარე მერე კვლავ დილის საღვიძარა და დოლის გრუხუნი და საცოდავი ჯარისკაცები აქეთ იქით დაშლიგინობდნენ თავისი თუნუქის ჭიქებით და უფრო მეტ სიმყრალეს აფრქვევდნენ ვიდრე გრძელწვერა ბებერი ებრაელები თავისი ჯალაბებით და ლევიტელთა თავყრილობა და ბუკის ხმა და ზარბაზნის სიგნალი ყველა დაბრუნდეს გალავანში და ყარაულის უფროსი გასაღებებით დადის კეტავს ალაყაფს და გუდასტვირები და მხოლოდ კაპიტანი გროუვი და მამა მსჯელობენ რორკს დროფტზე და პლევნაზე და სერ გარნეტ უოლზლიზე და გორდონზე ხართუმში ვუკიდებდი ხოლმე მათ ჩიბუხებს ლოთი ბერიკაცი თავისი გროგით ფანჯრის რაფაზე ბოლომდე წრუპავს გამუდმებით ცხვირს იჩიჩქნის თან ფიქრობს კიდევ რა უწმაწური ამბავი მოვყვე ლუდხანაშიო მაგრამ ჩემთან მაინც თავდაჭერილი იყო ნებისმიერი საბაბით ცდილობდა ოთახიდან გავსულიყავი კომპლიმენტებს მეუბნებოდა რა თქმა უნდა ვისკი ალაპარაკებდა ჩემ მაგივრად რომ სხვა ქალსი ყოფილიყო იგივეს ეტყოდა ვგონებ დიდი ხანია მოკვდა თეთრი ციებისგან დღეები წელიწადივით იწელებოდა არა წერილი ქე ხორციელისაგან რამდენიმე გამონაკლისის გარდა და როცა საკუთარ თავს გავუგზავნე სუფთა ქაღალდის ნაგლეჯები ზოგჯერ იქამდე მივდიოდი მოწყენილობისგან რომ მზად ვიყავი საკუთარი ფრჩხილები დამეკვნიტა ის ცალთვალა არაბი თავისი ყროყინა ინსტრუმენტით რომ მოყვებოდა სიმღერას ჰიაჰ ჰიაჰ მიილეთ ჩვენი კემპლემენტები თქვენც შესანიშნავი ყროყინი გაქვთ მაშინაც ასე ნაღვლიანად ვიყავი ხელებჩამოშვებული ვინმე სიმპათიური ყმაწვილი მაინც იყოს პირდაპირ როგორც ის მედიკოსი ჰოლეს სტრიტზე მედდას რომ მოწონდა ხელთათმანებს ვიცვამდი და ქუდს ვიხურავდი ფანჯრის წინ მეჩვენებინა გარეთ გამოვდივარ მეთქი ვერა და ვერ მიხვდა ვერაფრით მა ხისთავები არ არიან ვერ ხდებიან რას ეუბნები უნდათ რომ დიდი ასოებით დაუბეჭდო დიდ აფიშაზე თუნდაც მისალმებისას ორჯერ ზედიზედ მარცხენა ხელი ჩამოართვა ვერ მიცნო ვერც მაშინ თითქოს შუბლი რომ შევკარი უესტლანდ როუს სამრეკლოსთან ნეტა მათი მძლავრი ინტელექტი სად ქრება ხოლმე თუ მკითხავთ რუხი ნივთიერება მთლიანად კუდში აქვთ იმ სოფლელ მეღუქნეებს სასტუმრო ქალაქის გერბის იქით რომ არიან ინტელექტი გაცილებით ნაკლები აქვთ ვიდრე იმ ხარებს და ძროხებს რომლითაც ვაჭრობენ ანდა მენახშირის ზარი ეგ თავხედი ეგა ჩემი გაცურება მოინდომა ქუდიდან სულ სხვა ანგარიში დააძრო თან რამხელა ტორები ქონდა ქვაბები ჩაიდნები ტაფები შევაკეთოთ და ცარიელ ბოთლებს ვაგროვებთო და არავითარი სტუმარი და არავითარი ფოსტა გარდა ამისი ჩეკებისა და შემთხვევითი რეკლამისა როგორც იმ სასწაულმოქმედისაგან ამას უგზავნიან და მიმართვაში კი ძვირფასო ქალბატონო მხოლოდ ამ დილას მისი წერილი და ღია ბარათი მილისგან უყურე ერთი ამას მოწერა მე ვილასგან მივიღე უკანასკნელად ოო ქნი დუენი რამ მოაფიქრა ამდენი წლის შემდეგ კანადიდან მოეწერა ჩემი პისტო მადრილენოს რეცეპტის გამო კიდე ფლოუი დილონმა მომწერა რომ მდიდარ არქიტექტორზე თხოვდება თუ დაეჯერება ვილა და რვა ოთახი მამამისი სასიამოვნო ადამიანი იყო ასე სამოცდაათიოდე წლისა და მუდამ შესანიშნავ გუნებაზე აბა კი მისს ტუიდი ანდა მისს გილესპი აგერ ჩვენი ფორტეპიონერი კიდევ ქონდა ყავის სერვიზი ბაჯაღლო ვერცხლის წითელი ხის ბუფეტზე იდგა მერე მოკვდა სადღაც იქ შორს არ მიყვარს ხალხი რომელთაც მუდამ მოენახებათ თავისი რაიმე უბედურება სხვებისთვის მოსაყოლად ყველას თავისი გასაჭირი აქვს საბრალო ნენსი ბლეიკი ერთი თვის წინ მოკვდა ფილტვების ანთებისგან კარ-

ეროვნული

გად არ ვიცნობდი ფლოუის მეგობარი უფრო იყო საწყალი ნენსი არ იცი რა უპასუხო ეს ყოველთვის მკანახობს რაიმეს ამოუსუნთქებლად თითქოს სიტყვით გამოდის თქვენს დიდს მწუხარებას ეს სიტყვა მუდამ მეშლება და აგრეთვე თქვენსს 2 ს-თი ვწერ იმედია შემდეგში უფრო გრძელ წერილს მომწერს თუკი ნამდვილად მოვწონვარ ოო დიდება უფალს მეღირსა რომ მყავს ისეთი ვინმე ვისაც შეუძლია მომცეს რაც ასე ძალიან მჭირდება ეგებ ოდნავ გული მომეცეს თორემ აქ რა შანსი გაქვს როგორც ოდესღაც მინდა ვინმემ სასიყვარულო წერილი მომწეროს იმისი ისერა იყო და ვუთხარი შეგიძლია მომწერო რაც მოგესურვება მეთქი მარად შენი ჰიუ ბოილანი სულელ ქალებს ისეთი მონაჩმახის სჯერათ რომ სიყვარული ოხვრაა როგორც *ძველ მადრიდში ჩემი გული გათანგული* და მაინც ასე რომ მოეწერა შიგ ალბათ სიმართლის რაღაც ნამცეცი იქნებოდა ტყუილია თუ მართალი მთელ დღეს აგივსებს და შეიძლება ცხოვრებაც ყოველ წუთს რაღაც საფიქრებელს გაძლევს და შენს გარშემო თითქოს ახალი სამყაროა შემეძლო ლოგინშივე მიმეწერა პასუხი რომ წარმომიდგინოს სულ რამოდენიმე სიტყვა მოკლე ფრაზები და არა ის უგრძესი გადაფხაჭნილი წერილები რომლებსაც ეტი დილონი წერდა ხოლმე თავის სატრფოს რომელიც სასამართლოს მოხელე თუ რაღაც იყო და მალე მიატოვა კიდეც ამიტომაც ვუთხარი მარტივი სიტყვებით მიწერე მეთქი და თავი დაანებე მაგ მანდილოსნების წერილების სახელმძღვანელოს მეთქი მოუქნელი ფრაზები ღრმადპატ პატივსაცემ პატივცემულო უდიდეს მიწიერ ბედნიერებას მომანიჭებთ დადებითი პასუხის შემთხვევაში ღმერთო დიდებულო როცა სხვა სადარდებელი არ გაქვს ალბათ კარგი გასართობია კაცებისთვის მაგრამ ქალისთვის ძნელია როგორც კი დაბერდები შეუძლიათ უძირო ორმოში მოგისროლონ

მალვისაგან იყო პირველი წერილი ლოგინში ვიწექი დილით და ქნმა რუბიომ[19] შემომიტანა ყავასთან ერთად თვითონაც იქვე იდგა ვთხოვე მოეწოდებინა ისა მივუთითე სიტყვა ვერ გავიხსენე თმის ჩხირი კონვერტის გასახსნელად ჰორქუილლა ჯიუტი პარიკიანი ბებრუსანა პირდაპირ ცხვირწინ ქონდა და თავი მოჰქონდა გარეგნობით საშინლად კი გამოიყურებოდა 80ისა თუ 100ის იყო სრულიად დანაოჭებული მთელი თავისი რელიგიური პათოსით ქადაგად ქცეული როგორ მოხდა რომ მსოფლიოს გემების ნახევარი ბრიტანულ ატლანტიკურ ფლოტს ყავს და ბრიტანული დროშა ფრიალებს მიუხედავად მთელი მისი კარაბინერებისა რადგან 4მა გალეშილმა ინგლისელმა მეზღვაურმა მთელი კლდე დაიპყრო და რამ მე ისე ხშირად არ დავდივარ წირვაზე სანტა მარიაში მის საამებლად მუდამ შალწამოსხმული გარდა ჯვრისწერისა მთელი თავისი წმინდანების სასწაულებით და შავი ყოვლადწმინდა ქალწულით ვერცხლისფერ სამოსში და რწმენით რომ მზე სამჯერ ცეკვავს აღდგომის დილას და როცა მღვდელი ჩაივლიდა ზარის წკარუნით მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად ლოცულობდა მისი ციური უფლის ჯანმრთელობისათვის თქვენი თაყვანისმცემელი ასე მოაწერა ხელი სიხარულისაგან კინაღამ საკუთარი კანიდან არ გამოვხტი უცებ მომინდა მივსულიყავი როცა მაღაზიის ვიტრინაში დავინახე მომდევდა კალ რეალზე მერე გვერდზე ჩამიარა და ოდნავ შემეხო თავში არც მომსვლია რომ მომწერდა და პაემანს დამინიშნავდა გულის პირზე მქონდა მიკრული და მთელი დღე თან ვატარებდი ყოველ კუთხე კუნჭულში გადავიკითხავდი ხოლმე სანამ მამა ჯარისკაცებს წვრთნიდა ეგებ ხელწერის ანდა შტამპებით და მარკების მიხედვით გამეგო რა ტიპია მახსოვს ვღიღინებდი *თეთრი ვარდი ხომ არ დავიბნიო* და მინდოდა ძველი საათი გადამეწია დრო რომ მოახლოვებოდა ის პირველი მამაკაცი იყო რომელმაც მაკოცა მავრიტანული კედლის ძირას *ბავშვობის ხანის მიჯნური ჩემი* წარმოდგენაც არ მქონდა რა იყო კოცნა სანამ ენა არ შემიყო პირში მისი პირი ტკბილი იყო და ჭაბუკური რამდენჯერმე მუხლით შევეხე სანამ ვსწავლობდი რა ვუთხარი ვითომ დანიშნული ვიყავი ესპანელი აზნაურის ვაჟზე სახელად დონ მიგუელი დე ლა ფლორა და დამიჯერა რომ 3 წელიწადში უნდა მივთხოვებოდი ხუმრობით ნათქვამი ხშირად სიმართლედ იქცევა ხოლმე აგერ ფლორა ყვავილი ბლუმი ცოტა რამ ჩემ შესახებ მართალიც ვუამბე მისი წარმოსახვის გასაღიზიანებლად ესპანელი ქალიშვილები არ მოსწონდა რომელიმემ თუ დაიწუნა მე ავაღელვე მთელი ყვავილები დამისრისა მკერდზე თავისივე მოტანილი პესეტების და პერაგორდების თვლა არ იცოდა სანამ არ ვასწავლე წარმოშობით ბლეკუოტერის კაპოქვინადან ვარო მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა მერე მისი გამგზავრების წინადღეს მაისში ჰო მაისი იყო ესპანეთის მეფისწული რომ დაიბადა გაზაფხულზე მუდამ ასე ვარ ყოველ წელს ახალი თაყვანისმცემელი მინდა ზედ კლდის ქიმზე ქვემეხების ქვეშ ოპარას კოშკთან ვუამბე როგორ დაეცა მეხი და უკუდო ბერბერი მაიმუნების შესახებ კლეპჰემში რომ გაგზავნეს ერთმანეთის ზურგზე შემსხდარი რომ დარბიან მთელი შოუს გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავლობაში ქნი რუბიო ადგილობრივი მაცხოვრებელი ყვებოდა მაიმუნები წიწილებს იპარავენო ინსის ფერმიდან და ქვებს ისვრეინებიან თუ მიუახლოვდი სულ მიყურებდა ის თეთრი ბლუზა მეცვა წინიდან ჩახსნილი მის წასაქეზებლად თუმცა ზომიერად სწორედ დამრგვალებას იწყებდნენ დავიღალე მეთქი ვუთხარი მყუდრო მდელოზე წამოვწექით ნაძვის ხის ჩრდილში ვგონებ ყველაზე მაღალი კლდე იყო მსოფლიოში გალერეები კაზემატები და ის საშინელი ლოდები და წმინდა მიქაელის გამოქვაბული დაკიდული ლოლუებით თუ რასაც ეძახიან და კიბეები და მთელი ტალახი ფეხსაცმელზე გეკვრება დარწმუნებული ვარ ზღვის ქვეშ სწორედ ამ გზით გადადიან მაიმუნები აფრიკაში სიკვდილის შემდეგ შორს ხომალდები სათამაშოებივით აგერ მალტისკენ მიმავალი გემი და ზღვა და ცა და შეგიძლია რაც მოგესურვება ის აკეთო იწვე რამდენხანსაც გინდა ბლუზის ზემოდან ეფერებოდა კაცებს უყვართ სიმრგვალეა რომ ხიბლავთ ჩემი ახალი ჩალის ქუდით მივეყრდენი ცოტა რომ მომეთელა მარცხენა მხრიდან სახე უფრო ლამაზი მიჩნს ბლუზა შეხსნილი მის ბოლო დღესთან დაკავშირებით გამჭვირვალე პერანგი ეცვა მკერდი ვარდისფრად მოუჩანდა რაღაც მომენტში ჩემსას უნდოდა შეხებოდა არ დავანებე ძალიან დაწყდა გული ჯერ ერთი მეშინოდა ჭლექს ან ბავშვს ამკიდებს embarazada[21] ის ბებერი მოახლე ინესი მეუბნებოდა ერთი წვეთიც რომ მოგხვდეს შიგნით საკმარისიაო ბანანით რომ ვცადე შემეშინდა არ მოტეხილიყო და სადღაც შიგნით არ დამრჩენოდა აკი ერთხელ რაღაც ამოაცალეს ქალს წლობით რომ ქონდა შიგ ჩარჩენილი მარილებით დაფარული გიჟდებიან ისე უნდათ შეძვრნენ იქ საიდანაც გამოძვრნენ სულ გონიათ საკმარისად ღრმად არ შევედითო და მერე აღარ ჭირდები სანამ ისევ არ მოუნდებათ ჰო რადგან საოცარი შეგრძნებაა შიგნით საამო მუდამ რითი დამთავრდა მაშინ ჰო ჩემ ცხვირსახოცში გავათავებინე თითქოს მე სულაც არ გავლიზიანდი მაგრამ ფეხები მაინც გავშალე ქვედატანის ქვეშ არ შევუშვი რადგან გვერდიდან მეხსნებოდა სიცოცხლე გავუმწარე ჯერ ვულიტინებდი მიყვარდა ეშმას გაღვიძება როგორც სასტუმროს ძაღლს ვუკიტინებდი ბრრრ ავავავ თვალები დახუჭული ქონდა და ჩიტი ფრთხიალებდა იქვე ახლოს გაუბედავი იყო მაინც მსიამოვნებდა ასე რომ გმინავდა ოდნავ გავაწითლე ზევიდან რომ მოვექეცი აი ასე გავუხსენი ამოვულე გადავუქაჩე თითქოს თვალი უზის შიგო აქეთ იქიდან ღილები მოლი გენაცვალეო მეუბნებოდა რა ერქვა ჯეკ ჯოუ ჰერი მალვი ჰო მგონი ლეიტენანტი იყო კარგი შესახედავი მოცინარი ხმა ქონდა მე წაველი რაქვიაიმას ყველაფერი რაქვიაიმას ულვაშებს ატარებდა და თქვა დაბრუნდებიო ღმერთო ჩემო ეს ყველაფერი თითქოს გუშინ მოხდა და როცა გავთხოვდებოდი შეიძლებოდა ის ექნა ჩემთან და დავპირდი ჰო უსათუოდ ახლა მივცემდი იქნებ მოკვდა ან მოკლეს ან კაპიტანია ან ადმირალი თითქმის 20 წელია რომ მეთქვა მდელო ნაძვის ქვეშ უთუოდ უკანიდან რომ მომპაროდა და თვალებზე ხელები დაეფარებინა თუ მიხვდები ვინ მაშინვე ვიცნობდი ჯერ ახალგაზრდაა 40მდე იქნებ ცოლიანი ვინმე ბლეკუოტერელი და ძალიან შეცვლილი ეგენი ყველანი იცვლებიან ქალებთან შედარებით სუსტი ხასიათი აქვთ არც კი იცის რას ვუკეთებდი მაგის საყვარელ ქმარს იქამდე სანამ საერთოდ დაესიზმრებოდა მისი არსებობა თანაც დღისით მზისით შეიძლება ითქვას მთელი ქვეყნის დასანახად შეიძლება ამის შესახებ ქრონიკაშიც დაბეჭდილიყო იმის შემდეგ ცოტა ჭკუაზე ავიწიე ნამცხვრის პარკი გავბერე და გავხეთქე ღმერთო რა ხმა ქონდა მთელი ტყის ქათმები და გვრიტები დავაფეთე უკან იმავე გზით დავბრუნდით შუათანა გორაკით ძველ საყარაულოსა და ებრაელების სასაფლაოს გავლით ვითომ ებრაულ წარწერებს ვკითხულობდით მინდოდა მისი დამბაჩა გამესროლა მითხრა არა მაქვსო არ იცოდა როგორ მოქცეულიყო კეპს მუდამ გვერდზე მოგდებულს ატარებდა მე კი სულ ვუსწორებდი წარწერით მისი უდიდებ ხომალ კალიფსო და ჩემს ქუდს ვუქნევდი იმ ბებერი ეპისკოპოსის გრძელი ქადაგებას ამბიონიდან ქალის მაღალი დანიშნულების შესახებ და თანამედროვე ქალიშვილებზე რომლებიც ველოსიპედით დასეირნობენ და ატარებენ კეპებს და ახალ მოდურ ნიფხვებს ბლუმერებს ღმერთო იმას ჭკუა მიეცი და მე ფული ალბათ ამის საპატივცემოდ ეძახიან ასე[22] რას ვიფიქრებდი რომ გვარი ბლუმი მექნებოდა ვცადე სტამბურად დამეწერა რომ დამენახა როგორი იქნებოდა სავიზიტო ბარათზე ანდა ვვარჯიშობდი ყასბის ანგარიშზე მ ბლუმისათვის პატივისცემით გისურვებთ ყოველგვარ ბლუმდღეობას და კეთილბლუმობას მითხრა ჯოუზიმ როცა ამას მივთხოვდი მერე და რა ბრინს და ბრიგზს მაინც ჯობია ანდა იმ საშინელ გვარებს ჰულიგანი და სენდვიჩი მაინც და მაინც არც მალვიზე ვგიჟდები ანდა დავუშვათ გავეყარე ამას ქნი ბოილანი დედაჩემს ვინც არ უნდა ყოფილიყო შეეძლო ღმერთია მოწყალე უკეთესი სახელი დაერქმია ჩემთვის თვითონ კი ისეთი ლამაზი სახელი ქონდა ლუნიტა ლარედო როგორ ვიძხიარულეთ უილის როუდზე რომ დავრბოდით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის კონცხიდან ჯერზის მთელ იქითა მხარეზე რომ მიიკლაკნება ბლუზაში დამიხტოდნენ და ცეკვავდნენ როგორც ახლა მილის პატარები როცა კიბეზე ამორბის ზევიდან მიყვარდა ყურება წიწაკის და თეთრი ალვის ხეებთან ვხტოდი ფოთლებს ვგლეჯდი ბლუჯად და მას ვესროდი ინდოეთში წავიდა წერას აპირებდა ამ ყმაწვილებს ხეტიალი უწერიათ გადასაკარგავში და აქეთობას სამაგიეროდ ზოგჯერ ბედი გაუღიმებთ და ერთ ორ ქალს ჩაეხუტებიან მიდიან ისეთ ადგილებში სადაც შეიძლება სულ უბრალოდ დაიხრჩონ ანდა აფეთქდნენ იმ კვირა დილას უინდმილ ჰილის გორაკზე ავედი განსვენებული კაპიტან რუბიოს პატარა დურბინდით აი მზვერავს რომ აქვს ისეთი მითხრა გემიდან შემიძლია ორიოდე ავიღოო ის პარიზული კაბა მეცვა ბონ მარშედან და მარჯნის მძივი მეკეთა ვიწრო სრუტე ბზინავდა თითქმის მაროკომდე მწვდებოდა თვალი თეთრი ტანჟერის ზღვის უბე და ატლასის თოვლიანი მთები და სრუტე მდინარესავით გამჭვირვალე *საყვარელო მოლი* სულ მასზე ვფიქრობდი როგორ იყო ზღვაზე წირვის შემდეგ როცა ქვედატანი ჩამეწია თანდათან და იმ ცხვირსახოცს რამდენიმე კვირას ვინახავდი ბალიშის ქვეშ მისი სუნი რომ ყოფილიყო გიბრალტარზე წესიერ სუნამოს ვერ იშოვიდი მხოლოდ იაფფასიანს ესპანური კანი ერქვა სურნელი გასდიოდა და სიმყრალის მეტი ზედ არაფერი გრჩებოდა ძალიან მინდოდა მისთვის რამე მიმეცა სახსოვრად კლადას უხეში ბეჭედი მაჩუქა საბედოდ გარდნერს მივეცი სამხრეთ აფრიკაში რომ მიდიოდა სადაც იმ ბურებმა მოკლეს თავისი ომითა და ტიფით მაგრამ იმათაც გვარიანად მოხვდათ თითქოს უბედურება მოუტანა როგორც ოპალმა და მარგალიტმა იცის მაგრამ მაინც ალბათ სუფთა 18 კარატი ოქრო იქნებოდა რადგან ძალიან მძიმე იყო მაგრამ რას უნდა ელოდე ასეთ ადგილას სილის ქარბორბალა აფრიკიდან და ის ადამისდროინდელი გემი რომ შემოვიდა მარი მარი რაქვია არა მალვის ულვაშები არ ქონდა ეს გარდნერი იყო ჰო ვხედავ მის პირისახეს წმინდად გაპარსულს ფფფშშშსსსუუუუუ ისევ ის მატარებელი შესაბრალისი ხმა *იმ ძვირფას გარდასულ დღეთა თვალები დავხუჭო ამოოხვრა ჩემი ტუჩები კოცნა სევდიანი გამომეტყველება ფართოდ გახელილი თვალები პიანო მარად მთელ ქვეყანაზე ბურუსი ჩამოწვა მეჯავრება ტრფობის ტკბილი სიმღეეეეეერას* ერთხელაც სრული ხმით შევასრულებ განათებულ სცენაზე კეთლინ კარნი და მისი ღამსმენების ხროვა მისს ესა და მისს ისა და კუანა პრანჭიების გუნდი გარშემო ირევა ენას ატარტალებენ პოლიტიკაზე რომელიც ისევე გაეგებათ როგორც ჩემს უკანალს ქვეყანაზე რაზეც გნებავთ ოღონდაც როგორმე საინტერესონი გამოჩნდნენ პროვინციალი ირლანდიელი ლამაზმანები ჯარისკაცის ქალიშვილი ვარ დიახაც და თქვენ ვიღასი ხართ მეწაღეების და მიკიტნების ჩვენ დიდი ბოდიში ეტლო მე მეგონა ურიკა იყავი დაენარცხებოდნენ და სულს განუტევებდნენ ოდესმე რომ ბედი სწეოდათ და ალამედაზე გაევლოთ ოფიცერთან ხელგაყრილებს როგორც მე ზაფხულის იმ საღამოს სამხედრო ორკესტრის მუსიკით თვალები მიბრწყინავდა ჩემი მკერდი მათ რომ არ გააჩნიათ გზნება ღმერთო შეიბრალე მათი უბადრუკი თავი 15 წლის ასაკში მეტი ვიცოდი კაცებზე და ცხოვრებაზე ვიდრე მათ 50 წლისას ეცოდინებათ ვერც სიმღერას იმღერებენ ასე გარდნერი ამბობდა არც ერთ მამაკაცს არ შეუძლია შენს მომღიმარ პირს და ტუჩებს შეხედოს და იმაზე არ იფიქროსო თავიდან შემეშინდა ჩემი აქცენტი არ მოეწონებოდა იმდენად ინგლისურია ეს არის რაც მამაჩემმა დამიტოვა თავისი მარკების გარდა თვალები და ტანი დედისა მაქვს მამა მუდამ მეუბნებოდა ამ კადეტებს ზოგჯერ ისეთი დიდი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზეო მაგრამ ამას ეგ არ ჭირდა ჩემ ტუჩებზე გიჟდებოდა ჯერ ისეთი ქმარი იშოვონ შესახედად რომ არ დაიწუნებოდეს და ისეთი ქალიშვილი მე რომ მყავს ანდა ვნახოთ ერთი თუ შეძლებენ ისეთი ჯიბესქელი მოჩანგლონ როგორც ბოილანია რომელიც თვითონ ირჩევს ვინ მოესურვება და ჩახუტებულებმა 4ჯერ ან 5ჯერ ქნან ანდა ჩემი ხმა თავისუფლად შემეძლო პრიმადონა გავმხდარიყავი ამას რომ არ გავყოლოდი და *მოოდის სიყვაარუული* დაბლა აიღე ნიკაპი ქვევით ოღონდ ოდნავ თორემ ლაბაბი *ჩემი სატრფოს ბუდუარი* მეტისმეტად გრძელია ბისზე შესასრულებლად მთელი თავისი ბინდით და თალებით ჰო ვიმღერებ *სამხრეთის ქარს* რომელიც გუნდის წარმოდგენის შემდეგ მომცა შავ კაბას მარმაშს მოვაძრობ მკერდი რომ წესიერად გამომიჩნდეს და კიდევ ჰო იმ დიდ მარაოს შევაკეთებ გულზე რომ გასკდნენ შურისგან ისევ ამიქავდა ასეა ყოველთვის როცა მასზე ვფიქრობ ვგრძნობ როგორ მინდება ვგრძნობ გაზები მიგროვდება ჯობია ჩუმად არ გავალვიძო თორემ ისევ დამღორბლავს მე კი საგულდაგულოდ დავიბანე ზურგი მუცელი და თეძოები ნამდვილი აბაზანა მაინც რომ გვქონდეს ანდა საკუთარი ოთახი მაინც ნეტა ცალკე ლოგინში ეძინოს თორემ შემომაწყობს თავის ფეხებს მოგვეც ჩვენ უფალო ცოტა მეტი სივრცე თუნდაც გაზების გამოსაშვებად ანდა წესი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერად დასაწოლად ჰო ასე უკეთესია კიდევ მივწიო პიანო რბილად *იქ შოორს მატარებელიააა ძვირფაასოო პიანისიმო ფიიი ფიიიმლერა*

მომეშვა მოერიდე ტყუილს ნუ იკავებ კუილს ვინ იცის ღორის კატლეტი ჩაის რომ დავაყოლე თუ ვარგოდა ამ სიცხეში სუნი არ მცემია ეს ყასაბი საეჭვი ტიპია დიდი თაღლითი ვინმე იქნება იმედია ლამფა არ ბოლავს მირჩევნია ცხვირი ჭვარტლით მქონდეს გამოტენილი ვიდრე მთელი ღამე გაზი დატოვოს ვერადა ვერ ვისვენებდი ხოლმე ჩემ ლოგინში გიბრალტარზე უსათუოდ უნდა ავმდგარიყავი შემემოწმებინა ნეტა ასე რა მანერვიულებს ზამთარში მომწონს კიდეც ასე მგონია მარტო არა ვარ ოო ღმერთო როგორ ციოდა იმ ზამთარს ათი წლის თუ ვიქნებოდი ჰო დიდი თოჯინა მყავდა სულ რაღაც კაბებს ვაცმევდი ვხდიდი სუსხიანი ქარი ბერავდა ხოლმე რაღაც ნევადა სიერა ნევადას მთებიდან ვიდექი ბუხართან სიფრიფანა პერანგის ამარა ოდნავ აწეული რომ გავმთბარიყავი მიყვარდა პერანგში წაცეკვება და მერე გავრბოდი ლოგინში დარწმუნებული ვარ ის ყმაწვილი პირდაპირ სულ იქ იდგა სინათლეს აქრობდა ზაფხულში და მიცქერდა როგორ დავხტოდი შიშლიკანა მაშინ ჩემი თავი მომწონდა მერე გახდილი ვიბანდი კრემს ვისვამდი მხოლოდ როცა ქოთანზე მიდგებოდა საქმე სინათლეს ვაქრობდი და მაშინ 2ნი ვრჩებოდით მშვიდობით ჩემო ძილო ამაღამ იმედია იმ მედიკოსებს არ აყვება გზას რომ ააცდინონ უცაბედად არ ეგონოს რომ ისევ ახალგაზრდაა დილის 4 საათზე მოსვლა თუ უფრო გვიან არა მორიდება მაინც ეყო რომ არ გამალვიძა რა აქვთ სალაქლაქო მთელი ღამე ფულს ფლანგავენ და ლვინოში იხრჩობიან წყალი ესვათ არ ჯობია მერე კვერცხს და ჩაის გვიკვეთავს და ორაგული ფინდონის დუქნიდან და კარაქიანი ნაფიცხი პური მერე მეფესავით წამოგვისკუპდება და კვერცხს შებრუნებული კოვზით დაუწყებს ამოჩიჩქნას ნეტა ეს სად ისწავლა მიყვარს დილაობით საუზმეს რომ მოაგრიხინებს ხოლმე კიბეზე ლანგარით მერე კატას ეთამაშება გეხახუნება თავისი სიამოვნებისთვის რწყილება თუ ყავს არც ერთ ქალზე ნაკლები არ არის სულ ილოკება და სუფთავდება მაგრამ მაგათ ბრჭალებს ვერ ვიტან საინტერესოა თუ ხედავენ ისეთ რამეს რასაც ჩვენ ვერა დიდხანს რომ ზის კიბის თავში მომშტერებია და მისმენს როგორ ველოდები საშინელი ქურდბაცაცაც არის ის მშვენიერი ძვირი ნაჭერი რომ ვიყიდე ხვალ ან ზეგ რამე თევზს მოვიტან უკვე პარასკევია ჰო მოვიტან და ბლამანჟეს მოცხარის ჯემით როგორც ძველ დროს მხოლოდ ჯერ უილიამსისა და ვუდზის იმ 2 გირვანქიან ქილებში ქლიავის და ვაშლის ნარევი ლონდონიდან და ნიუკასლიდან გველთავზაზე ორჯერ უფრო მეტხანს ძლებს მხოლოდ ფხების გამო არ მიყვარს ჰო ვირთევზას კარგ ნაჭერს ავილებ 3 სულს რომ ეყოფა იმდენს ვილებ მუდამ მავიწყდება ასეა თუ ისე ეს ხორცი ბაკლის დუქნიდან ყელში ამომივიდა სუკი და საქონლის ფეხი და ნეკნები და ცხვრის კისერი და ხბოს ჯიგარი მარტო სახელი რად ღირს ანდა იქნებ პიკნიკი 5 შილინგი რომ დავდოთ თითომ ანდა იმან გადაიხადოს და ვინმე სხვა ქალიც დავუპატიჟოთ ვინ ქნი ფლემინგი სადმე დაბალ ველიანზე ანდა მარწყვის მდელოზე პირველ რიგში ცხენებს ეცემა და ფლოქვებს გაუსინჯავს როგორც წერილებს ათვალიერებს ხოლმე არა ბოილანის თანდასწრებით არა ჰო სენდვიჩები შაშხით და ცივად მოხარშული ხბოს ხორცით იქ პატარა სახლებია ქვემოთ მდინარის პირას თითქოს სპეციალურად მაგრამ ის ამბობს ცხელა თონესავითო მხოლოდ არა ოფიციალურ უქმე დღეს ვერ ვიტან იმ ხროვა ხროვა ხალხს ქალაქგარეთ რომ გადის გამოპრანჭული სულთა მოხსენიების დღეც უილბლო დღეა გასაკვირი არაა რომ ფუტკარმა უკბინა ყველაფერს ზღვაზე ჯობია ოღონდ ცხოვრებაში აღარასოდეს ჩავუჯდები ნავში მას შემდეგ რაც ბრეიში მენავე დაარწმუნა ნიჩბის მოსმა ვიციო ვინმემ რომ კითხოს შეძლებს თუ არა მარულაში მიიღოს მონაწილეობა ოქროს თასზე მაშინაც უპასუხებს ჰო მერე ამინდი შეიცვალა ძველი გობი მთელი სიმძიმით ჩემკენ დაიხარა მეუბნება საჭე მარჯვნივ გადაწიე ახლა მარცხნივო და წყალი კი ძირიდან შემოდიოდა და მატულობდა ამას კიდევ ნიჩაბიც ამოუვარდა სანიჩბე ორკაპიდან სასწაულად გადავრჩით დახრჩობას ამან იცის ცურვა მე კი არა საშიში არაფერია დაწყნარდიო თავის ფლანელის შარვალში ერთი სული მქონდა ყველას თვალწინ შემომეხია მისთვის და როგორც ეს იტყვის ხოლმე გამეშოლტა დამელილავებინა დედის რძესავით შეერგებოდა თავი იმ გრძელცხვირა ჭაბუკის გამო შევიკავე არ ვიცი ვინ არის ის მეორე ლაწაზ ბერკთან ერთად სასტუმრო ქალაქის გერბიდან მუდამ რაღაცას დაძვრება ხოლმე ნავმისადგომში სადაც არავის დაკარგვია ეგებ რაიმე ხიფათი დატრიალდაო გულს აგირევს 1 ნუგეშია რომ მზე და მთვარე ნამდვილად არ ამოგვდიოდა ერთმანეთზე ნეტავ ის რა წიგნი მომიტანა ცოდვის სიამენი მოდური ჯენტლმენისა მეორე ბნი დე კოკი ალბათ ეს სახელი იმიტომ შეარქვეს რომ ქალების კოკებს ავსებდა თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი ლულით თეთრი ფეხსაცმელი ვერაფრით ვერ გამოვიცვალე მლაშე წყლით სულ გავათახსირე და ფრთიანი ქუდიც დაიძენძა და დაილეჭა გულზე შემოგეყრება თან ზღვის სუნი ალმაგზნებდა და რა თქმა უნდა ის სარდინები და ზღვის კაპარჭინები კატალანის უბეში კლდის იქითა მხარეს მეთევზეების კალათებში ვერცხლივით ჩაყრილები ბერიკაცი ლუიჯი ასს მილწეული ამბობდნენ გენუიდანო და ხანში შესული მაღალი კაცი საყურეებით არ მიყვარს როცა კაცზე უნდა იბობღო სანამ მიაღწევ ალბათ ყველა დიდი ხანია დაიხოცა და გაიხრწნა ამას გარდა არ მიყვარს ღამე მარტო ყოფნა იმ ყაზარმასავით დიდ სახლში თუმცა ალბათ მომიხდება შევეგუო ისიც კი დამავიწყდა ერთი მწიკვი მარილი შემეტანა შესახლებისას[23] დავფეთდი მუსიკალური აკადემიის მოწყობა მოინდომა მეორე სართულის სასტუმრო ოთახში სპილენძის ფირფიტა უნდა დაეკიდა ანდა ბლუმის კერძო პანსიონი გადაწყვიტა გაკოტრებულიყო როგორც ადრე მამამისი ენისში და მისი ათასნაირი გეგმა მამაჩემს და მე რომ გვიყვებოდა მაგრამ მოხარშულს ვიცნობდი მიყვებოდა იმ ზღაპრული ადგილების შესახებ სადაც შეგვეძლო თაფლობის თვე გაგვეტარებინა ვენეცია მთვარის შუქზე გონდოლებით და კომოს ტბა რომელიღაც გაზეთიდან ამოეჭრა მისი ხედი და მანდოლინები და ლამპიონები ოო რა დიდებულია მეთქი ვთქვი მზად იყო ჩემი ნებისმიერი სურვილი შეესრულებინა იმწამსვე ან უფრო ადრეც *თუ იქნები ჩემი ქმარი უნდა იყო ჩემი დარჩ* მის შეთხზულ გეგმებში ერთი ტყავის მედალი მაინც უნდა მიელო მუყაოს ძეწკვზე ჩამოკიდული სინამდვილეში კი დაგვყარა აქ მთელი დღეების მანძილზე რაღაცას იგონებს ვითომ არ იცი ვინ ოხერი მათხოვარი მოგადგება კარზე ლუკმა პურისთვის ბრტყელ ბრტყელი მონაჩმახით ან იქნებ მაწანწალა ფეხს ჩაჩხირავს კარში რომ ვერ მივკეტო იმ წყალწალებული რეციდივისტის სურათივით ლოიდზ უიკლის ახალ ამბებში რომ იყო დაბეჭდილი 20 წელი ციხეში მერე გამოდის და კლავს მოხუც ქალს ფულისთვის რა დღეში იქნებოდა მისი უბედური ცოლი და დედა ან ვინც ყავს ისეთი სიფათი ქონდა უკან მოუხედავად გაექცევი ვერ ვისვენებდი ხოლმე სანამ ყველა კარსა და ფანჯარას არ ჩავრაზავდი მაგრამ ჩაკეტილში უარესია თითქოს ციხეში ხარ ან საგიჟეთში ეგეთები ყველა უნდა დაიხვრიტოს ანდა ცხრაბოლოიანი მათრახით გაიშოლტოს მხეცი ნადირი მზად არი თავს დაესხას საბრალო დედაბერს ლოგინში ჩაკლას მე რომ მეკითხებოდეს ამისთანას ბოლოს მოვუღებდი ამისაგან ბევრს არაფერს უნდა ელოდე სულ არაფერს მაინც ჯობია იმ ღამეს ნამდვილად მომეჩვენა ქურდები სამზარეულოში ამან სანთელსა და ქარცახს დაავლო ხელი პერანგის ამარა ქვევით ჩავიდა ვითომ თაგვს დაეძებდა მთლად ფერწასული შიშისაგან ლამის სული განუტევა და დიდი ხმაური ატეხა ქურდების გასაგონად კაცმა რომ თქვას ბევრს ვერაფერს წაიღებდნენ იცის ღმერთმა და მაინც განიცდი განსაკუთრებით მას შემდეგ რაც მილი წავიდა ამას რაღა მოეპრიანა ეს ჩვენი გოგო რომ იქ გაგზავნა ფოტოგრაფიის შესასწავლად ვითომ პაპამისის ხსოვნის პატივსაცემად იმის ნაცვლად რომ სკერის აკადემიაში გაეგზავნა იქ ისწავლიდა ჩემსავით კი არა სკოლაში სულ უმაღლეს ნიშნებს იღებდა მაგრამ ალბათ მაინც რაღაც ამისთანას მოიმოქმედებდა ჩემი და ბოილანის გამო დარწმუნებული ვარ ამიტომ ქნა სულ ასე ეშმაკობს ბოლო ხანებში გეგმებს აწყობს სახლში მოსვენება რა მქონდა მოლისაგან კარებს თუ ჩავიკეტავდი წამდაუწუმ დამაფეთებდა დაუკაკუნებლად შემოდიოდა მაშინ კარებს სკამი მივადგი ის ის არი გამობანვა დავიწყე ნერვები დამაწყდა მერე მთელი დღე კუნძივით ეგდო უსაქმოდ ბარემ შუშის ხუფის ქვეშ ჩასვი ორი მცველი მიუჩინე და მნახველებს დაათვალიერებინე ამან რომ იცოდეს იმ ჭყეტელა სტატუეტს რომ მილიმ მოტეხა ხელი წასვლის წინ იმიტომ რომ ასეთი მოუხეშავი და მოუქნელია ის იტალიელი ბიჭი მოვიყვანე და 2 შილინგად შეაწება ისე რომ ვერც შეატყობ კარტოფილის ნახარშსაც არ გადაღვრის რომ სთხოვო სწორია ხელებს რომ უფრთხილდება შევნიშნე უკანასკნელ ხანს ეს სულ ელაპარაკებოდა მაგიდასთან რაღაცას უხსნიდა გაზეთებიდან და ისიც ვითომ მესმისო თავს იკატუნებდა ეს რა თქმა უნდა მამამისის მხრიდან მოსდგამს იმას ვერ დამაბრალებს რომ ვთვალთმაქცობ კაცმა რომ თქვას მეტისმეტად პატიოსანი ვარ და პალტოს აცმევდა მაგრამ თუ რაღაც გასაჭირი ექნებოდა მე მეტყოდა ხოლმე და არა ამას მგონი ეს ფიქრობს უკვე ჩამოსაწერი ვარ არა არამც და არამც არა ვარ ჯერ კიდევ ვნახავთ ახლა ტომ დივანსის ორ ვაჟიშვილთან ფლირტაობს მე მბაძავს იმ მარეის გოგოებთან ერთად უსტვენს ნამდვილი ყაჩაღები გამოიძახებენ ხოლმე შეუძლია მილის გამოსვლა მასზე დიდი მოთხოვნილებაა ქაჩავენ მისგან რამდენიც შეუძლიათ გვიან სალამოს ჰერი დივანსის კელოსიპედით დასეირნობდა ნელსონის ქუჩის კუთხის იქით კაცმა რომ თქვას ურიგო არ არის ამან რომ იქ გააგზავნა სადაც ახლა არის უკვე საზღვარს გადავიდა საციგურაო მოედანზე უნდოდა

სიარული და სიგარეტის მოწევა მათსავით ბოლის გამოშვება ცხვირიდან მისი კაბიდან სუნი მეცა ძაფს ვწყვეტდი კბილით ჟაკეტის ბოლოზე ღილს რომ ვუკერებდი მე ვერაფერს გამომაპარებს მხოლოდ ზედ არ უნდა მიმეკერებინა განშორების ნიშანია და უკანასკნელად ლევზელიც შუაზე გადამიტყდა მიდი და ნუ დაიჯერებ ენა წაგრძელებული აქვს ჩემი აზრით შენს ბლუზას მეტად ღრმად აქვს ამოჭრილი ქვაბი ჩაიდანს შავტრაკას ეძახდაო და იძულებული გავხდი მეთქვა ფეხებს ნუ პლაკავ ფანჯრის რაფაზე გამვლელ გამომვლელის დასანახად ისე უყურებენ როგორც ერთ დროს მე როცა ამის ხნისა ვიყავი რა თქმა უნდა მაგ ასაკში ძონძებიც გიხდება ამავე დროს დიდი უკარება ვინმეა მაშინ სამეფო თეატრის წარმოდგენაზე ერთადერთი გზა[24] ფეხი მომაშორე ვერ ვიტან როცა მეღებიან მეშინია ფურჩალიანი კაბა არ დამესრისოსო ძალაუნებურად მიედები სივიწროვესა და სიბნელეში მუდამ ცდილობენ გაგეხახუნონ იმ ყმაწვილისა არ იყოს გეიეტის პარტერში ბიერბომ ტრი რომ თამაშობდა ტრილბიში ჩემ ცხოვრებაში ფეხს აღარ შევდგამ გეიეტიში ისე გამჭყლიტეს თუნდაც შიშველტრაკა ტრილბის სანახავად ორ წუთში ერთხელ ხელს რომ მითათუნებდა იქ და ეგრევე ტრიალდებოდა იქნებ აფრენდა მერე დავინახე როგორ ცდილობდა გამოლაპარაკებოდა ორ გამოპრანჭულ ქალს სვიტსერის ვიტრინასთან მაშინვე ვიცანი სახით მან კი ვერა და მილიმ არც კი მოინდომა მისთვის მეკოცა ბროდსტოუნში გამოთხოვებისას ვინძლო ვინმეს შეხვდება ვინც მაგის ჭკუაზე იცეკვებს როგორც მე როცა ყბაყურა შეეყარა და ჯირკვლები გაუსივდა ეს მომეცი ის მომიტანე რა თქმა უნდა ჯერ არ შეუძლია ბოლომდე იგრძნოს მე არც ერთხელ არ გამითავებია წესიერად სანამ დაახლოვებით 22ის არ გავხდი მთელი ენერგია სადღაც სხვაგან მიდიოდა გოგოების ჩვეულებრივი პრანჭვა და ხითხითი ეს კონი კონოლი თეთრი მელნით წერდა შავ ქაღალდზე და ცვილით ბეჭდავდა წერილებს თუმცა ტაში დაუკრა ფარდა როცა დაეშვა რადგან ის ასეთი ლამაზი იყო და შემდეგ სულ მარტინ ჰარვი ეკერა პირზე საუზმის დროს სადილზე და ვახშმობისას მერე ჩემთვის ვფიქრობდი აი ეს კი ნამდვილი სიყვარულია მეთქი როცა კაცი დაუფიქრებლად გასწირავს თავს ქალისათვის ვფიქრობ ეგეთი კაცები აღარ დარჩა ძნელი დასაჯერებელია შენ თვითონ თუ არ გადაეყარე ასეთს უმრავლესობას ნამცეცი სიყვარულიც არ აქვთ ბუნებაში სცადე მოძებნო ჩვენ დროში ორი ადამიანი ერთმანეთს რომ ავსებდნენ ისიც რომ ისე გრძნობდეს როგორც შენ ასეთი [illegible] ცოტა შერეკილები არიან როგორც ჩანს მამამისსაც უცნაურობები ჭირდა რაკი აიღო და ასე მოიწამლა თავი ცოლის შემდეგ და მაინც ძალიან ცოდოა ვფიქრობ ეჩვენებოდა ყველაფერი დავკარგეო მილი აღტაცებული იყო ჩემი ძველი უბადრუკი ძონძებით თმის მაღალი ვარცხნილობა უნდოდა 15 წლის ასაკში ჩემი პუდრიც კანს გაიფუჭებდა და ეგ არი მაგის დროც დადგება მთელი ცხოვრება წინაა რა თქმა უნდა ვერ ისვენებს ადგილს ვერ პოულობს იცის რომ ლამაზია წითელი ტუჩებით აფსუს რომ ბოლომდე არ შერჩება მეც ასეთი ვიყავი მაგრამ რა აზრი აქვს სულ ელოლიავო თევზის ნოქარი ქალივით შემეპასუხა როცა ვთხოვე კარტოფილის მოსატანად გასულიყო იმ დღეს ქნ ჯოუ გელაჰერს რომ შევხვდით მარულაზე და იმან კი ვითომ ვერ შეგვამჩნია თავისი ეტლიდან ვექილ ფრაიერთან ერთად როგორც ჩანს ჩვენ საკმარისად წარჩინებულები არა ვართ სანამ 2 გვარიანი არ გავულაწუნე ყურის ძირში აი მიიღე ასეთი პასუხისთვის ესეც შენი უტიფრობისთვის მთლად გამომიყვანა წყობიდან შეპასუხებით საერთოდ აღრენილი ვიყავი და რითი დაიწყო ყველაფერი რაღაცის ღერი ჩამყვა ჩაიში ანდა ძილი გამიკრთა წინა ღამით რა ვჭამე ყველი და არაერთხელ მითქვამს დანებს ჯვარედინად დაწყობილს ნუ ტოვებ მეთქი იმიტომ რომ არავინაა რომ ასწავლოს თვითონვე უთქვამს თუ მამამისი არ უსწორებს მე ვიზამ უკანასკნელად რომ ცრემლად დაიღვარა არ მიკვირს მეც ასეთი ვიყავი ოჯახში ვერვინ მიბედავდა მბრძანებლობას რა თქმა უნდა ამისი ბრალია ორივეს რომ მონებივით გვამუშავებს სახლში იმის ნაცვლად რომ ქალი დაექირავებინა დიდი ხნის წინ მეღირსება კი ოდესმე რიგიანი მოსამსახურე რა თქმა უნდა დაინახავდა ის რომ დადის ჩემთან იძულებული ვიქნებოდი გამენდო მისთვის თორემ მიმუხთლებს დიდი ხათაბალაა მაგათთან ურთიერთობა ის ქნი ფლემინგი უკან უნდა სდიო და ხელში ჩასჩარო ყველაფერი ყველა ქვაბში ჩააცემინებს და ჩააკუებს რა თქმა უნდა სიბერით მოსდის კიდევ კარგი ის ჭურჭლის გასაწმენდი ტილო ვიპოვე ბუფეტის უკან აშმორებული და ამყრალებული ვიცოდი იქ რაღაც იყო ფანჯარა გამოვაღე ჰაერის გასაწმენდად ამას კიდე მეგობრები მოყავს სტუმრად იმდღევანდელი საღამოსი არ იყოს ძაღლთან ერთად რომ მობრძანდა მერედა ციფიანი რომ ყოფილიყო განსაკუთრებით საიმონ დედალოსის შვილი მამამისი ისეთი კრიტიკანია სათვალიანი და ცილინდრიანი კრიკეტის მატჩზე და დიდნახვრეტიანი წინდით სასაცილო შეხამება და წარმოიდგინე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი შვილი რომელმაც იმდენი ჯილდოები მიიღო გიმნაზიაში როგორ გადაძვრა რკინის ღობეზე ვინმე ჩვენ ნაცნობს რომ დაენახა მიკვირს გვარიანად რომ არ გამოიხია გამოსასვლელი შარვალი თითქოს ის არ ეყოფა რაც ბუნებამ მისცა ძველ ტურტლიან სამზარეულოში მოიყვანა სალ ჭკუაზე თუა საკითხავია აფსუს სარეცხის დღე არ იყო თორემ ჩემი ძველი ნიფხავიც შეიძლება ყველას დასანახად ყოფილიყო გამოფენილი ეს განა აწუხებს უთოთი დამწვრის ლაქა იმას კი შეიძლება სხვა რამე გონებოდა ბებერ ფლემინგს რომ ვუთხარი იმ ქონის გადადნობას თავი ვერ მოაბა და ახლა დიდად შეწუხებული დაიარება პარალიზებული ქმარი უარესად არიო სულ რაღაც უსიამოვნება აქვთ ოჯახში ავადმყოფობა ან ოპერაციაა გასაკეთებელი და თუ ეს არა ლოთობს და მიბეგვავს ხოლმე მე კი ისევ სხვა მოსამსახურე უნდა ვეძებო ყოველ დღე ვიღვიძებ და ისევ რაღაც ახალი მელის ღმერთო დიდებულო ღმერთო საფლავში თუ მოვისვენებ ცოტა ხნით უნდა ავდგე მოიცა ოო ღმერთო მოიცა ჰო დამეწყო აბა რა იქნებოდა რაც იმან მიტენა და მიჩხიკინა რა ვქნა ახლა პარასკევი შაბათი კვირა სულს ამომხდის თუმცა შეიძლება მოეწონოს კიდეც ზოგ კაცს უყვარს ღმერთია მოწამე მუდამ რაღაც გვემართება ყოველ 3 ან 4 კვირისა და 5 დღის თავზე ყოველთვიური აუქციონი საზიზღრობაა იმ საღამოსაც ასე დამეწყო ერთხელ და ერთადერთჯერ ვიყავი ლოჟაში მაიკლ განმა მიმცა ქნ კენდალის და მისი ქმრის სანახავად გეიეტიში ამან რაღაც დაზღვევა მოუხერხა დრიმისთან დასაბმელი გავხდი თავი შევიკავე რადგან ვიღაც ელეგანტური ჯენტლმენი ზემოდან ჩამომყურებდა ლორნეტით ეს კი ჩემ გვერდით სპინოზაზე ქაქანებდა და მის სულზე რომელიც ალბათ მილიონი წლის წინ გარდაიცვალა ვიღიმებოდი რამდენიც შემეძლო თან გუბე შემომადგა წინ გადავიხარე ვითომ ძალიან მაინტერესებდა რადგან ბოლომდე უნდა დავრჩენილიყავი დიდხანს მემახსოვრება სკარლის ცოლი[25] მეტად თამამ პიესად რომ ითვლებოდა ცოლქმრული ღალატის შესახებ იმ იდიოტმა ქანდარაზე უსტვინა შე ბოზოო უძახა ვფიქრობ გავიდა და იქვე კუთხე კუნჭულებში მოწანწალე ქალი მოჩანგლა მასზე რომ მაინც გადაევლო აბა ერთი ჩემ დღეში ყოფილიყო მაშინ ვინძლო აღარ დაუსტვენდა ვფიცავარ კატა უკეთ გრძნობს თავს ვიდრე ჩვენ მოჭარბებული სისხლი გვაქვს თუ რა ოო ღმერთო ზღვის მოქცევასავითაა კიდევ კარგი არ დავორსულდი ასეთი ზორბა და ჯანიანი რომ არის არ მინდა სუფთა ზეწრები დავსვარო ახლახან გამოვცვალე სუფთა საცვლები ჩავიცვი ჰოდა აკი დავითარსე კიდეც ჯანდაბა ჯანდაბა და მათ კი უნდათ ლაქა დაინახონ ლოგინზე დარწმუნდნენ რომ ქალწული იყავი მარტო ეგ აღელვებთ ძალიან სულელები არიან შეგიძლია იყო ქვრივი ან 40ჯერ ქმარგანაყარი საკმარისია ერთი წვეთი წითელი მელნის ან მაყვლის წვენის არა ეს მეტისმეტად მუქია კაიმე დედა მიშველე ავდგე ფუ ცოდვათა სიამენი ვინ ოხერმა მოიგონა ეს ქალური ამბები ჭრაკერვას საჭმლის კეთებას და ბავშვების მოვლას შორის ეს ოხერი ძველი საწოლი ხო საშინლად ჭრაჭუნობს მგონი პარკის გაღმა ესმოდათ სანამ არ შევთავაზე საბანი იატაკზე გაგვეშალა და საჯდომის ქვეშ ბალიში ამომედო საინტერესოა დღე უფრო სასიამოვნოა თუ არა ალბათ კი ფრთხილად თმა უნდა მოვიპარსო ამისგან უფრო ცხელა ახალგაზრდა გოგოსავით ვიქნები რას გაოგნდება კაბას რომ ამიწევს ერთი მაგის სახეს შემახედა ღამის ქოთანი რაღა იქნა ფრთხილად სულ მეშინია არ ჩამეფშხვნას იმ ძველი საჯდომი ფიცრისა არ იყოს ნეტა არ ემძიმა მუხლებზე რომ დავაჯექი განგებ დავსვი სკამზეზე და მხოლოდ ქვედატანი და ბლუზა გავიხადე მეზობელ ოთახში ისე გაერთო იმით რითაც არ უნდა გართობილიყო რომ ვერც კი იგრძნო ჩემი წონა იმედია პირში სასიამოვნო სუნი მქონდა იმ პასტილებისგან მომეშვა ღმერთო მახსოვს ერთ დროს შემეძლო ძლიერ ჭავლად გამეშვა სტვენა სტვენით თითქმის კაცივით მომეშვა ღმერთო ჩემო რა ხმაურია იმედია ზევიდან ბუშტები მოიგდო ფული იცისო რომელიღაც ყმაწვილისგან დილით არ დამავიწყდეს იქ სუნამოს დასხმა თავის დღეში არ უნახავს ასეთი წყვილი ბარძაყი რა ქათქათა თვალი ზედ დაგრჩება აი აქ კი ყველაზე გლუვი ადგილია ზუსტად ნაკეცში ატამივით ხავედოვანი მომეშვა ღმერთო არაფერი მექნებოდა საწინააღმდეგო კაცი რომ ვიყო ერთ კოხტა ქალს მოვიგდებდი ქვეშ ოო ღმერთო რა შხარაშხური ავტეხე ჯერზის შროშანივით ფრთხილად ფრთხილად აი როგორ ინთხევა ლაჰორის წყლები

ვინ იცის ეგებ იქ შიგნით რა მჭირს ან იქნებ მეზრდება რამე რის გამოც ეს ყველაფერი ხდება როდის იყო უკანასკნელად სულების მოსახსენებელ დღეს ჰო მხოლოდ 3 კვირა გავიდა ექიმთან უნდა წავიდე მხოლოდ ეს გამოვა როგორც ჩვენ ქორწინებამდე როცა რაღაც თეთრი გამომდიოდა და ფლოუიმ მაიძულა წავსულიყავი იმ ხმელ ბებერ კოლინზთან ქალური სნეულებების ექიმთან პემბრუკ როუდზე თქვენი ვაგინა ასე ეძახის ამას ალ-

ბათ ამით შეიძინა მოოქროვილი სარკეები და ხალიჩები იმ მდიდრებს რომ ელოლიავებოდა სტივენ გრინიდან ყოველ სისულელეზე რომ მაგასთან მირბიან როგორც კი ოდნავ რამე შეაწუხებთ მისი ვაგინა და კოჩინჩინა მათ ფული აქვთ რა თქმა უნდა ისე რომ ყველაფერი რიგზეა მაგას არ გავყვებოდი უკანასკნელი ცოცხალი კაცი რომ დარჩენილიყო დედამიწაზე ამას გარდა რაღაც უცნაური შვილები ყავთ სულ მაგ ბინძურ ძუკნებს ყნოსავს ყოველი მხრიდან მეკითხება უსიამოვნო სუნი ხომ არ აქვს იმას რაზეც გავედი მაშ რაზე უნდა გასულიყავი იქნებ ოქროზე სულელური შეკითხვაა მაგის ბებერ დანაოჭებულ სახეზე რომ წამეთხუპნა ულრმესი პატივით მაშინ მიხვდებოდა უთუოდ როგორ მუშაობს არხი რაო ვიფიქრე გიბრალტარზე მეკითხება მეთქი ვიფიქრე ალბათ ლაპარაკის ასეთი მანერა აქვს სხვათა შორის ძალიან კარგი გამოგონებაა მაგრამ მე მიყვარს რაც შეიძლება ღრმად ჩაჯდომა ნახვრეტში და ჯაჭვის ჩამოქაჩვა და ჩამოშვება წყალი გრილია და სასიამოვნოდ იჩხვლიტება და მაინც მართლაც ამას რაღაც მნიშვნელობა აქვს მილი პატარა რომ იყო ყოველთვის ვიგებდი ჭიები თუ ყავდა მაგრამ ამაში ფულის გადახდა რამდენი მოგართვათ ექიმო ერთი გინეა გეთაყვა და მკითხა ხშირად გაქვთ ხოლმე გამონაყოფი ნეტა საიდან გამოჩხრიკავენ ხოლმე ასეთ სიტყვებს გამონაყოფი რაღაცნაირად ალმაცერად მიყურებდა თავისი ახლომხედველი თვალებით ბოლომდე ვერ მივენდობოდი ვთქვათ ქლოროფორმის ანდა ღმერთმა უწყის კიდევ რის მოცემა რომ დაეპირებინა მაგრამ რაღაც მომეწონა კიდეც როცა გამოსაწერად დაჯდა მოიღუშა ასეთი ჭკვიანი ცხვირი შენ კი მაგარი თავხედი ხარ ოო არა აქვს მნიშვნელობა ყველა მიხვდება იდიოტი თუ არაა ამას კი ჭკუა ეყო რა თქმა უნდა ეს ყველაფერი ბოილანზე ფიქრის და მისი შმაგი გადარეული წერილების გამო ჩემო თვალის ჩინო ყველაფერი რაც შენს ბრწყინვალე სხეულთან არის დაკავშირებული ყველაფერი ხაზგასმული სილამაზის და სიხარულის მარადიული წყაროა რომელიღაც სულელური წიგნიდან ამოკრიფა ამას ზოგჯერ დღეში 4ჯერ და 5ჯერ ვაკეთებდი ექიმს კი ვუთხარი არა დარწმუნებული ხართო ოო დიახ სავსებით დარწმუნებული ვარ ისეთნაირად ვუთხარი რომ მოკეტა უკვე ვიცოდი კიდევ რას იტყოდა ეს მხოლოდ ჩვეულებრივი შეუძლოდ ყოფნაა არ ვიცი რატომ და როგორ ამაღელვა იმ საღამოს პირველად შევხვდით რიჰობოტ ტერასზე რომ ვცხოვრობდი ვიდექით და ერთმანეთს შევცქეროდით დაახლოებით 10 წუთის თითქოს ადრეც გვენახა ერთმანეთი ვგონებ იმის გამო რომ ემოციური მაქვს რაღაც დედაჩემისგან საინტერესოდ მიყვებოდა ამბებს ნახევრად მომღიმარი სახით და დოილები ამბობდნენ თავის კანდიდატურას წარადგენს პარლამენტშიო ოო მაშ დებილი არ ვიყავი რომ მჯეროდა მაგისი ლაქლაქის ჰოუმრულზე და მიწის ლიგაზე გრძელი მოსაწყენი არია გამომიგზავნა ჰუგენოტებიდან ფრანგულ ენაზე შესასრულებლად შიკისათვის O beau pays de la Touraine[26] ერთხელაც არ მიმღერია მიედმოედებოდა რელიგიაზე და დევნაზე არ გაცლის ბუნებრივად და უბრალოდ ისიამოვნო რამეთი მერე შეიძლება ნება დაგრთოს როგორც უდიდესი წყალობა პირველივე მარჯვე შემთხვევა იხელთა ბრაიტონ სკვერზე და საძილე ოთახში შემომეჭრა ვითომდა ხელი მელნით დაესვარა უნდოდა ელბიონის რძით და გოგირდის საპნით დაებანა მე რომ ჯერ კიდევ გაუხსნელი მქონდა ოო იმ დღეს სიცილით გავსკდი მთელი ღამე ხომ არ ვიჯდები ამ საქმეზე ქოთნებს ნორმალური ზომისას უნდა აკეთებდნენ ქალი რო წესიერად მოთავსდეს ამას როცა ჭირდება იჩოქებს ხოლმე მგონი დედამიწის ზურგზე ვერსად ნახავ ასეთი ჩვევების კაცს შეხედე როგორ ძინავს ლეიბის ბოლოს როგორ ახერხებს უმუთაქოდ კიდევ კარგი ტლინკებს არ ყრის თორემ კბილებს ჩამამტვრევდა ცხვირზე ხელაფარებული სუნთქავს იმ ინდოელი ღმერთივით ერთ წვიმიან კვირადღეს რომ მაჩვენა კილდერ სტრიტის მუზეუმში ჩაყვითლებული წინსაფრიანი გვერდზე წამოწოლი თავქვეშ ხელამოდებული და წინ გაშვერილი ათი თითი ესო მითხრა უფრო დიდი რელიგიაა ვიდრე ებრაელების და უფლისა ჩვენისა ერთობლივად მთელ აზიაში გადაწყვიტა მიებაძა როგორც მუდამ ბაძავს ყველას იმასაც ალბათ საწოლის ფეხებში ეძინა და უზარმაზარი ბრტყელი ტერფები ცოლის პირში ქონდა მიბჯენილი ჭირსაც წაუღია ეს აშმორებული ქოთანი კი მაგრამ ხელსახოცები რაღა იქნა ჰო ვიცი იმედია ძველი კარადა არ აჭრიალდება ასეც ვიცოდი იჭრიალებდა მაგრამ ღრმად ძინავს კაი დრო უტარებია სადღაც მაგის ფულის საფასურად ის ქალი კარგად უნდა მომსახურებოდა თავისთავად ცხადია უნდა გადაუხადოს ოო რა მოუხეშავი რაღაცაა იმედია იმ ქვეყნად უკეთესი რამე მოიძებნება ასე არ გავძაღლდებით ღვთის წყალობით ამღამ მორჩა ახლა ძველი ჭრიალა ჭრაჭუნა საწოლი მუდამ ბებერ კოენს მაგონებს ალბათ ხშირად უჭრაჭუნებია ამას კი გონია მამამ ლორდ ნეპიერისაგან[27] იყიდა რომელსაც ასე ვაღმერთებდი პატარა გოგო რომ ვიყავი ვეუბნებოდი ჩუმად პიანო ოო მიყვარს ჩემი საწოლი ღმერთო 16

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელია ამ დღეში ვართ რამდენი სახლი გამოვიცვალეთ რეიმონდ ტერასი და ონტარიო ტერასი და ლომბარდ სტრიტი და ჰოლეზ სტრიტი ეს კი დადის და უსტვენს როცა ისევ სადღაც გადავდივართ თავის ჰუგენოტებს ან ბაყაყების მარშს ვითომდა ეხმარება კაცებს ჩვენი ნურას უკაცრავად და 4 კინკილა ნაჭერი ავეჯის დატვირთვაში და მერე სასტუმროში ქალაქის გერბი უარესი და უარესი ხდება როგორც შვეიცარი დეილი ამბობს იმ შესანიშნავ ადგილას კიბის ბაქანზე მუდამ ვიღაცაა შიგნით ლოცულობენ გამოდიან და თავის სიმყრალეს ტოვებენ ყოველთვის იცი ვინ იყო უკანასკნელად როგორც კი საქმე აეწყობა მაშინვე რაღაც უნდა მოხდეს ან თავის უხეშ თათს ჩაყოფს და ყველაფერს წაახენს ტომსონთან და ჰილისთან და ბნ კაფთან და დრიმისთან ანდა კინაღამ ციხეში რომ მოხვდა თავისი ლატარეის ბილეთებით რაც ვითომ ჩვენი გადარჩენა უნდა ყოფილიყო ანდა აილებს და უტიფრად მოიქცევა მალე ვნახავ ფრიმენიდანაც გამოპანღურებულს თავისი შინფეინერების ან ფრანკმასონების გამო ვნახოთ მერე როგორ ანუგეშებს ის ჯუჯა კოუდის ლეინზე რომ დამანახა მარტოდ მარტო მოტანტალე წვიმაში ისეთი ნიჭიერიაო ამბობს და ირლანდიის პატრიოტი შესაძლოა მართლაც პატრიოტია მეტად პატრიოტული შარვალი ეცვა მოიცა წმინდა გიორგის ეკლესიის ზარია მოიცა 15 აკლია ორს მოიცა 2 საათი კარგი დროა შინ დასაბრუნებლად და ღობეზე გადმოსაძრომად ვინმეს რომ დაენახა გადავაჩვევ ამას პირველ რიგში დილით პერანს გაუსინჯავ ანდა ვნახავ ის განდონი თუ უდევს ისევ საფულეში მაგას გონია არ ვიცი ყველა მამაკაცი ცრუპენტელაა 20 ჯიბე არ ეყოფათ ტყუილების დასამალად მაშ ჩვენ რაღად უნდა ვუყვებოდეთ თუნდაც მართლები ვიყოთ მაინც არ გვიჯერებენ მოკრუნჩხულია როგორც ის ბალღი არისტოკრატის შედევრში[28] ერთხელ მომიტანა თითქოს ეგეთები გვაკლდეს ცხოვრებაში ვიღაც არისტოკრატმა რომ არ მითხრას მაგ ამაზრზენი სურათებისგან უარესია ორთავიანი ან უფეხებო ბავშვები ასეთი სისაძაგლეებით აქვთ თავები გამოტენილი ნეტა არაფერი უდევთ იმ ცარიელ გოგრებში ნელა მოქმედი საწამლავით უნდა დაწამლო ნახევარი მაინც ჰოდა ამის შემდეგ მიართვი ჩაი და ახლად დადებული კვერცხი ორივე მხრიდან კარაქწასმული ტოსტი მგონი ჩემზე გული აიცრუა მას შემდეგ რაც ერთხელ ღამე ჰოლეზ სტრიტზე ნება არ მივეცი აველოკე ეჰ კაცი კაცი მუდამ მტარვალია ჯერ ერთი ნახევარი ღამე შიშველი იწვა იატაკზე ასე იქცეოდნენ ებრაელები როცა ნათესავი უკვდებოდათ და უარი თქვა საუზმეზე და აღარ [illegible] და უნდოდა მივფერებოდი ვიფიქრე ამჯერად საკმარისად გავუძალიანდი მეთქი და ნება მივეცი მაგრამ ყველაფერს არასწორად აკეთებს მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობს ენაც თითქოს მეტისმეტად ბრტყელი აქვს თუ რა ვიცი ავიწყდება რომ ჩვენ მე არა კიდევ ერთხელ გავაკეთებინებ თვითონ თუ ვერ მიხვდა ღამე ნახშირის სარდაფში ჩავკეტავ ტარაკანებთან საინტერესოა ჯოუზი არ იყო ცას რომ ეწეოდა ჩემს გამონაცლებზე ის პირწავარდნილი ცრუპენტელაა მაგრამ არა გათხოვილ ქალთან გამბედაობა არ ეყოფა ამიტომ უნდა რომ მე და ბოილანი თუმცა ამ შემთხვევაში თავის დენისს როგორც ჯოუზი ეძახის ამ უბადრუკ სანახაობას ქმარს ვერ უწოდებ უფრო საფიქრებელია რომელიმე ძუკნას გადაეკიდა მაშინაც კი როცა მილისთან ერთად საუნივერსიტეტო შეჯიბრებაზე ვიყავით კინკრიხოზე ბავშვის ჩაჩდაკოსებულმა კოლეჯის დარაჯმა უკანა კარით რომ შეგვიყვანა ეს ყოვლად უცოდველი კრავის თვალებით ათვალიერებდა იმ ორს რომლებიც ქვედატანის რხევით მიმოდიოდნენ ერთი კი ვცადე მეგრძნობინებინა მაგრამ ამაოდ აი ასე მიდის ამისი ფული სულ ბნი პედი დიგნამის დაკრძალვის შედეგი ჰო ყველანი ისეთი მედიდურები იყვნენ იმ ცერემონიალურ დასაფლავებაზე მათ შესახებ გაზეთშიც ეწერა ბოილანმა რომ მოიტანა მაგრამ აბა ერთი ენახათ ნალდი ოფიცრის დაკრძალვა მართლაც სანახაობა დახრილი იარაღი დოლის დაყუჩებული ხმა და ბოლოში დაობლებული ბედაური შავი აკაზმულობით ლ ბლუმი და ტომ კერნანი ის პატარა ლიპიანი არყის ბოლლიწო ენა მოიკვნიტა ფეხსალაგში დაცემისას სადღაც რომ დალია და მარტინ კანინგამი და ორი დედალოსი და ფენი მაკკოის ქმარი კომბოსტო თავით ცოლი კიდე გაჩხიკინებული თვალებს აელმებს ჩემი რეპერტუარის შესრულებას ცდილობს მაგრამ ამისათვის ჯერ ხელმეორედ უნდა დაიბადოს და ღრმად ამოჭრილ ძველ მწვანე კაბაში იმიტომ რომ სხვა ვერაფრით ვერ იპყრობს ყურადღებას ახლა ყველაფერს ნათლად ვხედავ და ამას მეგობრობას ეძახიან ჯერ კლავენ და მერე ასაფლავებენ ერთმანეთს და ყველას ცოლები და ოჯახები ყავთ შინ განსაკუთრებით ჯეკ პაუერი ქმარიც ასეთი უნდა ოფიციანტ გოგოს რომ არჩენს რა თქმა უნდა ცოლი სულ ავად არის ან ჰა და ჰა ავად გახდება ან ესეს არი გამოკეთდა თვითონ კი ჯერ კიდევ კარგი შესახედი კაცია თუმცა კი საფეთქლებზე ჭაღარა შერევია კაი კომპანია შეიკრიბა მაგრამ ჩემი ქმარი აღარ ჩაუვარდებათ კლანჭებში თუ ჩემზე იქნება დამოკიდებული ზურგს უკან დასცინიან

შესანიშნავად ვიცი როცა თავის იდიოტობებს ქადაგებს რადგან ყოფნის ჭკუა უკანასკნელი გროში არ დაახარჯოს მათ ლოთობას და ცოლსა და ოჯახზე იფიქროს ბედოვლათები საწყალი პედი დიგნამი მაინც მეცოდება რა ეშველებათ მის ცოლს და 5 შვილს დაზღვეული თუ არ იყო სასაცილო პატარა ბზრიალა მუდამ რომელიმე ლუდხანის კუთხეში მიმჯდარი და ცოლი და შვილი ელოდებიან *ბილ ბეილი გეხვეწები შინ დაბრუნდი* ქვრივის ძაძები უფრო მიმზიდველს ვერ გახდის თუმცა თუ კარგი გარეგნობა გაქვს მოგიხდება კაცებიდან რომელი ჰო ის იყო გლენკრის სადილზე და ბენ დოლარდი ბას ბაყბარიტონი იმ სალამოსთვის ფრაკი ითხოვა ჩვენგან ჰოლეს სტრიტზე რომ ემღერა რის ვაივაგლახით ჩაიჭედა შიგ ბავშვის კარგა მიტყუპული ტაკუნასავით ულიმოდა თოჯინური პირისახე ყვერებმიბეგვილს გავდა ერთ რამედ ღირდა მისი ნახვა სცენაზე წინასწარ დაკვეთილი 5 შილინგიანი ადგილებიდან როგორ დაცუნცულებდა გამოკვართულ შარვალში და საიმონ დედალოსი მუდამ ოდნავ ნასვამი ჯერ მეორე კუპლეტი იმღერა *ძველი სიყვარული როგორც ახალი* მისი ნომერი იყო *ასე ტკბილად გალობდა ქალწული კუნელის შტოზე* ყოველთვის არშიყობის გუნებაზე იყო ხოლმე როცა მასთან ერთად *მარიტანას* ვმღეროდი ფრედი მეიერზის კერძო ოპერაში ფიბი მშვიდობით *ძვირფასო მშვიიდობიით სასურველოო* მუდამ ასე მღეროდა და არა ბარტელ დარსივით *სასურვნელოო* რა თქმა უნდა ღვთით ბოძებული ხმა ქონდა და არა ნასწავლი ასე გონია თბილ შხაპს იღებო *ოო მარიტანა ველური ტყის ყვავილოო* შესანიშნავად ვმღეროდით ერთად თუმცა ჩემი რეგისტრისთვის ცოტა მაღალი ტრანსპონირებულიც კი იმხანად მეი გულდინგი ყავდა ცოლად მაგრამ მუდამ რაღაცა უნდა ეთქვა ან ისეთი რამე გაეკეთებინა რომ ყველაფერი გაეფუჭებინა ახლა ქვრივია საინტერესოა ვაჟიშვილი[29] როგორი ყავს თვითონ ამბობს მწერალია და იტალიურის მასწავლებელი იქნება უნივერსიტეტშიო და პოლდი მთავაზობს გაკვეთილები აიღე მისგანო ნეტა რა აქვს გუმანში პოლდიმ ჩემი ფოტოსურათი აჩვენა ცუდად ვარ გამოსული აჯობებდა ისეთ რანსაცმელში გადამეღო არასოდეს რომ არ გამიდის მოდიდან მაინც ახალგაზრდულად გამოვიყურები იქნებ სულაც აჩუქა კიდეც ჩემიანად კაცმა რომ თქვას რატომაც არა ვნახე როგორ მიემგზავრებოდა დედმამასთან ერთად კინგზბრიჯის სადგურისაკენ მაშინ მგლოვიარე ვიყავი ახლა 11 წელია გასული თუმცა რა აზრი ქონდა შავების ჩაცმას იმის გამო რაც ჯერ კიდევ არც ის იყო და არც ეს მისი პირველივე წამოტირებიდანვე მივხვდი მერე მესმოდა როგორ აფხაჭუნებდა კედელში მესაფლავე ხოჭო რა თქმა უნდა ამან დაიჟინა კატა რომ კატაა იმაზეც შავებს ჩაიცვამდა ახლა ალბათ უკვე კაცია მაშინ უცოდველი ბიჭი იყო ისეთი საყვარელი ლორდ ფონტლეროის ფასონის კოსტუმში და ხუჭუჭთმიანი იმ პრინციპით სცენაზე მეტ დილონთან რომ ვნახე იმასაც მოვეწონე კარგად მახსოვს ყველას მოვწონვარ მოიცა მოიცა ღმერთო ჩემო რა თქმა უნდა ეს იყო კარტი რომ გავშალე ახალგაზრდა უცნობთან შეხვედრა არც ქერა და არც შავგვრემანი ადრეც რომ შევხვედრილვარ ვიფიქრე იმაზეა მეთქი მაგრამ ის არც წიწკვია და არც უცნობი თანაც ჩემი კარტი სახით იქით არ იყურებოდა მე7 კარტი რომელიღა იყო იმ პიკის 10იანის შემდეგ სახმელეთო გზა მელის მერე კიდევ წერილი გზაშია და უსიამოვნებები მელის 3 ქალი და აგურის 8იანი წარმატება საზოგადოებაში აბა უყურე ყველაფერი გამოდის და 2 წითელი 8იანი ახლებს ჩაიცვამ და კიდევ რაღაც დამესიზმრა ჰო რაღაც პოეზიაზე იმედია გაპოხილ თმას არ ატარებს თვალებზე გადმოშვებულს ანდა ინდიელის თმასავით აპრეხილს ნეტა ასე რას დადიან საკუთარ თავზე და ლექსებზე ხალხს აცინებენ ყოველთვის მიყვარდა პოეზია პატარა გოგო რომ ვიყავი ჯერ მეგონა პოეტია მეთქი ლორდ ბაირონივით არა და მისხალიც არ გააჩნია სულ სხვანაირი წარმოდგენა მქონდა მასზე ნეტა ძალიან ახალგაზრდა ხომ არ არის მოიცა 88 გავთხოვდი 88ში მილი შესრულდა 15ის გუშინ 89 მაშ რამდენი წლისა იყო მაშინ დილონისას 5 ან 6ის ალბათ 20 ან ცოტა მეტისაა ახლა არც ისეთი მოხუცი ვარ მაგისთვის თუ 23 ან 24 წლისაა იმედია იმ ბლენძია უნივერსიტეტელებს არ ეკუთვნის არა ჩვენ უბადრუკ სამზარეულოში არ დაუჯდებოდა ამას სალაპარაკოდ და ეპსის კაკაოს დასალევად ეს რა თქმა უნდა ისე მოიქცეოდა ვითომ ყველაფერი მესმისო ალბათ უთხრა სამების კოლეჯი დავამთავრეო სამასწავლებლოდ მეტისმეტად ახალგაზრდაა იმედია ისეთი მასწავლებელი არ არის როგორც გუდვინი ის ნაღდი ჯონ ჯეიმზონის ვისკის მეცნიერებათა პროფესორი იყო თავის ლექსებში მუდამ რომელიმე ქალზე წერენ ჰოდა არა მგონია ბევრი მოძებნოს ჩემისთანა *სადაც გიტარის კვნესა მოგესმას სიყვარულზე* პოეზიაც იქ არის სადღაც ჰაერში ლურჯი ზღვა და ბადრი მთვარე ტარიფადან რომ ვბრუნდებოდი ღამის გემით შუქურა ევროპის კონცხზე ის ყმაწვილი გიტარაზე ასეთი გზნებით უკრავდა იქნებ კვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავ მელირსოს როდესმე იქ დაბრუნება ახალი სახეები *ანთებულ მზერას მარაო ფარავს* ვუმღერებ ეს ხომ ჩემ თვალებზეა თუკი მართლა აცხია რამე პოეტის *თვალთა ბრწყინავთა ტრფობის ვარსკვლავი* განა შესანიშნავი სიტყვები არაა ეს სულ სხვაა ღმერთმანი როცა ჭკვიან კაცთან გაქვს საქმე რომელსაც შეგიძლია ელაპარაკო შენ თავზე და არა მარტო მას უსმინო მუდამ ბილ პრესკოტის რეკლამა და კლიტის რეკლამა და ემმა ტომის რეკლამა და თუ საქმე ცუდად წაუვიდათ ჩვენ უნდა ვიტანჯოთ დარწმუნებული ვარ გამორჩეულია ასეთი კაცი მინდა შემხვდეს და არა ღმერთო შეგცოდე და მთელი ეს ხროვა თანაც ახალგაზრდაა ის მშვენიერი ყმაწვილები მარგეიტის პლაჟზე კლდესთან შიშვლები რომ იდგნენ ხოლმე მზეზე ღმერთებივით მერე წყალში ყვინთავენ რატომ ყველა კაცი არაა ასეთი ქალისთვის დიდი ნუგეში იქნებოდა იმ ლამაზ პატარა ქანდაკებისა არ იყოს ამან რომ იყიდა მთელი დღე შემეძლო მეცქირა გრძელი ხუჭუჭი თმა და მხრები და აწეული თითი თითქოს ყური დამიგდეო აი ჭეშმარიტი სილამაზე და პოეზია ხშირად მომდომებია დამეკოცნა მთლიანად მისი კოხტა პატარა პენისი ასეთი უცოდველი სიამოვნებით ავიღებდი პირში თითქოსდა გთხოვს მომწუწნეო თვითონაც ისეთი სუფთა და ქათქათა ბავშვური სახით ნახევარ წუთში გავუკეთებდი ცოტა რომ გადამყლაპოდა კიდეც მერე რა ხილფაფასავით ან ნამივითაა საშიში არაფერია თანაც ისეთი სუფთა იქნებოდა იმ ღორ მამაკაცებთან შედარებით ვინძლო წელიწადში ერთხელ რომ იბანენ თითქმის ყველა ასეთია მხოლოდ ამისაგან ქალს ულვაშები ეზრდება დიდებული რამ იქნება ჩემ ასაკში ახალგაზრდა ლამაზ პოეტს რომ შემახვედრა კარტს გავშლი როგორც კი გავილვიძებ შევხედავ გულის 9იანი თუ ამოვა ანდა ვცდი ჩემი ქალი დავდო და შევხედო დაწყვილდება თუ არა წავიკითხავ და დავისწავლი რასაც შევძლებ და რამეს დავიზეპირებ ოღონდ ვიცოდე რა ან ვინ მისწონს მაშინ აღარ იფიქრებდა რომ ტუტუცი ვარ თუ ფიქრობს რომ ყველა ქალი ერთნაირია მე კი შემიძლია ყველაფერი დანარჩენი ვასწავლი როგორ უნდა დატკბეს ბოლომდე სანამ სიქას არ გავაცლი და მერე დაწერს ჩემზე მიჯნური და საყვარელი ქალი ყველას გასაგონად ჩვენი 2 ფოტოსურათი ყველა გაზეთში როცა სახელმოხვეჭილი გახდება ოო მაგრამ იმას რაღა ვუყო

არა ამასთან უიმედოა არც ქცევა უვარგა არც დახვეწილობა არც არაფერი აქვს ბუნებაში მიტყლაშუნებს უკანიდან აი ასე საჯდომზე რადგან ჰიუ არ დავუძახე ხეპრე რომელიც პოეზიას კომბოსტოსგან ვერ არჩევს ამას მიიღებ როცა თავის ადგილს არ მიუჩენ ფეხსაცმელს და შარვალს იძრობს პირდაპირ ჩემ წინაშე თავხედურად ნებართვასაც რომ არ მთხოვს და ასე ვულგარული გამომეტყველებით დგას მოკლე პერანგში ყველამ რომ უყუროს მღვდელივით ან ჯალათივით ან იულიუს კეისარის დროინდელი ფარისევლებივით რა თქმა უნდა თავისებურად მართალია დროს რომ ხუმრობაში ატარებს შეგეძლო ასეთივე წარმატებით ლოგინში ჩასწოლოდი ვის ლომს დარწმუნებული ვარ მაინც ეს აჯობებდა როგორც ბებერი გამოცდილი ლომი ოო ასე მგონია იმიტომ რომ ისეთი პუტკუნა და მაცდურები მქონდა ჩემ მოკლე ქვედატანში ცდუნებას ვერ გაუძლო ზოგჯერ მე თვითონ მაღელვებენ რამხელა სიამოვნებას იღებენ ქალის სხეულისგან ჩვენ ისეთი დამრგვალებული და ქათქათები ვართ ხშირად მიოცნებია თვითონ ვყოფილიყავი კაცი მრავალფეროვნებისთვის ერთი რომ მეცადა როგორია ის რომ მქონდეს იმათ რომ აქვთ ასე რომ მაგრდება შენზე და ამავე დროს ასე რბილი როა როცა შეეხები ბიძაჩემ ჯონს გრძელი ქონდა მგონი ქუჩის ბიჭებისგან გამიგონია კუთხეში რომ ჩამივლია და მამიდა გრატას მეტად ფოჩიანი რადგან ბნელოდა და იცოდნენ რომ გოგო ჩაუვიდათ ხოლმე არ გავწითლებულვარ ანდა რატომ უნდა გავწითლებულიყავი როცა ეს ასე ბუნებრივია და ის თავის იმას ღრმად შეაგდებს მამიდა გრეტას ფოჩიანში და სხვ და სხვ ეს თურმე სახელურს უყრი იატაკის საწმენდ ჯოხს[30] ისევ ყველგან კაცები შეუძლიათ რაც მოესურვებათ ის აირჩიონ გათხოვილი ქალი ან ფეხსუსტი ქვრივი ან ქალიშვილი თავთავისი გემოვნებით როგორც იმ სახლებში აირიშ სტრიტის უკან ჩვენ კი მუდამ დაბორკილი უნდა ვყავდეთ ვერ დამადებენ ბორკილს ვერა ერთი თუ დავიწყე დარწმუნებული ბრძანდებოდეთ არ შევუშინდები ხისთავა ქმრების ეჭვიანობას რატომ არ შეგვიძლია ყველანი მეგობრებად დავრჩეთ იმის ნაცვლად რომ ვჩხუბობდეთ ამის გამო ქმარმა მოატანა იმაზე ჰოდა ბუნებრივია რაკი მიატანა რაღას იზავდა რაც გაკეთდა იმას ისევ უკან ხომ არ დააბრუნებ რაც მოხდა მოხდა ახლა რაც არ უნდა მოიმოქმედოს უკვე რქიანია და მაშინ მეორე გიჟურ უკიდურესობაში ვარდება როგორც იმ წიგნშია მშვენიერი მტარვალები კაცი რასაკვირველია არასოდეს იფიქრებს ქმარზე ან ცოლზე იმას ქალი უნდა და მიიღებს კიდეც მაშ სხვა რისთვის მიუცია ღმერთს ამდენი ვნება სანამ ახალგაზრდა ვარ ამას ვერაფერს მოვუხერხებ განა ასე არ არის

ეროვნული

სასწაულია ნაადრევად გამომხმარი ბებრუხანა რომ არა ვარ ამის ხელში როგორი ცივია არასოდეს მომეხვევა მხოლოდ ზოგჯერ როცა ჩემთან თავშექცევით ძინავს ვგონებ ისე რომ თვითონაც არ იცის კაცი რომელიც ქალის საჯდომს კოცნის ჩემთვის არ არსებობს ამის შემდეგ ყველაფერ არაბუნებრივს შეუძლია აკოცოს სადაც 1 ატომი მგრძნობიარობაც არ გაგვაჩნია ჩვენ ყველას ქონის 2 ერთნაირი ნაჭერი გვაქვს ამას ჩემ დღეში არ გავუკეთებ კაცს ფუ ბინძური ცხოველები გაფიქრებაც კი მზარავს ფეხებს გიკოცნით სინიორიტა რალაც აზრი არის ამაში ჩვენ შემოსასვლელ კარს რომ აკოცა[31] ჰო დიახაც აკოცა სუფთა გიჟია ჩემ გარდა არავის ესმის მისი დამთხვეული იდეების რასაკვირველია ქალს უნდა რომ დღეში 20ჯერ მოეხვიონ თუნდაც იმისთვის რომ ახალგაზრულად გამოიყურებოდეს არა აქვს მნიშვნელობა ვინ მთავარია გიყვარდეს ან უყვარდე ვინმეს თუ ვინც შენ გინდა ის ყმაწვილი არ არის იმ დროს ღმერთმანი ზოგჯერ მიფიქრია თუ გავბედავდი სანაპიროზე გავსულიყავი ერთ ბნელ სალამოს სადაც ვერავინ მიცნობდა და რომელიმე ზღვიდან დაბრუნებული ახურუშებული მეზღვაური მომეჩანგლა რომელსაც ფეხზე ეკიდებოდა ვისი ვიყავი ოღონდ სადმე ალაყაფის კარზე ავეყუდებინე ანდა ერთი იმ ველურსახიანი ბოშა რათფარნჰამში ბანაკი რომ ქონდათ გაშლილი ბლუმფილდის სამრეცხაოსთან ჩვენ რამეებს მოიპარავდნენ შემთხვევას თუ მოიხელთებდნენ ზოგჯერ ჩემ რალაცეებს ვგზავნიდი სახელის გამო სანიმუშო სამრეცხაო და ისინი კი მუდამ მიბრუნებდნენ რალაც ცალცალ წინდას ან სხვა ძველმანს ბანდიტის თვალებიანი ბოშა თვალის დახამხამებაში მიმაყუდებდა რომელიმე კედელთან სიბნელეში და კრინტის დაუძრავად მომარჭობდა ანდა მკვლელი ან ვინც უნდა ყოფილიყო აბრეშუმის ცილინდრიანი დახვეწილი ჯენტლმენებიც იმასვე აკეთებენ ის სამეფო ვექილი სადღაც აქეთ რომ ცხოვრობს ჰარდუიკის შესახვევიდან გამოვიდა იმ სალამოს როცა თევზზე მიგვიპატიჟა ვახშმად კრივის მატჩზე მოგების აღსანიშნავად რა თქმა უნდა ჩემთვის გამართა გეტრებით და სიარულით ვიცანი და ერთი წუთის შემდეგ რომ მივბრუნდი შევხედო მეთქი ქალი მოსდევდა ისიც იქიდან გამოვიდა ვიღაც ბინძური კახპა ამის შემდეგ შინ მიდის ცოლთან მე კი ვფიქრობ იმ მეზღვაურების ნახევარი ცუდი სენისგან ლპება ოჰ გასწიე ეგ ზონზროხა გვამი თუ ღმერთი გწამს ერთი უსმინე ამას სიოს შენთან მოაქვს ჩემი ოხვრანი კეთილი და პატიოსანი იძინოს და იფშვინოს გამჭრიახმა და გონებით სწორუპოვარმა[32] დონ პოლდო დე ლა ფლორამ რომ იცოდეს როგორ ამოვიდა დღეს დილას კარტში სადარდებელი გაუჩნდებოდა შეჭირვებული შავგვრემანი 2 7იანს შორის ციხეს ნიშნავს თავის რაღაც რაღაც საქმეების გამო ღმერთმა უწყის რას აკეთებს სამაგიეროდ წელებზე ფეხს ვიდგამ სამზარეულოში საუზმეს ვუმზადებ მის ბრწყინვალებას სანამ აქ საბანში გახვეულა მუმიასავით გავაკეთებ კიდეც როდესმე გინახივართ გიჟივით ვეხეთქებოდე აქეთ იქით თვითონაც სიამოვნებით გამოვხატავდი მზრუნველობას მაგრამ გექცევიან როგორც ნაგავს ვინც რა უნდა ის თქვას სამყაროსათვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა ქალები რომ მართავდნენ მას ქალები ერთმანეთის ხოცვა ჟლეტას არ მოყვებოდნენ როდის გინახავთ ქალები იმათსავით გალეშილები გორაობდნენ ანდა უკანასკნელ გროშზე თამაშობდნენ და ცხენებზე აგებდნენ ჰო რადგან რასაც არ უნდა აკეთებდეს ქალმა იცის როდის შეჩერდეს თანაც საერთოდ არც იარსებებდნენ ჩვენ რომ არა არ იციან რას ნიშნავს იყო ქალი და დედა როგორ იქნებოდნენ დედები რომ არ ყოლოდათ რომლებიც მოუვლიდნენ რაც მე მუდამ მაკლდა ამიტომაცაა ალბათ რომ ღამე გარბის სახლიდან ტოვებს თავის წიგნებს და მეცადინეობას და სახლში არ ცხოვრობს ჩვეულებრივ დავიდარაბიან სახლში დასანანია რომ ვისაც ასეთი კარგი შვილი ყავს სწორედ ის არის ხოლმე უკმაყოფილო მე კი არა მყავს ნუთუ არ შეეძლო ეცადა ჩემი ბრალი არ ყოფილა ერთად გავათავეთ როცა იმ ორ ძაღლს ვუყურებდი როგორ მიადგა უკანიდან შუა ქუჩაში იმის შემდეგ გული გამიტყდა ალბათ არ უნდა დამემარხა იმ პატარა შალის ჟაკეტში ტირილით რომ მოვუქსოვე ვინმე ღარიბი ბავშვისთვის უნდა მიმეცა მაგრამ ნამდვილად ვიცოდი მეორე აღარ მეყოლებოდა თანაც ეს პირველი სიკვდილი იყო ჩვენ ოჯახში იმის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა ჩვენ შორის oo მეტი აღარ ვაპირებ დარდით შევიჭამო გული ნეტა ღამის გათენება რატომ არ მოისურვა სულ იმის განცდა მქონდა ვიღაც უცხო მოიყვანა მეთქი ნეტა ღამე არ დაეხეტებოდეს ქალაქში ღმერთმა იცის ვის გადაეყრება ღამის ლამაზმანებს და ჯიბგირებს საცოდავი დედამისი ცოცხალი რომ იყოს ეს არ მოეწონებოდა ასე შეუძლია მთელი ცხოვრება გაიფუჭოს და მაინც მშვენიერი დროა ისეთი სიჩუმეა მიყვარდა ხოლმე შინ დაბრუნება ცეკვების შემდეგ ღამის ჰაერი მათ მეგობრები ყავთ შეუძლიათ იბაასონ ჩვენ არავინ გვყავს ან მას უნდა მიიღოს ის რასაც ვერ მიიღებს ანდა ეს რომელიმე ქალია რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზად არის დანა ჩაგცეს ზურგში ეს არის რომ არ მიყვარს ქალებში გასაკვირი არაა ასე რომ გვექცევიან ძუკნების საშინელი ხროვა ვართ ალბათ ჩვენი ამ გაუთავებელი უსიამოვნების გამო ისეთი აუტანლები ვხდებით მაგრამ თვითონ ასეთი არა ვარ მას თავისუფლად შეეძლო ტახტზე დაეძინა მეორე ოთახში ალბათ ბიჭივით მორცხვია ასეთი ახალგაზრდა 20ის თუ იქნება გვერდზე ოთახში გაიგონებდა ქოთანზე რომ დავჯდებოდი მერე და რა დედალოსი უცნაურია იმ გვარებივითაა გიბრალზარზე დელაპაზ დელაგრაცია ეშმაკი ენას მოიტეხს მაგათ უცნაურ გვარებზე მამა ვილაპლანა სანტა მარიადან კრიალოსანი რომ მომცა რაზალესი ორეილი შვიდი მოსახვევის ქუჩაზე და პიზიმბო და ქნი ოპისო გავერნორ სტრიტზე ოო ღმერთო რა გვარია პირველივე მდინარეში დავიხრჩობდი თავს ასეთი გვარი რომ მქონდეს და ქუჩების სახელები სამოთხის დაღმართი და ბედლამის დაღმართი და როჯერსის დაღმართი და კრაჩეტის დაღმართი და ეშმაკის ნაპრალის საფეხურები რას იზამ ბევრი არაფერი მომეთხოვება ცოტა თუ წავიქარაფშუტებ ღვთის სახელს ვფიცავ ერთი დღითაც კი არ ვგრძნობ თავს უფროსად მაშინდელთან შედარებით ნეტა ენა თუ დამემორჩილება ესპანურად რომ ვთქვა რამე como esta usted muy bien gracias y usted[33] უყურე არ დამვიწყნია ყველაფერი რაც გრამატიკიდან ვიცოდი ის იყო რომ არსებითი სახელი არის პიროვნების ადგილის ან საგნის სახელი დასანანია არასოდეს მიცდია ის რომანი წამეკითხა ვალერასი[34] ბუზღუნა ქნმა რუბიომ რომ მათხოვა თავდაყირა დასმული კითხვის ნიშნებით წინადადების თავში და ბოლოში ზუსტად ვიცოდი რომ ბოლოს და ბოლოს წავიდოდით იქიდან შემიძლია ესპანური ვასწავლო ის კი იტალიურს მასწავლის მაშინ გაიგებს რომ არც ისეთი უწიგნური ვარ აფსუს არ დარჩა დარწმუნებული ვარ საცოდავი ყმაწვილი საშინლად იყო დაღლილი და ერთი კარგი გამოძინება ჭირდებოდა შემეძლო საწოლში მიმეტანა საუზმე დაბრაწული პურით მხოლოდ დანაზე წამოცმული არა ეს ცუდის მომასწავებელია ანდა მემწვანილე ქალი ჩამოატარებდა სალათას ან კიდევ რაიმე გემრიელს ცოტაოდენი ზეთისხილია სამზარეულოში იქნებ მოსწონებოდა მე დასანახად ვერ ვიტან შემეშლო criada-ს[35] მაგივრობა გამეწია ოთახს არა უშავს რა მას შემდეგ რაც ახლებურად მოვაწყე რაღაც წინათგრძნობასავით სულ მქონდა რომ თავიდან მომიხდებოდა გაცნობა სრულიად არ ვახსოვარ სასაცლო იქნებოდა მე მისი ცოლი ვარ თქი ანდა ვითომ ესპანეთში ვართ ყველანი ერთად აზრზე ვერ მოდის სად იმყოფება dos huevos estrellados senor[36] ღმერთო ზოგჯერ სულელური რაღაცეები მომდის თავში წარმოვიდგინოთ რომ ჩვენთან დარჩენილიყო რატომაც არა ზემოთ ცარიელი ოთახია და მილის საწოლი უკანა ოთახში შეეძლო ეწერა და ემუშავა ეჯღაბნა რასაც მოისურვებდა და თუ ჩემსავით ლოგინში მოინდომებდა კითხვას დილაობით პოლდი საუზმეს როგორც ერთისთვის ისე ორისთვის გაამზადებდა არავითარ შემთხვევაში არ ავიყვან მდგმურებს ქუჩიდან ეს თუ ფუნდუკად აქცევს სახლს სიამოვნებით გავაბამდი საუბარს ჭკვიან განათლებულ ადამიანთან უნდა ვიყიდო კოხტა წითელი ფლოსტები ისეთი ფესიანი თურქები რომ ყიდდნენ ან ყვითელი და ლამაზი ნახევრად გამჭვირვალე დილის ხალათი ასე ძალიან რომ მჭირდება ან ატმის ყვავილის ფერი საშინაო კოსტუმი დიდი ხნის წინათ უოლპოლისას მხოლოდ 8 და 6 თუ 18 და 6 რომ ღირდა კიდევ ერთ შანსს მივცემ დილას ადრე ავდგები მაინც ყელში მაქვს ამოსული კოჰენის ძველი საწოლი იქნებ ბაზარში წავსულიყავი მენახა ბოსტნეულობა კომბოსტო და პამიდორი დ სტაფილო და ყოველნაირი შესანიშნავი ხილი ყველაფერი ახალთახალი რომ შემოაქვთ ვინ იცის ვინ იქნება პირველი მამაკაცი რომელიც შემომხვდება საძებარზე გამოსული ასე ამბობდა მეიმი დილონი და ღამღამობითაც ასე დადიოდა წირვაზე უცებ დიდი წვნიანი მსხალი მომინდა პირში რომ გადნება როგორც იმ დროს გუნებნაქცეობისას მერე მივაშავებ კვერცხებს და ჩაის მილის ნაჩუქარი საულვაშე ფინჯნით მოვუტან რომ პირი კიდევ უფრო გაუდიდდეს ვფიქრობ ჩემი გემრიელი ნაღებიც მოეწონება ვიცი კიდევ რას გავაკეთებ სახლში გავივლ გამოვივლი მხიარულად არა გადამეტებულად შიგადაშიგ წავიმღერებ mi fa pietra Masetto მერე ჩაცმას დავიწყებ გასასვლელად presto non son piu forte[37] ჩემ საუკეთესო კაბას და საცვლებს ჩავიცვამ კარგად გემრიელად დამათვალიეროს რომ ვაჟკაცი წამოუდგეს და თუ მაინც და მაინც უნდა გავაგებინებ რომ მის ცოლს ჟიმავენ ჰო და კარგა მაგრადაც ყელამდე ოღონდ ეგ კი არა სხვა 5 თუ ნჯერ ზედიზედ იმისი თესლის ნალვენთია სუფთა ზეწარზე უთოთი ამოყვანაზე თავს არც შევიწუხებ ამან უნდა დაარწმუნოს თუ არ გჯერა მუცელზე შემეხე ანდა ისღა დამრჩენია ფეხებშუა ჩავიყენო და შევადგებინო ხანდახან მინდა ყოველი წვრილმანი ვუამბო და ვაიძულო თვითონ გააკეთოს ჩემ წინ ახია მაგაზე სულ მაგის ბრალია თუ ვმრუშობ როგორც იმ ტიპმა დაიყვირა ქანდარიდან ოო რა დიდი უბე-

ეროვნული

დურება ეგ არი თუ ეს ერთადერთი ცოდვაა რაც კი ოდესმე ჩაგვიდენია ამ ცრემლთა სავანეში იცის ღმერთმა დიდი არაფერი ყველა ჩადის მხოლოდ მალავენ მგონი სწორედ ამისთვის არი გაჩენილი ქალი არა და ღმერთი ასეთებად არ შეგვქმნიდა ასეთ მიმზიდველებს კაცებისთვის და თუ ასე ძალიან უნდა საჯდომზე მკოცნოს ნიფხავს ჩავიძრობ და ზედ ცხვირპირზე ამოვუყირავებ შეუძლია 7 მილის მანძილზე შემიყოს ენა ნახვრეტში შიგ შუაგულში რომ ექნება მერე ვეტყვი მინდა 1 გირვანქა ან იქნებ 30 შილინგი ვეტყვი საცვლების ყიდვა მინდა მეთქი და თუ მომცა არც ისეთი ცუდი ყოფილა მაგრამ არ მინდა ყველაფერი დავცინცლო სხვა ქალები რომ აკეთებენ ხშირად შემეძლო თვითონვე გამომეწერა გვარიანი ჩეკი და მისი გვარი მომეწერა ორიოდე გირვანქაზე რამდენჯერ ჩაკეტვა დაავიწყდა ამას გარდა თვითონ არც ხარჯავს ბევრს დუმებზე გავაკეთებინებ ჩემ მშვენიერ საცვლებს თუ არ დამილაქავებს ვშიშობ მთლად ეგრე არ მოხერხდება გულგრილი კილოთი 1 ან 2 შეკითხვას დავუსვამ პასუხის მიხედვით მივხვდები ასე როცა არი ვერაფერს მალავს მისი აზრისა და განცდის ყოველი ხვეული ვიცი მაგრა დავჭიმავ საჯდომს რამდენიმე უწმაწურ სიტყვას ამოვუშვებ დუმები დამისუნე ან ამილოკე მეთქი ან პირველივე გიჟური სიტყვა რაც თავში მომივა მერე ვეტყვი ჰო ოო მოიცა ახლავე შვილიკო თვიური მეწყება მხიარულად და მეგობრულად ვითომც აქ არაფერია ოო სულ დამავიწყდა ეს ოხერი სისხლები არ იცი იცინო თუ იტირო არა მაშინ ჯობია რამე ძველმანი ჩავიცვა ეს უფრო პიკანტურიც კია ვერც მიხვდება წესიერად ეს მან გააკეთა თუ არა ნებისმიერი ძველი ნაჭერი გამოდგება მერე ვითომც არაფერია ისე მოვიხოცავ მაგის გამონაჟურს და წავალ ჩემთვის საგონებელში ჩავაგდებ ნეტა სად წავიდაო ეს ერთადერთი საშუალებაა თავი მოვანდომო თხუთმეტი წუთია რა უღმერთო დროა ჩინეთში ალბათ სწორედ ახლა დგებიან და ნაწნავებს ივარცხნიან მალე მონაზვნები ჩამორეკავენ ავე მარიას მათთან არავინ მიდის ძილის დასაფრთხობად მხოლოდ თითო ოროლა მღვდელი ღამის ღვთისმსახურებისთვის ან მაღვიძარა საათი მეზობლად მამლის ყივილზე რეკვით დაოსდება იქნებ ჩამეძინოს 1 2 3 4 5 ის რა ყვავილები გამოიგონეს ვარსკვლავებივით შპალერზე ლომბარდ სტრიტზე გაცილებით უფრო ლამაზი იყო წინსაფარი რომ მაჩუქა იმას გავდა სულ ორჯერ მეკეთა ჯობია ამ ლამფას დავუწიო და ისევ ვცადო ადრე რომ შევძლო ადგომა ლემთან წავალ ფინდლეტერის გვერდით და იქ შევუკვეთავ ყვავილები გამოგზავნონ აქაიქ დავდგა ვინძლო ხვალ ისევ მოიყვანოს დღეს მეთქი უნდა მეთქვა არა არა პარასკევი უიღბლო დღეა ჯერ აქაურობა უნდა დავალაგო მტვერი თითქოს როცა მძინავს მაშინ გროვდება მერე შეგვიძლია მუზიცირება და სიგარეტები შემიძლია აკომპანიატორობა გავუწიო ჯერ როიალის კლავიშები უნდა გავწმინდო რძით რა ჩავიცვა *თეთრი ვარდი გავიკეთო* თუ ის ზღაპრული ნამცხვრები ლიპტონთან რომ იყიდება მიყვარს დიდი მდიდრული მაღაზიის სუნი გირვანქა 7ნახევარ პენად ანდა ისინი ალუბლის გულიანი და ვარდისფერ კრემიანი 11ად ორ გირვანქას მივიტანდი რაიმე ლამაზი მცენარე მაგიდის შუაში უფრო იაფად ვიშოვი მოიცა სად ვნახე ამ ცოტა ხნის უკან მიყვარს ყვავილები მინდა აქ ყველაფერი ვარდებში დაცურავდეს ღმერთო დიდებულო არაფერია ბუნების დარი უკაცრიელი მთები და ზღვა და მოტყლაშუნე ტალღები ლამაზი სოფელი ქერის და ხორბლის მინდვრები და სხვადასხვა რამეები და ყოველნაირი მობალახე საქონელი გულს მოგეფინება მდინარეების და ტბების და ყვავილების დანახვაზე ათასნაირი ფორმები და სუნები და ფერები თხრილებიდანაც კი რომ ამოსკდებიან ფურისულები და იები ესაა ბუნება რაც შეეხება იმათ რომ ამბობენ ღმერთი არ არსებობსო ჩემთვის ჩალის ფასი აქვს მთელ მაგათ განსწავლულლობას რატომ არ შექმნიან რამეს ხშირად მიკითხავს პოლდისთვის ათეისტები თუ რასაც ეძახიან თავის თავს აილონ და ჯერ თვითონ ჩამოირეცხონ ჭუჭყი მიდიან და შებღავიან მღვდელს და კვდებიან და რატომო რატომ და იმიტომ რომ ჯოჯოხეთის ეშინიათ თავისი შერყვნილი სინდისის გამო აჰ ჰო კარგად ვიცნობ მაგ მოდგმას ვინ იყო პირველი პიროვნება სამყაროში სანამ საერთოდ ვინმე იქნებოდა რომელმაც შექმნა ყველა ვინ აჰა ეს მათ არ იციან არც მე ვიცი საქმეც ეგ არი ასეთივე წარმატებით შეუძლიათ სცადონ ხვალ მზის ამოსვლის შეჩერება მზე შენთვის ანათებსო მითხრა როცა გვიმრებში ვიწექით ჰოუთზე რუხი ტვიდის კოსტუმში და ჩალის ქუდში იმ დღეს როცა ბოლოს მივახვედრე რომ ხელი ეთხოვა ჰო ჯერ ქლიავის ნაჭერი მივეცი ჩემი პირიდან ნაკიანი წელი იყო ახლანდელივით ჰო 16 წლის წინათ ღმერთო ჩემო იმ ხანგრძლივი კოცნის შემდეგ ლამის სული შემეხუთა ჰო მითხრა მთის ყვავილი ხარო ჰო ჩვენ ყველანი ყვავილები ვართ ქალი თავისი სხეულით ჰო ეს ერთადერთი სიმართლეა რაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თქვა და მზე გინათებს დღესო ჰო ამიტომ მომწონდა რადგან ვხედავდი ესმოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ გრძნობდა რა არის ქალი და ვიცოდი რასაც მინდა იმას გავაკეთებინებდი ყოველთვის და არავითარი სიამოვნება არ მომიკლია მისთვის და შევძელი იქამდე მიმეყვანა სანამ არ მთხოვა მეთქვა ჰო და მაშინვე არ მიპასუხია მარტო ზღვას და ცას გავხედე და ვფიქრობდი ბევრ ისეთზე მან რომ არაფერი იცოდა მალვი და ბნ სტენჰოუპ და ჰესტერ და მამა ბებერი კაპიტანი გროუვზი და მეზღვაურები რომლებიც თამაშობდნენ ჩიტი აფრინდა და დაზუჭობანა პლაჟზე და ყარაული გუბერნატორის სახლთან თეთრ მუზარადზე რაღაცა მოხველი საბრალო ყმაწვილი ლამის შებრაწული და ესპანელი გოგოები შალმოსხმულები თავიანთი მაღალი სავარცხლებით და აუქციონები დილაობით ბერძნები და ებრაელები და არაბები და ეშმაკმა უწყის კიდე ვინ ევროპის ყოველი კუთხიდან და ჰერცოგის ქუჩა და ფრინველის ბაზარი თავისი კაკანით და კრიახით ლარბი შარონის წინ და საწყალი ვირები ფეხები რომ უსხლტით ნახევრად მძინარეებს და ჩრდილში კიბეზე მიძინებული წამოსასხამიანი მაწანწალები და ხარშებმული ურმების დიდრონი თვლები და ათასი წლის წინანდელი ციხედარბაზი ჰო და ის ლამაზი მავრები მთლად თეთრებში და ჩალმიანები მეფეებივით რომლებიც გთხოვენ ჩამოჯდე მათ პაწაწინა დუქნებში და ღამის პატრული და ძველებურ ფანჯრებიანი სასტუმროები სადაც *მარაო ფარავს გაელვებულ 2 თვალს* და მიჯნური კოცნის რკინის ცხაურას და თითქმის მთელი ღამე გახსნილი ღვინის დუქნები და კასტანეტები და ის საღამო ალგეცირაში გემმა რომ გაგვასწრო და აქეთ იქით მოსიარულე გუშაგი თავისი ფარნით და ოო ის საშინელი ჩამოქცეული ნიაღვარი ოო და ზღვა ზოგჯერ ცეცხლივით მეწამული ზღვა და ბრწყინვალე დაისები და ლეღვის ხეები ალამედას ბაღებში ჰო და ის საოცარი პატარა ქუჩები და ვარდისფერი და ცისფერი და ყვითელი სახლები და ვარდნარები და ჟასმინები და გერანი და კაქტუსები და გიბრალტარი სადაც პატარა გოგო მთის ყვავილი ვიყავი ჰო ვარდი რო გავიკეთე თმაში ანდალუზიელი გოგოებივით თუ *წითელი დავიბნიო* ჰო და როგორ მკოცნიდა მავრიტანული კედლის ძირას და გავიფიქრე გინდ ეს ყოფილა და გინდ სხვა და მერე თვალებით ვთხოვე ხელმეორედ ეკითხა ჰო და შემდეგ მკითხა თუ ჰო ვიტყოდი ჰო ჩემო მთის ყვავილო და ჯერ მკლავები მოვხვიე ჰო ქვემოთ დავწიე ჩემი მკერდი რომ ეგრძნო მათი სურნელი ჰო და გული საშინლად უფეთქავდა და ჰო მეთქი ჰო მე თანახმა ჰო

ტრიესტი – ციურიხი – პარიზი, 1914-1921

მთარგმნელის შენიშვნა: „ულისეს" დამასრულებელი მე-18 ეპიზოდი განსაკუთრებულია როგორც ფორმის, ასევე შინაარსის მიხედვითაც. მოლი ბლუმის მონოლოგი ცნობიერების ნაკადის ქრესტომათიულ ნიმუშადაა აღიარებული. მონოლოგი შედგება 8 პირობითი „წინადადებისაგან", თუმც მასში არც ერთი სასვენი ნიშანი არაა, ინგლისური მართლწერის მრავალი წესია დარღვეული, მაგალითად საკუთარი სახელები ხშირად პატარა ასოთია დაწერილი, ასოციაციური ციტირება, ირიბი მეტყველება და ფრაზები სიმღერებიდან (მთარგმნელმა თავს უფლება მისცა ეს უკანასკნელი განსხვავებული შრიფტით გამოეყო) ყოველგვარი პირობითი აღნიშვნის გარეშე მიეწოდება მკითხველს, რაც ისედაც მძიმე ტექსტს კიდევ უფრო ართულებს. შინაარსის მხრივ აღსანიშნავია, რომ მოლი ბლუმი თავისებურად იაზრებს არა მარტო განვლილი დღის მოვლენებს, არამედ თავის ცხოვრებასაც გიბრალტარის „ბედნიერი" დროიდან მოყოლებული თავის ქმართან და საყვარელთან ურთიერთობით დასრულებული. გიბრალტარის ნოსტალგიით აიხსნება ეპიზოდის მრავალრიცხოვანი გეოგრაფიული თუ პიროვნული ალუზია, ისტორიული თუ ეთნოგრაფიული რეალია, რომელთა ნაწილი კომენტირებულია.

## კომენტარი

1. მე-19 საუკუნის ბოლო წლების პოპულარული აზრი; შდრ. მათე 19:21.
2. 1889 წლის გახმაურებული პროცესის გამოძახილი.
3. მოლის დედა ესპანელი ებრაელი იყო, რაც ლეოპოლდ ბლუმმა არ იცოდა.
4. ლეიტენანტი სტენლი გარდნერი, მოლის ახალგაზრდობის ერთ-ერთი გატაცება გიბრალტარზე. შემდგომ მოიხსენიება ვინმე მალვი, ასევე იმდროინდელი თაყვანისმცემელი.
5. ოდისევსის ერთ-ერთი ეპითეტი.
6. აქ და შემდგომ: ბურების ომის მონაწილენი და ბრძოლის ადგილები; ესპანური გარნიზონები ბრიტანული გიბრალტარის ტერიტორიის მახლობლად.
7. იგულისხმება ბოილანის მამა.

8. ზემოთ ნახსენები ქალები არ არიან რომანის პერსონაჟები. მკვლევართა აზრით, ჯოისმა დუბლინის სატელეფონო ცნობარიდან შეარჩია რამოდენიმე გვარი ბლუმების "საცხოვრებელი მისამართის" მოხედვით. ქნი ლენგტრი კი ისტორიულად დასტურდება: პრინცის პატრონაჟით მან თეატრალური კარიერა გაიკეთა ჯერზიდან ლონდონში გადასვლის შემდეგ (სცენური ფსევდონიმი "ჯერზის შროშანი").
9 იგულისხმება ფრანსუა რაბლეს პერსონაჟის გარგანტუას უცნაური დაბადება.
10. იაფფასიანი რომანების სერია ცირკის ცხოვრებიდან.
11. დუბლინის მახლობლად ერთ-ერთ კათოლიკურ ეკლესიაში მართლაც იყო "მოგვთა თაყვანცემის" ცვილის ფიგურების სცენა და, როგორც მოლი სამართლიანად აღნიშნავს, ჩვილი იესო არაპროპორციულად დიდად გამოიყურებოდა.
12. იგულისხმება ქნი ლენგტრი.
13. (ესპ.) მზერა.
14. (ესპ.) ტუალეტი
15. იგულისხმება მეტემფსიქოზი, სიტყვა, რომელსაც მოლი ვერ გამოთქვამს.
16. გიბრალტარის კლდე მართალია უფრო დაბალია, მაგრამ გაცილებით უფრო შთამბეჭდავი ვიდრე დუბლინის მახლობლად მდებარე მთა სახელად "3 კლდე".
17. მინიშნება შემდეგ წიგნებზე: უილკი კოლინზის "მთვარის ქვა", 1868 წ.; ელენ ჰენრი ვუდის "ისტ ლინი ანუ გრაფის ქალიშვილი", 1861 წ. და მისივე "ეშლიდაიტის ჩრდილი", 1863 წ.; მერი ელიზაბეთ ბრედონ, ქნი მაქსველის "ჰენრი დანბარი", 1864 წ.; ედუარდ ბალვერ-ლიტონ, ლორდ ლიტონის "ცხოვრება იუჯინ ერამისა", 1832 წ.; მარგარეტ ჰანგერფორდის "მოლი ბონი ანუ ტურფა მოლი", 1878 წ.; დანიელ დეფოს "მოლ ფლანდერსი", 1722 წ.
18. ულისე გრანტი, აშშ-ს პრეზიდენტი მართლაც ეწვია გიბრალტარს 1878 წლის 17 ნოემბერს და პროტოკოლით მას 21 ზარბაზნის ერთდროული გასროლით მიეგებნენ. ჰორეშიო ჯოუნზ სპრაგი – აშშ-ს კონსული გიბრალტარში 1873-1902 წლებში.
19. ტუიდების ოჯახის მოახლე გიბრალტარში.
20. იგულისხმება 4 ქვეყნის შეერთებლი ძალებით გიბრალტარის დამცველი 150 კაციანი გარნიზონის დამარცხება 1704 წელს.
21. (ესპ.) უხერხული მდგომარეობა; სირცხვილი.
22. "ბლუმერზ"— ამერიკელი დიზაინერის ქნ მილერის გამოგონება; სახელი მიიღო საცვლის ამ ახალი ფასონის პროპაგანდისტის ქნ ამელია ბლუმერის (1818-94) გამო; მოლი გვარების მსგავსებამ გაამხიარულა.
23. ხმელთაშუაზღვისპირეთში გავრცელებული ცრურწმენა: ახალ სახლში მარილის მიტანა კერის მფარველი ღმერთებისთვის შესაწირავის სახით.
24. აქ და ქვემოთ: ჩ.დიკენსის "ორი ქალაქის ამბის" სცენური ვარიანტი, რომელშიც ორიგინალიდან მეტი რომანტიული მომენტი იყო შესული, ვიდრე საკუთრივ რევოლუციური; დაიდგა დუბლინის სამეფო თეატრში; მთავარ როლში მარტინ ჰარვი. გეიეტის თეატრში მართლაც თამაშობდა სერ ჰერბერტ ბეირბომ ტრი ჯორჯ დიუმორიეს რომანის "ტრილბის" მიხედვით დადგმულ სპექტაკლში.
25. იტალიელი ჯუზეპე ჯიაკოსტას პიესის "სიყვარულის სევდა" ჯ.გრინის ინგლისური ვარიანტი "სკალის ცოლი" (1897 წ.) კლასიკური სასიყვარულო სამკუთხედით.
26. (ფრ.) "ოო ტურინის მშვენიერი მხარე".
27. გიბრალტარის გუბერნატორი 1876-83 წლებში.
28. "არისტოტელეს შედევრი" — 1798 წელს ნიუ იორკში გამოცემული ფსევდო-სამედიცინო წიგნი, ერთობ პოპულარული მე-18 საუკუნის ინგლისში მისი ფსევდო-სექსოლოგიური ხასიათის გამო.
29. იგულისხმება სტივენ დედალოსი.
30. დაუდგენელი წარმოშობის ქალაქური ფოლკლორი: უწმაწური გამოცანა თავისი პასუხით.
31. ორთოდოქსი ებრაელების წესი: სახლიდან გასვლისა და დაბრუნებისას კარის მარჯვნივ მოთავსებული 22-ბწკარიანი "დამცავი" გრაგნილის კოცნა.
32. ოდისევსის ერთ-ერთი ეპითეტი.
33. (ესპ.) "როგორ ბრძანდებით?" "გმადლობთ კარგად. და თქვენ?"
34. ხუან ვალერა ალკალა გალიანო (1824-1904) ესპანელი რომანისტი, პოეტი, მეცნიერი, პოლიტიკოსი და დიპლომატი.
35. (ესპ.) მსახური, მოახლე.
36. (ესპ.) "ორი შემწვარი კვერცხი, სენიორ."
37. (იტ.) მოცარტის ოპერიდან "დონ ჟუანი".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# "ულისე" და ლიტერატურული სამყარო

## სტეფან ცვეიგი

### შენიშვნები "ულისეს" გამო, "ნოიე რუნდშაუ" (XXXIX, 1926 წ.)

**გამოყენების საშუალება:** უპირველეს ყოფლისა, უნდა შეიძინოთ საიმედო სადგარი, რათა წიგნი სულ ჰაერში არ გქონდეთ გამოკიდებული: ამ ტომში 1500 გვერდია და მუხლებში სისუსტეს იგრძნობთ. შემდეგ აიღეთ პროსპექტი, "ჩვენი საუკუნის პროზის უდიდეს ნაწარმოებს", "დღევანდელობის ჰომეროსს" თან რომ ერთვის, ეს მეტისმეტად აღფრთოვანებული ან გაზვიადებული უკმაყოფილებით სავსე შენიშვნები თითებშუა აკურატულად მოიქციეთ, გადაფხრიწეთ და ნაგვის ყუთისაკენ მოისროლეთ, ანუ თავი დაიცავით მრავლის მოლოდინისაგან ან უაზრო მომთხოვნელობისაგან, და მხოლოდ ამის შემდეგ მოკალათდით სავარძელში, (რადგან დიდი დრო დასჭირდება), მოუხმეთ მოთმინებასა და გონიერებას, (რადგან გაბრაზებაც მოგიწევთ) და შეუდექით კითხვას.

**ჟანრი თუ სახესხვაობა:** რომანი? არა, რა თქმა უნდა, არა. ალქაჯური თავაწყვეტა სულისა, გიგანტური "კაპრიჩო", არაჩვეულებრივი ვალპურგიის ღამე გონებისა. ფილმი სხვადასხვა ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ, გადაღებული სწრაფმავალი ექსპრესიდან, სადაც სულის თვალუწვდენელ ლანშაფტთა კადრები რიალებენ, თანაც ორიგინალური, საინტერესო დეტალებით არიან გამდიდრებულნი. ორმაგი, სამმაგი ფსკერით დატვირთული აზრები მილმა მიცურავენ, ტრიალებენ: ერთმანეთის შემდეგ, ერთმანეთის გავლით, ერთმანეთის გამო; სენსაციებისაგან შექმნილი სენსაციები, ფსიქოლოგიის ორგია - ეს ახალი ტექნიკაა გადაღებისა ნელა მოძრავი კამერით, რომელიც უკანასკნელ ატომამდე იკვლევს ყოველ მოძრაობასა თუ გრძნობას. შეუცნობელის ტარანტელა; შმაგი, უსწრაფესი აღმაფრენა იდეებისა, უწესრიგოდ რომ ირევიან და გზადაგზა ყოველივეს ისრუტავენ: დახვეწილ სინატიფეს - და ბანალურობას; ფანტაზიას - და ფროიდიზმს; ღვთისმეტყველებას - და პორნოგრაფიას, ლირიზმს - და მეეტლეს უხეშობას - ქაოსს, რომელიც გამოთაყვანებული, ალკოჰოლით განადგურებული, ჯოჯოხეთის წყვდიადით შებურვილი გონებით კი არა, მახვილი, ირონიული, ცინიკური და ბრწყინვალე ინტელექტითაა შობილი...

არის რაღაც ჰეროიკული ამ წიგნში, თანაც ხელოვნების ლირიკული პაროდიაც იგრძნობა; ყოველ შემთხვევაში ესაა ჭეშმარიტი, ნამდვილი თავაწყვეტა ალქაჯთა, შავი მესა, სადაც ეშმა იმანჭება და წმინდა სულს გამომწვევი თავხედობით აღიზიანებს. ამასთანავე, ეს განსაკუთრებული წიგნია, განუმეორებელი და სრულიად ახალი წიგნი.

**პირველწყარო:** რომანის ფესვებში რაღაც ბოროტი იმალება. არ ასვენებს ჯეიმზ ჯოისს სიძულვილი ან ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მიღებული სულიერი იარის ემოციური მეხსიერება: დუბლინში, მის მშობლიურ ქალაქში, იგი, როგორც ჩანს, ადამიანებმა გაანაწყენეს და მანაც შეიძულა ისინი... რადგან ყოველივე, რაც ამ ორიგინალურმა ადამიანმა დაწერა, მისი შურისძიებაა დუბლინზე: ადრეული წიგნიც - სტივენ დედალის არაჩვეულებრივი და დაუოკებელი ავტობიოგრაფია - და ახლანდელიც - ეს სასტიკი გამოკვლევა სულისა. ათას ხუთასი გვერდიდან ათსაც ვერ მოძებნით გულითადობა, ერთგულება ან კეთილმოსურნეობა იგრძნობოდეს: ყველგან ცინიზმია, დაცინვა, დაუოკებელი, ამბოხებული ძალა; ყველაფერი ფეთქებადია, გახელებული ტემპით დარხეული აღგზნებული ნერვებია და ეს ყოველივე ერთად თავზარდამცემიცაა და დამაფიქრებელიც. ადამიანი აქ განა მხოლოდ სიძულვილით აღსავსე სიტყვებს გაჰკივის ან იმანჭება, იგი შიგნიდან აფრქვევს თავის აღშფოთებას, არწყევს გადამწიფებულ გრძნობებს ისეთი ძალითა და ვნებით, რომ ნამდვილად ჭიანჭველები დაგირბენს ზურგზე. ყველაზე ოსტატური სიცრუეც კი ვერ ფარავს ვეებერთელა, მღელვარე გრძნობას, იმ თრთოლვასა და ძაგძაგს, გულყრის ზღვართან მისულ მტკი-

ვნეულ ტემპერამენტს, რითაც ეს ადამიანი ცხოვრებაში შემოახეთქებს თავის წიგნს...

**ხელოვნება:** იგი თავს კომპოზიციაში კი არა, სიტყვაში იჩენს. აქ ჯოისი უდავოდ ოსტატია, ენის მეცოფანტი.[1] ვფიქრობ, ათეულან მთელ დუჟინ უცხო ენებზე ლაპარაკობს და აქედან საკუთარ, აბსოლუტურად ახალ სინტაქსს და მეტისმეტად ბობოქარ ლექსიკას ქმნის; გამომსახველობის ყველაზე დახვეწილი, მეტაფიზიკური საშუალებების მთელ კლავიატურას იყენებს და მთვრალი, ალვირახსნილი დედაკაცის ენასაც კი ფლობს. სეტყვასავით გვაყრის თავზე სიტყვიერი გრაფიკის მთელ გვერდებს. იდეათა და კონცეფციათა სივრცე სიმბოლოების ტყვიამფრქვევის რიგრთაა გაჯერებული. თავის წარმოდგენას იგი ფრაზეოლოგიური აკრობატიკის ყველა ტრაპეციის გამოყენებით, განსაცვიფრებელი ბრავურობით ათამაშებს და ბრწყინვალედ ასრულებს ერთი ფრაზით, რომელიც ვფიქრობ, სამოც გვერდს ითვლის... მის ორკესტრში ყველა ენის ხმოვანი და თანხმოვანი ინსტრუმენტის ჟღერადობა, მეცნიერების ყველა დარგის ტექნიკური ტერმინები, ყველა ჟარგონი და დიალექტი ერთმანეთშია აღრეული. ინგლისური ენიდან ჯოისი ზოგადევროპულ ესპერანტოს ქმნის. ეს მარჯვე აკრობატი იმ ელვას ემსგავსება მთის მწვერვალიდან მთის ძირისკენ რომ მიექანება; იგი გადაჯვარედინებულ ხმლებს შორის ცეკვავს და უხამსობისა თუ უგვანობის ყველა უფსკრულის თავზე ქანაობს... მხოლოდ ენობრივი სფეროს მიღწევებიც კი საკმარისია, რათა ამ ადამიანის გენიალურობა ირწმუნო. თანამედროვე ინგლისურ პროზაში ჯეიმზ ჯოისმა განსაკუთრებული თავი გახსნა, სადაც თავადაა დასაწყისიცა და დასასრულიც.

დასკვნა: ეს წიგნი გახლავთ ჩვენს ლიტერატურაში შემოგდებული მთვარის ქვა, შესანიშნავი, ფანტასტიკური, თავისებურად განუმეორებელი ნაწარმოები, არქიინდივიდუალისტისა და ექსცენტრიკული გენიოსის ჰეროიკული ექსპერიმენტი. აქ არაფერია ჰომეროსისა, ვისი ხელოვნებაც მშვიდი, ნათელი სტრიქონებით იჩენს თავს; ჯოჯოხეთის გაბრწყინებული სურათები, თუნდაც ხმაურიანი და მოელვარე ხომ მაინც ხიბლავენ სულს. არც დოსტოევსკისა გვხვდება რამე, თუმცა ხედვის ფანტასტიკური ძალით და არნახული გადაჭარბებით ჯოისისათვის ის, ალბათ, უფრო ახლობელია. არსებითად, ამ უნიკალურ ექსპერიმენტთან ყოველგვარი შედარება არასწორი იქნებოდა. ჯეიმზ ჯოისის შინაგან განმარტოებას წარსულში ვერაფერს შეადარებ. იგი არაფერსა გავს, ამიტომ მიმდევარიც არ ეყოლება. ესაა ბნელი, პირველყოფილი ძალით აღსავსე ადამიანი-მეტეორიტი; ხელოვნების "დამბლადამცემი", შუა საუკუნეების მაგიური წერილის თანამედროვე ვარიანტის მსგავსი წიგნი-მეტეორიტი... და რაც არ უნდა თქვა, სწორედ ამის გამო ხდება ეს მიღწევა მკვიდრიც და ხელშეუხებელიც. ეს წიგნი - განუმეორებელი რარიტეტი - იმ უცნაურ ლოდად დარჩება, ჩვენს ირგვლივ არსებულ ცხოველმყოფელ სამყაროს არაფრით რომ უკავშირდება და თუ დრო მას შამოინახავს, ალბათ, თაყვანსაც ისე სცემენ, როგორც სიბილათა ხმებს ეთაყვანებიან ხოლმე. ყველა შემთხვევაში, დღევანდელობის გადასახედიდან მხოლოდ ამ ჭირვეული, ვნებიანი და უკიდურესად მამაცი ლიტერატურული ექსპერიმენტის პატივისცემაზე შეიძლება ვისაუბროთ. დიახ, პატივისცემაზე, ჯეიმზ ჯოისის პატივისცემაზე.

## ჰილბერტ კით ჩესტერტონი

### ეპოქის სული ლიტერატურაში, "ბუკმენი", ოქტომბერი, 1930 წ.

თანამედროვე, ჭეშმარიტად ნიჭიერი მწერლების ყველაზე საინტერესო თვისება გახლავთ ინტელექტის ანტისოციალურობა, რომელმაც ყოფაქცევის გარეგნულად საყოველთაო ნორმებით ან ჯოგური მანერითაც კი შეიძლება იარსებოს. მისი ერთერთი გამოვლინება ჭეშმარიტი ნაწარმოების ისეთი ენობრივი ექსცენტრულობაა, თვით ექსცენტრულობის ზღვარსაც რომ ცილდება და ბავშვის მოგონილ პირო-

1. ჯუზეპე, კასპარ მეცოფანტი 1774-1849 - იტალიელი კარდინალი და ლინგვისტი. 1833 წ. ვატიკანის ბიბლიოთეკის მთავარი მცველი. ამბობდნენ, რომ მან სრულყოფილად იცოდა ორმოცდაათი თუ სამოცი ენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით ენას ემსგავსება. "ულისეში" ბევრი უცნაური სიტყვაა, მაგრამ ყველაზე უცნაური ალბათ, მაინც თავად ულისეა. თვით შედარებაც კი კურიოზულია: თუ ჰომეროსი თავის უკიდეგანო, წარმართულ ეპოსში, უმარტივესი ენის საშუალებით სრულ უბიწობას აღწევს, ჯოისი, პირიქით, მხოლოდ ერთეულებისთვის გასაგები ენით, სრულ უხამსობას ქმნის. არის წიგნში ისეთი საეჭვო ადგილებიც უკვე მორალურ არგუმენტაციას რომ საჭიროებს, რადგან უკიდურესობის ზღვარზე ქანაობს. ჯოისს ხშირად ადარებენ რაბლეს და ეს შედარებაც საკმარისია, რათა სრულად წარმოჩინდეს ეპოქის სულით შექმნილი განსხვავება. რაბლე იმითაა ძლიერი, რომ მის სქემაში თითქოს ათი ათასი კაცის ხმა ერთმანეთს შეერწყმის, გოლიათში კი, ერთ ადამიანად ქცეული მრავალი ადამიანი იყრის თავს. მისი ბრდღვინვა, ისევე როგორც დღევანდელი ბრბოს ან რაიმე თავყრილობის ბღავილი, შეიძლება ყველასთვის ნათელი და გასაგები არც იყოს, მაგრამ ხომ ვიცით, რომ ეს ყვირილი ჩვეულებრივი და ადამიანურია, თუნდაც მავანმა ველურიაო, განაცხადოს. მაგრამ არ გვიჩნდება ისეთი განცდა - ყოველ შემთხვევაში მე არ მიჩნდება - თითქოს ჯეიმზ ჯოისი კიდევ ვინმეს მიმართავდეს გარდა თავად ჯეიმზ ჯოისისა. ამას გინდა ინდივიდუალიზმი დაარქვი, გინდა სიშლაგე და გენიალურობა, მაინც დროის ნიშანი იქნება. ესაა მცდელობა შექმნა საკუთარი ენა და მცირეოდენი მანძილით მაინც დაშორდე ყოველივეს, რაც საყოველთაო ენას ჩამოგავს.

ახალი ულისე ძველ ულისეს უპირისპირდება, რადგან ეს უკანასკნელი გოლიათკაციჭამიებსა და ჯადოქრებს შორის მოქმედებდა და ჩვეულებრივი, თითქმის პროზაული გონიერებით გამოირჩეოდა; მაშინ, როდესაც პირველი ჩვეულებრივ ფანარებიან ბოძებს შორის თუ სამიკიტნოებში დაეხეტება, მისი გონებრივი წყობა კი ყველა ჯადოსნურ ზღაპარზე მეტი ფანტასტიურობით გამოირჩევა. მე არ ვაპირებ საქმის ცოდნით ვაქო ან ვაკრიტიკო ეს ყოვლად სადავო ნაწარმოები; მხოლოდ ვცდილობ იგი ინტელექტის ან, თუ გნებავთ, თავად სულის იზოლირების ილუსტრაციად გამოვიყენო. რაბლე ხანდახან გაბნევს კიდეც, რადგან ოცი კაცივით ერთდროულად ლაპარაკობს; ჯოისი კი ძალიან გაუგებარია, რადგან მხოლოდ საკუთარ თავს ელაპარაკება...

## ანა ახმატოვა

17 ოქტომბერი 1940 წ.

ლ. ჩუკოვსკაია, ჩანაწერები ანა ახმატოვას შესახებ. "ნევა", 1989 № 7.

... არაჩვეულებრივი წიგნია, დიდი წიგნი... თქვენ იმიტომ ვერ გაიგეთ, რომ დრო არა გაქვთ. მე კი ბევრი დრო მქონდა, დღეში ხუთ საათს ვკითხულობდი და ექვსჯერ წავიკითხე. თავდაპირველად მეც ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს არაფერი მესმოდა, შემდეგ კი, თანდათან გამოიკვეთა - თითქოს ფოტოსურათი გამჟღავნებულიყო. ჰემინგუეი თუ დოს პასოსი მისგან წარმოიშვნენ. ყველანი მისი ნასუფრალით იკვებებიან.

## თომას ვულფი

ორი ნაწყვეტი წერილებიდან.

... მეკითხებით, მწერლობას სინამდვილისგან გაქცევის საშუალებად ხომ არ აღიქვამთო. ამ სიტყვის არც ერთი მნიშვნელობით იგი სინამდვილისგან გაქცევის საშუალებად არ მიმაჩნია. პირიქით, მე ვიტყოდი, რომ იგი სინამდვილესთან დაახლოებისა და მასში შეღწევის საშუალება უფროა. როცა "ულისეს" მსგავს წიგნს შეეხები, ეს განსაკუთრებით სამართლიანად აჟღერდება. აქ იმდენად ძლიერია მცდელობა შეიცნო და გააცოცხლო დაკარგული დროის წამი, რომ ზოგიერთი ჩვენგანი მაშინვე იგრძნობს: ჯოისმა ნამდვილად შეძლო, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ მონაკვეთში მაინც, სინამდვილეში შეეღწია და უფრო მეტიც, ვგონებ, სინამდვილის ახალი განზომილებაც კი შექმნა...

*წერილი ჯულიან მიდს, I. II. 1932 წ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

... დიდი წიგნი არ იკარგება... ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები და გადაარჩენენ ხოლმე. წიგნი გზას გაიკაფავს. სწორედ ეს დაემართა "ულისეს". დრო გადავიდა და წრე გაფართოვდა. მას მკითხველები შეემატა. თანდათანობით, ადამიანებმა გადალახეს საკუთარი ინერცია, დაძლიეს სირთულე, რომელსაც ყოველი ახალი და ორიგინალური ნაწარმოები ქმნის ხოლმე, მთლიანობაში აითვისეს მისი კომპოზიცია და მიხვდნენ, რომ ეს წიგნი არც უხამსი იყო და არც გაუგებარი, და რა თქმა უნდა, არც თავმომწონე დილეტანტის ახირება გახლდათ. პირიქით, იგი მოწესრიგებული, მკვიდრად ნაგები შენობაა, რომლის ნაკლიც და ეს ძალიან შორს დგას ახირებისთვის დამახასიათებელი ნაკლისაგან - ვგონებ, თითქმის იეზუიტური ლოგიკურობაა, რომლის მექანიზმიც წარმოსახვით შექმნილი ნაწარმოებისათვის, არსებითად ძალიან მშრალი და უსიცოცხლოა. ყოველ შემთხვევაში ახლა, თხუთმეტი წლის შემდეგ, "ულისე" მხოლოდ ლიტერატორთა მცირე ჯგუფისთვის განკუთვნილ წიგნად აღარ ითვლება. დღევანდელი მცოდნეები ამ ნაწარმოებზე შემწყნარებლობით საუბრობენ და მას "ეპოქის დამასრულებელს", "ხანგადასული ნატურალიზმის უკანასკნელ მიღწევას" და ა. შ. უწოდებენ. მაგრამ თავად წიგნმა ლიტერატურაში ახლა უდავო და აღიარებული ადგილი დაიმკვიდრა. მისი მეთოდი, სტილი, პერსონაჟები, სიუჟეტი და კომპოზიცია, ბევრი ჩვენთაგანისთვის ისე ახლობელი გახდა, რომ ეს წიგნი რთული და გაუგებარი აღარ გვეჩვენება...

*წერილი მაქსველ პერკინსს*
*15.12. 1936 წ.*

## ტორნტონ უაილდერი

### ჯეიმზ ჯოისი, 1882-1941,
### ლიტერატურული ნეკროლოგი. "პოეტრი", 1940-1941 წ.

... სერვანტესივით, ისიც ხელის ცეცებით ეძებდა თავის თემასა და ფორმას. შემოქმედის იღბალი - ესაა ძიება მისეული თემისა და მითისა, რაც ერთდროულად დაფარულიცაა მისგან და ცხოვრების ყოველი საათით ნაკარნახევიც; ეს მისი "გულივერის მოგზაურობაცაა" და მისი "რობინზონ კრუზოც". სერვანტესივით, ჯოისიც ხელმოცარული აღმოჩნდა პოეზიასა და დრამატურგიაში. კარგად ვინც იცნობს მისეული პროზის რიტმთა განუმეორებელ შესაძლებლობებს, გაოგნებული დარჩება ლექსების უფერული მელოდიურობითა და დახშული მუცელმოგვობით. კარგად ვისაც ახსოვს ცოცხალი ენერგიით აღსავსე დიალოგი "დუბლინელებიდან" ან ის ცნობილი, საშობაო სუფრასთან გამართული ჩხუბის თითქოს ელექტროობით დამუხტული სცენა "მხატვრის პორტრეტიდან ახალგაზრდობისას", გაოგნებული დარჩება მისი პიესის "გაძევებულნი" მოუქნელობით.

სერვანტესივით, უფრო წარმატებით იმორჩილებს მოკლე მოთხრობას და სერვანტესივით სწორედ სქელტანიანი წიგნის საზღვრებში პოულობს თავის ფორმასა და თემას.

"ულისემ" ლიტერატურას ახალი მეთოდი შესძინა - შინაგანი მონოლოგი. საუკუნოვანი განვითარების მქონე რეალიზმი ახლა ცნობიერების რეალისტური აღწერის პრობლემას გადააწყდა. რეალიზმისათვის - ცნობიერება უთავბოლო ბუტბუტია და მჩქეფარე ნაკადი, რომელიც ხატებითა და ასოციაციებით მოედინება. ჯოისი ისეთი ოსტატობით იმორჩილებს ამ სურათების სრული სისავსით აღწერის მეთოდს, რომ ყოველგვარ წინამორბედებზე ლაპარაკიც ზედმეტია. მხოლოდ მან ერთმა შეძლო ისე მოეწესრიგებინა რაღაცა აშკარად უთავბოლო და ყოფითი, რაღაცა უკიდეგანო აღმაფრენა, რომ ეს ყოველივე ჭეშმარიტ ხელოვნებად გადაიქცა...

ძნელი სათქმელია სიძულვილმა დამარხა ჯოისის ეს მონაპოვარი ატომებად დაშლილ ენობრივ ნანგრევებში თუ ხუმრობის ამ გენიოსის დამცინავმა სიყვარულმა და სტილის უზადო მუსიკალობამ მოიპოვა აქ უდიდესი ტრიუმფი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვლადიმერ ნაბოკოვი

### კორნელის უნივერსიტეტში წაკითხული კურსი, 1948-1958 წ.წ. ფრაგმენტი ლექციიდან "ულისეს შესახებ".

... სანამ წიგნის შინაარსისა და სტილის განხილვას შევუდგებოდეთ, რამდენიმე სიტყვა მის მთავარ მოქმედ პირზე, ლეოპოლდ ბლუმზე მინდა გითხრათ. პრუსტმა თავისი სვანი, ინდივიდუალური და განუმეორებელი პიროვნული თვისებებით აღჭურვა. სვანი არც ლიტერატურული ტიპია და არც ეროვნული, თუმცა მინიშნებულია, რომ ის ებრაელია და მაკლერის ვაჟიშვილი გახლავთ. ჯოისს კი, ბლუმის შექმნისას, იმთავითვე სურდა დუბლინის ძირძველი მოსახლეობის - ირლანდიელების წრეში შეეყვანა ვინმე, ვინც ჯოისივით თავად ირლანდიელი იქნებოდა და, ამავე დროს, თავად ჯოისივით მოკვეთილი და თეთრი ყვავი. სწორედ ამიტომ - და ეს მოფიქრებული ნაბიჯია - გაუცხოებულის, მარადიული ურიას, დევნილის ტიპი აირჩია. თუმცაღა მოგვიანებით იმასაც დავანახვებთ, რომ ამ ეგრეთწოდებულ ეროვნულ თვისებებს ის დროდადრო მეტისმეტად უსვამს ხაზს და ამუქებს. კიდევ ერთი მოსაზრება ბლუმთან დაკავშირებით: იმ ავტორთა უმეტესობა, ასე უხვად რომ წერენ "ულისეს" შესახებ, ან ძალიან გულუბრყვილონი არიან ან ძალიან მანკიერნი. მათ ურჩევნიათ ბლუმი სრულიად ჩვეულებრივ ადამიანად ჩათვალონ. ალბათ ჯოისსაც ჩვეულებრივი ადამიანის წარმოჩენა უნდოდა, მაგრამ ხომ აშკარაა, რომ სქესობრივ სფეროში ბლუმი თუ შეშლილობის ზღვარს არ უახლოვდება, მძაფრი სქესობრივი შეურვების და აქედან გამომდინარე, ახირებული გართულებების ტიპიური კლინიკური შემთხვევა ნამდვილად არის. იგი, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად ჰეტეროსექსუალურია და სულაც არ გვევლინება ჰომოსექსუალად, როგორც პრუსტის ბატონებისა და ქალბატონების უმეტესობა, (ჰომო, აქ ბერძნულ ერთნაირს ნიშნავს და არა ლათინურ მამაკაცს, როგორც სტუდენტთა უმრავლესობას გონია) - მაგრამ საწინააღმდეგო სქესისადმი ლტოლვის ფართო საზღვრებში ბლუმის საქციელი და სურვილები, იმ მეცნიერების თვალსაზრისით, რომელიც ცხოველთა ქმედებას შეისწავლის, ნორმიდან აშკარა გადახრა გახლავთ. თავს არ შეგაწყენთ ბლუმის უცნაური ფანტაზიების ჩამოთვლით, მხოლოდ ერთზე შევჩერდები: მის გონებაშიც და ჯოისის წიგნშიც სიყვარულის თემა მუდამ ჩეჩმის თემაშია ჩაქსოვილი. ღმერთია მოწმე რომანებში ამ ეგრეთწოდებული გულახდილობის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს; პირიქით, მიმაჩნია, რომ ძალიან ცოტაა და რაც გვაქვს ისიც საკმაოდ ზნეკეთილი და ბანალური გახდა ამ ვითომ უხეში მწერლების, სინამდვილეში კი ლიტერატურული კლუბის ცუნცულების, კლუბის ქალბატონთა ნებიერების კალმის წყალობით; მაგრამ არასოდეს დავეთანხმები განცხადებას, რომ ბლუმი სრულიად ჩვეულებრივი მოქალაქეა. არა, ბატონო, ჩვეულებრივი მოქალაქის გონება მარად ფიზიოლოგიით დაკავებული არ გახლავთ. მე აქ მუდმივობას უარვყოფ და არა უხამსობას. ეს მეტისმეტად პათოლოგიური სისულელე წიგნის კონკრეტულ კონტექსტში ხელოვნურად და უსარგებლოდაც კი მოგეჩვენება. ყველაზე გულაზიზებს ვურჩევდი ყურადღების მიღმა დაეტოვებინათ ჯოისის ეს განსაკუთრებული მიდრეკილება.

"ულისე" დრო-ჟამზე გათვლილი არაჩვეულებრივი შენობაა, თუმცა ცოტა ზედმეტად დააფასეს იმ ყაიდის კრიტიკოსებმა, ვისაც იდეები, ზოგადი ადგილები და ადამიანური ასპექტები უფრო მეტად აინტერესებთ, ვიდრე თავად ხელოვნების ნიმუში. ხაზგასმით უნდა გაგაფრთხილოთ: ნუ შეეცდებით ზაფხულის ამ ერთ დღეს, დუბლინში, ლეოპოლდ ბლუმის მოსაწყენი ხეტიალი და უმნიშვნელო თავგადასავლები ისე აღიქვათ, როგორც "ოდისეის" ზუსტი პაროდია, სადაც სარეკლამო აგენტი ბლუმი ყოვლად ეშმაკი ადამიანის, ოდისეის თუ ულისეს როლს ასრულებს, ცოლ-ქმრული სარეცელის მოღალატე ბლუმის ცოლი, უმანკო პენელოპესას, ხოლო სტივენ დედალისთვის ტელემაქეს როლი გამოუყვიათ... უდავოა, რომ ბლუმის ხატის მიღმა ჰომეროსისეული ყარიბობის თემის ძალიან გაურკვეველი და ბუნდოვანი ექო შეიგრძნობა, ამას ხომ რომანის სათაურიც მიგვანიშნებს. წიგნში ბევრი კლასიკური ალუზია გვხვდება, მაგრამ სხვაგვარი ალუზიებიც ხომ იჩენს თავს. ყოველ პერსონაჟსა თუ სცენაში პირდაპირი პარალელების ძებნა დროის

ფუჭი ფლანგვა იქნებოდა. გაცვეთილ მითზე დაფუძნებულ, განზოგადებულ და აბეზარ ალეგორიებზე მოსაწყენი ხომ არაფერია. ალბათ ამიტომაც, ჯოისმა წიგნის ნაწილობრივ გამოქვეყნებისთანავე იგრძნო რას უმზადებდნენ სწავლული და ფსევდოსწავლული ავყიები და რომანის თავებს ფსევდოჰომეროსისეული სათაურები მოუხსნა. და კიდევ: ერთმა ასეთმა ავყიამ, ვისაც სტიუარტ ჰილბერტი ქვია და ვინც შეცდომაში თავად ჯოისის მიერ შედგენილმა სახუმარო სიამ შეიყვანა, უცებ აღმოაჩინა, რომ ყოველ თავში, თურმე ერთი რომელიმე ორგანო: ყური, თვალი, მუცელი და ა. შ. იქცევს ყურადღებას. ჩვენ არც ამ მოსაწყენი სისულელით დავინტერესდებით. ყოველგვარი ხელოვნება ხომ თავისთავად სიმბოლურია, ჩვენ კი ხელი გვინდა ვტაცოთ - "ჩაგავლე!" - კრიტიკა ნატიფ, ავტორისეულ სიმბოლოს დოქტრინის შემქმნელის ნაჭარბევ ალეგორიას დაუმორჩილებს, ათას ერთ ღამეს კი კერპთაყვანისმცემელთა თავყრილობად გადააქცევს.

მაშ რაღაა წიგნის მთავარი თემა? ეს ძალიან იოლია.

1. უიმედო წარსული. ბლუმის ჩვილი ვაჟიშვილი დიდი ხნის წინ გარდაიცვალა, მაგრამ ეს მოგონება მას სისხლსა და გონებაში აქვს გამჯდარი.

2. უაზრო და ტრაგიკული აწმყო. ბლუმს ჯერ კიდევ უყვარს თავისი ცოლი, მოლი, მაგრამ ბედისწერის ნებას ემორჩილება. მან იცის, რომ იმ დღეს, ივნისის შუა რიცხვებში, ოთხ საათსა და ოცდაათ წუთზე, მოლის მარჯვე იმპრესარიო და საკონცერტო აგენტი ბოილანი ქალს მოინახულებს, მაგრამ სულაც არ ცდილობს ამ შეხვედრას ხელი შეუშალოს. სამაგიეროდ, ძალიან ცდილობს ბედისწერას გზაზე არ გადაეყაროს და მაინც, მთელი დღე სწორედ ბოილანს ხვდება.

3. უბადრუკი მომავალი. ბლუმი სისტემატურად ხვდება კიდევ ერთ ახალგაზრდა კაცს - სტივენ დედალს. თანდათანობით ამას კიდევ ერთ ბედისწერად აღიქვამს. თუ მის ცოლს აუცილებლად უნდა ყავდეს საყვარლები, ამ როლისთვის მგრძნობიარე, არტისტული სტივენი უფრო შესაფერისია, ვიდრე უხამსი ბოილანი. სტივენს ხომ შეუძლია მოლის გაკვეთილები ჩაუტაროს და მისი იტალიური დახვეწოს. ეს კი მომღერალი ქალისთვის, პროფესიული თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი იქნება. თანაც, ბლუმი ძალზე ამაღელვებლად იმასაც ფიქრობს, სტივენი, ალბათ, კეთილშობილურ გავლენასაც იქონიებს ქალზეო.

მოკლედ, რომანის მთავარი თემაა: ბლუმი და ბედისწერა.

რომანის ყოველი თავი განსხვავებული სტილითაა დაწერილი, უფრო სწორად, ყოველ თავში გარკვეული სტილი მეფობს. აქ არ იგრძნობა არავითარი განსაკუთრებული მიზეზი იმისა, რომ ერთ თავში თხრობა მარტივად, ყოველგვარი ოინების გარეშე, მეორეში მოჩუხჩუხე ცნობიერების ნაკადის მეშვეობით, მესამეში კი პაროდიების პრიზმის გავლით მიედინებოდეს. განსაკუთრებული მიზეზი არ იგრძნობა, სამაგიეროდ ნათლად მოჩანს, რომ ათვლის წერტილის დაუსრულებელი ცვლის წყალობით ცოდნა უფრო მრავალფეროვანი ხდება და მისი მოულოდნელი და ნათელი სხივი აქა-იქ ყოველთვის გაკრთება. თუ ოდესმე გიცდიათ ისე მოიხაროთ, რომ თავი მუხლებშუა, სახით უკან მოიქციოთ, სამყარო მაშინვე სულ სხვაგვარი გამოჩნდება. შეეცადეთ ასეთი პოზა ზღვის ნაპირას მიიღოთ: ადამიანები ძალზე სასაცილოდ დადიან, თუკი მათ თავდაყირა დაინახავთ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყოველი ნაბიჯის გადადგმისას დედამიწაზე გრავიტაციით მიწებებული ფეხების ამოგლეჯას ცდილობენ და თანაც, ღირსებასაც არ კარგავენ. სწორედ ხედვის წერტილისა და კუთხის ცვალებადობის ეს ხერხი შეიძლება შევადაროთ ჯოისის ახალ სალიტერატურო ტექნიკას, იმ ახალ მოსახვევს, რის გამოც ბალახი უფრო მწვანე, სამყარო კი უფრო ახალი გამოჩნდა.

იმ დღეს, დუბლინში ყარიბობისას, პერსონაჟები მუდამ ერთმანეთს ეხლებიან. ჯოისი მათზე კონტროლს არასოდეს კარგავს. მართლაც, ისე მიდიან და მოდიან, ხვდებიან და შორდებიან და კვლავ ხვდებიან, როგორც გულდასმით შექმნილი კომპოზიციის ცოცხალი ნაწილები, ბედისწერის თავისებური ნელი ცეკვით რომ ტრიალებენ. წიგნის ერთ-ერთი ყველაზე განსაცვიფრებელი თვისება თემის გამეორებაა. ეს თემები გაცილებით უფრო მკვეთრადაა მოხაზული და შეგნებულად გატარებული ვიდრე ამას ტოლსტოი ან კაფკა ახერხებდა. მთლიანობაში "ულისე" - და ამაში ჩვენ თანდათანობით დავრწმუნდებით - ესაა კარგად მოფიქრებული ქარგა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც თემათა გამეორებით და უმნიშვნელო დეტალთა თანადამთხვევით იქმნება.

ჯოისი სამ ძირითად სტილს იყენებს:

1. ჭეშმარიტი ჯოისი: პირდაპირი, აშკარა, ლოგიკური და დინჯი.

2. დაუმთავრებელი, ნაჩქარევი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები, ეგრეთწოდებული ცნობიერების ნაკადი ან, მე ვიტყოდი, ცნობიერების ნაკადზე გადასასვლელად ჩალაგებული ქვები. ამის ნიმუში თითქმის ყველა თავში შეიმჩნევა, თუმცა, ჩვეულებრივ ამ ხერხს მხოლოდ მთავარ მოქმედ პირთა დახასიათებისას იყენებს. სტილის ამ თავისებურებას, უფრო დაწვრილებით ყველაზე ცნობილი მაგალითის, მოლის საფინალო მონოლოგის ფონზე განვიხილავთ... აქ კი მხოლოდ ერთი შენიშვნით დავკმაყოფილდეთ - ეს ხერხი უდავოდ აზვიადებს აზროვნების სიტყვიერ მხარეს. ადამიანი ყოველთვის სიტყვებით როდი აზროვნებს, იგი ხატებითაც აზროვნებს ხოლმე, ცნობიერების ნაკადის ტექნიკა კი მხოლოდ იმ სიტყვათა ნაკადს გულისხმობს, რომლის ჩაწერაც შეიძლება. არადა, ძნელი დასაჯერებელია, ბლუმი განუწყვეტლივ თავის თავს ესაუბრებოდეს.

3. სხვადასხვა, არარომანისეული ფორმების პაროდირება: საგაზეთო სათაურების... მუსიკალური ფორმების... დრამატული მისტერიებისა და ფარსების... საგამოცდო მოდელისა "კითხვა-პასუხი"... და ამასთანავე, სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებათა და კონკრეტულ ავტორთა დამახასიათებელ სტილის პაროდირებაც...

სტილის შეცვლით, ან თუ გნებავთ ერთი და იგივე სტილის ჩარჩოებშიც კი, ჯოისი განწყობის გაძლიერებას იმით ახერხებს, რომ ალიტერაცია ან რიტმულ-ენობრივი ხერხებით შექმნილი მუსიკალურლირიკული მელოდია შემოაქვს. ამ ხერხს ძირითადად მოწყენილთა ან სევდიანთა გრძნობების გამოსახატავად იყენებს. პოეტური სტილი, უმეტეს შემთხვევაში, სტივენ დედალთანაა ასოცირებული, მაგრამ დროდადრო, ბლუმსაც ახასიათებს. მაგალითისათვის გაიხსენეთ, როგორ ცდილობს ბლუმი თავიდან მოიშოროს კონვერტი, რომელშიც მარტა კლიფორდის წერილი იდო, ან რამდენიმე ფრაზით ზემოთ - თუ როგორ დასრულდა დაქცეული ლუდის უშველებელი ნიაღვრის ხილვები...

არადა, ჯოისისგან ყოველ წუთს ელოდები რაიმე სიტყვიერ ხრიკს - კალამბურს, სიტყვათა გადაადგილებას, სიტყვათა თამაშს, საშინელ სიტყვათაშეთანხმებას ან ბგერათმიმბაძველობას. გარდა ამისა, სულ ვილაცას იმოწმებენ, ნაწარმოები ალუზიებითა და უცხოური გამოთქმებითაც გადატვირთულია და ყოველივე ერთად აღებული დროდადრო ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს რომანი ზედმეტად ბუნდოვანია, თითქოს წრილმანები მკვეთრად კი არაა მოხაზული, მინიშნებულია და მხოლოდ ხელთდასმულთათვისაა განკუთვნილი...

## კარლ იუნგი

### წერილი ჯოისს, აგვისტო, 1932 წ.

... თქვენმა "ულისემ" კაცობრიობა ისეთი თავზარდამცემი ფსიქოლოგიური, პრობლემის წინაშე დააყენა, რომ მე არა ერთგზის მომმართეს რჩევისთვის, როგორც ფსიქოლოგიის სპეციალისტად აღიარებულ ადამიანს.

"ულისე" მეტისმეტად კირკიტი კაკალი აღმოჩნდა; ჩემს გონებას წილად არაორდინალური დატვირთვა არგუნა და ამასთანავე, საკმაოდ ბრიყვული (სწავლულის თვალსაზრისით) და ქაოტური აზრების ტყვეობაშიც მოაქცია. მთლიანობაში თქვენი წიგნი იმდენ სირთულეს შეიცავდა, სამი წლის ფიქრი დამჭირდა, რათა ბოლოს და ბოლოს მის სიღრმეს ჩავწვდომოდი. აქვე დავამატებ, რომ დიდი მადლიერებით მოგიხსენიებთ თქვენც და თქვენს გიგანტურ შრომასაც, რადგან ამ წიგნის წყალობით ბევრი რამ გასაგები გახდა ჩემთვის. დარწმუნებით ალბათ ვერასოდეს ვიტყვი, მომანიჭა სიამოვნება თუ არა, რადგან ნერვებისა და გონების ქანცისგამწყვეტი შრომა მოითხოვა. არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ მოგეწონებათ ის, რაც "ულისეს" შესახებ დავწერე... მე, უბრალოდ, არ შემეძლო ქვეყნიერებისთვის არ მემცნო როგორ გადავიღალე, როგორ ვბუზღუნებდი, როგორ ვილანძღებოდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თანაც ალტაცებული ვიყავი. ფინალის ორმოცგვერდიანი, მთლიანი ტექსტი ჭეშმარიტად ფსიქოლოგიურ მარგალიტთა რიგია. ვფიქრობ, ასე კარგად ქალის ნამდვილი ფსიქიკა მხოლოდ ეშმაკისეულმა შეიძლება იცოდეს. მე - არ ვიცი.

ამრიგად, გავბედავ და შემოგთავაზებთ ამ პატარა ესეს, თავშესაქცევ ცდას სრულიად უცნობი ადამიანისა, ვისაც თქვენი "ულისეს" ლაბირინთებში აებნა გზა და მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გამოიხსნა თავი. ყოველ შემთხვევაში, ჩემი სტატიით იმას მაინც გაიგებთ, რა დღე დააყარა "ულისემ" ადამიანს, ვისაც თავისი თავი მუდამ გაწონასწორებულ ფსიქოლოგად მიაჩნდა.

## მონოლოგი "ულისეს" შესახებ.
## "ეუროპეიშე რევიუ", სექტემბერი, 1932 წ.

"ულისე", რომელიც ჩემს სათაურში ფიგურირებს ჯეიმზ ჯოისთანაა კავშირში და არა ჰომეროსისეული სამყაროს იმ პრაქტიკულ, ქარიშხლებით მოხიბლულ პერსონაჟთან, ვინც კარგად იცოდა ეშმაკობითა და საქმით როგორ დაეცვა თავი ღმერთებისა და ადამიანების მტრობასა და შურისძიებისაგან და ვინც ქანცგამწყვეტი ყარიბობის შემდეგ, ოჯახურ კერას დაუბრუნდა. თავისი ბერძენი სეხნიასაგან მკვეთრად განსხვავებული ჯოისისეული ულისე პასიურია და მხოლოდ ცნობიერებას იკვლევს - იმ თვალს, ყურს, ცხვირს, პირს, მგრძნობიარე ნერვს, რომელიც ყოველგვარი არჩევანისა და კონტროლის გარეშე ექცევა მატერიალური სამყაროთი გამოწვეულ სულიერ ქმედებათა და მოვლენათა ახმაურებული, ქაოტური, უაზრო ჩანჩქერის ზეგავლენის ქვეშ - და ყოველივეს თითქმის ფოტოგრაფიული სიზუსტით აღნუსხავს.

"ულისე" ის წიგნია, რომლის შვიდასოცდათხუთმეტ გვერდზე მოედინება დროის ნაკადი შვიდასოცდათხუთმეტი დღისა, რაც თავის მხრივ ადამიანის ერთ, შეუცნობელ, ყოველ დღეს მოიცავს. ამ დღეს არაფერი აქვს საერთო 1904 წლის 16 ივნისთან დუბლინში და ამ დღეს არსებითად არც არაფერი ხდება. ნაკადი სიცარიელიდან იღებს სათავეს და სიცარიელეშივე ეშვება. იქნებ ეს წარმოუდგენლად გაჭიანურებული და მეტისმეტად გართულებული სტრინდბერგისეული აზრიც იყოს ადამიანის ცხოვრების არსის შესახებ; აზრი, რომელიც დაუსრულებლად გრძელდება და მკითხველში ძრწოლას წარმოშობს? ვერ გეტყვით, მართლა ეხმიანება თუ არა იგი ცხოვრების არსს, მაგრამ ცხოვრების ასი ათას ფერად შეღებილ ათი ათას ზედაპირს კი ნამდვილად ეხმიანება. რამდენადაც შემიძლია ვიმსჯელო, ამ შვიდასოცდათხუთმეტ გვერდზე არც თვალსაჩინო გამეორებები გვხვდება და არც დალოცვილი კუნძული, სადაც მრავალტანჯული მკითხველი სულის მოთქმას შეძლებდა. არ არსებობს ადგილი, სადაც შთაბეჭდილებებით დაბანგული მარტოდმარტო ჩამოჯდებოდა და მშვიდად მოათვალიერებდა განვლილი გზის სივრცეს; და რა მნიშვნელობა აქვს ეს სივრცე ასი გვერდის ტოლფასი იქნებოდა თუ ცოტა ნაკლები. ერთი მაინც რომ შეემჩნია რაიმე ჩვეულებრივი, ნაცნობი, რაღაც იქ შემსხლტარი, სადაც არავინ ელოდება. არა, ბატონო! დაუნდობელი და უწყვეტი ნაკადი გვერდით ჩაუქროლებს, მისი სისწრაფე და მიზანდასახულობა კი ბოლო ორმოც გვერდზე იმდენად გაიზრდება, რომ პუნქტუაციის ნიშნებსაც წალეკავს. ეს ყოველივე ისეთ სასტიკ გამოხატულებას ანიჭებს სიცარიელეს, რომ სუნთქვას შეგიკრავს; დაძაბულობა ისეთ ზენიტს მიაღწევს, რომ გაუსაძლისი და აქედან გამომდინარე, ფეთქებადი გახდება. სრულიად უიმედო სიცარიელე მთელი წიგნის დომინანტია. იგი არა მხოლოდ იწყება და თავდება არაფრით, თავად მასშიც არაფრის გარდა არაფერია. იგი წარმოუდგენლად უსარგებლოა. წმინდა ლიტერატურული ოსტატობის თვალსაზრისით ესაა რაღაც ძალიან საზარელის აბსოლუტურად ბრწყინვალე და ამასთანავე ჯოჯოხეთური შობა.

ერთი მოხუცი ბიძა მყავდა, რომელიც მოვლენათა არსში გარკვევის დიდი ნიჭით გამოირჩეოდა. ერთხელაც ქუჩაში გამაჩერა და მკითხა: "იცი, ეშმაკი რითი ტანჯავს ცოდვილთა სულებს ჯოჯოხეთში?" როცა ვუპასუხე, არ ვიცი-მეთქი, განმიცხადა: "ლოდინს აიძულებს". თქვა და წავიდა კიდეც. მისი შენიშვნა მაშინ გამახსენდა, როცა პირველად ვცადე "ულისეში" შემეღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნია. აქ ყოველი ფრაზა აღვიძებს მოლოდინს, რომელიც არასოდეს ახდება, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ფარ-ხმალს დაგაყრევინებს და თავს ხაფანგში ამოგაყოფინებს. ჰო, ასეა: არაფერი ხდება და, რა თქმა უნდა, არც არაფერი გამომდინარეობს; და მაინც, უიმედო თვინიერების მიუხედავად, იდუმალი მოლოდინი მკითხველს გვერდიდან გვერდამდე ითრევს. შვიდასოცდათხუთმეტი გვერდი, რომელიც არაფერს შეიცავს, სულაც არ არის ქაღალდის თეთრი ფურცლები, პირიქით, ტევადი ტექსტითაა შევსებული. კითხულობთ და კითხულობთ და თავს იტყუებთ, რომ წაკითხული გესმით. დროდადრო, ზოგიერთ ფრაზაში ისე ჩაეშვებით, როგორც საჰაერო ორმოში და როცა, ბოლოს და ბოლოს, თვინიერების საჭირბოროტოს მიაღწევთ, აღმოაჩენთ, რომ ყველაფერს მიჩვეული ხართ. მეც ასევე დამემართა; ასოცდამეთხუთმეტე გვერდამდე გამოუვალობის შეგრძნება არ მშორდებოდა, ორჯერ ჩამეძინა კიდეც. ჯოისის დაუჯერებლად მრავალმხრივ სტილს მონოტონური და ჰიპნოზური ზეგავლენა ახასიათებს. მკითხველს არაფერი ესმის. ყველაფერი გაურბის, ყველაფერი ხელიდან უსხლტება და პიდალებულს ტოვებს. ეს წიგნი ყოველთვის სადღაც ზევით ან გვერდით ჩაგიქროლებს. იგი თავის თავს უპირისპირდება, ერთდროულად ირონიულიცაა, სარკასტულიც, შხამიანიც, ქედმაღალიც, სევდიანიც და სიმწრითა და სასოწარკვეთილებით აღსავსეც.

*თარგმნა მანანა მიქელაძემ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ჭილაძე

# მარადიული სიჭაბუკე

გიორგი ლეონიძის ამქვეყნიური გარეგნული ხატი, მხოლოდ და მხოლოდ, ბედნიერებასა და წარმატებას ასხივებდა. ამასთანავე, ეს ბედნიერება თითქოს დედის მუცლიდან გამოჰყვაო, იმდენად ლეონიძისეული იყო, მისი ისეთივე თვისება, როგორც სიამაყე, გულუხვობა, ანდა სიმამაცე.

მაგრამ იყო კი ნამდვილად ბედნიერი?

დღეს სიმართლეს მხოლოდ მისი ლექსები თუ გაგვიმხელენ. თუმცა აშკარაა, რომ გულმოდგინედ ცდილობდა, ლექსში არ გაეჟონა ნებისმიერ პირად ტკივილს, მაგრამ მისი ერთი მეგობრის, ასევე შესანიშნავი ქართველი პოეტისა არ იყოს, ლექსი ზოგჯერ თვითონ გვწერს ხოლმე და ეს, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დიდი სიმართლეა. მართალია ლექსი ჩვენი სულის ტყუპისცალია, სინამდვილეში ჩვენ მოკვდავები ვართ, ის კი მარადისობას ეკუთვნის. ლეონიძის ნათქვამია: "უკვდავების დღეს მხოლოდ ლექსები დაესწრებიან"-ო.

ამ ახოვან, ლამაზ, ცხოვრებისგან თითქოს განებივრებულ, თაყვანისმცემლებითა და მლიქვნელებით გარშემორტყმულ ადამიანს, რა თქმა უნდა, ბევრი რამის დამალვა შეეძლო და, ალბათ, დამალა კიდეც, ოღონდ ერთი რამ კი ვერაფრით დაგვიმალა - საოცრად ეშინოდა სიკვდილის. უფრო მეტიც, თითქოს ელოდებოდა კიდეც. ბოლო ხანებში ნამდვილის ნაცვლად, ხელში გამუდმებით პლასტმასის სიგარეტი ეჭირა, რომელსაც ვითომ წევდა... ვითომ... ვითომ... და ეს "ვითომ" იყო სწორედ, გაცილებით მეტ ვნებას რომ აყენებდა, თუ გნებავთ, მეტ ტკივილსაც, ვიდრე ნამდვილ სიგარეტს, ან ჭიქა ღვინოს შეეძლო მიეყენებინა.

არავინ იცის, როგორ ცხოვრობდა გიორგი ლეონიძე, თვით მახლობლებმაც კი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათ, რადგან თუ ვინმეს უმალავდა ტკივილს, ვინმეს უფრთხილდებოდა და ფიქრშიაც გამუდმებით ეფერებოდა, ეს მისი ოჯახი იყო, ერთადერთი საიმედო თავშესაფარი.

არავინ იცის, რად ულირდა "ხომალდის ნიჩაბივით მძიმე" კალმის ხელში აღება, თუმცა არაღებაც მისთვის ალბათ სიკვდილის ტოლფასი იყო. მიუსეს ლექსის მენიჩბესავით, ისიც ჯაჭვით იყო მიბმული "ნიჩაბს", განგებისგან სამუდამოდ მის მონად განმწესებული.

ამ შემთხვევაში, შეიძლებოდა ის ფაქტიც გაგვეხსენებინა, რომ XX ს. ქართული ლიტერატურა, წინა საუკუნის მწერლობის მსგავსად, იქმნებოდა ოკუპაციის ჯოჯოხეთურ პირობებში.

აუტანელია ნილაბი, რომელსაც სახეზე კი არა - სულზე იფარებ...

**"რა ლექსი გინდა, ჩემო დროებავ,**
**გამაგებინე, რა ლექსი გინდა,**
**რომ არ მომეცი მე მყუდროება,**
**არც წყალი მასვი მე გემოწმინდა.**

**რად დამიგრიხე ხორხზე საბელი**
**და ფრთაში წყლული რად გამიჩინე;**
**რად აკვლევინე კაენს აბელი,**
**რომ ერთი ძმაც კი არ შემარჩინე!"**

რა არის ეს, თუ არა "სოფლის სამდურავი", განამებულ ქართველ პოეტებს უნებურად რომ ამოხდებოდათ ხოლმე!

ქართველი პოეტები ბედისწერის უხილავი თოკით თითქოს ერთმანეთზე არიან გადაბმულები.

მე არ მინახავს და არც გამიგია დალხინებული ქართველი მწერალი...

თუკი საერთოდ შესაძლებელია ბიოგრაფიულ საბუთად ლექსის წარმოდგენა, ამისთვის ალბათ ყველაზე მეტად "ოლე" გამოდგება - ახალი ქართული პოეზიის მარგალიტი. თვითონაც "ნამეხარი" იყო "სიმარტოვის შხამით" შიგნიდან გამომწვარი. სიმარტოვეს კი თავისი ქვეყანა აქვს და ამ სიმარტოვის ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სლში დანთქმულ სამყაროში თითქოს მწუხრის ზარის ამოკვნესა გვიწევს მეგზურობას და გულის ჩხვლეტასავით ვგრძნობთ პოეტის მიერ შენიღბულ ტკივილიან სიტყვას.

მისი ყველაზე დიდი ტკივილი მაინც საქართველოა, მის მიერ სალოცავ ხატად ქცეული. "გამოვარდები, ხარ თუ აღარა!" ო, რა სულისშემძვრელი, რა ნაცნობი, რა მახლობელი ამოძახილია ყველა ქართველისათვის ეს ფრაზა - მარადიული, თითქმის გენეტიკური შიში გაქრობისა და ასევე მარადიული ელდა გადარჩენისა. ამიტომაცაა მის ლექსებში ამდენი, ჩვენი ღამის გამთენებელი, მამულიშვილის სახელი. აი, ასეთი მნათობების მიერ დატოვებულ კვალზე, როგორც წყალში ჩაყრილ ქვებზე, გადადიოდა ჩვენი ხალხი არყოფნის ნაპირიდან სიცოცხლის ნაპირზე. ეს იყო ქართული მისტერია, რამდენადაც ჩვენი გადარჩენა მხოლოდ სასწაულს თუ მიეწერება.

აკაკი წერეთელს, რომელიც მისთვის გამორჩეული მნათობია, "ნახევარღმერთია", ასე მიმართავს:

**"შენ გვიანდერძე სამშობლო**
**და მისი დახსნის იმედი"!**

ეს ხომ მხოლოდ უბედური ქვეყნის შვილს შეუძლია თქვას, რომელსაც ერთადერთი მაცოცხლებელი რამ შერჩენია - იმედი!

მის ლექსებში ჩვენი ტანჯული საქართველო გულში ტირის, პირზე ღიმილმიხატული...

მთასავით უცებ ჩამოინგრა, ჩამოიშალა. "ჩემი პატარა სხეული დაღალა ამ დიდმა ცხოვრებამ"-ო, ამბობენ "ვენეციელ ვაჭარში". დიდი ცხოვრებით ცხოვრობდა, ორმაგი ცხოვრებით. ერთი, ყველას დასანახად, ყველას თვალწინ, მზით გაბრწყინებულ მდინარესავით, ლაღად მიედინებოდა, მეორე კი ალბათ სასოწარკვეთისა და სინანულის ანწუხებზე ჩამოფლეთილი, მისი სულის ყველაზე შეუღწეველ მღვიმეში სისხლისგან იცლებოდა.

წყნეთის აგარაკის აივანზე შიშველი ინვა. ზედ ცაცხვის ტოტები ეყარა. ცაცხვის ტოტებით უნიავებდნენ, უფროხობდნენ სიცხეს მახლობლები და ეს სურათი სამუდამოდ ჩამრჩა მახსოვრობაში, როგორც დიადი აქტი მშობლიურ სტიქიასთან, მიწასთან დაბრუნებისა, მიწისავე პაწაწინა ბაირაღების ფრიალფრიალით.

მიწიდან იყო ამოზრდილი, ცხოვრებიდან და რადგან მიწასა და ცხოვრებას უკიდურესი სიცხადე უყვართ, შეიძლება გეფიქრა, იდუმალის განცდა მისთვის უცხო იყოო, არადა, მასაც ფრთები დაანათლა უფალმა, ერთადერთმა, ვინც ფრთების ნამდვილი ფასი იცის, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის კი ეს უცნაური საჩუქარი განგებისა ტანჯვა-წამების მეტს არაფერს ნიშნავს და არც მთლად უსაფუძვლოდ. ფრთოსანი პოეტის გარდა, ვინ შესძლებდა გრიგალისა და სინაზის დაწყვილებას, ვინ ეტყოდა ქალს ასეთ დიად სიტყვებს: "შენ სილამაზის ნაზო გრიგალოო", მხოლოდ ფრთოსანს შეუძლია შეამჩნიოს "სულის ფრთა", რომელიც დააქროლებს სიტყვას სულისავე უკიდეგანო სივრცეში, "სულის ფრთით" ამოვდივართ დავიწყებისა და ამაოების უფსკრულებიდან, "სულის ფრთა" გვინარჩუნებს წონასწორობას ადამიანური სიშლეგისა და დაუნდობლობის ოკეანის თავზე, "სულის ფრთა" გვაძლებინებს სიმარტოვის უკუნეთში, "სულის ფრთის" ოდნავი მიკარებითაც კი ჩნდება ქვეყნად დედის დაკრეფილი იები, "ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი", "სოფლის სუფთა ღრუბელი", ვარსკვლავი, ცას "კამეჩის თვალივით" რომ ანათებს, "დილა, რომელსაც ნისკარტით ეზიდებიან ჩიტები", "სულის ფრთის" შეხებით გვევლინება "სევდის უფალი" - უცნაური ხატი, უცნაური მეტაფორა, ლექსის წიაღიდან უეცრად ამონათებული, ასოციაციების ბრჭყვიალა მძივებით დახუნძლული და გამდიდრებული. ყველაფერი ეს სიტყვად გარდაქმნილი, სიტყვაში გაყუჩებული ფიქრი, მონატრება, სევდა თუ სიხარულია, დაჭერილია სულის უცნაური ფრთთოლვა, როდესაც საგანთა ინკარნაცია, გაადამიანება ხდება, ადამიანის ხმა კი ცოცხალი არსების დანიშნულებას იძენს. ასეთი, თითისწვერებზე წამომართული, ცოცხალი სიტყვებით იქმნება ასლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

"სხვა თვალზე დანახული ქვეყანა" - "მიწა, ფოთოლი, ღრუბლის ნაგლეჯი", ცეცხლში კი არა - მზეში გამომწვარი თიხა, თონის, ქვევრის, ხელადის მეტაფორად ქცეული საგნობრიობა, თუნდაც, კახეთის კერამიკული სილამაზე. და აი, უცებ, მოულოდნელად:

**"ამოითეთრა კავკასიონმა...**
**ცივგომბორიდან კახეთს დავყურებ,**
**თითქოს თავს ოქრო გადამაყარეს,**
**ვარ თეთრ ვაშლის ქვეშ გაღვიძებული.**

**ალაზნის ველი - ხოხობის ყელი,**
**კახეთის მთები... მოდი, მომკალი!**
**შენ მეძახოდი, თუ შრიალებდნენ**
**ალვის ხეები წინანდალისა?**
...
**შორს ალავერდის გედი მიცურავს..."**

"სიჭაბუკე და ლექსი ერთია"-ო, თქვა პოეტმა, ანუ ჭაბუკი ხარ იქამდე, ვიდრე შენი სული, შემოქმედებითი ძალისხმევა უერთდება ღვთაებრივი სიტყვის შუქს და ამ იდუმალი ნაერთიდან იბადება ახალი სამყარო, ახალი სინამდვილე, შენი ქვეყანა.

ყველა ნამდვილი პოეტი, ელინთა ღმერთივით, ჭაბუკია, ანუ მარადიული ჭაბუკი. ბერძნებს, მგონი, მოხუცი ღმერთი არც ყოლიათ. ვინ იტყვის, თუნდაც, ზევსზე, მოხუციაო! ლეონიძის ზოგიერთი ლექსი, მართლაც, მარადიული სიჭაბუკის შუქით ელვარებს. რომელი ერთი გავიხსენო, აი, თუნდაც, "ნინოწმინდის ღამე", სადაც სიჭაბუკის ვნება, "გაზაფხულის ღელვანი" ადიდებულ მდინარესავით გადმოდის ნაპირზე და გაზაფხულს რძის სუნი ასდის. ასეთივე უცნაური ძალის, უცნაური თვისების ლექსია "ყივჩაღის პაემანი", მართლაც, რაღაც გამოუცნობი ძალა ბრუნავს შიგ, დიდი ენერგიითაა დამუხტული მისი დინამიკა. ლექსში ისეთივე სიცოცხლისმიერი სივიწროვეა, როგორც ქვირითობისას ორაგულების ქარავანში - სიტყვა სიტყვაზე, სიტყვა სიტყვიდან, სიტყვა სიტყვისთვის. არ შეიძლება არ ირწმუნო სიტყვის ცხოველმყოფელი ძლევამოსილება. თითქოს შუქს აფრქვევს, ანათებს, დიდი ვნების თანაზიარსა გხდის, უნებურ თანამონაწილედ გაქცევს იმ დიადი ჭიდილისა, იმ ბრძოლისა, ანდა თავგანწირვისა, რითაც ასე დრამატული და თვალწარმტაცია ადამიანთა ცხოვრება, მიუხედავად გარდუვალი საბედისწერო შედეგებისა. ცხოვრებას მსხვერპლი უყვარს. ვინც ცხოვრობს, ამისთვის ყოველ წამს მზად უნდა იყოს. ჩვენს წარმოდგენაში ცოცხლდება და თითქოს პირველად იმართება სიყვარულის დრამის დიდებული სპექტაკლი. ყორღანებიდან გაფრენილ ჩიტს შევყავართ იმ სივრცეში, სადაც ბედისწერისგან დაწყვილებული სიყვარული და სიკვდილი გაშმაგებულნი დაეძებენ ერთიმეორეს, უერთმანეთოდ ძალადაკარგულნი, ხოლო ერთმანეთით გაძლიერებულნი და მშვენიერნი, რათა ერთმანეთში ჩაინთქან და ერთმანეთშივე აღმოცენდნენ, აღსდგნენ პირველყოფილი სილამაზით. და აი, ათასი წლის სიცოცხლით განამებულები თუ დაბრძენებულები, ვხვდებით, თურმე დრო საერთოდ არ არსებობს, ჩვენს მიერვე გამოგონილ ამ საფრთხობელას ჩვენვე მივუჩინეთ სამყოფელი ჩვენი არსების წიაღში და ისიც, სანთლის პატრუქივით, შიგნიდან ადნობს და ამოკლებს ჩვენს წუთისოფელს...

როდესაც ლეონიძე კითხულობდა ამ ლექსს, თითქოს სიყვარულით გახლეჩილი გულის კარდიოგრამას გვაცნობდა, საგულედან ამოვარდნილი გულისცემას გვასმენინებდა. ინტონაციური მიმიკრიისა და ხმით ყოვლისშემძლეობით, თითქოს ერთმანეთში იყო ჩახლართული, ჩაწნული, გათქვეფილი აგანგაშებული ნაღარისა თუ უცნაურად აწრიალებული დოლის ბაგუნი. ამ დროს პოეტის ცისფერი თვალებიდან თითქოს სხვა ადამიანი გვიცქერდა, გვზვერავდა, გვამოწმებდა, შეგვრჩენოდა თუ არა, ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ ამ ქვეყნად ყველაზე დიდებული, უფრო მეტიც - გამაადამიანებელი გრძნობის - სიყვარულის ამბის მოსმენის უნარი, ანუ რამდენად ვიყავით ადამიანები.

და მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ ის იყო, ეს ყველაფერი ჩვენს თავს გადახდენილი გვეგონა, ჩვენს უკანასკნელ სიტყვებს ვჩურჩულებდით თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქოს: "მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას, ველარა გხედავ, სისხლით ვიცლები, როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი, ქართლის ხეობებს ასდის ნისლები". ჩვენივე სიმამაცე და თავგანწირვა გვაკრთობდა და გვაღელვებდა და სადღაც, ტრიალ მინდორში, ჩვენც ავცქეროდით ხოხობივით ჭრელი ცის ნაგლეჯს, რომელიც ნელ-ნელა, სუდარასავით, გვეფინებოდა მკერდზე. და ჩვენ ვგრძნობდით სიმარტოვის ტრაგიკულ ღირსებას, ვგრძნობდით, რომ, ბოლოს და ბოლოს, დიდი სიყვარულიც სიმარტოვეა.

ადამიანს ღმერთისგანა აქვს მინიჭებული უნარი გაითავისოს ყველაფერი მნიშვნელოვანი, რაც კი მეორე ადამიანს შეუქმნია. ეს არის თითქოს სულთა შორის შუქის გადანაწილების დიადი აქტი, ადამიანთა მოდგმის ერთნაირობის აღმნიშვნელი. ერთმა დიდმა ამერიკელმა პოეტმა თქვა, დამფერფლავდა ეს მზე, ჩემშიაც რომ არ იყოს ასეთივე მზეო. ყველა ადამიანში არის ასეთი მზე და პოეზიის სიდიადე სწორედ ის არის, ამ მზეს რომ აღმოგვაჩენინებს ჩვენს არსებაში, დაგვარწმუნებს, რომ განურჩევლად ყველა ადამიანი შემოქმედია, ანუ არა მარტო "მოაზროვნე", არამედ მეოცნებე "ლერწამიცაა".

დიდი პოეტები ალბათ იმიტომაც გვევლინებიან, რომ ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, ჩვენივე საკუთარი ღირსება და ჭეშმარიტი დანიშნულება გვაგრძნობინონ, თუნდაც, ერთი წამით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ბენაშვილი

# პირველი ასწლეული დიდი შემოქმედისა

ჩვენ დღეს განსაკუთრებული მოწიწებით ვიხსენებთ დიდ ქართველ პოეტს, ბრწყინვალე პროზაიკოსს, ქართული ლიტერატურის ჩინებულ მკვლევარსა და სასიქადულო საზოგადო მოღვაწეს გიორგი ლეონიძეს.

ჭეშმარიტად მრავალმხრივი იყო ამ უნიკალური შემოქმედებითი ნიჭით განათებული პიროვნების გონებისა და სულის გამოვლინებანი... მისი გრანდიოზული სულიერი მემკვიდრეობა, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მომავალში კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობასა და აზრს შეიძენს და მრავალსა და მრავალ თაობას აგრძნობინებს უნატიფესი ქართული მხატვრული სიტყვის ძალასა და სიღრმეს, დაანახვებს იმას, თუ საქართველოში რა მაღალი პასუხისმგებლობითა და თაყვანისცემით იმსჭვალებოდა დიდი პოეტი საკუთარი ერის სულიერი წარსულის მიმართ.

გიორგი ლეონიძის ცხოვრება და შემოქმედება ერთი მთლიანი, საოცრად ჰარმონიული და თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ ირგვლივ გამეფებული დამთრგუნველი სულიერი რეჟიმის მიუხედავად, როგორ შეიძლება გადაარჩინო და შეუბღალავად გამოატარო მრავალსა და მრავალ სატანჯველს, თავისუფლებისათვის დაბადებული სული შემოქმედისა და მამულიშვილისა...

ის იყო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული მეხსიერებით აღბეჭდილი პიროვნება, რომლისთვისაც პრინციპულად არ არსებობდა ზღვარი წარსულსა და თანამედროვეობას შორის... მასში საოცარი სილაღითა და განუმეორებელი სურნელით ავლენდნენ თავს დროჟამით დამარხული თუ გაფერმკრთალებული ერის სულიერი ღირებულებანი, ანუ ის არსებითი და ფუძემდებლური ნიშან-თვისებანი, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია ქართველი ერის ერად ყოფნა...

მისი ვნებიანი სიყვარულის უპირველესი "საგანი", მისი გატაცება, ბოლოსა და ბოლოს მაინც პოეზია იყო... აქ, ამ უნაპირო სივრცეებში გამოვლინდა ამ უნივერსალური შემოქმედის განსაკუთრებული შესაძლებლობანი... იგი ტრადიციული დიდი ქართული რეალისტური სკოლის ერთგულ რაინდად შემორჩა ლიტერატურის ისტორიას... არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახალი მხატვრული გზების დიადი აღმომჩენნი და გარდამქმნელნი ჩვენი სიტყვიერი ხელოვნებისა - ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა - არასოდეს ისწრაფოდნენ იქითკენ, რომ არავის მიმსგავსებოდნენ, რადგან დარწმუნებულები იყვნენ, გაქცევა ლიტერატურული წინაპრებისაგან, საგულდაგულოდ შენიღბული გაუბედაობაა და მეტი არაფერი...

როგორც გამოცდილებამ აჩვენა "რომანტიზმის მეტაფორამ" ვერ ჩაკლა და ვერ შეცვალა, ვერ შეავიწროვა რეალიზმი... რა თქმა უნდა, XX საუკუნის ცხოვრების მხატვრული წარმოსახვის რეალისტური მეთოდი აშკარად განსხვავდებოდა XIX საუკუნის რეალისტური ტრადიციებისაგან, სხვანაირად ალბათ, შეუძლებელიც იყო... ხელოვნება სწორედ იმიტომაა ხელოვნება, რომ მიღწეულს ყოველთვის ემატება თანამედროვეობის ცოცხალი გამოცდილება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელოვნება იქცეოდა სამუზეუმო რელიქტად, განვლილის განმეორებად და ეპიგონურ იმიტაციად.

ჩვენი საუკუნის დიდმა რეალისტმა მწერლებმა და მათ შორის გიორგი ლეონიძემ, თუმც მთლიანობაში არ მიიღეს დეკადანსისა თუ ავანგარდის პოეტიკა, მიუხედავად ამისა, შეძლეს შეეთვისებინათ ამ სკოლების მთელი რიგი მხატვრული მიღწევები და ამით გაემდიდრებინათ საკუთარი ენობრივი გამომსახველობა, გაეღრმავებინათ და გაემახვილებინათ სოციალური და ფსიქოლოგიური შეხედულებანი ადამიანსა თუ საზოგადოებაზე...

რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ერთი რამ მაინც უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის მოდერნის ესთეტიკის კლასიკური განსახიერება პოეზიაში მხოლოდ და მხოლოდ გალაკტიონია... სხვა დანარჩენი და ყველაფერი, მხოლოდ ეპიგონობა, უმწეო გატაცება და ორიგინალობის ნიღბით თავმოწონება იყო... მხოლოდ გალაკტიონის პოეზიაში განხორციელდა უნიკალური ესთეტიკური სასწაული, შეერთდა რა სინამდვილის შემაძრწუნებლად ეფემერული სიკაშკაშე და მისტიკური ირეალობის ზღაპრული ბუნდოვანება... მის გარდა ვერავინ "გაბედა" თუ შესძლო იდუმალის არსის გამოხატვა ენის იდუმალებით...

და რაოდენ მძლავრი შემოქმედებითი ინდივიდუალობა იყო საჭირო, რომ გალაკტიონის ლირიკული შედევრების ბრწყინვალებას არ დაეჩრდილა და მისგან სრულიად დამოუკიდებელს, მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით შეექმნა ქართული პოეზიის ერთი დიდებული ფურცელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის მის ლექსში არსებითი და მნიშვნელოვანი? უპირველეს ყოვლისა, უმდიდრესი ქართული სიტყვის, რაღაც თავანწყვეტილი სრბოლა და განგაში... პირველქმნილი გამჭვირვალეების სივრცეებში მისი უსაზღვრო შესაძლებლობათა გამოვლენა, თვალსაჩინო განსახიერება იმისა, თუ უმაღლესი პოეტური ხელოვნების ძლიერი ნება როგორ იმორჩილებს დროისა და სივრცის მიუკარებელსა და სასტიკ ბუნდოვანებას და როგორ გარდაქმნის მას ცოცხალ და ხელშესახებ რეალობად...

მისი პოეზია შემოქმედის რენესანსული ვნებებისა და უნაპირო განცდების უნიკალური საწყაულია... პათეტიკა და ელვარე დინამიზმი გიორგი ლეონიძის ლექსის უპირველესი ესთეტიკური "სამკაულია", რომლის მსგავსი იშვიათზე იშვიათია ქართულ პოეზიაში...

შეუძლებელია მასზე საუბარი ისე, რომ არ გავიხსენო "ნატვრის ხე", ერთი მისი სრულიად გამორჩეული ქმნილება... რომელიც დარწმუნებული ვარ, სამუდამო მშვენებად აღებეჭდება ეროვნულ მხატვრულ ცნობიერებას... ბავშვობის მოგონებათა ულამაზეს "თაიგულად" დაწნული ლირიკული პროზის ეს უნიკალური ნიმუში, კიდევ უფრო მნიშვნელოვანსა ხდის გიორგი ლეონიძის როლს ქართული მხატვრული ლიტერატურის წინაშე.

ძალზე არსებითია გიორგი ლეონიძის, როგორც ლიტერატურის მკვლევარის დამსახურება... გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ სფეროში, იგი ღირსეულად ამოუდგა გვერდზე ქართული ფილოლოგიური მეცნიერების უპირველეს წარმომადგენელთ...

თავისი დიდი და წარუშლელი კვალი, მან ქართულ ფოლკლორისტიკასაც დაამჩნია, რომელიც მისი განსაკუთრებული სიყვარულისა და მონიწების მუდმივი საგანი იყო...

დაბოლოს, დაუვიწყარია მისი, როგორც პიროვნებისა და საზოგადო მოღვაწის განუმეორებელი სახე...

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ გიორგი ლეონიძის შემოქმედებითი ინდივიდუალობა და კერძოდ, მისი პოეზია, ურთულესი და უმნიშვნელოვანესი კულტურული მოვლენაა და მისი სრულყოფილი ინტერპრეტაცია ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

რას წარმოადგენს მისი სულიერი მემკვიდრეობა, რა დამსახურებისთვისაა იგი აგრერიგად ძვირფასი თანამედროვეებისათვის? ამ კითხვას, ალბათ, თუნდაც ნაწილობრივ მაინც გასცემს პასუხს წინამდებარე ლიტერატურული წერილი.

●

1899 წელს დაბადებულ პოეტს ასი წელი უსრულდება. მარადისობაში გარდასახვის შემდეგ, დიდი შემოქმედის ყოველი იუბილე ახალი, რაღაც საკრალური სიცოცხლის დასაწყისია, იმ ახალი პოეტური სიცოცხლისა, რომლის მოსვლაშიც თვით პროტაგონისტია ღრმად დარწმუნებული...

**ალაზნის ვაზებს დასცვივათ ოქრო,**
**დადნება, რაც მთებს დაჰვერცხლებიათ,**
**ვინ იჯადოქროს? უკვდავების დღეს**
**მხოლოდ ლექსები დაესწრებიან.**

მანამდე იგი თითქოს ტრაგიკულად განიცდის ახალი მეტაფიზიკური სიცოცხლის დასაწყისისაკენ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს:

**ოცდათერთმეტი წელი გასულა,**
**ვიხსენიები უკვე წარსულად**
**და სიჭაბუკეც მიდის ვერაგი**

მისი უფრო გვიანი მედიტაცია:

**თავს რომ ირთობდი ძველი ზღაპრებით,**
**თავი მოგქონდა ნაყივჩაღარად,**
**რით ვერ გაიგე, რა ფეხაკრეფით**
**დაგეცა თავზე თოვლი - ჭაღარა:**
**როგორ გამისხლტი ახალგაზრდობავ,**
**და რა ყიჟინით გადიგრიალე...**

სად იწყებოდა, საიდან მოდიოდა, ვისი ხიბლი და მშვენიერება ზრდიდა და აკეთილშობილებდა ქართული პოეზიის ამ სრულიად განსაკუთრებულ მოვლენას... პოეტის მამა, ნიკო ლეონიძე საკმაოდ ცნობილი პიროვნება ყოფილა თავისი დროისათვის, მწერალი, ლიტერატორი, პედაგოგი, ხალხოსნური მოძრაობის გულშემატკივარი და მონაწილე. მეგობრობდა იმდროინდელ ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, თანამშრომლობდა "ცისკარში", "დროებასა" და "ივერიაში", "ვერ მიპატიებია ჩემი თავისათვის, სხვისი არქივების ჭირისუფალმა მამის არქივს რომ ვერ მოვუარეო, - დანანებით წერდა პოეტი მოგონებებში, - მინახავს მამასთან მოწერილი ივანე კერესელიძის, ბაჩანას, იოსებ დავითაშვილის წერილები, ვაჟა-ფშაველასთან მეგობრობდა თურმე. მართალია, მამა ერთი წლისას გარდამეცვალა, მაგრამ დამრჩა მისი მშვენიერი ბიბლიოთეკა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში"...

ამ წიგნებმა აღზარდეს იგი... ამ წიგნებმა და დედამ სოფიო გულისაშვილმა, გარეკა-

ეროვნული

ხეთის ულამაზეს სოფელ პატარძეულში, სადაც გაზაფხულზე, ტყისპირებში ამოსული თითოეული ია დედის ცრემლი ეგონა ყმაწვილს, რადგან ყრმობაშივე ჰქონდა გაგონილი, დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე რომ ია ამოდის... ეგონა, მთელი ქვეყნის დედებს აქ ეტირნათ, იმდენი ია ამოსულიყო მისი სოფლის მშვენიერ მიდამოებში...

ლექსების წერა ადრეულ ასაკში დაიწყო. პირველი ლექსი 1909 წელს დავწერეო, - იგონებს თავად. თუმცა, პოეტისავე არქივში შემონახულია 1907 წელს დის, ევგენიას ალბომში ჩაწერილი - "რაღაც პროზაულ-ლექსისებური ამონაკვნესი ილიას სიკვდილის გამო". იგი იქვე იმასაც დასძენს, უკვე გრძნობდა ტკივილს წინამურის ტრაგედიისა.

ყრმობიდანვე თერგდალეულთა თემები აღელვებდა, მათი სატკივარი სტკიოდა. ილიას, აკაკის, ვაჟას ამაღლებული მოტივები ხმიანდება იმ პირველ ბავშვურ თუ ჭაბუკურ თითქოს ინფანტილურ სტრიქონებში. მოგვიანებით მოდერნიზმის გავლენა მოეძალა, სიმბოლიზმმა მოხიბლა გამომსახველობით საშუალებათა სიუხვით... ზმანებათა სამყარომ მოაჯადოვა. და ირეალური სივრცეებისაკენ გაიტაცა. ვერც გიორგი ლეონიძე ასცდაო სიმბოლიზმს, "მომაკვდავი, გახრწნილი იმპერიალიზმის ამ პირმშოს"-ო გულისტკივილითა და ზიზღით აღნიშნავდა მთელი რიგი კრიტიკოსებისა... და ხშირად ამ გავლენის მაგალითებს იქ ეძებდნენ, სადაც ყველაზე ნაკლებად შეიძლებოდა მათი ხილვა... ეძებდნენ სევდიანი შეფერილობის სტრიქონებში, რომელთა სევდა სხვა არა იყო რა, თუ არა სევდა კონკრეტულიცა და მეტაფიზიკურიც, ასე რომ ესალბუნებოდა ახალგაზრდა შემოქმედის მეოცნებე სულს...

თუ სიმბოლიზმი მხოლოდდამხოლოდ უსაზღვრო სევდისა და სრული მარტოობის გამომხატველია, მაშინ გიორგი ლეონიძის პოეზია ყველაზე ნაკლებ ესადაგება მას, რადგან მისი შემოქმედების არც ერთ პერიოდს, სიმბოლიზმით თავდავიწყებული გატაცების წლებშიც კი არ შემოუნახავს ის სულისშემძვრელი ტკივილი, კაეშანი და სევდა, გალაკტიონის პოეზიას რომ ახასიათებს... გალაკტიონისა, რომელიც არასოდეს არცერთ მოდერნისტულ მიმდინარეობას არ "შეჰკედლებია"...

იყო ჟამი ომისა, რევოლუციებისა, ტოტალური გარდაქმნებისა თუ გარდასახვებისა, ახალი სოციუმის დაბადებისა, ხელოვნებისა და ლიტერატურის, ანუ სულიერების სრული მოდერნიზაციისა და რაოდენ დიადიც არ უნდა ყოფილიყო ეროვნული სულით გაბრწყინებული კლასიკური ქართული ლიტერატურა, დიდი პოეზიის კარიბჭესთან მდგარ ახალგაზრდას, მაინც მაცდური ძალით იხმობდა თავისკენ უწარმტაცესი სულიერი სივრცეები თუ პეიზაჟები...

"საქართველოს ლანდურ არსებას მოვევლინეთ ჩვენ, ახალი სხივმოსილებით და ოცნებადაკარგულ ხალხს ვასწავლით გაწმენდილ გზას მომავლის ცისფერი ტაძრისკენ... ღამური გზებით მოვდიოდით ჩვენ, რომ დაგვენთო მზე-კოცონი მდუმარებით დამშვიდებული ქვეყნისათვის". მათი შეუვალი აზრით საქართველოს იმდროინდელ ხელოვნებას ესაჭიროებოდა "გაბედული მხატვარი, რომელიც გულში სევდას ატარებს, თავი კი გაშუქებული აქვს ღრმა და ფართო აზროვნებით". საგულისხმოა რომ გიორგი ლეონიძე "ცისფერყანწელთა" ჯგუფს ოფიციალურად 1918 წლიდან დაუახლოვდა. ისიც აღსანიშნავია, რომ სიმბოლიზმი ერთადერთი მოდერნისტული მიმართულება არ იყო და ათიანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში ევროპისა თუ რუსეთის გავლენით, ჩვენში იმპრესიონიზმის, ექსპრესიონიზმისა და ფუტურიზმის სასიამოვნო "ნიავქარიც" ქროდა... თუმცა ისიც სიმპტომურია, რომ პოეზიით განსაკუთრებულად მადლცემულნი სწორედ სიმბოლიზმით იყვნენ გატაცებულნი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათი უმრავლესობა XX საუკუნის კლასიკოსებად აღებეჭდნენ ქართული ლიტერატურის ისტორიას...

სიმბოლიზმი "ცისფერყანწელებს" მხოლოდ გარეგნული ბრწყინვალებით როდი იზიდავდა, მათ ამ სკოლის დამატყვევებელი შინაგანი ხიბლი, მოვლენათა უჩვეულო წვდომისა და შთაბეჭდილებათა გარდასახვის ის ჯადოსნური ძალა იტაცებდა, რომელშიაც ძალუმად ფეთქავდა სიტყვის, ფერის, მუსიკალური ბგერის იდუმალ მნიშვნელობათა სიმდიდრე, წარმოსახვების შეუზღუდავი სივრცეები, და პოეტურ საშუალებათა უსაზღვროებანი...

ალბათ ისიც თვალსაჩინოა რომ ახალგაზრდა გიორგი ლეონიძე წინასწარ განსაზღვრულ სქემებს მორჩილად არ მინდობია, ზოგიერთი მისი თანამოკალმის მსგავსად... მისმა ანალიტიკურმა გონებამ სწორად განჭვრიტა კლასიკური ქართული პოეზიის ტრადიციათა უკვდავებისა და მისი შემოქმედებითი განცდის აუცილებლობა. ტრადიციებმა და შინაგანი განახლების ჟინმა სულიერი ჰარმონიის საოცარი შედეგებით გადაახალისა ეპიგონობის უფსკრულთან მდგარი ქართული პოეზია... ამ თვალსაზრისით, ცისფერყანწელებმა, ეპოქალური როლი შეასრულეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძემ ქართველ სიმბოლისტთა შორის შემოქმედებითი თვალსაზრისით ყველაზე ნაკლებ განიცადა ახალი სკოლის გავლენა, მისთვის სიმბოლიზმის პერიოდშიც კი, დამახასიათებელია ეროვნული კოლორიტი, უკიდურესი სინათლე და გამჭვირვალება.

გიორგი ლეონიძის ეს თავისებურება პირველად პაოლო იაშვილმა შენიშნა 1919 წელს მეგობრისადმი მიძღვნილ ლექსში

**"შენი ლექსი წითელ ძროხის ჯოგია,**
**შენი გული ყვითელ ოქროს მორგვია,**
**შენი სული - აღდგომის ელოგია,**
**არ ამცილდეს შენთან ძმური ერთობა;**
**შენ ოცნებით თამარისკენ წახვედი,**
**ჰგავხარ ლაშარს ანთებული სახეთი,**
**მოდი, ვნახოთ შენი გარე კახეთი,**
**სადაც სიტყვა წარსულით გაერთობა;**
**მოდი, ვნახოთ ნინოწმინდის საყდარი,**
**ნინოს ხატი, ჭრილობებით გამხდარი,**
**ვნახოთ მეხრე, ერეკლეს ნატახტარი,**
**ძველი მადლი, ახალი ულმერთობა.**
**შენ ხსოვნიდან იმ ტკივილებს ამიშლი,**
**რაც დაგუბდა ობოლ საგურამოში,**
**და ყოველდღე და ყოველ საღამოში**
**გაჩაღდება არღნიანი მცხეთობა."**

გიორგი ლეონიძის ადრეული შემოქმედებისათვის ნიშნეულია ერთგვარი გაორება სიმბოლიზმისა და ღრმად ეროვნულ ლიტერატურულ ტრადიციათა ერთიანობა. ამისი ნათელი დადასტურებაა გაზეთ "ბახტრიონის" 1922 წლის №10 ნომერში გამოქვეყნებული მისი ესსე "ილია ჭავჭავაძე", რომელშიც ორი საპირისპირო თითქოს ერთმანეთის გამომრიცხავი კონცეფციაა წარმოსახული, დასაწყისში ავტორი ილიას პოეზიას განიხილავს და აშკარად უწუნებს პოეტურ ხელოვნებას, "ტლანქი ნაჯახით ნაჩორკნს" უწოდებს რა მას. მისი აზრით, ილიას ლექსი ღლის მკითხველს და ამიტომაც მასში გულის აცრუებას იწვევს... ამ მსჯელობაში გიორგი ლეონიძე ცისფერყანწელთა ტიპობრივი განწყობილების გამომხატველია. ესთეტიზმი, წმინდა ხელოვნებისადმი გუნდრუკის კმევა, ესაა მისთვის თითქოს უპირველესი.

მაგრამ ესსეს მეორე ნაწილში მსჯელობა საპირისპირო მიმართულებით ვითარდება. მას თითქოს "შინაგანი ხმა" უბიძგებს ილიას თაყვანისცემისაკენ, მისი, როგორც უდიდესი მოქალაქის, პატრიოტის, მამულიშვილისა და მოღვაწის აღიარებისაკენ. ეს აზრი თანდათანობით მძლავრობს და საბოლოოდ ამარცხებს პირველს, წერილის კვინტესენციაა ფორმულა: ილია - უბადლო მწერალი ვერაფრით მოიაზრება მისივე კოლოსალური მოქალაქეობრიობის გარეშე...

●

ერის სამსახურის ილიასეული ფილოსოფია იქცა გიორგი ლეონიძის პირადი თუ შემოქმედებითი ცხოვრების წესად. 1912 წლიდან მოყოლებული, ლექსებთან ერთად, ქართულ პერიოდულ პრესაში აქვეყნებდა საისტორიო, სახელოვნო, სალიტერატურო თუ პუბლიცისტურ წერილებს... ამ წერილების ავტორს თავისი ქვეყნის სატკივარი აწუხებს, მისი მიტოვებული და თითქმის დანგრეული ეკლესია-მონასტრები სტკივა, გასაოცარი სიზუსტით ჰყვება მათი აშენებისა და "ცხოვრების" ისტორიებს, გზებსაც სახავს, სამომავლოდ მათი აღდგენა-გადარჩენისას. ჯერ კიდევ სრულიად ყრმა გოგლას ამ ნაწერებში უკვე დაბრძენებული კაცის ფიქრებია თითქოს წარმოჩენილი, მათში ერის სამომავლო გზების ძიების დაუმცხრალი ჟინი ფეთქავს, ჟინი თანამედროვე მკვლევარს ეჭვს რომ გაუჩენს, ნუთუ მართლა პატარა გოგლა წარმოიდგინება ამ ხელმოწერილსა და ხელმოუწერელ ფსევდონიმსშეფარებულ ავტორად... იმ ფსევდონიმისა, რომელიც კარგა ხანია გახსნილი და დადასტურებულია უკვე, თვითონ ავტორისა თუ მის თანამედროვეთა მიერ.

1964 წელს, გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში" პროფესორმა იოსებ ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა წერილი, სადაც ნათქვამია, რომ ავტორს პოეტის თხოვნით, საგანგებოდ შეუსწავლია სათანადო დოკუმენტური მასალა და სოფელ პატარძეულის ხარების ეკლესიისა და ნინოწმინდის წმინდა ნინოს ეკლესიის ჩანაწერები და მისულა იმ დასკვნამდე, რომ გიორგი ლეონიძე 1897 წელს ყოფილა დაბადებული.

ამ სტატიის შემდეგ გიორგი ლეონიძის დაბადების თარიღის შეცვლა და ახლის დაკანონება არავის უცდია. მე კი ამ სტატიაში სხვა იდუმალი რამ მეჩვენა ნიშნეული... პოეტის თხოვნითო, - წერს მკვლევარი და ამ თხოვნაშია სწორედ საკრალური საიდუმლოება... იქნებ საკუთარი ბავშვობის ჟამს ჩანაწერები დიდ პოეტშიაც ისეთივე განცვიფრებას იწვევდა, როგორსაც ჩვენში... იქნებ, მასაც სასიამოვნოდ აკვირვებდა იმ თითქოს უმნიფარი ბიჭის გულში დატრიალებულ გრძნობათა სიღრმე და აზროვნების უჩვეულო სიმწიფე...

●

საბჭოთა ლიტერატურის სხვა დიდ წარმომადგენელთა მსგავსად, გიორგი ლეონიძის პოეზიამაც იტვირთა იმდროინდელი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველთაოდ გაბატონებული იდეოლოგიური დიქტატის რეგლამენტაციები, თუმცა 1922 წლიდან მისივე რედაქტორობით გამომავალ გაზეთ "ბახტრიონში" დაბეჯითებით ცდილობს ქართული მწერლობის მხატვრულ-იდეური პრინციპები ეროვნულ ინტერესებს დაუქვემდებაროს... მისი სიტყვებია: "... როგორც ციტადელი ეროვნული შემოქმედების, აღებულია ვაჟა-ფშაველას "ბახტრიონი", ეს არის პოზიცია ეროვნული კულტურისა და შემოქმედებისა"... საგულისხმოა, რომ "სოციალური იდეოლოგიის" წნეხით შექმნილ მის ცალკეულ ლექსებს, საკმარისია დაშტამპული პათეტიკით აღბეჭდილი სტრიქონები მოვაშოროთ, რომ ჩვენი გონების თვალწინ საოცარი შედევრები ამობრწყინდეს. ამის მოსაზრების საილუსტრაციო ნიმუშია პოეტის "ვეფხისტყაოსნისადმი" მიძღვნილი ლექსი, რომლის დასაწყისივე მიგვანიშნებს პოეტის შთაგონების სანუკვარსა და სათაყვანებელ წყაროს.

**ხელში აგიღებ... გაკოცებ,**
**კიდევ ჩაგკოცნი...**
**ჩაგცქერი,**
**წიგნი კი არა - ქრქოლა ხარ,**
**ჩამოქაფული ჩანჩქერის.**

ამ საკმაოდ ვრცელ ლექსში ცოცხლდება ერის ტრაგიკული ისტორია, მისი უნიკალური შემოქმედებითი პოტენცია. ლექსის ზეალმავალი ალტაცების აპოგეაა სტროფი:

**გაქანდი ოქროს ფრთიანო,**
**გასცდები ქვეყნის ნაპირსა, -**
**შენ, დედაჩემის მზითევო,**
**ფარ-ხმალო მამა-პაპისა.**

აქ თითქოს ლოგიკურია წერტილის დასმა, ამიტომაც სრულიად ზედმეტად მოსჩანს ბოლო ორი სტროფი, განსაკუთრებით კი სტრიქონები:

**მაგრამ რა სანატრელი ხარ,**
**რა ავსებული ყელამდი,**
**როდესაც ხელში აგიღებს**
**ღამით გკითხულობს ბელადი.**

სრულიად სამართლიანია ის, რომ პოეტის ბოლოდროინდელ კრებულებში ბოლო სტროფები აღარ შეუტანიათ.

შეუძლებელია ეჭვი შევიტანოთ იმათ მოსაზრებებში, ვინც დაბეჯითებით ითხოვს გიორგი ლეონიძის სოციალისტური სინამდვილის ჟამს შექმნილი ლექსების გულწრფელობის აღიარებას. ვიმეორებ, შესაძლოა ეს მართლაც ასე იყოს, თუმცა იმათაც მართალი ვიქნებით, თუ ვიტყვით რომ საოცრად გულწრფელია პოეტის ეს შემაძრწუნებლად ტკივილიანი სტრიქონებიც:

**რა ლექსი გინდა, ჩემო დროებავ,**
**გამაგებინე, რა ლექსი გინდა,**
**რომ არ მომეცი მე მყუდროება,**
**არც წყალი მასვი მე გემოწმინდა.**
**რად დამიგრიხე ხორხზე საბელი**
**და ფრთაში წყლული რად გამიჩინე,**
**რად აკვლევინე კაენს აბელი,**
**რომ ერთი ძმაც კი არ შემარჩინე...**
**რად დამიგრიხე ყელზე საბელი!**

თუ ამ პატარა ლექსის თვალსაწიერიდან გადავხედავთ გიორგი ლეონიძის შემოქმედებას, შეიძლება სულ სხვანაირი ლეონიძე დავინახოთ და არა ისეთი, როგორის დანახვასაც ტრადიციულად ვართ შეჩვეულნი...

●

გიორგი ლეონიძის პოეზია ცეცხლოვანი იმპულსებითაა ნაძერწი: ქართული ენის უმდიდრესი წიაღიდან ამოზიდული განსაკუთრებულად "ჯიშიანი" სიტყვები არნახული ხმაურით იპყრობენ ჩვენს ყურთასმენას და ერთიანად გვნუსხავენ, გვაღელვებენ, პოეტურ განწყობილებათა უჩვეულო ველში გვამყოფებენ... მუსიკა, ფერწერა, პლასტიკა თუ მოტივაცია აქ ძალზე მკვეთრია, ზეაწეული, იმპერატიული, თავად ლირიკული გმირის პოზა, ჟესტი, მიმიკა - არისტოკრატიული...

იგი თითქოს ტიტანიური სულით აღბეჭდილ მონუმენტურ ტილოზე ხატავს საქართველოს - დასაბამიდან დღემდე. ამ ტილოზე არიან გამოსახულნი უჯარმა და გორის ციხე... ერეკლეს სასახლე, გრემისა და ალავერდის ლამაზი სალამოები, თვალწარმტაცი ქართლის ბაღები...

მის ნახატში ძალუმად სუნთქავს ველური სინაზეცა და ყარაჩოხელის უდარდელობაცა თუ დაუდევრობაც... რა საოცრად საინტერესოა ქართველი ჰუსარებისადმი მიძღვნილ სონეტში წარმოჩენილი ხილვები... "ხმლის მარაოთი ჩაუქროლებთ მთვლემარ ხალიფას" - სწერდა იგი და მასში თავისთავსაც გულისხმობდა ამ ჰუსართა შორის, სამშობლოს ხსნისთვის რომ იყვნენ ამხედრებულნი... თავისუფლების დღის ზეიმისადმი მიძღვნილ ლექსში - "26 მაისი" იგი თავდავიწყებული აღფრთოვანებით აცხადებდა - "ვამაყობ, როგორც გულზვიადი მეისარბარი, დასისხლულ მარჯნით იჭედება ჩემი სახელი"-ო და სწამდა ეს საკრალური დღე,

ოდენ ქართლოსის ლანდის ბრწყინვალებით გათარეშებული და გორგასლის სურათით გაელვებული, რომ ბევრ საოცრებას ჰპირდებოდა არა მარტო პოეტს, არამედ სრულიად საქართველოს... ალბათ, ის წინასწარმეტყველებაც ძალუმად ფეთქავდა ამ ლექსში, პოეტს დელფოსის მისნის სასწაულთან რომ აახლოვებდა... "აათამაშებ სისხლიან სულს ნარინჯის მთებში, მთვრალი სალომე დაიჟინებს თქვენ თავებს თეფშით"-ო, წერდა 1918 წელს და, გაუცნობიერებლად, იმ საშინელ ტრაგედიას წინასწარმეტყველებდა, რაც ქართულმა გვარდიამ განიცადა.

**"მოდის შამქორი. სოლანლუხი.**
**დროშების მტვერი.**
**ზურნით ფალანგებს მოუძღვება**
**კონდოტიერი**
**და შენი სისხლი გაჭედილი,**
**შიშით ზანზარებს."**

თითქოსდა, ამ კონდოტიერის ხელით მოკლული ვეფხვის სახეში იმალება საქართველოს სული, რომელიც, მზის სხეულით აელვებული, ისე მოკვდა, რომ "ველარ დალაშქრა დარიალი"...

ლექსი "ლოჭინის მწუხრიც", უდავოდ, რემინისცენციაა იმ ტკივილიანი დღეებისა, როცა ყარაიიდან დაძრულმა წითელმა ჯარმა ლოჭინის ხევსა და ტაბახმელას სახრჩობელები აღმართა საქართველოს თავისუფლების ჩამოსახრჩობად:

**ამოიყარა მტკვარმა ბურუსი,**
**გზები ნისლებით გადაირაზა,**
**თითქოს დაძრულა დიდი ულუსი**
**და მოაბნელებს ყარაიასა...**
**უცბათ იყივლებს ცისკრის მამალი,**
**ჩნდება მთაწმინდა თეთრი ფრთებითა;**
**ბრწყინავს სამგორის დიდი ტრამალი**
**ყარაყორუმის ყვავილებითა.**

აქაც ჯალალ-ედინის და თემურ-ლენგის პოეტური რემინისცენციაა "ყარაყორუმის ყვავილებში" მინიშნებული.

ამ ტიპის ლექსებში დაჭრილი გმირის ოხვრა და ვეფხის ამოძახილია საცნაური... მათში თითქოს მომაკვდავი ამირანის ხილვები და სიცოცხლისათვის თავგანწირული ბრძოლაა წარმოსახული:

**სთვლემენ ბელღებში ლურჯი ყანები,**
**ელვარებს ხვავი, თითქოს ლამპარი,**
**ჩალაგდნენ ყველა ჩინგისხანები...**
**სთქვი, მეწისქვილევ, ერთი ზღაპარი...**

**სთქვი, ნაღვლიანი ძველი ქა[illegible],**
**ან აზნაურის ქალზე ვიმღეროთ,**
**დარიალიდან გადავარდნილი,**
**ხაზარეთისკენ მიცურავს წერო.**

გიორგი ლეონიძის პოეზიაში ძალუმად ფეთქავს ზოგადკავკასიური სამყარო, ანუ იმ ეთნოკულტურული სივრცის სურნელება, რაც მთელი ქართული სულიერებისათვისაა უძველესი დროიდან აგრერიგად დამახასიათებელი. ხაზარეთი, დარიალი, ყივჩაღი და ყივჩაღეთი, დაღესტანი და სხვა, აქ ისე ფეთქავს და მოძრაობს, როგორც ქართველის სულის ნაწილი, მისი სისხლისა და ხორცის ინგრედიენტი... მამაცი ხაზარები თუ ყივჩაღები, ეს თავად ჩვენა ვართ, ისინი ჩვენში არიან შემოსულნი და ჩვენ კიდევ მათში - ასეთია პოეტისეული უმძაფრესი განცდის ფორმულა... "ნინოწმინდა... ჩვენ როგორც ხაზარები, ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა, საქართველოს ლექსის მეხანძარენი, ძმობამ, ცრემლმა, სიყვარულის იარამ". ყივჩაღის სისხლი პოეტის ძარღვებს უვლის და ხედავს - შავ ყორღანებში მძინარეთ, როგორ უგიათ თავქვეშ თოქალთოები, იგი წუხს, რომ "დარიალს ველარ შემოანათებს მათი ჭიხვინა ცხენის ნალები". ყივჩაღი გმირია და გმირად ილუპება სიყვარულისა და მეგობრობისათვის... მის თვალწინ გაკრთებიან ტრამალები და კელაპტრიან ტაძართა დამტვრეული საკეტურები... ყივჩაღი ბოლომდე იხარჯება ტრფობისათვის ბრძოლაში და ათასი წლის მერეც იგი მიუღწეველი თუ აუხდენელი სიყვარულისთვის სინჯავს იარაღს.

გიორგი ლეონიძის პათეტიკური ლექსებიდან ძალუმად ისმის ტრაგიკული შეკივლება თუ ღრმა ტკივილიანი ამოოხვრა: "ვაი, ნაგზაურო ციცარო, გაზრდილო ჩემის ხელითა, შენ სადღეგრძელოს აღარ ვსვამ ქაფქაფა საწნახელიდან". ანდა სხვაგან: "ვაი შენ, ჩემო თეთრო მტრედო, გულო ჩემო კრიალა, საკალმახე წყალივით ლექსი ვერ ვაწკრიალე".

მისი არაერთი ლექსი იმედიანი შეძახებაც არის, შეძახება ვაჟკაცური, ომახიანი, საოცრად ქართული და საოცრად ტრადიციული სულისკვეთებით ნაქსოვი. იგი თავისუფალი ნების უჩვეულო სიმღერაცაა. "შავლეგო" 1926 წელსაა დაწერილი. იგი გმირული სულის უკვდავების აპოლოგიაა.

**შავლეგ, შენი ყაწიმი,**
**დედის ცრემლის ნაწვიმი,**
**ისევ მზეზე პრიალებს...**
**შენი ბასრი მახვილი და ლომური სახელი**

ეროვნული

**გულს კვლავ გვილამპრიანებს!**
**შენი სისხლი ვაჟური**
**სამშობლოსთვის ნაჟური**
**კვლავ ჩვენში ჩქეფს ქართულად,**
**შენი მკლავი მედგარი, ომში დაუდეგარი**
**მტერზე კვლავ შემართულა!**
**რომ არავინ წაგვლეკოს...**
**შავლეგ, ბიჭო შავლეგო,**
**შე შავლეგო, შავლეგო!..**

ალბათ იშვიათია ეროვნული თემატიკით სულის იმგვარი აღვსება, როგორც ეს გიორგი ლეონიძემ შესძლო. XX საუკუნის ქართველ პოეტთაგან, განსაკუთრებულად სწორედ ლადო ასათიანმა და გიორგი ლეონიძემ სცადეს გაცოცხლება "ქართლის ცხოვრების" უკვდავი ფრაგმენტებისა, მხოლოდ მათ სტრიქონებში ჰპოვა რეალიზაცია დოკუმენტურისა და მხატვრულის საოცარმა შერწყმამ... მათში იხატება მეტად შთამბეჭდავი პანორამა ისტორიული ქრონიკებისა... და თითქოს ვხედავთ კოშმარული ისტორიული ეპიზოდების მთელ სიმძაფრესა და ტრაგიზმს. იმდენად ძლიერია ისტორიული რემინისცენციების ძალა და იმდენად მნიშვნელოვანი მისი გავლენათა სივრცე, რომ თვით სიყვარულის ელდასაც კი, თემურ-ლენგის მიერ მოქნეული ხმლის ძლიერება ახლავს:

"როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა, სიყვარული ისე დამჯახებია" - წარმოსთქვამს სამიჯნუროდ ანთებული პოეტი...

უნიკალურია გიორგი ლეონიძის სამშობლოსადმი აღვლენილი ლოცვები...

ის იმ ეგზელტირებულთა მოდგმისა იყო, რომელთაც "ვეფხვის ჯიში და ხმლის ჯიში, სწამდათ, უმეტეს ყოვლისა", რომელთათვისაც ერთი დღე სიკვდილისა იყო, მეორე კი დაბადებისა, რომელთათვისაც "მთებს მკერდს უხრავდათ სურვილი, ათასი წლობით მძინარსა, ხან ილვიძებდნენ, ცეცხლს ჰყრიდნენ, იალბუზი და მყინვარმთა"... რომელნიც თავდავიწყებით ეთაყვანებოდნენ "ვეფხისტყაოსანს", რომლითაც სიკვდილი დამარცხდა... რადგან ის მათთვის მარტოოდენ წიგნი არ ყოფილა, ის (წიგნი) სარდალი და სიმდიდრე იყო ერისა, ვერც ერთმა სისხლმოწყურებულმა მომხვდურმა რომ ვერ წაართვა... რადგან თურმე ის სიმდიდრე არწივის ფრთაში იდო და გლეხის ქოხში ცეცხლს ანთებდა... მას ვერა და ვერ ერეოდა ხანძარი და ქარიშხალი, იგი იმ ხალხის მარადიული სიჭაბუკე იყო, რომელთა სიცოცხლე არასოდეს მთავრდებოდა... ეს წიგნი დედის მზითვი და მამა-პაპის ფარ-ხმალს წარმოადგენდა მარად შეულეველსა და უძვირფასესს... ამგვარად წარმოიდგინა პოეტმა რუსთველის გენიალური საუნჯე, და ამით თავისი ქვეყნის სულისკვეთება გაამჟღავნა...

●

ცნობილია, რომ 10-იანი წლების ბოლოს ერთმანეთს დაუპირისპირდა ქართული პოეზიის მკაფიოდ გამოკვეთილი ორი კონცეპტუალური მიმართულება - კლასიკა და ავანგარდი, ისიც საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელისათვის ანაქრონიზმად იაზრებოდა ყარაჩოხელთა და კინტოთა პანეგირიკით სურნელქმნილი თბილისის თემა... თემა გრიშაშვილისა და შანშიაშვილისა... მართალია, გიორგი ლეონიძე "ცისფერყანწელად" ინოდებოდა, მას მაინც ძალუმად იტაცებდა თბილისის თემა - ყარაჩოხელსა და კინტოს, საიათნოვასა და იეთიმ-გურჯის ტრადიციული მოტივები და გულწრფელად უნდა ითქვას, რომ იგი, მართლაც რომ ვირტუოზული იყო ამ თემატიკური სივრცის პოეზიად გარდასახვაში. იგი მაღალი ხელოვნებით წარმოაჩენდა იმ თითქოს ოდიოზურსა და მიწიერ "სულიერ" აქსესუარებს, რომელთაც დამოუკიდებლად არავითარი ესთეტიკური ღირებულება არ გააჩნდათ...

**გადეყარა ნარიყალას**
**ნაცრიანი ბურუსი...**
**ხაში, ხილი და თონიდან**
**ამოყრილი პური,**
**თაბახი და საზანდარი,**
**მზე შინა და გარეთ,**
**ეგებება მზეს თბილისი**
**თავის ექვსი კარით...**

მისი თბილისი არა ჰგავს გრიშაშვილისას. იგი უფრო პრეისტორიული, ბიბლიური სიღრმეებიდან ამოზიდული ქალაქია...

**ჰკივის თათრული სიმღერებით**
**მწველი ეთიმ-გურჯი,**
**სწვეთს ღვინოში ჩაწობილი**
**ფიროსმანის ფუნჯი,**
**დგას ქალაქი, არადანი**
**მან არ იცის ორში,**
**თანშობილი ბაბილონთან**
**და ნებროთის დროში.**

თითქოს დელიკატურად თავსაც იმართლებდა ხოლმე ზოგჯერ პოეტი თანამოკალმეთა წინაშე ამ თემით გატაცებისათვის, თუმცა მისგან თავის დახსნას ვერ ახერხებდა და კიდევ უფრო ღრმად "ეფლობოდა"

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის გამაბრუებელი კოლორიტის უძირო სილრმეში:

**მაგრამ ლექსი გადურჩება**
**იმ ძველ ნააჩრდილარს?**
**სახედარზე წითელ ბოლოკს**
**და ჭიანურს მტირალს,**
**მეტივეს და თივის ურემს,**
**წყნეთურ მაწვნის ქილას?**

მისთვის თბილისი ბიბლიური წარლვნიდან გამოლწეული ქალაქი იყო, სადაც უბრალო მეტივეებიც კი ლვთით ბოძებულ ძალას ატარებდნენ ქვეყნის გადასარჩენად. მისი ოთხი მეტივე, ნიგვზის ფოთლებითა და უხვი ქართული ნატურმორტით ავსილი ტივით, სწორედ ბიბლიური პერსონაჟებივით ჩანან დამწუხრებულ სივრცეში განოლილ მტკვარზე, საიდანაც "ნაციხარები ჩანდა ბედკრული", წინ ეგდო მტკვარი და მთა შვეული, ცხვრის ფარასავით რიყე ეყარა, მოჰყავდათ ტივი მთას აშვებული, თითქოს მოჰყავდათ ბრძნულად ქვეყანა"... და როცა ფაფასავით სქელ მორევს გამოსცდნენ, ჩნდება დიდი ქალაქი, "აშენებული ნაძვის მორებით". საოცარია, რომ ეს ნაძვიც ბიბლიურ სურნელს ატარებს, რადგან წმინდა ხით აგებული ქალაქი სულ სხვაგვარია "ახალი იერუსალიმია", სადაც უფლის შუქი დაყუდებულა, რათა ადამიანებმა უმაღლეს რწმენად აქციონ სიყვარული... "და გაულიმეს ერთიმეორეს... და როცა ტალღამ დაჰკრა ყვირილით, მეტივეები ჰგავდნენ მეომრებს, ტალლას აპობდნენ ორთაყვირებით"... "მეტივეები" ფიროსმანის ნახატთა დიდებული ანარეკლიცაა, მსუყე ფერებითაა შესრულებული, პირველყოფილი სისადავითა და ბავშვური გულუბრყვილობით ნაძერწი... თითქოს უკანასკნელი ფუნჯის მოსმაა სტრიქონები:

**მოსალამურდა.**
**ხვადი მგლები დასხდნენ შავადა,**
**ლუკმას ხლეჩავენ დამკლავებითა;**
**ლვინიან ჯამში**
**ნარგიზივით მთვარე ჩავარდა,**
**ივსება მტკვარი ვარსკვლავებითა...**

პოეტური "პეიზაჟის" სრულყოფილების მილწევის "გზაზე" პოეტი არად დაგიდევთ ლექსისათვის თითქოს წინასწარ არჩეული ფორმის ერთგულებას... იგი, სრულიად თავისუფალი, დროდადრო ცვლის ლექსის სტრუქტურას და ამ მოულოდნელი ვარიაციებით ქმნის უცხო ეფექტების გამობრწყინებას...

გიორგი ლეონიძის თბილისს თითქოს ორმაგი სული მსჭვალავს - ბიბლიური და ბოჰემური... ფიროსმანი, საათნოვა, უთიმ-გურჯი მისი უპირველესი სამკაულებია... რომელთა მიმართ სრულიად განსაკუთრებულია პროტაგონისტის სიყვარული და თაყვანისცემა...

და ბოლოს მისი ლირიკის ყველაზე ძვირფასი მოტივი - მოტივი წმინდა და ამაღლებული სიყვარულისა...

პოეტის უნატიფესი საუბარი წარსულის უძვირფასეს ქალბატონებთან - საკრალური სახელები - მაიკო, მანანა, სალომე, ნინო... მარადანთებული ვარსკვლავებივით ბრწყინავენ პოეტის გენიალურ ხილვებში... ისინი ცოცხლობენ, როგორც კონკრეტული პიროვნებები: "მოფრიალე მანდილებით მოფრინავდა ქარიო" ამბობს - პოეტი და გული "მიადის" მანანა ორბელიანის ბეჭდიანი ხელის გახსენებაზე - იმ ბეჭედზე წარწერილ საოცრად სევდიან სიტყვებს იხსენებს და უმშვენიერეს რომანტიკულ ქალბატონთან ერთად, მიწაში დამარხულ ბეჭედს მისტირის: "სადა ლპება ბეჭდიანი, ვა, მანანას ხელიო?" - თითქოს ცრემლმორეული ლალადებს იგი და ამ ქვითინით საოცარი ამაღლებული სევდით ალბეჭდილ განწყობილებებს აძლევს დასაბამს...

რომანტიკული სიყვარულით უყვარს და ელის იგი თავის ნინო ჭავჭავაძეს, მის მარადიულ სილამაზესა და ერთგულებას. ნინო ჭავჭავაძისადმი მიძლვნილი პატარა ლექსი ლირიკული მედალიონია ამ შეუდარებელი ქალბატონისადმი მიძლვნილი, მასზე შეყვარებულ პოეტს, მოსვენებას უკარგავს და მარადიულ მიჯნურად აქცევს "ეს სილამაზის ნაზი გრიგალი". პოეტი უმაღლესი ლვთაებრივი გატაცებით ეტრფის გარდასულ მშვენიერებას - "შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად, მკერდზე რომ ვარდსაც ძლივს იკარებდი"-ო, მიმართავს იგი საკუთარ იდეალს და, თითქოს, ბედისწერას უსაყვედურებს გადაულახავ, საშინელ წინაალმდეგობათა გამო... გულწრფელად უკიჟინებს, ებრძვის, და თქვენ წარმოიდგინეთ ამარცხებს კიდეც ამ დაუნდობელს მონსტრს, რადგან შეუვალი რწმენის სიმაღლედ ქცეულა მისთვის ფილოსოფიური ფორმულა "ათას წელს გაძლებს შენი მშვენება"...

გიორგი ლეონიძის ლირიკა დიდი შემოქმედის ვნებებითაა ალბეჭდილი, ეს ის სიდიდეა, რომელიც თვით ემპირიულსა და ჟამით ნაკარნახევს მაღალი ესთეტიკური განცდის და ახლებური ფილოსოფიური წვდომის ობიექტად აქცევს...

პათეტიკურ-რომანტიკულ ინტონაციებში ამეტყველებული მონუმენტური თემატური რკალები, ალბეჭდილნი რალაც განსაკუთრებული, შინაგანი დრამატიზმით, საო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცარი ენერგიით შემოდიან მკითხველის ცნობიერებაში, და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, სამუდამოდ იმკვიდრებენ მასში კუთვნილ ადგილს.

●

ლირიკული პროზის - როგორც ჟანრის - წარმომავლობა, ალბათ, ჯერ კიდევ ძველ ქართულ ლიტერატურაშია საძიებელი ყოველ შემთხვევაში, გარკვეული ემბრიონალური ელემენტები ლირიკული წიაღსვლებისა, საკუთარი სულიერი სამყაროს პოეტურ-ალმასრულებლობითი გადახსნისა და მკითხველის უშუალო თანაგანცდის ძიებისა, საცნაურსა ხდის ჩვენთვის ლირიკული პროზის სიუჟეტური სტრუქტურის ჯერ კიდევ არამყარი კონტურების არსებობას - აქ მხედველობაში გვაქვს ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები.

ლირიკული პროზის კლასიკური ნიმუშები უფრო მოგვიანებით - XIX საუკუნეში ჩნდება. ვაჟა-ფშაველას გენიალური პროზა ამ თვალსაზრისით პირველი მძლავრი ნაბიჯია, რომელმაც სათავე დაუდო ამ უაღრესად საინტერესო ჟანრის შემდგომ განვითარებას. სწორედ იგი იქცა იმ მძლავრ და ნაყოფიერ ნიადაგად, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში აღმოაცენა ლირიკული ინტონაციებით აღსავსე და შემოქმედების ინტიმურ სამყაროთა მხატვრული წარმოსახვის ტენდენცია და ამით მრავალფეროვანი გახადა ეროვნული პროზის სივრცე. მართალია, ჩვენი საუკუნის ლირიკული პროზის ნიმუშები თვისობრივად განსხვავდება არქეტიპისაგან, მაგრამ ისიც ცხადია, რომ შინაგანი ლირიკული თრთოლვა, რაც ჟანრის სუბსტანციურ თვისებას შეადგენს, იმავე ემოციურ რეგისტრში აგრძელებს სიცოცხლეს.

სხვადასხვა მწერლის ლირიკული მედიტაციების პანორამა, დროისა და სივრცის არაერთმნიშვნელოვანი რაკურსით წარმოჩენაა (წარსულისა თუ დღევანდელობის, პეიზაჟისა თუ სულიერი ინტროსპექციის თვალსაზრისით), მაგრამ ყოველივე საბოლოოდ მაინც ერთ გარკვეულ წერტილში იყრის თავს - ეს არის სინთეზური ერთიანობა ემოციურად მდიდარი აღწერისა, რომელიც გონებით ერთგვარად განრიდებულია ანალიტიკური ელემენტებისაგან. მკითხველის ცნობიერებაში - სახეებისა და ხასიათების, თუ უბრალოდ მწერლის ლირიკული განწყობილებების მხატვრული ხატები მორალურ-ეთიკურ შეგონებებად კი არ კრისტალდებიან, არამედ, ჩემი აზრით, უფრო პოეტურ მირაჟებად, არასაგნობრივ სიმბოლოებად და ჩვეულებრივობისაგან განრიდებულ ყოფიერებად ცნაურდებიან. განსაკუთრებით ამგვარი განწყობილება გვეუფლება მწერლის მიერ წარსულის მხატვრული გაცოცხლების ჟამს - დროის ნისლში გაფერმკრთალებული და მოფარფატე სახეები მწერლის ფანტაზიის ამოქმედების სტიმულად რომ იქცევიან... ჩემი აზრით, ამგვარი დისკურსი სათავეს გიორგი ლეონიძის ლირიკული პროზიდან იღებს, მისი მოთხრობების კრებული "ნატვრის ხე" სწორედ ამგვარ დასკვნათა გამოტანის საშუალებას იძლევა.

ლირიკული პროზის განსაკუთრებულ თავისებურებას სიტყვის ფერწერული შეგრძნება ქმნის. ხაზის სულ უმნიშვნელო გასმას ყოველთვის რაღაც დამოუკიდებელი ფუნქცია გააჩნია და, იმავ დროს, საერთო ანსამბლის აუცილებელ კომპონენტს შეადგენს. ამგვარი დატვირთვის მინიჭება სიტყვისადმი ინსტინქტურ ძალისხმევასაც მოითხოვს მწერლისაგან. სიტყვას, როგორც დამოუკიდებელ ესთეტიკურ ღირებულებას, გარკვეული პრიორიტეტი ენიჭება მწერლის თითქმის ყველა ნაწარმოებში და სწორედ ამიტომ მათი კითხვა და ბოლომდე გაცნობიერება მკითხველის ინტელექტუალურ ძაბვას მოითხოვს. თვალის მსუბუქი გადავლებით შეუძლებელია მწერლის მოთხრობების უცდომელი შეფასება. ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ საგნობრივსა თუ სახეობრივ ანტურაჟს მათში არასოდეს გააჩნია თვითმიზნური ხასიათი. მათ მკაცრად განსაზღვრული ფუნქცია აქვთ და მოთხრობის უძირითადესი აზრის კონკრეტული გამომხატველნი არიან. აქედან წარმოსდგება სწორედ არაჩვეულებრივი ლაკონიზმი მწერლისა - რაც მისი სტილის ერთ არსებით თვისებას წარმოადგენს. ბუნინთან საუბარში ჩეხოვს ამგვარი აზრი გამოუთქვამს: "ჩემი აზრით, დასწერ რა მოთხრობას, უნდა ამოშალო მისი დასაწყისი და ფინალი. აქ ჩვენ, ბელეტრისტები, ყველაზე უფრო ვტყუივართ... ძალზე ძნელია აღწერო ზღვა. იცით ზღვის როგორი აღწერა წავიკითხე ერთი მოსწავლის რვეულში? "ზღვა იყო დიდი" - და მხოლოდ. ვფიქრობ საუცხოოა" მისივე სიტყვებია: "თუ თქვენ პირველ თავში ამბობთ, რომ კედელზე თოფია ჩამოკიდებული, მესამე ან მეოთხე თავში მან უნდა გაისროლოს". ანალოგიური მაქსიმალიზმითაა აღბეჭდილი გიორგი ლეონიძის ლირიკული პროზის ნიმუშები.

"ეს პატარა წიგნი ჩემი ყრმობის მოგონებანია, მაშინდელი დანახული, განცდილი ქართულ სოფელში" - წერდა გიორგი ლეონიძე "ნატვრის ხის" შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსებში თუ ჩანჩქერივით მოჰქუხს იგი, მოთხრობებში თითქოს თოვლის ფიფქივით ნაზად დნება და ეფინება თავისივე შექმნილ აღთქმულ ქვეყანას, მტკივნეულ სადარდელში წრფელად ეზიარება სვეგამწარებულ, მძიმე ცხოვრებით ქედმოდრეკილ პერსონაჟებს.

გიორგი ლეონიძის მოთხრობების ამ წიგნში გაცოცხლებულია კახეთის ერთი სოფელი, საოცრად საინტერესო და ორიგინალური პერსონაჟებით. იგი თითქოს მუზეუმია, სადაც ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟის საქართველო ინახება, თავისი ეროვნული, სოციალური, პიროვნული თუ ზოგადსაკაცობრიო ვნებებით.

საუკუნის დასაწყისის წელთასვლა, ჟამი გრანდიოზული ნგრევებისა და მოულოდნელი ტრაგიკული კატაკლიზმებისა, ჟამი როცა ტექნიკური პროგრესი პირველ გაუბედავ ნაბიჯებს დგამს ტყიანი მთებით შემოზღუდულ ამ პატარა სამყაროში, მწერალს პოეტური სახელი - მუხათწყარო რომ დაურქმევია... აქ ჯერ ისევ ბორგავს რომანტიკული წარსული, ისევ უდგათ სული ლეგენდებს, ნაციხარებში ისევ "დააბიჯებენ" აბჯრიანი რაინდები, თეთრი ციხე-კოშკის თავჩამონგრეული გალავნიდან, ცისკრის ამოსვლის უწინარეს, ისევ ჩამოირბენს მთვარის კიბეზე თმაჭაღარა მანდილოსანი. ეს ის დარდით მოცული დედაა, მეფე ერეკლეს ჯარში შვილები რომ გაუსტუმრებია და ერთ-ერთს თავი რომ შეურცხვენია... ყოველ ცისკრისჟამს დგებაო თურმე დედა საფლავიდან განწირული ხმით ხეობებს გასძახის: "არ გაბედო მოსვლა სირცხვილიანო, არ მომეკარო"-ო. ეს წამება იმ დრომდე გასტანს თურმე ვიდრე სოფელში ვინმე ახალი ამაყად მოსაგონარ სახელს არ დაიმკვიდრებს, ვალმოხდილ წინაპრებს ვიდრე ახალი პირნათელი მოყმე არ მოემატება...

აქ სირცხვილს სიკვდილის შიშზე გაცილებით მეტი ძალა აქვს. სიცოცხლეს ხომ მარტო მაშინ აქვს ფასი, როცა თამამად შეგიძლია უცქირო თვალში შინაურს და გარეულს... ამიტომაც დაუწესებია სოფელს ტკბილ-მწარე, საოცრად ცრემლიანი დღეობა - "სახელის მოლოცვა".

ამ სოფლის სასაფლაოს ლოდებქვეშ მარტო მეომრები არ განისვენებენ... მეხრეები, გუთნისდედები, მთიბავები და მეჩონგურეებიც, ნამუსიანად ემსახურნენ თავის ხალხს... სოფელს ტრადიციად უქცევია ყოველ აღდგომის კვირას მათი სახელის მოხსენიება... პირნათელ მეომრებს თურმე ასე დასტიროდნენ:

- სახელი მომილოცნია შვილო!.. განა შინ მოკვდი? ომის კარს მოკვდი! ხელთ ხმალი გეჭირა!

- ჰაი, შე უდროოდ გათავებულო, შე გამარჯვებულო, მადლობელი ვარ შენი სახელისა!..

...გუთნისდედას საფლავში თურმე აი რას ჩასძახოდნენ - "დღესაც შენი დათესილი მადლით გამოვდივართ, წახველ და ბარაქაც თან წაიღეო"...

მომღერალს - "სიმღერაში დამწვარ ბულბულს"... "რატომ სიმღერა აღარ არის ქვეყანაზე? იმიტომ რომ შენ აღარ მღერიო".

ხალხის რწმენით სახელოვანნი არ წასულან ამა ქვეყნიდან, ისინი მშობელ მიწაში არიან შენახულნი, როგორც უმდიდრესი განძი ქვეყნისა, იქიდან კი ჩაუმქრალი სხივი ამოდის, როგორც მარადიული სიცოცხლის სიმბოლო, წყარო ეროვნული ხასიათის საკრალური სრულყოფილებისა.

ამ ადამიანებს შორისაა, კიდევ ერთი, უსასოოდ მწუხარე შარავანდიანი მანდილოსანი, რომლის ერთადერთი საფიცარი ვაჟი, სადღაც შორეულ მხარეში დაღუპულა... გამწარებული დედა ქვებსა და კლდეებს შესტირის, თანაგრძნობით ავსებული სოფელი კი ამბად მოტანილს იხსენებს: - "შალიამ წინ ცხრა მტერი გაიმძლვარაო" და საფლავზე ულოცავს დედას მის სახელს.

აქ ყველაზე ურყევი ზნეობრივი ნორმა სახელის დატოვებაა, ამიტომ სახელის მილოცვა ყველაზე დიდ დღესასწაულად არის მიჩნეული.

სახელი მამულისათვის ზრუნვაში მოიპოვება, საზრუნავ-საამაგდარო კი ბევრი სჭირს მამულს. მოყვარედ მოსული მტრის ვერაგულ მახეში ლაფავს სულს თავისუფლების წყურვილი, ილახება ქართული ენა, იბღალება ეროვნული სიწმინდე, ითრგუნება ომის წადილი, უქმად გდებით ჟანგდება სისხლში ნაწრთობი ხმალი, "იმარხება საქართველო, იმარხება ქრისტეს კუნძული!"

ეს სევდა ღრღნის საოცრად კოლორიტულ პერსონაჟს ჩორეხს, სამშობლოს ბედით მჭმუნვარე, გულდალამებულ, მისი დარდით მოავადე, მასზე ზრუნვაში დამწვარ-დანაცრულ კაცს ("ჩორეხი") მას სულის სიღრმემდე სტკივა "ნაქარალი, ნაქორალი, გაგლეჯილ-გამოგლეჯილი, დაჭრილი არწივი, ვეფხვი, უსულოდ დანარცხებული" - მამული. ჩვენში პატარა გორაკიც კი არ არის, ზედ ტაძარი, ციხე, კოშკი, სიმაგრე რომ არ იდგეს, ჩვენში მარწყვიც კი წინაპართა სისხლის წვეთია და განა იმიტომ მოვიტანეთ სული დღემდე, თავისუფლების ბედნიერებას ვერ ვღირსებოდით? გარეშე მტერი ვერასოდეს ვერას დაგვაკლებდა, თუ შინაური არ გაგვწირავდა, პირადი კეთილდღეობის მაძიებელი, გაქსუებული ქართველი. სწორედ მათი მიზეზითაა, რომ "შავ ზღვაში ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდა მზე საქართველოსი, რაღა ამოიყვანს?"

დღედაღამ რეკავს განგაშის ზარივით: "ვაი, მამულო, ნაჭირნახულევო, სისხლით შეღებილო, აკლებულო, დამწვარო, ტყვედქმნილო, იავარქმნილო, ვაი, ძნელბედო, ვაი, მამულო, გამესამედებულო!"

ჩორეხისათვის ერთადერთ სინათლედ მომავალი თაობა აციმციმებულა. ამიტომაც სკოლიდან მხიარული ჟივილ-ხივილით გამოცვენილ ბავშვებს სოფლის დიდ ცაცხვებთან ხვდება, გატაცებით მოძღვრავს, წვრთნის, შთააგონებს, ასწავლის, აცნობს საქართველოს ისტორიას, ლოცვასავით ზეპირად უკითხავს ადგილებს "კალმასობიდან".

"ქართველნი წინაპარნი ჩვენნი იყვნენ თუმცა კირთებასა შინა სხვათა და სხვათა მპყრობელთა მიერ, - მაკედონელთაგან, რომაელთაგან, ბერძენთაგან, ეგვიპტელთაგან, სპარსთაგან, სკვითთაგან, ოსმალთაგან და ჩინგიზთაგან, მაგრამ სიყვარული მამულისა და სიმაგრე სულისა ვერ დაატოვებიეს, იძლეოდნენ და სძლიეს, იდევნენ და განდევნეს და ესრეთ მოიგეს უკვდავებისა სახელი".

და მეოცნებე ყმაწვილთა გალიზიანებულ წარმოსახვაში მთელი თავისი გრანდიოზულობით ცოცხლდება ვაებასა და დელგმაში გამოვლილი ჩვენი ისტორია, იმ ისტორიის ლაბირინთებიდან ისმის ჩორეხის ხმა:

- "ემთხვიენით ქართულ მიწას!

- აკოცეთ ღირსეულ ნაშთებს!"

ჩორეხს სწამს, რომ ერის დაცემა იქიდან იწყება, საიდანაც წარსულის ხსოვნის დავიწყება იწყება, ამიტომაც კლდე-ღრეში ეძებს დღენიადაგ წარსულის ნაშთებს. მასავით ქვეყნის, სოფლის ბედზე დღენიადაგ მაფიქრალია წიგნის კიდევ ერთი პერსონაჟი ფორე - ქრისტეფორე თამარიძე ("ნიშარძეულის წყალი"). იგი გორის სემინარიადამთავრებული, წიგნის სიბრძნეს დანაფებული კაცია, რომლის ოთახის კედლებს რუსთაველის, შექსპირის, სპენსერის, ოუენის პორტრეტები ამშვენებს... ალბათ საოცარია რომ იგი ინტელექტუალური უპირატესობის მიუხედავად, არ ქედმაღლობს, თავს არ ამეტებს უსწავლელ გლეხობას... მას პირველს შემოაქვს სოფლად ტექნიკის "საოცარი" სიახლენი - გუგულიანი საათი, თუ ყანის სამკალი მანქანა და ამით აკვირვებს ხალხს.

ფორეს თვითონ არაფერი აკლია, სამაგიეროდ სოფელს აკლია წყალი. ნახევრად დამშრალი, წვრილი მოწანწკარე წყაროები ვერც ხალხს უკლავს წყურვილს და, მით უფრო, გვალვით დაშაშრულ მინდვრებს. ამიტომაც ილვწის "წყლის სიყვარულით გაშმაგებული" ფორე სოფელში წყლის ჩამოსაყვანად... "სიღარიბის ბურტყლით შეგინგლული სოფელი" სიტყვით კი აქეზებს და აქეზებს, მაგრამ საქმეში მხარს ვერ უბამს, რადგან უქონელსა და უპოვარს, ყოველდღიური საზრუნავისთვისაც ვერ გაურთმევია თავი.

ჩაგრულთა შვების მოტანის ოცნებით დამწვარი ფორე თავისთვის სულს იქით არაფერს იტოვებს. არარად მიიჩნევს იმას, რომ მისი არ ესმით, ზოგჯერ შერეკილად თვლიან.

ფორე თავის ოცნების ხორცშესხმაზე ადრე კვდება და თან მიაქვს დიდი განუხორციელებელი ოცნებების ტკივილიცა და სევდაც...

განსაკუთრებული ლირიკული თრთოლვა, ფერთა უნაზესი გამმა მომხიბლავ სამყაროს გადაშლის მკითხველის წინაშე. და კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ მწერალი ფლობს იშვიათ ნიჭს პლასტიკური გამომსახველობისა. ისე გადმოსცემს რეალობას, ადამიანთა ურთიერთობის კავშირებს, რომ მკითხველს ეჭვი არ ეპარება მათ სიმართლეში, თუმცა მხოლოდ გამოსახვით, თვით ყველაზე უფრო ფერწერულითაც კი ძნელია მიაღწიო თხრობის თავისუფალ, ძალდაუტანებელ მდინარებას, ე. ი. სწორედ იმას, რაც ქმნის ძლიერი შთაბეჭდილების, მკითხველზე სრული ზემოქმედების გარანტიას. არაერთხელ თქმულა (და კვლავ გავიმეორებ) გიორგი ლეონიძის მხატვრული ფრაზის მომხიბვლელობაზე. და მართლაც, ძალზე არსებითია მისი მხატვრული ფრაზის "შენების პრინციპი, მისი საიდუმლოება, რომლის ბუნება ყოველთვის ნაკარნახევია მთხრობელისა თუ გმირის შინაგანი მდგომარეობითა და განწყობილებით. გონების თვალის ჭვრეტით მოიძიება თითქოს სტრიქონსა და სტრიქონს შორის ჩამდგარი განსაკუთრებული ჯადოსნური ნათელი, რომლის მეშვეობითაც სიტყვები იდუმალ ჩრდილებს იკრებენ და მკითხველის აზროვნებას ამოცნობის მრავალგვარი მოდულაციებისაკენ უბიძგებენ. ჩნდება ცდუნება აზრისა და გრძნობების საკუთარი დინებისა, წარმოსახვაში სერიოზული რეფლექსის დაბადებისა. სწორედ ამიტომაა, ალბათ, რომ ტექსტშიაც და ინტონაციებშიაც წარმოჩინდება არა მხოლოდ განუმეორებელი სურათი, არა მხოლოდ გარემო და ადგილმდებარეობა, არამედ ყოფიერების ფილოსოფიაც, ყოველივე ის, რასაც ადამიანი თავის თავს ეუბნება სამყაროზე. აქვე იგრძნობა ის ძლიერი პულსაცია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ხილულსა და წარმოსახვაში გაცოცხლებულ, სავარაუდო მოვლენებს ცხოვრების განუწყვეტელი დინებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერლისათვის საკუთარი ბავშვობის სამყარო არასოდეს ჰკარგავს ღირებულებას, პირიქით, დროის გადასახედიდან ადრე განცდილი ინფანტილური ხილვები ცნობიერებაში კრისტალდებიან და ფერადოვან სხივებს გამოსცემენ. რომანტიკული ჩურჩულის ინტონაციები გულისმომწყვლელი გრძნობებით ესიყვარულებიან გარდასულ დღეთა მშვენიერებას და შენდობას უთვლიან ძვირფას სახეებს, როგორი ღიმილიც არ უნდა გამოკრთოდეს მწერლის სახიდან, მის თვალთა სხივს ცრემლი აბუნდოვნებს და ტკბილ ზმანებებში ჰხვევს.

●

გიორგი ლეონიძე 1944 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დიდი პოეტი საზოგადო ასპარეზზე გამოვიდა როგორც მკვლევარი ჯერ კიდევ მოწაფეობისას, 1912-1914 წლებში იგი ქართულ პერიოდიკაში აქვეყნებს წერილებს კაწარეთის სამების, ნინოწმინდის ეკლესიის, უჯარმის ციხე-ნაქალაქარისა და სხვათა შესახებ.

შემდგომში გიორგი ლეონიძის ტალანტი არსებითად პოეზიად გარდაისახა, მაგრამ მას მეცნიერული კვლევა-ძიება მაინც არ შეუწყვეტია და ამ ურთულეს ასპარეზზეც უდიდესი კვალი დასტოვა...

მოწაფეობის დროს ქართული კულტურის ისტორიით დაინტერესება მომავალი სერიოზული ძიებების საძირკველს წარმოადგენდა. გაცილებით მაღალი მეცნიერული ღირებულებისაა 19-20 წლის გიორგი ლეონიძის მიერ დასაბეჭდად მომზადებული და საკუთარივე გამოკვლევით გამოქვეყნებული (1920 წ.) მამუკა ბარათაშვილის პოეტიკის სახელმძღვანელო "ჭაშნიკი". გამოცემა იმ მხრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ მასში, გარდა ტექსტისა და სათანადო გამოკვლევისა, პირველადაა წარმოდგენილი მამუკა ბარათაშვილის ბიოგრაფია.

გიორგი ლეონიძემ თავისივე რედაქციით, ვრცელი გამოკვლევით, ლექსიკონითა და საძიებლებით გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის "სიბრძნე-სიცრუისა" (1928 წ.), რომელიც 1937-სა და 1959 წლებშიც დაიბეჭდა. სწორედ ამ ბოლო გამოცემას დაერთო ვრცელი მონოგრაფიული ნარკვევი "სულხან-საბა ორბელიანი". "აზრიანად შედგენილი ლექსიკონისა და ტექსტის ინდექსის გარდა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უაღრესად დეტალურად და მრავალი მასალის გამოწვლილვით დაწერილი სულხან-საბას ვრცელი ბიოგრაფია (ს. კაკაბაძე), რომელიც "წარმოადგენს საბას პირველ სერიოზულ მეცნიერულ ბიოგრაფიას, დაწერილს გაშლით, XVII-XVIII სს. ამბ[illegible] აქაც, ავტორის მიერ წყაროების ღრმა ცოდნას და მის კვლევით უნარს ეჯიბრება მისივე მაღალხარისხოვანი ლიტერატურული ხერხიანობა და წერის მანერა".

სულხან-საბა ორბელიანის იუბილისათვის მზადების დღეებში, 1959 წელს, თვით გიორგი ლეონიძე წერდა: "მე კიდევ ერთხელ გავიხსენე ჩემი საყვარელი ხელობა - ძველი ქართული ხელნაწერების დაძებნა ოჯახებში, ქალაქად და სოფლად". სწორედ ამ ხანებში მიუკვლევია მას მანამდე უცნობი ძველი ხელნაწერებისათვის, რომელთა შორის ორი მეტად საინტერესო იყო: სულხან-საბას "მოგზაურობა ევროპაში" და უცნობი "პოეტური ანთოლოგია", რომელშიც სხვა ლექსებთან ერთად, როგორც თვითონ გიორგი ლეონიძე წერს, აღმოჩნდა დღემდე უცნობი "ანბანთქებანი", ნათქვამი ორბელის ძის სულხანისა.

მრავალმხრივი და, ამავე დროს, ახალ ცნობათა შემცველია ფეშანგის "შაჰნავაზიანის" გამოცემაზე დართული გიორგი ლეონიძის საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა. ამ გამოცემაში დაბეჭდილ ტექსტს გიორგი ლეონიძე ლენინგრადში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში გასცნობია. გამოაქვეყნა კი სოლომონ იორდანიშვილთან ერთად, 1935 წელს. ლეონიძისეული გამოკვლევა რამდენიმე თავისაგან შედგება: 1. პოემის შინაარსი; 2. ხელნაწერის აღწერა; 3. "შაჰნავაზიანის" ავტორი... გიორგი ლეონიძის გამოკვლევით, პოემის ავტორი, ფეშანგი, ყოფილა ამირაშვილი (ამირას ძე) ხითარიშვილი, რომელსაც გაულექსავს მეფე ვახტანგ მეხუთის, ანუ შაჰნავაზის ცხოვრება და მოღვაწეობა...

1939 წელს გიორგი ლეონიძემ ვრცელი გამოკვლევით, ლექსიკონითა და საძიებლებით გამოსცა ქართული საისტორიო პოემა იოსებ ტფილელის "დიდმოურავიანი", რომელიც, როგორც თავად ლეონიძე აღნიშნავს, ქართული ნაციონალური ეპოსის შესანიშნავი ძეგლია და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა ძველ საქართველოში. გამოკვლევა შემდეგი თავებისაგან შედგება: 1. პოემის შინაარსი (ეს უფრო მოკლე აღწერაა ნაწარმოებისა, მოკლე შინაარსთან ერთად, ისიც არის ნათქვამი, რომ დაწერილია რუსთველური შაირით, შეიცავს 11 კარს და 484 ტაეპს); 2. დიდმოურავიანის ხელნაწერისათვის (აქ საუბარია იმაზე, რომ "დიდმოურავიანი" აქამდე ორჯერ 1851 წელს პლატონ იოსელიანის მიერ და 1897 წელს იოსებ იმედაშვილისა და სპირიდონ ჭელიძის მიერ იქნა გამოცემული, მაგრამ ჩანს, არც ერთი გამოცემისას ჩვენი ხელნაწერი ხელთ არ ჰქონიათ და შერყვნილ

ხელნაწერს დაყრდნობიანო); 3-4. სათაურები წერა-კითხვისეული №123 და №4699 ხელნაწერებისა; 5. ავტორის ბიოგრაფიისათვის (ეს თავი წარმოადგენს პლატონ იოსელიანის, დავით ჩუბინაშვილის, მოსე ჯანაშვილის, ალექსანდრე ხახანაშვილის გამოკვლევათა კრიტიკულ განსჯასა და გადაფასებას); 6. პოემის დათარიღებისათვის; 7. პოემისათვის (ყველაზე ვრცელი თავია, რომელშიც დაწვრილებით არის განხილული პოემა თავის თანამედროვე პროცესთან მიმართებაში, საუბარია აგრეთვე, პოემის ისტორიოგრაფიულ ღირსებაზე).

მნიშვნელოვანია აგრეთვე გიორგი ლეონიძის მონოგრაფიული გამოკვლევები, წერილები და შენიშვნები ვახტანგ მეექვსის, საიათნოვას (1931 წ.), დავით გურამიშვილის (1936 წ.), ბესიკ გაბაშვილის (1953 წ.), ნიკოლოზ ბარათაშვილის (1940 წ.), ფიროსმანის (1924 წ.), ივანე მაჩაბლის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ვასილ ბარნოვის, მამია გურიელის, ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. გიორგი ლეონიძეს ეკუთვნის აგრეთვე გამოკვლევები ა. ს. პუშკინსა და ა. ს. გრიბოედოვზე, ასევე მათ ქართველ ნაცნობებზე. საყურადღებო წერილები შექმნა გ. ლეონიძემ ქართველ გმირებზე: 1. შალვა-შავლეგო; 2. ზეზვა გაფრინდაული; 3. ქართველი ქალები; 4. გმირი გლეხის ქალი.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია 200 გვერდიანი მონოგრაფია "ბესიკი", რომელიც არა მარტო ბესიკ გაბაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას განიხილავს დაწვრილებით, არამედ გაბაშვილთა გვარის ისტორიასაც მოგვითხრობს. გამოკვლევას აგვირგვინებს ბესიკის საფლავის აღმოჩენა იასაში, რაშიც თვით გიორგი ლეონიძემ მიიღო მონაწილეობა.

გიორგი ლეონიძემ აღმოაჩინა "ქილილა და დამანას" დავითისეული თარგმანი, ბესიკის ავტოგრაფი, დაადგინა იოსებ ტფილელის ხელის მოწერა, ძველ ქართულ სიგელთაგან იპოვა რამდენიმე უძველესი, არვან-ბეგ საბაის ძის, ციციანთ საგვარეულოს და სხვათა სიგელები, პაპუნა მაღალაშვილის ანდერძი და სხვ. მრავალი დოკუმენტი გადასცა მუზეუმებს. ახალგაზრდობიდანვე აინტერესებდა საქართველოს ველთა და მთათა, მდინარეთა, ხევთა და საერთოდ, ადგილთა სახელწოდებები, აგროვებდა ქართულ ტოპონიმიკას.

ბევრს მუშაობდა საქართველოს არქივებში და ბევრი დოკუმენტის აღმომჩენიც გახდა.

1935 წელს მიაგნო პლატონ იოსელიანის ცნობას: "აქა ტფილისს, მეფის ირაკლის ასულს აქვნდა ძველად ნაწერი "ვეფხისტყაოსანი", სახით, ანუ პორტრეტითურთ თვით რუსთველისა, ერისკაცის სამოსით... ეს წიგნი და პორტრეტი წარვუდგინე კნიაზ მ. ს. ვორონცოვს". ამ ცნობის მიხედვით, გიორგი ლეონიძემ იპოვა და საქართველოში ჩამოიტანა ვორონცოვის პირად არქივში დაცული ხელნაწერი "ვეფხისტყაოსნისა". ამ საკითხს ეძღვნება გიორგი ლეონიძის მეცნიერული გამოკვლევა "ვეფხისტყაოსნის" ახალი ხელნაწერი", რომელშიც იგი მის მიერ აღმოჩენილ ხელნაწერს "ზაზასეულ ვეფხისტყაოსანს" უწოდებს. გ. ლეონიძემ დაადასტურა, რომ ტექსტი სარდალ-სახლთუხუცესის ზაზა ციციშვილის დავალებით იოსებ ტფილელს (სააკაძეს) გადაუწერია, ზაზას მოკვლისა და მისი ოჯახის დარბევის შემდეგ ხელნაწერი ხელთ ჩავარდნია ლევან ბატონიშვილს, ანუ ლევან მირზას, შემდეგ ვახტანგ მეექვსეს, რომლისგანაც, შესაძლოა მის ასულს, თამარს, ერეკლე II-ის დედას მზითევშიც შეხვდა. ერეკლესაგან რგებია მის უმცროს ქალს თეკლას, რომლის შვილს, ცნობილ ქართველ მწერალ ალექსანდრე ორბელიანს ვორონცოვისათვის მიუძღვნია, როგორც იშვიათი საჩუქარი. ვორონცოვის საქართველოდან წასვლის შემდეგ, მის არქივში იდო (ყირიმში, ოდესაში, მერე ლენინგრადში, სადაც იპოვა კიდევ ქართველმა პოეტმა და მკვლევარმა), 1935 წლის 5 იანვარს საქართველოში დაბრუნდა.

გიორგი ლეონიძე საბჭოთა კავშირის მწერალთა დელეგაციებში საზღვარგარეთ მრავალგზის ყოფნისას ქართულ სიძველეებს დაეძებდა. მან სამშობლოში ჩამოიტანა რუმინეთში კარგად ცნობილი ქართველის, მხატვრის, პოეტის, მოქანდაკის, და წიგნის მბეჭდავის, "ცეცხლოვანი მქადაგებლის", პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ანთიმოზ ივერიელის წესდება, რომელიც შეიცავდა ცნობებს ქართული სტამბის შესახებ...

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ლეონიძის მრავალრიცხოვანი ფილოლოგიური შტუდიები, ერთი დიდი და მარადანგარიშგასაწევი განძია ქართული მეცნიერებისა, რომელთა ჭეშმარიტი ღირსებანი სამწუხაროდ ჯერ კიდევ ბოლომდე გაუცნობიერებელია ჩვენი ინტელექტუალური სივრცისათვის...

●

ასეთია ძალზე ზოგადი კონტურები ამ დიდებული პოეტის, პროზაიკოსისა და მეცნიერის შემოქმედებითი პორტრეტისა.

განსაცვიფრებლად ქართული და მხოლოდ ქართული სულიერ-ინტელექტუალური იმპულსებით გაჯერებული მისი კოლოსალური მემკვიდრეობა, ერთი უდიდესი სვეტია XX საუკუნის ეროვნული სულიერი კულტურის მართლაც რომ გრანდიოზული და უნიკალური მშვენიერებით აღბეჭდილი ტაძრისა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ შამანაძე

# ჩანაწერები გოგლა ლეონიძეზე

გოგლასთან საუბარში ნოდარ ალანიამ თქვა: ალექსანდრე პუშკინს "ბორის გოდუნოვი" რომ დაუმთავრებია, ალტაცებით წამოუძახნია: "ყოჩაღ, პუშკინ!" ლევ ტოლსტოიმ "ატეც სერგი" რომ დაწერა, თურმე ცეკვით შემოუარა სამუშაო მაგიდას. ბატონო გიორგი, თქვენი ქმნილებების შექმნისას, თქვენც თუ განგიცდიათ ასეთი აღფრთოვანება?

- როგორ არა, - გაეღიმა გოგლას, - "ოლე" ერთი ამოსუნთქვით დავწერე. მახსოვს, სალამო ხანი იყო. წამოვდექი, ოთახში გავიარ-გამოვიარე. ისეთ გუნებაზე ვიყავი, მინდოდა მთელი ქვეყანა გულში ჩამეხუტებინა. სწორედ ამ დროს შალვა აფხაიძე მესტუმრა. ჩავბღუჯე და კოცნა დავუწყე. შალვასთან წინა დღეს ვიქეიფე. ახლა კი დიდიხნის უნახავივით ვკოცნიდი. გაოცდა. უხერხულობა რომ შევატყვე, ვუთხარი, დაჯექი, რაღაც უნდა წაგიკითხო-მეთქი. წავუკითხე. ახლა იგი გადაირია: წამოხტა, გადამეხვია, თავი ძლივს დავიხსენი.

●

გოგლამ პატარძეულში წაგვიყვანა: ემზარ კვიტაიშვილი, ვლადიმერ აზარიაშვილი და მე. მის კარ-მიდამოში რომ შევედით, თუთასთან შეგვაჩერა და ხელი გაშალა: ეს მკვებავდა ბალღობიდან, ამ თუთის ტკბილი წვენი მიჩქეფს ძარღვებში და ახლაც ღონეს მმატებს. შემდეგ აკაციასთან მიგვიყვანა, ვეება ტოტებით რომ გაბარჯღლულიყო. წამოყვინჩილებული ბიჭი მინდვრად ნახირს მივდენიდი ხოლმე. ერთხელ, შინ რომ დავბრუნდი, ის ჯოხი მიწაში ჩავარჭვე. გაზაფხულის პირი იყო და ჯოხმა გაიხარა, ფესვები გაიდგა, განატოტა და დროთა განმავლობაში, აი, ამ ბუმბერაზ აკაციად იქცაო.

- ბატონო გიორგი, გერმანელ პოეტს ჰუგო ჰუპერტს ანალოგიურ ამბავზე აუგია ლექსი "მოგზაურის ქართული კვერთხი". - შევახსენე მე.

- ჰო, ეს თემა ჰუპერტს მე ვაჩუქე. აბა, როგორ, პოეტმა პოეტს ხელი არ უნდა გაუმართოს?! - "მკვდარი სულების" სიუჟეტი გოგოლს პუშკინმა უკარნახა. - მიპასუხა გოგლამ და აკაციას ხელი მიუსვ-მოუსვა, თითქოს ეფერებაო.

●

გოგლას შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო იყო დაბა წნორში. ამ ღონისძიების შემდეგ სუფრა გაიშალა ლაგოდეხში, ფორე მოსულიშვილის ოჯახში. გოგლა ექსპრომტების თხზვის გუნებაზე იყო. ფორეს სახლის კედელს ავტოკალმით მიაწერა:

**ამ ოჯახის კედელ-კუთხე,**
**ღმერთო, დიდო, შენ აკუთრხე!**

სუფრაზე ჩვენთან ერთად ისხდნენ ლაგოდეხის რაიკომის მდივნები: მაკარი ბრეგვაძე და აკაკი რეხვიაშვილი. მაკარს გოგლამ რამდენიმე თვის წინათ სახელი დაუწუნა თურმე და "მამუკა" დაარქვა. იგი კვლავ ძველი სახელით რომ წარუდგა, უსაყვედურა:

**შენ, ჩემო ძმაო მაკარი,**
**გულს სევდა გადამაკარი,**
**მე რომ დაგარქვი, სად არი,**
**"მამუკა" ოქროს სადარი?**

აკაკი რეხვიაშვილი ჭაბუკობაში ლექსებს წერდა თურმე. გოგლამ გაუხსენა:

**რეხვიაშვილო აკაკი,**
**გიყვარდა ლექსის რაკრაკი!**

სუფრას შემოესწრო რაიონის მოსამართლე გოგი ნადაშვილი. გოგლამ მასაც მიულექსა:

**გოგი, გოგი, ჩემო გოგი,**
**შენ არა ხარ დასაზოგი!**

გაუკეწნლავი არც მე დამტოვა:

**შენ გეპატიოს, ნოდარი,**
**ყოველი შენაცოდარი!**

ეს რომ მითხრა, გაიცინა: ლექსებშიც და ქალებშიცო...

რაიონულ გაზეთს ვკითხულობდი. გამომართვა, ზერელედ გადაათვალიერა და მერე ღიმილით თქვა:

**რაიონული გაზეთი შევარდენია მთისაო,**
**ხელში აიღებ, გადაშლი, ჭორები**
**გადმოდისაო.**

ჩვენთან იმყოფებოდა ინსტიტუტის თანამშრომელი ვალიკო ყუშიტაშვილი. მან ზომაზე მეტი დალია და შუაღამისას აიტეხა, წნორში უნდა წავიდე, საცოლესთან პაემანი მაქვსო. ეს რომ გოგლამ გაიგო, გაუწყრა, სად მიდიხარ ამ ყიამეთ ღამეში, ხიფათს გადაეყრები, ცოტა მოიცადე, გათენდება, მე თვითონ წაგიყვან, ქორწილსაც გადაგიხდიო. ვალიკო წასვლას მაინც არ იშლიდა. მასპინძელი იძულებული გახდა, ჭირვეული სტუმარი ცალკე ოთახში ჩაეკეტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით გოგლამ რომ გაიღვიძა და წამოდგა, ვალიკო მოიკითხა. სძინავსო, უთხრეს. გააღვიძეთ და მომიყვანეთო. ვალიკო თვალების ფშვნეტით წარუდგა.

- მასპინძელი სუფრას ახალი პურმარილით შეახაზირებს, გაგვიძელ საცოლესთან, აქვე დაგანიშნინებთ! - უთხრა გოგლამ. ვალიკომ იუარა, მე წუხელ მქონდა პაემანი, დღეს კი უკვე გვიანააო. გოგლამ გაიცინა:

**ყუშიტაშვილი ვალიკო წუხელის**
**გამომთვრალიყო,**
**იმ ქალისაკენ გარბოდა, რომელიც**
**არსად არ იყო.**

●

გოგლა საჩხერის რაიონის პირველ საშუალო სკოლაში მიიწვიეს. ერთი კაფანდარა, თვალცქრიალა გოგონა წინასწარ დაზეპირებული სიტყვით მიესალმა:

- თქვენ დაგმეთ მავნე მიმდინარეობანი: ფუტურიზმი და სიმბოლიზმი, ახლა სოციალისტური რეალიზმის გზას ადგეხართ... ადგეხართ... - გაიმეორა ორჯერ და შეჩერდა, ვეღარ გააგრძელა.

გოგლამ გაუცინა, შენი სიტყვებით მითხარიო.

- მიყვარხართ, ძია გიორგი, ძალიან, სულ ძალიან! - ამოთქვა გოგონამ საოცარი გულწრფელობით და მუხლებზე შემოეხვია. გოგლამ აიტაცა და გულში ჩაიკრა. მერე ის ბავშვი სუფრაზეც გაიხსენა: მხოლოდ აკაკის კუთხეში შეიძლება უყვარდეთ პოეტი ისე ძალუმად, როგორც იმ გოგონამ მაგრძნობინაო.

●

ინსტიტუტის თანამშრომელმა ნიკოლოზ კილანავამ ერთხელ გოგლასთან სიტყვა ქართულ მწერლობაზე ჩამოაგდო და როყიოდ წამოისროლა: პოეზია აკაკი წერეთლისა სჯობია, მაგრამ ილია ჭავჭავაძე მრავალმხრივი შემოქმედია და ამიტომაა უფრო დიდი და სახელოვანიო. გოგლა განაწყენდა: ასე დაპირისპირება არაა სწორი, ჯერ ერთი, აკაკიც მრავალმხრივი შემოქმედი იყო, მეორეც, ილია დიდი პოეტიცაა, აკაკი ვერ დაწერდა "აჩრდილს", როგორც ილია "განთიადს" ვერ შექმნიდაო.

●

გოგლასთან ვართ ინსტიტუტში. გვეუბნება: "პოეტს გემოვნებამ არ უნდა უღალატოს. იოსებ გრიშაშვილი დიდად ნიჭიერი შემოქმედია, მაგრამ ზოგჯერ გემოვნება ღალატობს. აბანოდან მოდიოდი და რომ დამინახე, სახე წამოგიწითლდაო, მიმართავს სასურველ ქალს. მე ასე შიშვლად ინტიმურ გრძნობას არასდროს გამოვხატავ".

●

ვანო ურჯუმელაშვილმა მიამბო: "გოგლა ერთხელ გორში მესტუმრა. ცოტა რომ წავიპურმარილეთ, ქალაქში ფეხით გასეირნება მოისურვა. კარგა ხანს ვიარეთ. ბოლოს ერთ შარაგზაზე მიმითითა, სადაა მოხსენებული, თუ მეტყვიო. ვერ ვუთხარი. ვაჰ, როგორ არ გახსოვს: ეს ის გზაა, ჯაყოს მარგო ურმით რომ მიჰყავსო".

●

გოგლა: "დიდი ძალა აქვს სიყვარულს. თამარი რომ არ ყოფილიყო, შოთა რუსთაველიც არ იქნებოდა".

●

გიორგი ლეონიძე აჭარაში მიიწვიეს. უმასპინძლა როგორც ბათუმმა, ისე მთიანმა რაიონებმა, შეხვდა აჭარელ ლეონიძეებსაც. გუშინ დაბრუნდა, დღეს კი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა. იგი ასე აღტაცებული იშვიათად მინახავს. შეხვედრებიდან ბევრი რამ გაიხსენა, ბოლოს გვითხრა: "გალაკტიონმა აჭარისადმი მიძღვნილი ლექსების მთელი კრებული შექმნა სათაურით "ოქრო აჭარის ლაჟვარდში". მე კი განზრახული მაქვს დავწერო "ოქრო აჭარელთა გულებში". მინდა აგრეთვე მემედ აბაშიძეს პოემა მივუძღვნა. მემედს პირადად ვიცნობდი. იგი სამაგალითო ქართველი და დიდებული მოღვაწე იყო. ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი ეს ვაჟკაცი ერთიანი საქართველოსათვის რაზმავდა აჭარლებს და სიცოცხლის ბოლო წუთამდე ამ დიდ საქმეს ემსახურებოდა".

●

ნესტან ლეონიძე: "მამაჩემი ბოლო დღეებში რალაც ლექსს ბუტბუტებდა, კარგად ვერ გავარჩიე, მხოლოდ ეს სტრიქონი მომხვდა ყურში: "ელვა გამოდის ხმლისა". ნესტანის ამ სიტყვებმა ჩამაფიქრა. მეხსიერება დავძაბე, მაგრამ ვერ გავიხსენე ლექსი, რომელშიც ხსენებული სტრიქონი გაიჟღერებდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, "ნატვრის ხეში" რომ წავაწყდი ხალხურ ლექსს:

**გიორგის ებრძვის სიკვდილი,**
**ელვა გამოდის ხმლისა,**
**შამაუქნია სიკვდილმა**
**მარჯვენას მოაჭრისა,**
**შამაუქნია გიორგიმ,**
**სიკვდილს შუაზე ჭრისა.**

●

გოგლა: "იმ კაცზე საცოდავი არავინაა, ძმებს რომ დაკარგავს და მარტო დარჩება ამ ქვეყანაზე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა მარკოზაშვილი

# პოეტის ბავშვობა

1907 წელს დედამ გოგლა თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. ცნობისმოყვარე და ცოდნამოწყურებული ბავშვი თავიდანვე გულმოდგინედ შეუდგა სწავლას და მასწავლებლების ყურადღება მიიქცია.

ისე, როგორც სასულიერო სასწავლებელში, სასულიერო სემინარიაშიც აკრძალული იყო მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის ქართულ ენაზე ლაპარაკი. ეს მეტად აწუხებდა გოგლას, მას ვერ წარმოედგინა, რომ მრავალსაუკუნოვანი ქართული ენა შეზღუდული და დამცირებული ყოფილიყო.

პოეტის სიყრმის მეგობარი კ. ჭრელაშვილი იგონებს: "გოგლამ სასწავლებელში შემოიღო ბრძოლის ერთგვარი წესი: შემოიკრიბა თავის ირგვლივ ქართველ მოსწავლეთა ჯგუფი, ჩაატარა თათბირი და დააწესა ჯარიმა, თუ მოსწავლე ქართული საუბრის დროს შეურევდა არაქართულ სიტყვას, იგი უნდა დაჯარიმებულიყო. იმ ჯარიმიდან შექმნილი ფონდი მან გამოიყენა სასწავლებელში ხელნაწერი ჟურნალის გამოსაცემად, რომელსაც თვითონვე რედაქტორობდა. ჟურნალში სხვა სკოლების მოსწავლეებიც თანამშრომლობდნენ."

გოგლას სამშობლოს სიყვარულის გრძნობა უკვე ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი, როცა 13 წლის ყმაწვილს გენიალურმა პოეტმა ვაჟა-ფშაველამ "ნაჯაფარი მარჯვენა თავზე დაადო" და "ნიჭიერ ბავშვს "დაქანებული ზვავის სიმარდე და ხარის გამძლეობა" დაანათლა.

მასწავლებელთა შორის გ. ლეონიძეს გამორჩეულად უყვარდა მცოდნე და გულისხმიერი პედაგოგი, ცნობილი მწერალი ვასილ ბარნოვი, რომელიც თავის აღსაზრდელებს სამშობლოს სიყვარულის გრძნობას უნერგავდა. ბარნოვმა კარგად იცოდა, რომ გოგლა ლექსებს წერდა, ახალბედა პოეტს მასწავლებელი სიყვარულით ეთათბირებოდა, ურჩევდა, მეტი ეწერა.

პოეტის მეგობარი სპ. კიკაჩეიშვილი მაშინდელ ვითარებას ასე იხსენებს: "... ვ. ბარნოვმა როცა ჩვენი რვეულები გაასწორა, მოგვმართა: ჩვენ ვიცნობთ ლექსწერის ფორმებს და კანონებს. ყველა თქვენგანს შეუძლიან ლექსის წერა, მაგრამ უნდა გახსოვდეთ ერთი რამ: როდესაც ესა თუ ის ოსტატი გააკეთებს რაიმე ნივთს, ვამბობთ, - ეს ნივთი ხელოვანს გაუკეთებიაო, ხოლო როდესაც მეორე ოსტატი ამავე ნივთს უფრო უკეთ გააკეთებს, ვიტყვით ხოლმე, ეს ნივთი ნამდვილ ხელოვანს გაუკეთებიაო. ასეა ლექსის წერის საქმეც. ყველა თქვენგანის დაწერილ ლექსზე ვერ ვიტყვით, რომ ეს ლექსი ნამდვილ ხელოვანს დაუწერია, გ. ლეონიძეს კი ჩემს მიერ მიცემული თემა ლექსად დაუწერია და ნიჭიერადაც. ეს ლექსი მართლაც ხელოვანის დაწერილია.

ვ. ბარნოვმა დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა გოგლას და გაბრწყინებული სახით გადასცა რვეული" (გაზ. "კომუნისტი". 1959 წ. №303)

გ. ლეონიძემ თითქმის ერთდროულად დაიწყო წერა და ბეჭდვა, როგორც პოეტმა და მშობლიური ლიტერატურის მკვლევარმა. მისი პირველი ლექსი - "მცხეთა" 1911 წელს დაისტამბა გაზეთ "სინათლეში", რომელსაც რედაქტორობდა ცნობილი პედაგოგი და პუბლიცისტი ივანე როსტომაშვილი. იმავე ხანებში გამოქვეყნდა გოგლას პირველი წერილებიც საქართველოს ისტორიული ძეგლების შესახებ, ესენი იყო: "სამების მონასტერი გარე კახეთში" ("სახალხო გაზეთი", 1912 წ. №638, 640), წერილი ნინოწმინდის ტაძრის შესახებ ("სახალხო გაზეთი", №48...).

საყურადღებოა გ. ნამორაძის მოგონება გიორგი ლეონიძეზე, როგორც ახალბედა მკვლევარზე: "1912 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში გ. ლეონიძე მოვიდა "სახალხო გაზეთის" რადაქციაში, სადაც იმ დროს ვმუშაობდი. - რისთვის გარჯილხარ ყმაწვილო? - შევეკითხე მე. ყმაწვილმა გამაცნო თავი: სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე ვარო, - მითხრა მან და მოსწავლის რვეულში სუფთად გადაწერილი წერილი გადმომცა.

რვეული გადავშალე, მისი სათაური იყო "სამების მონასტერი გარე კახეთში". სათაურმა დამაინტერესა.

- ვინ გამოგატანა, ბიჭო ეს წერილი? - ვკითხე მას.

მან მორცხვად ჩაიღიმა და თავჩაღუნულმა მიპასუხა: არავინ, მე თვითონ ვიყავი სამების მონასტერში, დავათვალიერე, ცნობები საქართველოს ისტორიაში ვნახე და მერე ეს დავწერე.

მე გამეღიმა. ვიფიქრე, ამ ბავშვს ასეთ რთულ თემაზე რა უნდა დაეწერა-მეთქი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი კვირა დავუნიშნე ვადად, რომ მოსულიყო და შედეგი გაეგო.

ახალგაზრდა გ. ლეონიძე გამომემშვიდობა და წავიდა. წერილი გაზეთში გამოქვეყნდა 1912 წლის №638-640-ში.

წერილი იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ გამოხმაურებაც ჰპოვა ივრელის წერილის სახით - "კიდევ სამების მონასტრის გამო", რომელიც "სახალხო გაზეთის" 650 - ნომერში იყო მოთავსებული" ("ლიტერატურული გაზეთი" 1959 წ. №52)

გ. ლეონიძეს არასოდეს განელებია მშობლიური სოფლის სიყვარული, სადაც მან ბავშვობის ნეტარმოსაგონარი წლები გაატარა და აი, ვისაც მისი ხანდაზმულობის დროს დაწერილი პროზაული ნაწარმოები "ნატვრის ხე" წაუკითხავს, ნათლად წარმოიდგენს, როგორ ეხმატკბილებოდა ლამაზ პატარძეულს.

დიდი თუ პატარა "ნატვრის ხის" კითხვის დროს ცოცხლად წარმოიდგენს მის ავტორს და თითქოს ყურში ჩაესმის პოეტის ბუხუნა ხმა "...კი არ უნდა ვწერდე, ყვავილებით უნდა ვწნავდე, ჩემი სოფლის ყვავილებით უნდა ვქსოვდე ამ წიგნის კაპადონებს, შიგ ჩემი სოფლის ცისა და მიწის ღიმილია ჩაღვრილი, შიგ ჩემი ყრმობის სუნთქვაა".

## გიორგი ხორგუაშვილი

# სადღეგრძელო და ლექსი ერთია

თეზში ჩაფესვიანებული სილაგაძენი: დიდი ლადოც, მისი შვილი - დავითიც, პატარა ლადოც, - სახელგანთქმული მევენახეები იყვნენ. დიდ ლადოს აუშენებია თავის ზვრების შესაფერისი მარანი, თავისი დედაბოძითა თუ თავხეებით, საწნახელითა თუ თაროებით დამშვენებული, მიწაში უფრო დიდი სიმდიდრე იყო ჩამალული - საზედაშე ქოცოებით დაწყებული თალარისა და ოცდასამკოკიანი ქვევრებით დაგვირგვინებული და ისინი ყოველ წელიწადს ივსებოდნენ და იცლებოდნენ. ნათესავ-მეზობელ-მეგობრების გარდა სხვაც ბევრი სტუმარი გაუსტუმრებიათ ამ მარნიდან.

სილაგაძეების სახელოვანი მარანი, როგორც იტყვიან, ერთ მშვენიერ დღეს დაულოცია გიორგი ლეონიძეს, რომელსაც ლექსპრომტიც მიუწერია მარნის კარებზე...

სუფრა "მაღლა-ოთახში" გაიშალა, გალაღებულ ოთახში, სახელდახელო შეპურმარილება განეზრახათ, გიორგი ლეონიძე სუფრის თავში, სათამადო ადგილას დასვეს.

ჯერ "ღვინჯუა" არ დაწერილიყო.

იქნებ, სწორედ იმ ხანებში ჰქონდა უზურში "ნატვრის ხის" შექმნა, წიგნი - შედევრისა, ნოველებიან რომანადაც რომ ითქმის და ქართული მიწის ფერ-სურნელებით არის გაჯერებული, ქართული ჰაერით სუნთქავს, ქართულ მზეშია ამოვლებული. ლეონიძისეული დიდოსტატობით არის აშენებული ქართული სოფელი, სადაც მკვიდრობენ სხვადასხვა ხასიათის ადამიანები, სიკეთითა და სიყვარულით გულნაჯერები, ქართველნი, გამრჯენი და მომლხენნი, მამა-პაპეული კუთილტრადიციების მიმდევარნი, მშობელ მიწაში ფესვგადგმულნი, მშობლიურ ცისკარსა და ცას მიჩერებულნი, ისიც რომ ძალუძთ: თავიანთკენ მიაქციონ სოფელში შემოჭრილი ავყიები, ავსიტყვანნი, ავკაცები, ავი ძაღლისა და ავი პატარძლის პატრონები. და ეს ადამიან-ხასიათები დახატულნი არიან მსუყე ფერებით, პირიდან რომ სულ ხატოვანი თქმანი ამოსდით, ბაჯაღლო და ცისნატეხა სიტყვები სცვივათ, ბევრი მათგანი რომ სხვაგან არსად გაგონილა, მხოლოდ იმ სოფელსა თუ უბანში, ანდა თვით გიორგი ლეონიძის საწერში ხარობს.

ჰო, ჯერ "ღვინჯუა" არ დაწერილიყო.

აქ, თეზში, სილაგაძეეების დიდ სუფრაზე კი გიორგი ლეონიძე აკურთხეს თამადად, არც მას გაუტატანებია ხელები.

"ყველამ იცოდა, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო, ტოლს ვინ დაუდებდა. სად იყო მისი ფანდი?"

სველი სალვინეები მოაძუგძუგეს, თიხის ჯამებში რომ ჩაუშვეს, ისევ შიშინებდა ხუთკოკიანი ქვევრიდან ახალი ამოჩქაფუნებული.

"ღვინო ქართველი კაცის ხმალია".

სილაგაძეების დიდ სუფრას ორმოცამდე სტუმარი ამშვენებდა. სტუმრები და რა სტუმრები!

ყოველ სადღეგრძელოს საკადრისი სიმღერა მოსდევდა, ერთი კი არა, ბარე ორი მაინც, სიმღერები და მერე რა სიმღერები! ადვილი წარმოსადგენია, როგორი ჟრუანტელი დაუვლიდათ თვით მესუფრეებსაც და ზეზემტრიალებლებსაც, ზურაბ ანჯაფარიძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ აბესალომის არიას ამოიმღერებდა, დავით გამრეკელი - მურმანისას. იგივენი რომ აბესალომისა და მურმანის დუეტშიც შეებმებოდნენ შაშვი-კაკაბივითა, პეტრე თომაძე და გივი ტორონჯაძე რომ შეეტოლიტოლებოდნენ და საამო ღვინით შეზარხოშებულნი ამოიმღერებდნენ.

ცა რომ შებაცდა, თამადა მაშინ წამოიმართა სალვთისმშობლოს სათქმელად, წამოიმართა განიერი ბექებითა და სასმისიც შეიმარჯვა.

ღიმილი გაიუხვა პოეტ-აკადემიკოს-თამადამ და თავისებურად ჩამოქნა საყოვლადწმინდაო სადღეგრძელო, მაგრამ ეს ბოლო, დამამთავრებელი სადღეგრძელო არ გამომდგარა.

- ერთი, ის ქვევრი მანახეთ, საიდანაც ეს ღვინო ამოდიოდაო.

დიდი სიამოვნებითო და სტუმრები შეიპატიჟეს მარანში.

ოცდასამკოკიანს მოშვლიპეს თავი.

ქვევრის თავი სველი ჩვრით გადაწმინდეს. მერე გამოჩნდა წარწერა: "სოსო ბარნაბიშვილი"

- ეს რომელი სოსოა?! - იკითხა გიორგი ლეონიძემ, - ქვევრის თავზე წარწერა რომ ამოიკითხა.

სოსო ბარნაბიშვილი გიორგი ლეონიძის ყრმობის დროინდელი, თანაგიმნაზიელი, თანაკლასელი მეგობარი იყო. იგი თეზში ჩაფესვიანებული, სახელგანთქმული მევენახისა და მეურნის ლადო სილაგაძის სიძე აღმოჩნდა.

როცა მარანში ქვევრებსა ყრიდნენ, ქვევრების თავზე მათი მომაგეების სახელებიც ამოკაწრეს. ერთს მარნის პატრონის სახელი დააწერეს, მეორეს ამ ოჯახის სიძის სახელი და გვარი ამოაკაწრეს - "სოსო ბარნაბიშვილი".

- არ იტყვით, ეს რომელი სოსო ბარნაბიშვილია?! - კვლავ იკითხა გიორგი ლეონიძემ.

- დიდი სოსო.

- "სოსო ბარნაბიშვილი", - კვლავ ამოიკითხა ქვევრების თავის წარწერა. - ისევ ისევ ბრეცელა ხელით დაუწერია, გიმნაზიაშიც ასეთი ბლაგვი ასოებით წერდა.

დიდი სოსო იმ დროისათვის ცოცხალი აღარ იყო. სამაგიეროდ იქა ტრიალებდა მისი შვილი - ავთანდილ ბარნაბიშვილი.

გიორგი ლეონიძემ დიდი სოსოს სადღეგრძელო დალია, მერე გამომარტოვდა, გამოიხურა მარნის კარები და დიდი ასოებით დააწერა ლექსპრომტი. მერე თავისთან იხმო ავთანდილ ბარნაბიშვილი, ქვევრის თავზე მსხდომნი ზურაბ ანჯაფარიძე და ბარე ორი სხვა მეინახე და ხმამაღლა წაუკითხა მარნის კარებზე იმ წუთას მიწერილი:

### სოსო ბარნაბიშვილს

სალამი და გამარჯვება,
ჩემო ძმაო, სოსო!
მე მინდა, რომ ამ შაირმა
გული დაგიკოცნოს.
ამ ოჯახის სიქადულო,
სოსო, დიდო ბოძო,
შენს მარანში ვიქეიფე,
აქ მოვხადე ქოცო,
მოგიგონე, გადღეგრძელე,
ყრმობის სირინოზო.
შენი ბიჭიც გადავკოცნე,
დაგილოცე, სოსო,
ჩვენი ყრმობაც მოვიგონე,
გულმა გული კოცნოს,
ჩვენი ძველი მეგობრობა
ყველამ გაიოცოს,
გაუმარჯოს საქართველოს,
ვინც მის ძუძუ კოცნოს!

2-XII-57 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ გოგიაშვილი

# შალვა კარმელის ლექსების ტექსტის დადგენისათვის

(ეძღვნება პოეტის დაბადებიდან 100 წლისთავს)

"ქართული პოეზიის მითოლოგიას შეემატა კიდევ ერთი უსპეტაკესი სახელი, კიდევ ერთი გმირი". - წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი შალვა კარმელის (გოგიაშვილი) შესახებ. პოეტი დაიბადა 1899 წელს ქუთაისში, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გადავიდა თბილისში და სწავლობდა უნივერსიტეტში სიტყვიერების ფაკულტეტზე.

პაოლო იაშვილი იგონებდა: "1915 წელს, - ჩემთან მოვიდა ბავშვი, რომელმაც დამიტოვა რვეული ლექსებით და თითქმის ვერაფერი მითხრა. ის იყო, როგორც ნიბლია. გადავიკითხე ლექსები და იმ ღამესვე წავედი ვალერიან გაფრინდაშვილთან. ბავშვურ შთაგონებაში ჩვენ დავინახეთ მომავალი ძმა ჩვენს ორდენში - შალვა კარმელი. იმ დღიდან ჩვენ ძმები ვიყავით".

ქართველ სიმბოლისტთა - "ცისფერყანწელთა" შორის ყველაზე ახალგაზრდა პოეტმა ფსევდონიმად "კარმელი" აირჩია (კარმელი არის მთა პალესტინაში ქ. ხაიფის მახლობლად. 1156 წ. კარმელის მთაზე დაარსდა მონაზონთა საზოგადოება, რომელიც ცნობილია, როგორც "კარმელიტების ორდენი").

თავისი ფსევდონიმის შესახებ ასე სწერდა პოეტი:

**"ჩემთვის მყუდრო მარტოობა**
**არის სევდის გამქარველი,**
**მარტოობა რომ შევიტკბე**
**მიტომ მქვია მე კარმელი!"**

სამწუხაროდ, არ დასცალდა უბედურ პოეტს ნიჭის მაქსიმალური შესაძლებლობანი ეჩვენებინა თავის შემოქმედებაში. უკურნებელი სენით დაავადებული შალვა კარმელი გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა 1923 წელს, 24 წლის ასაკში. დასაფლავებულია ქუთაისში (საფიჩხიის სასაფლაოზე).

გრიგოლ რობაქიძე ოვანეს თუმანიანის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ლექსში ასეთი სტრიქონებით მიმართავდა ქართველ პოეტთა ძმას და მეგობარს - ოვანეს თუმანიანს:

**"ვიცი! იქნები საფლავის ხნულთან,**
**გულდათუთქული - ჩვილთა მფარველი.**
**ოვანეს ტკბილო! მიიკარ გულთან**
**ჩემი ალკა და შალვა კარმელი!"**

ალკა (ალექსანდრა) გრ. რობაქიძის დაღუპული შვილი - პატარა გოგონაა.

შალვა კარმელის ლექსების კრებული "ბაბილონი" გამოვიდა 1921 წ. ორი, გამოსაცემად გამზადებული წიგნი "აპოკალიპსის ცხენები" და "თეთრი გიორგი" - პოეტის გარდაცვალების შემდეგ უგზოუკვლოდ დაიკარგა (ინახებოდა რაჟდენ გვეტაძესთან).

ვალერიან გაფრინდაშვილი ასეთ შეფასებას აძლევდა შალვა კარმელის შემოქმედებას: "შალვა კარმელი, უპირველეს ყოვლისა, რითმის კავალერი იყო... პოეზია და ლექსი იყო სტიქია შ. კარმელის. ის კულტურული იყო ზედმიწევნით და იყო ნიშნები, რომ ის გახდებოდა ქართული პოეზიის ტეოდორ დე ბანვილი, რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა რითმა".

1960 წელს, შალვა კარმელის გამოსაცემად გამზადებული ლექსების კრებული, საქართველოს კომპარტიის ცეკას განკარგულებით, როგორც იდეოლოგიურად მიუღებელი, განადგურებული იქნა.

1970 წელს, საბჭოთა პერიოდში პირველად, მაინც გამოიცა შალვა კარმელის "ლექსები", ხოლო 1982 წელს, - "სემირამიდის ბაღი" (ქუთაისში) მისი ძმის, მწერალ კუკური გოგიაშვილის ძალისხმევით. სამწუხაროდ, საბჭოთა რედაქტორების მიერ მრავალი ლექსი შემოკლებული, გადაკეთებული და დამახინჯებულია, რაც არასწორ შთაბეჭდილებას უქმნის მკითხველს და ლექსებს უკარგავს პოეტურ ღირებულებას.

სწორედ ამიტომ, საჭიროდ ჩავთვალეთ, ქართული კულტურისათვის ფაქტობრივად დაკარგული პოეტის - სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის (1921 წ.) ერთ-ერთი პირველი და სრულიად ახალგაზრდა წევრის - შალვა კარმელის ლექსების ტექსტის შედარება მოგვეხდინა (1921 წლის გამოცემა) საბჭოთა გამოცემასთან ("სემირამიდის ბაღი" -1982 წ. ქუთაისი. უფრო ვრცელი გამოცემა, ვიდრე 1970 წ. "ლექსები"), რათა თვალნათლივ გვეჩვენებინა, თუ რაოდენ არ შეესატყვისება ღედანი და ზემოხსენებული გამოცემანი ერთმანეთს.

მივყვეთ ქრონოლოგიურად 1982 წლის გამოცემას სახელწოდებით "სემირამიდის ბაღი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსი "ეს როდის იყო" გვ. 6. II სტროფის დასაწყისში არის:

**"ის ლურჯი კაბით გამოდიოდა,**
**როგორც ეთერში ახალი მთვარე".**

უნდა იყოს:

**"ის ლურჯი კაბით გამოდიოდა,**
**როგორც ეთერში კვირული მთვარე".**

მე-4 სტროფი. არის:

**"ღამით ამკობდა ცრემლების მძივი,**
**ნეტავ დად მყავდეს, ანდა დობილად".**

უნდა იყოს:

**"ღამით ამბობდა ცრემლების მძივი:**
**ნეტავ დად მყავდეს, ანდა დობილად".**

გადასწორებულ ტექსტში "ამკობდა" უბრალოდ ზმნის ფუნქციას ასრულებს, როცა ორიგინალის "ამბობდა" მიგვითითებს, რომ 10 წლის ბავშვის ცხოვრებაში პირველად მოსული ტრფიალის გრძნობა ჯერ კიდევ გაუთვითცნობიერებულია და პატარა ბავშვის სურვილი, ყოველთვის ახლოს იყოს ამ გოგონასთან მეტაფორულად გადატანილია მისი ცრემლების "მძივზე", რომელიც "ამბობს": "ნეტავ დად მყავდეს, ანდა დობილად".

ლექსი "ვერდის". გვ. 8. მე-3 სტროფი. არის:

**"კამელიები ნაზ ტრავიატის**
**მე შლეიფებად შემომესია"...**

ე. ი. ტრავიატის კამელიები შლეიფებად შემომესიაო. კამელიების შლეიფებად შემოსევა ძნელი წარმოსადგენია.

უნდა იყოს:

**"კამელიებით ნაზ ტრავიატას**
**მე შლეიფები გადამესია".**

ე. ი. ნაზ ტრავიატას (რომელიც კამელიებითაა) შლეიფები გადამესია (ე. ი. გადამეხვიაო). მით უმეტეს, რომ სიტყვა "გადამესია" უფრო ეხმიანება მუსიკალურად რითმას - "რადამესია", ვიდრე სიტყვა "შემომესია".

ბოლო სტროფში სიტყვები: "პალაცცო" და "ლიბრეტტო"-ს თანხმოვნები გაორებულია (ორიგინალში) რაც, ჩემი აზრით, თავისებურ მუსიკალობას ანიჭებს დიდი კომპოზიტორისადმი მიძღვნილ ლექსს. საბჭოთა გამოცემაში ეს თანხმოვნების გაორება ამოღებულია.

ლექსი "სანბენიტო" გვ. 9.

სათაურის შემდეგ კურსივით გამოყოფილია ეპიგრაფი (ორიგინალში):

**"და მე ვკვდები, რადგანაც მე არ ვკვდები!**
**წმ. ტერეზა".**

1982 წლის გამოცემაში ეს ეპიგრაფი ამოგდებულია (რასაკვირველია, იდეოლოგიური მოსაზრებით).

შემდეგ მე-2 სტროფში არის:

**"და მზე ახალ დღეს არ გაგვითენებს".**

უნდა იყოს:

**"და მზე აღდგომას არ გაგვითენებს".**

მე-5 სტროფი საერთოდ გამოტოვებულია.

უნდა იყოს:

**"ო, ეს სოფელი: წმინდა, ფარული, -**
**არ იქნებოდეს ნეტავ რიოში...**
**სხვებისთვის ლოცვა და სიყვარული**
**მეც გამყვებოდა საიქიოში!"**

სხვებისთვის ლოცვა და სიყვარული და საიქიოში ამის გაყოლა კომუნისტური იდეოლოგიით დაუშვებელია!

მე-6 სტროფი. არის:

**"დგას ეშაფოტი მთვარის, ფაქიზი,**
**სად პოეტები ცეცხლით იწვიან,**
**გული მაქვს სუფთა, როგორც ნარგიზი,**
**და სანბენიტო გადამიცვია".**

არ ვიცი, ამ ლექსის გადამკეთებელს ჰქონდა თუ არა "ნარგიზივით სუფთა გული", მაგრამ უნდა იყოს:

**"სდგას ეშაფოტი მთვარის ფაქიზი,**
**ცოდვილი სულნი სადაც იწვიან,**
**მივალ ამაყად გულშენაქეზი**
**და სანბენიტო გადამიცვია!"**

რედაქტორ-გადამკეთებლის "ცოდვილი სული" მართლაც იწვის ქართული პოეზიის ისტორიის წინაშე!

მე-7 სტროფი. არის:

**"დგანან კოცონთან გასაოცრები,**
**ყველას თავები დაუზნექია,**
**ო, ჩემო ძმებო და მეგობრებო,**
**ინკვიზიტორი ჩვენთვის ჭლექია!"**

უნდა იყოს:

**"მაღალ კოცონთან სდგანან მწყობრები,**
**ყველას თავები დაუზნექია,**
**თქვენ ჩემო ძმებო და მეგობრებო:**
**ინკვიზიტორი ჩვენთვის ჭლექია!"**

ლექსი "მთვრალი თვალები" გვ. 10.

მე-3-ე სტროფი. არის:

**"ვიცნობ შეხვედრას აშლილ ხმალებთან**
**და ტრამალების სანგრებში წოლას":**

უნდა იყოს:

**"ვიცნობ შეხვედრას აშლილ ხმალებთან**
**და ტრამალებთა სანგრებში წოლას":**

შემდეგ მე-5 სტროფი. არის:

**"მაგრამ წავიდა ყველა დარდები,**
**არც საყდრები და არც ქროლვა მტრედის"**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იყოს:
**"მაგრამ წავიდა ყველა დარები,**
**არც საყდარები, არც ქროლვა ტრედის".**

მე მგონი კომენტარი არ სჭირდება "დარდებსა" და "დარებს" შორის განსხვავებას!

მე-6 სტროფი. გადამკეთებლის ერთ-ერთი "შედევრია"!

არის:
**"და ჩნდება სარკე გაბრწყინვალებით:**
**შენი თვალები მე სადაც მწვავდა,**
**ეშაფოტს ჰგავდა ნამტირალებით**
**და ტრფიალებით თანდათან მკლავდა!"**

თურმე ნამტირალები თვალები ეშაფოტს ჰგავდა?!

უნდა იყოს:
**"და ჩნდება სარკე გაბრწყინვალებით:**
**შენი თვალები, მე სადაც მწვავდა,**
**ეშაფოტს ჰგავდა ნამტრი ალებით**
**და ტრფიალებით თანდათან მკლავდა!"**

მტრული ალის გაკვესებით თვალები ეშაფოტს ჰგავდა!

კარმელის შემოქმედება გამოირჩევა შიდა რითმების სიუხვით, რაც ეგზომ დამახასიათებელი იყო ცისფერყანწელებისათვის.

ლექსი "სახრჩობელა მომდურავზე" გვ. 12.
I სტროფი. არის:
**"შევხვდებით ხშირად ჩვენ საღამოს**
**პარალელურად,**
**ხარ მარმარილოს მთვარეული,**
**მკრთალი პუდრებით"**

უნდა იყოს:
**"შევხვდებით ხშირად საღამოში**
**პარალელურად,**
**ხართ მარმარილოს მთვარეული,**
**მკრთალი პუდრებით".**

II სტროფი. არის:
**"ვინ დაგვაშორა უმიზეზოდ**
**ბავშვები წმიდა?**
**ქალწულს სიზმრების ქარავანი**
**ერთხელ გიალე".**

ე.ი. ქალწულს გავუმხილე ჩემი სიზმრებიო.

უნდა იყოს:
**"ვინ დაგვაშორა უმიზეზოდ**
**ბავშვები წმიდა!**
**ქალწულ სიზმრების ქარავანი**
**ერთხელ გიალე".**

პოეტი აქ ჯერ გაუმხელელი "სიზმრების ქარავანს" უწოდებს "ქალწულ სიზმრებს". ეს კი სულ სხვა დატვირთვის მატარებელია და პოეტური შედარებაა.

მე-3 სტროფი. არის:
**"ვუახლოვდები სახრჩობელას ჩუმად,**
**სასტიკად.**
**უკანასკნელო სიყვარულო, დაშრი**
**ალებით!"**

უნდა იყოს:
**"ვუახლოვდები სახრჩობელას ჩუმად,**
**სასტიკად,**
**უკანასკნელო ტრფიალებო,**
**- დაშრი ალებით!"**

მე-4 სტროფი. არის:
**"ჩვენ ასე ვივლით, ო, ძვირფასო, პარალელურად".**

უნდა იყოს:
**"ჩვენ ასე ვიართ, ო ძვირფასო, პარალელურად"-**

ლექსი "ერანის სარკეში" გვ. 16.
I სტროფი. არის:
**"მზის გახურებულ ბრაზმა,**
**მინა გარუჯა წმინდა".**

უნდა იყოს:
**"მზის გახურებულ ბრაზმა,**
**მინა გარუჯა წვიდან".**

თუ გადაკეთებულ ტექსტში მზისაგან გახურებული მინა უშუალოდ "წმინდად" (?) არის განმარტებული, დედანში ახსნილია, თუ "მზის ბრაზმა" როგორ გარუჯა მინა "წვიდან" - ე. ი. დაწვით.

მე-5 სტროფი. არის:
**"და ხაიამის ერანს**
**ჰკოცნის ღვთაება ქაფის".**

უნდა იყოს:
**"და ხეიამას ერანს**
**ჰკოცნის ღვთაება ქაფის".**

მე-6 სტროფი: საერთოდ გამოტოვებულია.
უნდა იყოს:
**"ვხედავ გარინდულ ხალიფს**
**თრობას ჰაშიშით იშვენს...**
**და ხან აკივლებს ქალებს**
**ჭრელ ხალიჩაზე შიშველს!"**

საბჭოთა გამოცემებში ხალიფს აკრძალული ჰქონდა ჰაშიშით "თრობა" და ქალების აკივლება!

ლექსი "ყვითელ თოვაში". გვ. 18.
გამოტოვებულია მე-3 სტროფი. უნდა იყოს:
**"გავალ ყვითელ თოვაში**
**ფორიაქით ცვივიან...**
**ველარაფერს მოვაშენ...**
**ირგვლივ რა სიცივეა!"**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოტოვებულია აგრეთვე მე-5 სტროფი. იგი მართლაც სუსტია და არ შეესატყვისება მთელი ნაწარმოების ლექსიკას.

ლექსი "ყვითელი მესსა". გვ. 19.

მე-2 სტროფი. არის:

**"ვარ კოცნით სავსე წმინდა ხელებით".**

როგორ უნდა გაივსო კოცნით წმინდა ხელებით? აქ, ეტყობა, კორექტურული შეცდომაა და უნდა იყოს:

**"ვარ კოცნით სავსე წმინდა ხელების".**

ბოლო ორი ტაეპი. არის:

**"დღეა მზიანი, ღრუბელი მიდის**
**ტყე გასურნელდა ფიჭვის ღარებად".**

ფიჭვის ღარებად გასურნელება ჩვენ არ გაგვიგია!

უნდა იყოს:

**"დღეა მზიანი, ღრუბელი მიდის**
**ტყე გასურნელდა ფიჭვის ღვარებად".**

ლექსი "მკვდარი ბრიუგე" გვ. 24. უნდა იყოს "მკვდარი ბრიუგგე".

მე-3 სტროფი. არის:

**"გუშინ ვაგონში ფერმკრთალები**
**შიშობდნენ ჭლექზე,**
**მათი ოცნება ნაღვლიანი**
**ილტვოდა ცისკენ".**

უნდა იყოს:

**"გუშინ ვაგონში ფერმკრთალები**
**შიშობდნენ ჭლექზე,**
**ისროდა ველებს სექტორებად**
**უცხო მედისკე".**

აქ მხატვრულადაა გადმოცემული ვაგონის ფანჯრიდან დანახული ველები, რომლებსაც თითქოს სექტორებად ისვრის დისკოს (ბადროს) მსროლელი, ხოლო "მათი ოცნება ნაღვლიანი ილტვოდა ცისკენ" გადამკეთებელ-რედაქტორის "შემოქმედებაა".

იმავე სტროფში შემდეგი 2 ტაეპი ასეთია (1982 წ. გამოცემა)

**"მე კი მართობდა მხოლოდ ერთი ძვირფასი ლექსი:**
**"მიმქონდა ხსოვნა ელენესი იმერეთისკენ".**

უნდა იყოს:

**"მე კი მათრობდა მხოლოდ ერთი ძვირფასი ლექსი:"**

ელენეს ხსოვნის ლექსით გართობა და დათრობა ერთი და იგივეა გადამკეთებლისათვის.

მე-4 სტროფი. არის:

**"დაუტირებლად შენ ცოფიან**
**გრიგალში ქრები,**
**როს ყველა ცრემლი დაუტოვე**
**საყვარელ თბილისს".**

უნდა იყოს:

**"დაუტირებლად შენ ცოფიან**
**გრიგალში ქრები,**
**როს ყველა ცრემლი დავუტოვე**
**საყვარელ თბილისს".**

ჯერ-ერთი გადასწორებულში აღრეულია პირველი პირი მესამე პირთან, მეორე - ლექსში ქუთაისი შედარებულია "მკვდარ ბრიუგესთან" და პოეტი აფრთხილებს:

**"მკვდარო ქალაქო გაიღვიძე!**
**მოვიდნენ მტრები**
**და მოახლოვდა შებრძოლება,**
**სითეთრე დილის,**
**დაუტირებლად შენ ცოფიან**
**გრიგალში ქრები,**
**როს ყველა ცრემლი დავუტოვე**
**საყვარელ თბილისს".**

ე. ი. დაუტირებელი დარჩები გრიგალში გაქრობის შემდეგ, რადგან ყველა ცრემლი დავუტოვე თბილისსო და არა შენ (ქუთაისო) დაუტოვე ცრემლები თბილისსო?!

შემდეგ მე-5 სტროფი. არის: "მშობელო მიწავ, სამუდამოდ ვარ მე წყეული

და ვერ ავცდები დამარცხებას, სირცხვილს, ეშაფოტს!"

საერთოდ, ბოლო სტროფი კლასიკური მაგალითია იმისა თუ მრავლობითი რიცხვის მხოლობითი რიცხვით შეცვლით, როგორ შეიძლება აზრის დიამეტრალურად შეტრიალება.

უნდა იყოს:

**"მშობელო მიწავ, ორივენი**
**ვართ ჩვენ წყეული**
**და ვერ ავცდებით დამარცხებას,**
**სირცხვილს, ეშაფოტს!"**

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლექსი დაწერილია 1919 წელს, პირველი მსოფლიო ომის და 1917 წლის რევოლუციის კატაკლიზმების შემდგომ:

**"თავზე გვეცემა ძველ ღმერთებით**
**ცა შერყეული,**
**უნდა გავექცე ამ ქვეყანას**
**საგველეშაპოს...**
**მშობელო მიწავ, ორივენი**
**ვართ ჩვენ წყეული**
**და ვერ ავცდებით დამარცხებას,**
**სირცხვილს, ეშაფოტს!"**

რა ფატალური წინათგრძნობაა 1921 წლის!

ლექსი "გამოთხოვება სულთან ავადმყოფ სხეულის". გვ. 26. და არა "ავადმყოფი სხეულის", როგორც ეს არის გადაკეთებული.

მე-3 სტროფი. არის:

**"კვლავ ბოდიშს ვიხდი უსათუოდ**
**ჩემი ცხოვრებით,**
**ვერ განებივრე ლაჟვარდოვან**
**ლალ-საძოვრებით".**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იყოს:
**"კვლავ ბოდიშს ვიხდი უსათუოდ**
**ჩემი ცხოვრებით,**
**ვერ განებივრე ლაჟვარდებით და**
**საძოვრებით, -"**

ბოლო 2 ტაეპი არის:
**"მთვარის ეშაფოტს ჩამოვწყდები,**
**როგორ დაკლული**
**აჰ, სულო ჩემო, დამიტირე და მაპატიე!.."**

უნდა იყოს:
**"მთვარის ეშაფოტს დავიწვები,**
**როგორც დაკლული,**
**ახ, სულო ჩემო, დამიტირე და მაპატიე!.."**

ლექსი "მასკები კარნავალში". გვ. 29.

ლექსი მიძღვნილია ვალერიან გაფრინდაშვილისადმი, მაგრამ რედაქტორ-გადამკეთებლებს ეს მიძღვნა ჩვენთვის გაუგებარი მიზეზის გამო ამოუღიათ.

I სტროფი. არის:
**"მხრებზე მოიგდეს აჩრდილებმა**
**წამოსასხამი,**
**ფარულ ჯირითში მოიარეს**
**თრთოლვით ტოტები".**

ე. ი. ფარული (დამალული) ჯირითით მოიარეს მხრებზე მოგდებული წამოსასხამით აჩრდილებმა ხის ტოტებიო.

უნდა იყოს:
**"მხრებზე მოიგდეს აჩრდილებმა**
**წამოსასხამი,**
**ქარულ ჯირითში მოიარეს**
**თრთოლვით ტოტები".**

აქ კი სულ სხვა შედარებას ახდენს პოეტი: აჩრდილებმა ქარულ (სწრაფ) ჯირითში მოიარეს ხეები ისე, რომ ტოტები აათრთოლესო და დასაფარავიც არაფერი ჰქონდათ.

მეორე სტროფის მესამე ტაეპი არის:
**"თეთრ ბალდახინით გადაიყვანს**
**მთვარე პიეროს"**

უნდა იყოს:
**"თეთრ ბალახანით გადაიყვანს**
**მთვარე პიეროს".**

III სტროფის I-II ტაეპი. არის.
**"ამ აჯანყებულ საღამოში იმუქრებიან**
**ძველი ჩონჩხები ჩირაღდნებით**
**გაშლილ მდელოზე"...**

უნდა იყოს:
**"ამ აჯანყებულ საღამოში იმუქრებიან**
**ძველი ჩონჩხები ჩირალებით**
**გაშლილ მდელოზე"...**

აქ "ჩირალი" შეცვლილია "ჩირაღდანით". ჩირალი იგივეა, რაც კვარი, ხოლო ჩირაღდანი - ჯოხია, რომელზედაც ნავთში ამოვლებული ჩვარი ახვევია (იხილე "ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი". ერთტომეული. არნოლდ ჩიქობავასი).

ლექსი "ნემეზიდა" გვ. 30.

ამ 14 ტაეპიან ლექსში ორიგინალიდან მხოლოდ I ტაეპი (!) დარჩენილა (?!) დანარჩენი თუ რა დონის პოეზიაა, თვალსაჩინოებისათვის იძულებული ვართ მთლიანად მოვიყვანოთ და შევადაროთ დედანს.

I სტროფი. არის:
**"ზვიადი გრძნობა, შელახული,**
**სანამ მეზიდა, -**
**მე არ ვიცოდი, აქ უეცრად განაციები,**
**მხოლოდ, როდესაც ყვავილობდნენ**
**აკაციები,**
**ნელი-ნელ სულში მეჭრებოდა**
**მეც ნემეზიდა".**

უნდა იყოს:
**"ზვიადი გრძნობა შელახული**
**სანამ მეზიდა, -**
**მე არ ვიცოდი, არ შემეძლო**
**მოლლილ მკლავებით**
**ვით ვალერია ითრობოდი მრუშ**
**კონკლავებით,**
**როს მეხვეოდა ვნებიანად მეც ნემეზიდა -."**

II სტროფი. არის:
**"ეს არის ჩემი სასიცოცხლო ერთი გეზი და**
**კვლავ გამარჯვებას მე მპირდება**
**ბედის მთიები**
**დეზდემონაზე, ვით ოტელო,**
**შურის-მძიები,**
**ისევ ვლელდები და ვიჩქარი ასპარეზიდან".**

უნდა იყოს:
**"იყო მიმოზა, კამელია, იყო რეზედა.**
**ო, ახლა სულო ობობას ქსელს**
**რისთვის გავებით?!**
**ცა დაყირავდა ჩაბნელებულ მცდარ**
**ვარსკვლავებით.**
**მთვარეც ჩავარდა ნირვანაში**
**ასპარეზიდან".**

III სტროფი. არის:
**"მალე დაგლალავს სასიკვდილო**
**ჩემი თარეში**
**ლამაზ სიკვდილით გარდიცვლები**
**პირმანგოსანი**
**ჩემი სონეტი დაგიტირებს ლურჯ**
**კაბარეში..."**

უნდა იყოს:
**"იქნება შებმა: თუ სიბრაზეგულს არ მიადნა.**
**ლაბირინტიდან არ დამიხსნის**
**დღეს არიადნა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ერთი გზა დარჩა: გამარჯვების,**
**- ატეხილ ქარში".**

მე-4 სტროფი. არის:
**"ძვირფას კუბოსთან მუხლს**
**მოიყრის ფარ-შუბოსანი,**
**მაგრამ მით უფრო შეგიყვარებს**
**ყრუ სამარეში,**
**ვიდრე დღეს, ბედის მომდურავი**
**შენი მგოსანი!"**

უნდა იყოს:
**"უნდა ვეცადო; შეკივლებით**
**არ დამჭრას ქალმა**
**უნდა ვეცადო: რომ მოჰკვეთოს**
**პერსეის ხმალმა**
**მედუზას თავი და მივკიდო**
**მინერვას ფარში".**

როგორც ხედავთ, აბსოლუტური განსხვავებაა დედანსა და გადამკეთებელ-"შემოქმედის" "ქმნილებაში".

თურმე მაინც და მაინც "აკაციების ყვავილობის" დროს აღეძვრებოდა სურვილი პოეტს შურისძიების (ნემეზიდა ბერძნულ-მითოლოგიაში შურისძიების ქალღმერთია). რა შურისძიების სურვილი ამოძრავებდა გადამკეთებელს, ასე რომ შეუცვლია მთელი ლექსის ტექსტი ისეთი "პოეტური შედევრებით", როგორიცაა: "ბედის მთიები", "გარდიცვლები პირმანგოსანი", "კუბოსთან მუხლს მოიყრის ფარ-შუბოსანი". ნეტა რომელ შუბოსნებზეა ლაპარაკი 1919 წელს დაწერილ ლექსში, რომელიც მაცდური გრძნობების აღმძვრელი ქალის საწინააღმდეგოდ არის მიმართული.

ეტყობა ტექსტის გადამკეთებელს განსაკუთრებული შურისძიების გრძნობა ამოძრავებდა მითოლოგიური გმირებისადმი, რადგან საერთოდ არ არის ნახსენები მშვენიერი მითები არიადნაზე, ანდრომედაზე და პერსევსზე.

ლექსი "არტემიდა" გვ. 31.
I სტროფი. არის:
**"შენი თვალები კუდიანის ჯადოს ჰფარავენ,**
**მათ გამოხედვას ანგელოსი არ ეკარება.**
**მაშინებს ხალხში სხვანაირი ეგ მდუმარება,**
**პოეტს ჰგონია: რომ ყველაფერს**
**შენ მოგპარავენ".**

ე. ი. მდუმარედ რომ ხარ ხალხში, შეიძლება ყველაფერი მოგპარონო.

უნდა იყოს:
**"შენი თვალები კუდიანის ჯადოს ჰფარავენ**
**მათ გადმოხედვას ანგელოზი არ ეკარება,**
**მაშინებს ხალხში სხვანაირი შენი გარება**
**პოეტს ჰგონია: რომ ყველეფერს**
**შენ მოგპარავენ".**

ე. ი. ხალხში თუ გაერევი, შეიძლება ყველაფერი მოგპარონო. სად ხალხში გარევა და სად მდუმარება?!

მე-2 სტროფი. I ტაეპი. არის:
**"მინდა იქ მყავდე, რომ არ გნახოს**
**ქვეყნად არავინ".**

ქართული წინადადების სტრუქტურის შესაბამისად, თუ პირველ წინადადებაში ვხმარობთ ადგილის გარემოებას (სად?) "იქ მყავდე", მაშინ პასუხი უნდა იყოს მეორე წინადადებაში თუ სად. აქ არის "რომ არ გნახოს ქვეყნად არავინ". კითხვაზე სად? პასუხობს ("იმიტომ რომ") ეს რა ქართულია!

უნდა იყოს:
**"მინდა იქ მყავდე: - სადაც გნახავს**
**მხოლოდ არავინ"**

აქ კი წინადადება გრამატიკულად გამართულია "იქ მყავდე, სადაც!"

III სტროფი. არის:
**"შენ ციურ სურნელს მე ვყნოსავდი**
**ხრიზანტემიდან"**

ე. ი. ხრიზანტემის სუნი შენ სურნელს ჰგავსო.

უნდა იყოს:
**"ჩვენი საღამო სურნელია**
**ხრიზანტემიდან".**

ე. ი. ჩვენი საღამო დამათრობელია, როგორც ხრიზანტემის სურნელიო. სად შენ სურნელს ვყნოსავდი ხრიზანტემიდან და სად "ჩვენი საღამო", შედარებული "ხრიზანტემის სურნელთან".

ლექსი "სალამბოს ტრირემა". გვ. 32.
I სტროფი. III ტაეპი. არის:
**"ტყვე ქალებს გზაში ატირებენ**
**მძებნელნი ქარვის".**

უნდა იყოს:
**"ტყვე ქალებს გზაში აკივლებენ**
**მძებნელნი ქარვის".**

ეტყობა, გადამკეთებელ-რედაქტორმა ჩათვალა, რომ ტყვე ქალებს მხოლოდ ტირილის ნება ჰქონდათ გემზე, ხოლო კივილის - არა!

მე-4 სტროფი. არის:
**"ახალ იაზონს სამშობლოში**
**მომყავს მედეა".**

უნდა იყოს:
**"ახალ იაზონს სამშობლოში**
**მიმყავს მედეა".**

ლექსი "ჯეირნები პეიზაჟებში" გვ. 33.
ბოლო სტროფის I ტაეპი. არის:
**"გავყიდი სახლ-კარს ურჩი**
**ტრფიალით".**

ე. ი. დაუმორჩილებელი სიყვარულით გავყიდიო სახლ-კარს. სიყვარულით (დაუმორჩილებელი იქნება ეს თუ დამორჩილებული) მე მგონი სახლ-კარს არ ჰყიდიან.

უნდა იყოს:

**"გავყიდი სახლ-კარს ურჩი ტრფიალი".**

ეს კი სულ სხვაა. ე. ი. მე ვარ "ურჩი ტრფიალი" და ჩემი სახლ-კარი არ მენაღვლება. ამ ტაეპის კონტექსტის გასაგებად საჭიროა მთელი ლექსი წაიკითხოთ.

ლექსი "ქარვის ტირილი". გვ. 34.

ბოლო სტროფი. არის:

**"ქვრივ ქალად მიდის შემოდგომაში<br>ჩუმი ტირილი ჭლექიან ქარვის!"**

უნდა იყოს:

**"ქვრივ ქალად მიდის შემოდგომაში -<br>ჩემი ტირილი ჭლექიან ქარვის!"**

გადამკეთებელს უნდა სცოდნოდა, რომ პოეტი შალვა კარმელი ჭლექით იყო დაავადებული და ეს გარკვეულ დაღს აჩნევდა მის შემოქმედებას.

(შეგახსენებთ, რომ ტექსტები შედარდა 1921 წლის გამოცემას).

ლექსი "მარგალიტის მანიაკი". გვ. 35.

II სტროფი. I ტაეპი. არის:

**"ლეილა იხვევს ხშირად არშიებს"**, ავტორს აქვს: **"ლეილა იცვამს ხშირად არშიებს"**.

მე-3 სტროფი. I-II ტაეპი. არის:

**"აჰ, მთვარეებო! ეგ დისკოები<br>მას აბრუნებდა განზე მცქერალი".**

უნდა იყოს:

**"ახ მთვარეებო! თქვენი დისკები<br>მას აბრუებდა განზე მცქერალი".**

აქაც "აბრუნებდა-დ" ქცეულა ავტორის "აბრუებდა". მთვარის დისკები კი არ აბრუნებდნენ (ეს ახალი აღმოჩენაა ასტრონომიაში), არამედ "მას აბრუებდნენ" (მრავლობითი რიცხვი აქ მხატვრული ხერხია და არა შეცდომა).

მე-4 სტროფი. 3-4 ტაეპი. არის:

**"ჩემს გარდა ხელი არვინ აჩუქა,<br>სხვა სიყვარულით დაუნესტავმა".**

აქ ისე გამოდის, რომ არავინ მიაქცია ყურადღება და "ჩემ გარდა ხელი არვინ აჩუქაო" (საცოდავი). მაშინ, როცა უნდა იყოს:

**"ჩემს გარდა ხელი არვის აჩუქა,<br>სხვა სიყვარულით დაუნესტავმა".**

ეს კი სავსებით საწინააღმდეგო აზრია და სულ სხვა დატვირთვის მატარებელია.

ლექსი "არაბესკი". გვ. 37.

II სტროფი. I ტაეპი. არის:

**"გადაიშლება ინდოეთი ძველი ხედებით"**. აქ გადამკეთებელს "ხედი" და "ვედი" ერთმანეთში არევია, ან წარმოდგენა არ ჰქონდა, რას ნიშნავს "ძველი ვედები" - უძველესი ინდური ლიტერატურული ძეგლები (1 ათასწლ. დასაწყ. ჩვ. ე-დე).

უნდა იყოს:

**"გადაიშლება ინდოეთი ძველი ვედებით".**

III სტროფი. არის:

**"დავივლი ჩუმად დიდ პაგოდებს,<br>ყველა ვიხარებს<br>დგანან კერპები უცხო სახით,<br>მრავალ ხელებით".**

უნდა იყოს:

**"დავიარ ჩუმად დიდ პაგოდებს,<br>ყველა ვიხარებს<br>დგანან კერპები უცხო სახით,<br>მრავალ ხელებით".**

ლექსი "საფირონის ტრიოლეტები". გვ. 38.

ეს ლექსი შედგება სამი ნაწილისაგან: 1. ქარსიცხე ქუთაისში. 2. სურნელი თოვა. 3. ვით ეს სტრიქონი. ქუთაისურ გამოცემაში (1982) მესამე ნაწილში სტრიქონები არეულია (1970 წლის გამოცემაში ტექსტი სწორია).

უნდა იყოს:

**"ვით ეს სტრიქონი,<br>- ჩემი სევდაც წავა და მოვა<br>ისევ საზანდარს ატირებენ<br>მგოსნის თითები<br>გაჩნდება ლექსთა მარულაში<br>რითმების თოვა.<br>ვით ეს სტრიქონი,<br>- ჩემი სევდაც წავა და მოვა.<br>და როგორც ბურთი ბილიარდზე,<br>- ტკბილ დღეთა გროვა, -<br>გადირეკება ცის ლუზაში, ნაჯირითები.<br>ვით ეს სტრიქონი,<br>- ჩემი სევდაც წავა და მოვა<br>ისევ საზანდარს ატირებენ<br>მგოსნის თითები!"**

შედარება მოვახდინეთ ქუთაისის 1919 წლის "ახალი პოეზიის ანთოლოგიასთან" (კირჩხიბის გამოცემა).

ლექსი "სიყვარული სონეტს". გვ. 40.

I სტროფი. არის:

**"ლამაზ ქალივით შემიყვარდა<br>სონეტის ფორმა<br>მოშვილდულ რკალში ოქროს<br>თვალით მეტად კარგია".**

უნდა იყოს:

**"ლამაზ ქალივით შემიყვარდა<br>სონეტის ფორმა<br>მოშვილდურ რკალში ოქროთვალით<br>მეტად კარგია".**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსი "დიფირამბი ჰეტერას". გვ. 45.

თვალსაჩინოებისათვის მოგვყავს გადასწორებული ტექსტი და ორიგინალი თანმიმდევრობით. რა დღეში ჩაუგდიათ საბჭოთა რედაქტორებს ეს "საცოდავი" ჰეტერა, "თვით წარმოიდგინოს მკითხველმა".

I სტროფი. არის:

"ეგ შენი სხეული
დიფირამბს ელოდა,
როგორც ქალს ავხორცს თვით
შაჰის გარემი,
ვნებით სიხეული
ხარ სამეგრელოდან
მენადებს ელიან ცის შემოგარენი.

უნდა იყოს:

"ეგ შენი სხეული
დიფირამბს ელოდა,
როგორც ქალს ავხორცას
ჰაშიში, გარემი
ვნებით სიცხეული
ხარ სამეგრელოდან
მენადებს გასევენ ცის შემოგარენი".

II სტროფი. არის:

"ჰეტერას ტკივილი ტანაშლილს გატირებს,
თხის ფეხით გამორბის ნაპრალზე სილენა,
სილენა-გიჟია მტევნებით რქებზე.
გვერდები ჩაენგრა გალეშილ სატირებს,
ტყეებში, კლდეებში და მთების ქვებზე,
ქარივით მოჰქრიან სხვა მონაწილენი,
სილენა, სილენა მტევნებით რქებზე".

უნდა იყოს:

"ჰეტერის ტკივილი ტანაშლილს გატირებს,
თხისფეხით გამორბის ნაპრალზე სილენა,
სილენა დატევრილ მტევნებით რქებზე,
გვერდები ჩაენგრა გალეშილ სატირებს
ტყეებში, კლდეებში და მთების ქვებზე...
წივილით სისხლს წოვენ მზეს მონაწილენი,
სილენა... სილენა მტევნებით რქებზე".

III სტროფი. არის:

"ფრინველთა ნაზ სტვენით მზის
თხრობა ვისია,
თაფლია ველური და ღვინო - თქეში,
ევოე, ევოე, ეს დიონისეა,
მთვრალი და ყველაზე უსირცხვო თქვენში".

ამ გადაკეთებული სტროფის I ტაეპში გადამკეთებელი კითხულობს: ფრინველთა ნაზ სტვენით მზის თხრობა ვისიაო? ფრინველთა სტვენით მზის თხრობა - ასეთი ქართული მხოლოდ გადამკეთებლის შეიძლება იყოს და არა შალვა კარმელის.

უნდა იყოს:

"ფრენები, ფლეიტა, ფერხული ვისია?
თაფლია ველური და ღვინო თქეში
ევოე... ევოე... ეს დიონისია
მთვრალი და უსირცხო ყველაზე თქვენში".

მე-4 სტროფი. არის:

"მღერიან ღმერთები
ცხრა მზედ და ორ ცად
და ჩვენც ავმღერდებით
ღვთაებრივ ხორცად".

ვიცი, რომ არსებობს "ღვთაებრივი სული" და "მიწიერი, ხორციელი" ეს "ღვთაებრივი ხორცი" რაღა არის, იქნებ ვინმემ ახსნას!

უნდა იყოს:

"მღერიან ღმერთები
ცხრა მზედ და ორ ცად
და ჩვენც ავმღერდებით
გადახსნილ ხორცად".

მე-5 სტროფი. არის:

"ტრიალებს ტრამალი და ვეტრფით ტრიალს
შიშველა შროშანებს, თესლებით მტვრიანს".

აქ I და II ტაეპი საერთოდ გამოტოვებულია!

უნდა იყოს:

"სიტკბოში გატვრენას სქესები ეძებს
ღმუილით გალება მხეცებს.
ტრიალებს ტრამალი. თესლებით მტერი
შევერთეთ ბუნებას, შევერთეთ ტრიალს".

ამ სტროფის II ტაეპი დედანში ("ბახტრიონი" №21. 1922) ცოტა გაუგებარია ანდა კორექტურული შეცდომაა (სამწუხაროდ ვერ დავადგინეთ, პოეტის არქივი სახლთან ერთად დაიწვა ქუთაისში 30-იან წლებში)

ბოლო. მე-6 სტროფი. არის:

"ცხელ ველებს ვევლებით ვენახად ვაზის
და შავი ყვავილი დავყნოსედ სხვაფრად.
სიცხეში ვეშვებით ფირუზა ფაზისს
და ტანებს ტალღებში
ავზიდავთ აფრად".

საერთო არაფერი აქვს დედანთან. ეს რამხელა ტანი უნდა ჰქონდეთ, რომ "ტალღებში ავზიდავთ აფრად?!"-ო.

უნდა იყოს:

"ველები ივლება ვენახად ვაზის
შავყელა ყვავილი დავყნოსეთ სხვაფრად
შეშლილი ვეშვებით ფირუზა ფაზისს
და ტანებს ტალღები ტეხავენ მძაფრად!"

ლექსი დაწერილია 1917 წელს და მე მგონი, სავსებით შეეფერება იმ ბობოქარ პერიოდს (ნუ დავივიწყებთ, რომ "ცისფერყანწელები" სიმბოლისტები იყვნენ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსი "ბოდლერის ოფორტი". გვ. 46.
I სტროფი. მე-4 ტაეპი. არის:
**"მრუშ მირაჟებზე გზა დაბანგული".**

უნდა იყოს:
**"მრუშ მირაჟებში გზა დაბანგული".**

საშუალო სკოლა დამთავრებულისათვისაც კი ცნობილია განსხვავება სუფიქსებს "ზე" და "ში"-ს შორის, რაც სხვადასხვა აზრს ანიჭებს წინადადებას.

II სტროფი. არის:
**"ბოროტ ყვავილთა" გაბოროტებით**
**შავ ვენერაზე აშრიტა ჟინი".**

უნდა იყოს:
**"ქუჩის ყვავილთა გაბოროტებით**
**შავ ვენერაზე აშრიტა ჟინი".**

რედაქტორ-გადამკეთებელს ქუჩის ყვავილები, "ბოროტ ყვავილებად" უქცევია და ბრჭყალებში ჩაუსვამს. ჯერ ერთი, "ბოროტ ყვავილთა" გაბოროტება რა ქართულია: თუ ბოროტია, რაღა გაბოროტება უნდა?! მეორე და მთავარი! ლექსი ეძღვნება შარლ ბოდლერს და მის ცნობილ ლექსების კრებულს ჰქვია "ბოროტების ყვავილები" (1857) და არა "ბოროტი ყვავილები"! ეს ორი სულ სხვადასხვა ცნებაა. შალვა კარმელს პოეტურად აღუქვამს სოციალური ჟღერადობის თემაზე დაწერილი ამ კრებულის ერთ-ერთი ციკლის ლექსები (ადრეული შემოქმედებიდან) და მათ მთავარ გმირებს მეტაფორულად ქუჩის ყვავილებს უწოდებს, ხოლო გადამკეთებელს პირდაპირ ჩაუსვამს ბოდლერის კრებულის სათაური თვალსაჩინოდ (სადაა აქ სიმბოლისტური სკოლა?!) და ისიც შეცდომით!

III სტროფი. არის:
**"ცოდვიან ქალებს ეკაბადონა,**
**მათ ტანის სურნელს და სამკაულებს".**

უნდა იყოს:
**"ცოდვიან ქალებს ეკაბადონა:**
**მათ ტანის სურნელს, პუდრს,**
**სამკლაურებს".**

დედანის "პუდრი და სამკლაურები" არ მოსწონებია ტექსტის გადამკეთებელს და უპოვია გამოსავალი: პუდრი ამოუგდია, სამკლაურები სამკაულებად ქცეულა (პუდრი-წმინდა, რბილი და სურნელოვანი ფხვნილი - იხილე "ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი". არნოლდ ჩიქობავასი).

მე-4 სტროფი. III - 4 ტაეპი. არის:
**"ბოდლერის ლანდი ესალამურა**
**მძაფრ საუკუნის დიდებას თრობილს".**

უნდა იყოს:
**"ბოდლერის ლანდი ესალამურა**
**მძაფრ საუკუნის დიდებას.თრობილს!"**

მე მგონი, ასეთი გადაკეთება გინესის წიგნშია შესატანი, როცა ბოდლერის ლანდი "ესალამურება", ე. ი. ღამეში ლანდი მოეჩვენაო, გადამკეთებელს კი ბოდლერის ლანდი სალამურად (?!) მოსჩვენებია.

მე-5 სტროფი. არის:
**"მაგრამ დაეცა დამბლა მედგარი**
**და ნუგეშადღა ის ჰქონდა ნაღალს: -**
**პოეტის სულზე, - მამა, ედგარი, -**
**შეავედრებდნენ მეუფეს მაღალს!"**

უნდა იყოს:
**"მაგრამ დაეცა დამბლა მედგარი**
**და ნუგეშინად ის ჰქონდა ნაღალს: -**
**პოეტის სულზე: მამა, ედგარი -**
**შეევედროდენ მეუფეს მაღალს!**

მე-6 სტროფი. არის:
**"ხალხში შეიქნა მიეთ-მოეთი**
**უხმოდ კვდებოდა დენდი რაინდი".**

უნდა იყოს:
**"ხალხში შეიქნა მიეთ-მოეთი**
**უხმოდ კვდებოდა დენდი ნარინდი"**

ისევ შეცვლილია "ნარინდი" "რაინდით". განსხვავება მე მგონი ნათელია.

ლექსი "შეხერაზადას ზღაპარი" გვ. 47.
ორიგინალშია "შეხერაზადეს ზღაპარი" (შემდეგ ტექსტებშიც ეს სიტყვა გასასწორებელია).

II სტროფის I ტაეპი. არის:
**"ჰფანტავ ასული მწვედ ათინათებს"**

უნდა იყოს:
**"ჰფანტავ ასული მწველ ათინათებს".**

III სტროფი. არის:
**"ეცემა მეჩეთს ვარსკვლავთ წვეთები,**
**რომ რამაზანში ჰაშიში მოსდოს**
**და ეზიარენ მინარეთები**
**შენი ზღაპრების უნაზეს ცოდოს".**

უნდა იყოს:
**"ეცემა მეჩეთს ვარსკვლავთ წვეთები,**
**რომ რამაზანში ჰაშიში მოდვას**
**და ეზიარენ მინარეთები**
**შენი ზღაპრების უნაზეს ცოდვას".**

მე-4 სტროფი. არის:
**"ამ ძვირფას ქვების მფანტავ აზიას,**
**აყვავილებულ ხალიფის ალმებს,**
**და მეფის ქალზე ამ ფანტაზიას, -**
**ოაზისებში ვუამბობ პალმებს".**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იყოს:
"ამ ძვირფას ქვების დამფანტ აზიას,
აყვავილებულ ხალიფის ალმებს
და მეფისქალზე ამ ფანტაზიას, -
მე ოაზებში ვუამბობ პალმებს!"

მე-5 სტროფი. არის:
"იქ ბედუინი ცხელ ქარავანით
დაუცდის მტვრიან სამუმის გავლას".

უნდა იყოს:
"იქ ბედუინი ცხელ ქარავანით
შეუცდის მტვრიან სამუმის გავლას".

ლექსი "სალარნაკო მელოდია" გვ. 48.
I სტროფი. I ტაეპი. არის:
"ქარვის ფოთლები დამჭკნარა ვნებით"

უნდა იყოს:
"ქარვის ფოთლები,
გამხდარა ვნებით".

მე-3 ტაეპი არის:
"ცაში ისრულად გრძელ ქარავნებით".

უნდა იყოს:
"ისრულად ცაში გრძელ ქარავნებით".

მე-2 სტროფის მე-3 ტაეპი არის:
"უცხო მგზავრებად, ჩემი რა მიდის".

უნდა იყოს:
"უცხო მგზავრებთან ჩემი რა მიდის".

III სტროფი. II და III ტაეპი. არის:
"აზამთრულ მწუხრის ნისლურ ტევრებში?
რად მეჩვენება ნისლი ლანდური",

"ნისლი" და "ნისლი" ცოტა ბევრი ხომ არ მოსულიათ?

უნდა იყოს:
"აზამთრულ მწუხრის ნისლურ ტევრებში
რად მეჩვენება მორფი ლანდური".

მე-4 სტროფი. არის:
"იცანი, სულო, ზამბახპირული
და ზედ უდესი დებში დობილი?"

უნდა იყოს:
"იცანი, სულო, ზამბახპირული
დაზედ უდესი დებში დობილი?"

ბოლო სტროფი. არის:
"აწ ივანვარშიც ნაძვის იმ ღერებს"

უნდა იყოს:
"აწ ინვარიც ნაძვის იმ ღერებს".
შედარება მოვახდინეთ ქუთაისის ჟურნალ "აისის" გამოცემასთან (1919 წ.)

ლექსი "სონეტი მუნასიბად". გვ. 49.

II სტროფი. არის:
"ღამით ოთახში მიმინევდი
ფარულ დრამაზე
ძვირფას ალერსით ამანთებდი
ლერწმად რხეული,
ტანის ჰაშიში დამათრობდა
სენდაფრქვეული
გრძნობა მომგვრიდა ავხორცობას
უცნობ დამაზე".

ე. ი. შენი ტანის სურნელი დამათრობდა, როგორც ჰაშიში. ვფიქრობთ, აქ კორექტურული შეცდომაა და უნდა იყოს "სუნდაფრქვეული" და არა "სენდაფრქვეული". აბა "სენდაფრქვეულ" ქალზე როგორ მოჰგვრიდა გრძნობას "ავხორცობას"! და საერთოდ, სენის "დაფრქვევა" თუ გაგიგიათ? სტროფის და ლექსის კონტექსტიდან გამომდინარე, ალბათ უფრო მისაღებია!
"ტანის ჰაშიში დამათრობდა სუნდაფრქვეული".

ლექსი "გოდება გრიგალში". გვ. 54.

II სტროფის II ტაეპი. არის:
"ხუჭავენ დატეხილ ნამწმებს,
და მკვდარნი ცვივიან ხრიგალში".

უნდა იყოს:
"ხუჭავენ დატეხილ ნამწამებს
და მკვდარი ცვივიან ხრიგალში".

III სტროფის III ტაეპი. არის:
"ცხრა მთამდე!... უსაზღვროდ, ჰაიდა! -"

უნდა იყოს:
"ცხრა მთამდი!... უსაზღვროდ, ჰაიდა! -"

მე-4 სტროფი. არის:
"ვერ გახვალთ უთუოდ ალყაში!
ქაოსში ქარია მთიშველი...
არიქა... ვიხრჩობით ტალღაში...
უფალო, გვიშველე! გვიშველე!"

უნდა იყოს:
"ვერ გახვალთ უთუოდ ალყებში,
ქაოსში ქარია მთიშველი...
- არიქა... ვიხრჩობით ტალღებში...
უფალო! გვიშველე! გვიშველე!"

ლექსი "ლოცვა ხანჯლებით". გვ. 56.

4 სტროფის I ტაეპი. არის:

**"მწვავმა და უკადრილმა**
**ყელს კოცნები შეიბი".**

უნდა იყოს:

**"მწვავმა და უკადრელმა**
**ყელს კოცნები შეიბი".**

ბოლო სტროფი. არის:

**"შენთვის თუ მილოცნია**
**ყველა - ეს. გიტანჯალი...**
**აჰ, რა ვნებით გკონციან!**
**აჰ, როგორ ჰკლავს ხანჯალი!"**

უნდა იყოს:

**"შენთვის თუ მილოცნია**
**ყველა - ეს - გიტანჯალი...**
**ახ, რა ვნებით ჰკოცნიან**
**ახ, როგორ ჰკლავს ხანჯალი!"**

და ბოლო ლექსი: "ავტოპორტრეტი პროფილში". გვ. 59.

II სტროფი III ტაეპი. არის:

**"გადიფრენს ქარი მკვდარ**
**ქვეყნებზე ლანდებით ხშირით".**

ე. ი. ქარი გადიფრენს ხშირი ლანდებითო.

უნდა იყოს:

**"გადიფრენს ქარი მკვდარ**
**ქვეყნებზე ლანდებით ხშირი".**

ეს კი ნიშნავს, რომ გადიფრენს ქარი - ხშირიო!

თუნდაც ერთი ასოს დამატება რომელიმე სიტყვაზე სრულიად ცვლის მის მნიშვნელობას. სად - ხშირი ლანდები და სად ხშირი ქარი!

მე-4 სტროფი. I ტაეპი. არის:

**"ვტრიალებ დამწვარ არაბეთში**
**მზიურ ელლინად".**

დამწვარ არაბეთში შეიძლება მზიურ ელლინად უდაბნოშიც იტრიალო.

უნდა იყოს:

**"ვტრიალებ დამწვარ არაბებში**
**მზიურ ელლინად".**

აი, დამწვარ არაბებში თუ იტრიალე, ადვილად გამოგარჩევენ, მით უმეტეს თუ "მზიური ელლინი" ხარ. სწორედ ეს აზრი ჰქონდა ჩადებული ამ ტაეპში პოეტს და არა ტრიალი "უდაბნოსა შინა".

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ბოლო ტაეპი. არის:

**"მდიდარი რითმა რომ გავმართე**
**ქართულ ლექსებში".**

უნდა იყოს:

**"პირველად რითმა რომ გავმართე**
**ქართულ ლექსებში".**

შეიძლება მკითხველს ეს ძალიან პრეტენზიულად მოეჩვენოს, მაგრამ აი, რას სწერდა ვალერიან გაფრინდაშვილი: "არც ერთი ქართველი პოეტი ისეთი დაუღალავი სისწორით არ ანხორციელებდა თავის ლექსებში ფორმულას ქალურ და ვაჟურ რითმების შესახებ, როგორც შალვა კარმელი. თავის "ავტოპორტრეტში" ის კიდევაც ამაყობს "პირველად რითმა რომ გავმართე ქართულ ლექსებშიო".

პაოლო იაშვილი კი ასე აფასებდა ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებას: "შალვა კარმელი ჩუქურთმების ოსტატი იყო პოეზიაში, ყველა მისი ლექსი, ამოჭრილი იყო მარმარილოზე თუ სპილენძზე".

ჰოდა, ამ წერილის მიზანიც ხომ ერთადერთი, ისტორიული სიმართლისა და პოეტური ორიგინალების აღდგენის ცდაა.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ რედაქტორ-გადამკეთებლების როლის შესახებ.

საბჭოთა პერიოდში გამოცემულ ლექსებს რამდენიმე შემდგენელი და რედაქტორი ჰყავს და ძნელია პერსონალურად დაადგინო მათი "დამსახურება" ქართული პოეზიის ისტორიის წინაშე, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, როგორი იდეოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ. ამიტომ შეგნებულად თავს ვიკავებთ მათი დასახელებისაგან.

**"ვტრიალებ დამწვარ არაბებში**
**მზიურ ელლინად**
**ვიცი: უთუოდ საამაყო მაქვს**
**რეფლექსებში:**
**პირველად რითმა რომ გავმართე**
**ქართულ ლექსებში!"**

აი, ეს გახლავთ ნამდვილი შალვა კარმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

გერონტი გასვიანი

# ქართველი ხალხის დაქუცმაცების და რუსიფიკაციის იმპერიული პოლიტიკა

ქართველი ხალხის, როგორც მსოფლიოს ნებისმიერი ხალხის წარმოშობა დაკავშირებულია სხვადასხვა ტომის, რასისა და ეთნიკური ჯგუფის ადამიანთა ხანგრძლივ თანაცხოვრებასა და შერწყმასთან, რომლის შედეგად მას საერთო ენა, ცხოვრების წესი, კულტურა, თვითშეგნება და ფსიქიკა ჩამოუყალიბდა.

ისტორიკოს-მეცნიერთა აზრით, ქართველი ხალხი შეიქმნა და ჩამოყალიბდა ამიერკავკასიისა და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიაზე მობინადრე სხვადასხვა ტომისა და ეთნოგრაფიული ჯგუფის ადამიანებისაგან, მათ შორის: მუსკ-მესხების, ტაბალ-ტიბარენების, მოსინიკების, იბერების, ხალიბების, სასპერების, ხალდების, კოლების, ლაზ-ჭანების, მაკრონების, აფშილ-აფხაზების, სვან-მისიმიანების, სანიგების, წანებისა და სხვებისაგან, რომლებიც ერთიმეორის ნათესავები, ახლობლები ან მეზობლები იყვნენ და ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად ერთიმეორეს შეერივნენ, ურთიერთს შეერწყნენ და ერთ ხალხად ჩამოყალიბდნენ.

ცნობილია, რომ ქართველთა უძველეს წინაპრებს მეზობლურ-ახლობლური კავშირ-ურთიერთობა აკავშირებდა უძველეს ხალხებთან: შუმერებთან, მითანელებთან, ხურიტებთან, ურარტელებთან, ხეთებთან, ასურელებთან და სხვ.

ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, გიორგი მელიქიშვილის, აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურიას, თამაზ გამყრელიძისა და სხვა გამოჩენილ ისტორიკოს-ენათმეცნიერთა აზრით, საერთო წარმომავლობის ძირძველი ქართველური ანუ ქართული ტომებია: ქართები, მესხები, ზან-მეგრელები და სვანები, რომელთაც საერთო ფუძე აქვთ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზ-გარემოებათა გამო (გარეგანი და შინაგანი, ასევე განსხვავებული გეოგრაფიული, დემოგრაფიული და პოლიტიკურ-კულტურული პირობების შედეგად) ისინი თანდათან განკერძოვდნენ და თავისებურად განვითარდნენ.

გამოჩენილ ენათმეცნიერ-ლინგვისტთა ვარაუდით, წინარე (საერთო) ქართველურ ფუძე-ენას ჯერ სვანური გამოეყო (დაახლოებით ძვ. წ. მესამე ათასწლეულში), შემდეგ მეგრულ-ზანურიც (დაახლოებით ძვ. წ. მეორე ათასწლეულში). ასეთივე თვალსაზრისის მეორე ვარიანტით, წინარე ქართველურ ფუძე-ენას ჯერ ერთი საერთო შტო გამოეყო, რომელიც დროთა ვითარებაში სვანურ და მეგრულ-ზანურ ენებად დაიყო (ამ შეხედულებებს ასახავს ქვემოთნაჩვენები სქემები).

გერჰარდ დეეტერსის მიხედვით:
**საერთო ქართველური ფუძე-ენა**




მიხეილ ქურდიანის მიხედვით:
**საერთო ქართველური ფუძე-ენა**




ენათმეცნიერ გ. დეეტერსს განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის ქართველურ ენათა წარმოშობა-ჩამოყალიბების ისტორიული თანამიმდევრობისა და ნათესაობის კანონზომიერების დადგენაში. რაც ასე ცხადყო ქართველურ ენათა ურთიერთშედარებითა და შეპირისპირებით, აგრეთვე ქართველურ ენათა პირისა და რიცხვის ნიშნების, ზმნისწინების, თემატური სუფიქსების, გვარის ნიშნებისა და სხვა სისტემათა შესწავლითა და გაანალიზებით.

მაშასადამე, წინარე ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგად ერთიმეორისაგან რამდენადმე განსხვავებული სამი ენა (თავიანთი დიალექტებით) წარმოიშვა: ქართლური ანუ ქართული, სვანური და მეგრული, ე. ი. ქართველური ენები. მიუხედავად გარკვეული დაშორებისა და განსხვავე-

ბიბლიოთეკა

ბისა, აღნიშნული ენები მთლიანად მაინც ვერ დაშორდნენ ერთმანეთს, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართლმა და საერთო ქართულმა სამწერლო ენამ. ფაქტია, რომ ქართლის (ანუ იბერიის) სამეფომ, რომელმაც ძვ. წ. მეოთხე საუკუნის ბოლოსა და მესამე საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი გააერთიანა (სახელდობრ: შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და კახეთი, აგრეთვე არგვეთი, აჭარა, ეგრისი, ასევე სამცხე, ჯავახეთი, კოლა, არტაანი, კლარჯეთი და ტაო), რომელმაც თავისი მოწინავე კულტურის, ეკონომიკისა და პოლიტიკის წყალობით ჰეგემონი როლი შეასრულა ქართველური ტომების შეკავშირებასა და ერთ ხალხად (შემდგომ ერად) ჩამოყალიბებაში, აგრეთვე მომავალი განვითარების განსაზღვრასა და წარმართვაში. ამიტომ, ბუნებრივია, გაერთიანებულ ქართველთა საერთო ენის ფუნქციაც ქართის ანუ ქართულმა ენამ შეასრულა. ამასთან, ქართველთა საბოლოო შეკავშირებასა და ერთ ხალხად საბოლოო ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა საერთო რელიგიამ - ქრისტიანობამ, აგრეთვე საერთო სახელმწიფოში გაერთიანებამ და სხვ. რამაც საბოლოოდ მყარად შეაკავშირა არა მხოლოდ გენეტიკურად ნათესავი ქართველური ტომები, არამედ მათ გვერდით მცხოვრები და აგრეთვე შემოხიზნული შედარებით მცირე უცხო ჯგუფებიც, რომლებიც ასევე ქართველებში შთაინთქნენ. სავარაუდოა, რომ ქართველი ხალხის ჩამოყალიბება მე-8-9 საუკუნეებში მთლიანად დამთავრდა, რასაც მალე ქართველი ერის საბოლოო ფორმირებაც მოჰყვა.

ცნობილია, რომ გენიალური ქართული სამწერლო-სალიტერატურო ენა დასაბამიდანვე ერთნაირად ემსახურებოდა საერთო ფუძიდან მომდინარე ქართველურ ტომებს, რომელთაც თავისი წვლილი შეიტანეს ამ ენის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990, გვ. 4).

დადგენილია აგრეთვე, რომ ქართულმა დამწერლობამ განვითარების სამი ეტაპი ანუ საფეხური განვლო: მრგვლოვანი ანუ ასომთავრული (დაახლოებით მე-4-5 საუკუნეებიდან; ნუსხური (დაახლოებით მე-9 ს-დან) და მხედრული (დაახლ. მე-9 ს-დან). ამასთან, გარკვეულია, რომ უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები მე-4 საუკუნიდან შემოგვენახა, მაგალითად ბოლნისისა და ურბნისის მრგვლოვანი წარწერები. ამასთან, არსებობს ვარაუდი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით ადრინდელია, რომელიც ფარნავაზის მეფობის დროს (ძვ. წ. მე-4-3 საუკუნეების მიჯნაზე) საქართველოს ერთიანი სახელმწიფო ენა გახდა.

ქართველურ ენათა გენეტიკურ-ორგანული ერთიანობა უცხოელმა ქართველოლოგმა მკვლევარებმა ჯერ კიდევ მე-18-19 სს-ში შენიშნეს, სახელდობრ ი. გულდენშტედმა და ი. კლაპროტმა, შემდეგ გ. როზენმა, ფრ. ბოპმა, მ. ბროსემ და სხვებმა.

აღიარებულია, რომ ქართველურ ენათა ნათესაობის დადგენაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გერმანელმა ენათმეცნიერმა გ. როზენმა, რომელმაც ერთმანეთს შეუპირისპირა ქართველურ ენათა რიცხვითი სახელები და ზოგიერთი სხვა ლექსიკური ერთეულები და დაასკვნა, რომ ისინი საერთო ძირიდან მომდინარეობენ, მაგალითად: ქართული **ერთ-**: მეგრული **ართ-**: ლაზური **ერთ-**: სვანური **ეშხ-**: ქართ. **ორ-**: მეგრ. **ჟირ-**: ლაზ. **ჟურ-**: სვან. **იორ-**: ქართ. **სამ-**: მეგრ. **სუმ-**: ლაზ. **სუმ**:- სვან. **სემ-**: ქართ. **ოთხ-**: მეგრ. **ოთხ-**: სვან. **უოშთხ**: ქართ. **ხუთ-**: მეგ. **ხუთ-**: ლაზ. **ხუთ-**: სვან. **უოხუშდ**: ქართ. **ექვს-**: მეგრ. **ამშვ-**: ლაზ. **ამშვ-**: სვან. **უსგუა-**: ქართ. **შვიდ**. მეგრ- **შქვით-**: ლაზ. **შქვით-**: სვან. **იშგუით**: ქართ. **რვა-**: მეგრ. **რუ-**: ლაზ. **რუ-**: სვან. **არა**; ქართ. **ცხრა-**: მეგრ. **ჩხორო-**: ლაზ. **ჩხორო-**: სვან. **ჩხარა**; ქართ. **ათ-**: მეგრ. **ვით-**: ლაზ. **ვით-**: სვან. **ეშდ**; ქართ. **ოც-**: მეგრ. **ეჩ-**: ლაზ. **ეჩ-**: სვან. **ერვეშდ**; ქართ. **ას-**: მეგრ. **ოშ-**: ლაზ. **ოშ-**: სვან **აშ-ირ** და სხვ. გ. როზენმა ასევე შეადარა: ქართ. **თუალ-**: მეგრ. **თოლ-**: ლაზ. **თოლ-**: სვან **თე**; ქართ. **ენა**, მეგრ. **ნინა**, სვან. **ნინ**; ქართ. **გულ-**: ლაზ. **გურ-**: სვან. **გვი**; ქართ. **ოფლ-**: მეგრ. **ოფუ-**: ლაზ. **უფ-**: სვან. **ვეფ**; ქართ. **დედა**, მაგრ. **დიდა**, ლაზ. **დიდ-**: სვან. **დედე**; ქართ. **და**, მეგრ. **და**, სვან. **და-ჩუირ**; ქართ. **თუე**, მეგრ. **თუთა**, ლაზ. **თუთა**, სვან. **თვე**; ქართ. **დღე**, მაგრ. **დღა**, ლაზ. **დღა**, სვან. **ლადელ**; ქართ. **ცა**, მეგრ. **ცა**, ლაზ. **ცა**, სვან. **დეც**; ქართ. **მზე**, მეგრ. **ბჟა**, სვან. **მიჟ**; ქართ. **ზღვა**, მეგრ. **ზღუა**, სვან **ძუღვა**; ქართ. **ღმერთი**, მეგრ. **ღორონთ**, სვან. **ღერბეთ** და სხვა. ქართ. **თაგუ-**: ლაზ. **თუგ-**; ქართ. **ხარ-**: მეგრ. **ხოჯ-**: სვან. **ჰხან**; ქართ. **ფურ-**: ლაზ. **ფუჯ-**: სვან. **ფურ-**; ქართ. **დათუ-**: ლაზ. **თუთ-**: სვან. **დაშდვ-**; ქართ. **მამალ-**: მეგრ. **მუმულ-**: ლაზ. **მუმულ**; ქართ. **წითელ-**: მეგრ. **ჭითა-**: ლაზ. **ჭითა-**: სვან. **წერნი** და ა. შ. (იხ. ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის დასახ. ნაშრომი, გვ. 5-6).

როგორც ცნობილია გ. როზენის მოსაზრება ქართველურ ენათა საერთო წარმომავლობის შესახებ გაიზიარა და განავითარა ფრ. ბოპმა, რომელმაც, თავის მხრივ, კიდევ უფრ გაამდიდრა ამ ენათა ლექსიკური ფონდის ძირეული ნათესაობის მაგალითები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველურ ენათა და, მაშასადამე, მათ მწარმოებელ და მატარებელ ტომთა ერთიანობის დამტკიცებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მ. ბროსემ, ა. ცაგარელმა, ა. ჩიქობავამ, პ. ჭარაიამ, მ. ჯანაშვილმა, რ. ერკერტმა, ჰ. ფოგტმა, ი. ყიფშიძემ და სხვ. (იქვე).

ნიკო მარმა არა მხოლოდ ზოგადად გაიზიარა ქართველურ ენათა სერთო წარმომავლობის თეორია, არამედ მისი დასაბუთების კონკრეტული კანონზომიერების ფაქტებიც დაასახელა, მაგალითად: ქართ. **ანწლ-**: მეგრ. **ინჭირ-**: ლაზ. **ინჭირ-**: სვან. **განჭუ;** ქართ. **ზა-**: მეგრ. **ზო-**: სვან. **ზა-**; ქართ. **სისხლ-**: ლაზ. **დისცხირ-**: სვან. **ზისხ-**: ქართ. **თოვ-**: ლაზ. **მთუ-**: სვან. **შდუვ-**; ქართ. **თხილ-**: სვან. **შდიხ-**; ქართ. **სელ-**: მეგრ. **სუ-**; ქართ. **შუელ-**: ლაზ. **მსქვერ-**: სვან. **შუელ;** ქართ. **ძუძუ-**: ლაზ. **დაძ-**: სვან. **ლისუ-**; ქართ. **წად-**: სვან. **ჰად-**ჰდ და სხვ.

ქართული და ქართველური ენების თავდაპირველი ბუნება-ნათესაობის დადგენაში დიდია ჯავახიშვილის ღვაწლი, რომელმაც მრავალრიცხოვანი მაგალითებით დაადასტურა და განავითარა ქართველურ ენათა ლექსიკური შინაარსის ნათესაური შესაბამისობა და საერთო ფუძიდან წარმომავლობა. ქართველურ ენათა სტრუქტურა-აგებულებისა და ლექსიკური ფონდის ნათესაობა-ერთიანობის დადგენაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ. ამ უკანასკნელმა ქართველურ ენათა ნათესაობის დადგენაში ფართოდ ჩართო სვანური მონაცემები, რაც თვალნათლივ ამტკიცებს ქართულ-მეგრულ-სვანური ენების ძირეულ ერთიანობას, მაგალითად: ქართ. **გალ/გლ-**: სვან. **გილ/გლ-**; ქართ. **ვს-**: სვან. **გუეშ/გუშ-**; ქართ. **თაგუ-**: ლაზ. **მთუგ-**: სვან. **შდუგუ-**: ქართ. **თავ-**: მეგრ. **თი-**: ლაზ. **თი-**: სვან. **შდა-;** მეგრ. **ფაშქ/ფეშქ-**: სვან. **ფიშგ-**; ქართ. **ჩხიბ-**: სვან. **შხებ/შხიბ-**; ქართ. **წუწ-**: სვან. **წუს** და სხვ.

ქართული და ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის კვლევა-ძიება ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ენათმეცნიერებმა: გ. მაჭავარიანმა, თ. გამყრელიძემ, მ. ქალდანმა, ტ. გუდავამ, კ. ჰ. შმიდტმა, გ. კლიმოვმა და სხვ. რომელთაც არა მხოლოდ დაადასტურეს, არამედ კიდეც განავითარეს და საბოლოოდ დაამტკიცეს წინამორბედ ენათმეცნიერთა მოსაზრებები და ჰიპოთეზები ქართულისა და ქართველური ენების საერთო წარმომავლობისა და ისტორიული ნათესაობის შესახებ.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ნიშანდობლივი ჭეშმარიტებაა თანამედროვე ენათმეცნიერ-ლინგვისტთა მტკიცება არა მხოლოდ იმის შესახებ, რომ მეგრული და სვანური ენები წინარე ქართველური საერთო ფუძე-ენიდან მომდინარე განაყარ-განშტოებებს წარმოადგენენ, არამედ ისიც, რომ ხსენებულმა ქართველურმა ენებმა საერთო ფუძე-ენის დამახასიათებელი ზოგიერთი არქაული ნიშანი უფრო შემოინახა ბოლომდე, ვიდრე თანამედროვე საერთო სალიტერატურო ენამ.

ქართველ ენათმეცნიერთა საფუძვლიანი ვარაუდით, ძვ. წ. მეოთხე-მესამე ათასწლეულში საერთო ქართველურ ფუძე-ენაში ჯერ მხოლოდ დიალექტური განსხვავება თუ შეიმჩნეოდა. ენათმეცნიერები დღეს შეუმცდარად ახერხებენ წინარე ქარველური ენიდან მომდინარე საერთო ტერმინების გამოყოფას, ასეთებია, მაგალითად: ანწლი, არწივი, გვიმრა, გული, დათვი, თავი, ვაცი, ვაშლი, ვერხვი, თვალი, თხა, კვერნა, მატყლი, მსხალი, მარწყვი, სოკო, ტოტი, ფური, ცხმელა, ხარი, წყავი, ძალლი, და ა. შ. აგრეთვე ასაბია, ბავშვი, გული, ბაგე, ბეჭი, გოჭი, გულჩონჩხი, დაბა, დევი, დედა, დუდუ (ძუძუ), დღე, ვერხვი, ზეგანი, სისხლი, ზეთი, ზარი, ზავი, თვალი, თეთრი, თხემი, თოკი, იფნა, კალთა, კაკალი, კვამლი, კოჯო, კინჩხი, კალმახი, ხვრელი, მე, მზე, მინდორი, მამა, ნათესავი, ნისკარტი, ნიკაპი, ოქრო, ორბი, პეპელა, სადილი, სვინა, სოფელი, სვეტი, ტანი, ტოტი, მტკიცე, ტახი, ტბა, ტალკვესი, ტოტი, ულვაში, ფაფარი, ფური, ფაშვი, ფისი, ფოლადი, ფალავანი, ფერი, ფოცხვერი, ქათამი, ქორი, ქვეყანა, ქურქი, ღმერთი, ღარი, ყია, ყანყრატო, ყვითელი, ჩოქი, ჩვილი, ჩხართვი, ჩხირი, ცხემლა (რცხილა), ციცუ (კატა), ძირი, ძუა, წათხი, წიწილა, წიფელა, წითელი, წერო, წნევა, წილი, ჭყლინტი (ბავშვი), ჭაკი, ჭაობი, ხევსი, ხილი (აღნიშნული მაგალითები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ლექსიკის, რომელიც ქართველურ ენებში ერთიმეორეს ემთხვევა ფუძე-ენის დონეზე).

ვფიქრობ, ვინც ქართველურ ფუძე-ენის მაჩვენებელ მაგალითებს დააკვირდება და ღრმად გააცნობიერებს, იმისთვის საეჭვო არაფერი იქნება იმაში, რომ ქართველურ ენებს საერთო ძირი აქვს და მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ეპოქიდან ისინი ერთიმეორეს დასცილდნენ და ცალცალკე განვითარდნენ, საბოლოოდ მაინც გაერთიანდნენ და საერთო სალიტერატურო ენა ჩამოაყალიბეს. ამიტომ დღეს, როდესაც ქართველებს ესოდენ მდიდარი და საერთო სალიტერატურო დამწერლური ენა აქვთ, ამაოა ზოგიერთი თანამემამულის წუხილი იმაზე, რომ მეგრული და სვანური (ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, რომ ვთქვათ "პატუა ენები") შეიძლება გაქრეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ ქართველებს დამოუკი-

დებლობა და საბოლოო არსებობა უწერია, ქართველურ ენებს ასეთი საფრთხე არ ემუქრება, თუ შორეულ მომავალში მაინცდამაინც ასეთი პროცესი მოხდება, მაშინ ეს ბუნებრივი და კანონიერი მოვლენა იქნება, მით უფრო, რომ ყოველმხრივ ღირსეულ ქართულ ენაში თავმოყრილია სვანურისა და მეგრულის (ე. ი. ქართველური ენების) ძირითადი არსი და თვისება. ამასთან, ისიც უეჭველი და უდავოა, რომ ქართველურ ენათა ყოველმხრივ შესწავლასა და მეცნიერულ განზოგადებას დღესაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთო დედაენის წარსულის შესწავლაში, ასევე მისი შემდგომი გამდიდრებისა და სრულყოფისათვის.

●

მიუხედავად იმისა, რომ ქართულისა და ქართველური ენების საერთო წარმომავლობასა და ნათესაობაზე უტყუარი მეცნიერული შეხედულება არსებობდა, რუსეთის იმპერიის მოხელეები და სწავლულები: ა. ბარტოლომე, პ. უსლარი, ა. გრენი, ვ. ტეპცოვი, ვ. ზავადსკი, პ. სიტინი და სხვა მრავალი, მიზანდასახულად უარყოფდნენ ყოველივე ამას და ამტკიცებდნენ თითქოს ქართებს (ე. ი. ქართველებს გ. გ.) არაფერი საერთო არა აქვს მეგრელებთან და სვანებთან, მითუმეტეს აფხაზებთან, რათა ამით მოემზადებინათ წანამძღვრები ქართველთა გათიშვა-განკერძოებისა და საქართველოს ცალკეულ ნაწილებად დაყოფა-დანაწილებისათვის ოდინდელი ტომობრივი ნიშნების მიხედვით. მაგალითად, სწავლული ა. სტოიანოვი დაბეჯითებით აცხადებდა, თითქოს სვანებსა და მეგრელებს არაფერი საერთო არ აქვთ ერთიმეორესთან და ქართველებთან (ამ უკანასკნელში მხოლოდ ქართებს და მათ მსგავს ენაზე მოსაუბრე ხალხს გულისხმობდნენ), კიდევ მეტი, ა. სტოიანოვი სხვა თანამოაზრეებთან ერთად ამტკიცებდა, რომ თითქოს სვანები ველიკოროსების, მალოროსების, ზაპოროჟიელებისა და სხვათა ჩამომავლები იყვნენ. მისივე განცხადებით, სვანები სრულიად განსხვავებული ხალხია, რომელსაც ეძნელება ქართული ენის სწავლა, ხოლო ეადვილება რუსული ენის შეთვისება. რუსიფიკატორების განსჯით, ასეთივე ვითარება იყო სამეგრელოში, სადაც სწავლა მხოლოდ მეგრულ და რუსულ ენებზე უნდა ყოფილიყო. ცარიზმის მსახური სწავლულები ასევე ეწინააღმდეგებოდნენ აფხაზეთში ქართული ენისა და საერთოდ ქართული კულტურის გავრცელებას და არსებობას, ისინი ქართველებისა და ქართული ენის წინააღმდეგ არა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთში გვიან საშუალო საუკუნეებში ჩამოსახლებულ აფსუა-აბაზებსა და ჩერქეზებს აქეზებდნენ, არამედ ქართული ჩამომავლობის ძველ აფხაზებსაც, რომელთაც ხელოვნურად უზღუდავდნენ და უკრძალავდნენ ქართველებთან ყოველგვარ კავშირს.

ცარიზმი და მისი მსახური სწავლულები ცრუ და ბოროტ მოსაზრებებს ნერგავდნენ ქართველთა ერთიმეორისაგან გათიშვისა და ერთმანეთისადმი დაპირისპირების მიზნით, რათა დაკნინებულ საქართველოში იოლად განეხორციელებინათ თავისი კოლონიზატორული პოლიტიკა "დაყავი და იბატონე", ანუ ქართველების საბოლოო გარუსება.

ამ მიზანს ემსახურებოდა რუსი სწავლულების ა. ბარტოლომეს, პ. უსლარის, ა. გრენისა და სხვათა მიერ ჯერ კიდევ მე-19-ს. მეორე ნახევარში რუსული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი სვანურ-მეგრული ანბანი (ანუ "ლუშნუ ანბაან" და "დედა ნინა"), ასევე აფხაზურ-აფსუური ანბანი, რასაც მეფის ხელისუფლება არა მხოლოდ სვანების, მეგრელებისა და აფხაზების კულტურული განვითარებისადმი ზრუნვად ასაღებდნენ, არამედ მათდამი მფარველობადაც "გაბატონებული" ქართველების წინააღმდეგ. მალე სვანეთში, სამეგრელოსა და აფხაზეთში ქართულის ნაცვლად სვანური, მეგრული, აფსუური და მათთან ერთად, რუსული სწავლების დანერგვა დაიწყო, რაც შემდეგ საყოველთაო რუსულის სწავლებით უნდა შეცვლილიყო და ქართველთა (ცხადია სვანთა, მეგრელთა, ქართლელთა, აფხაზთა და სხვ.) საბოლოო გარუსებით დამთავრებულიყო.

გარდა იმისა, რომ იმპერიის ხელისუფალი ასეთი გეგმით ერთიმეორეს ჩამოაცილებდა სვანებს, მეგრელებს, აფხაზებსა და საერთოდ ქართულ ენაზე მოსაუბრე ხალხს, ქართულ ენაზე სწავლების უარყოფას იმ მოტივითაც ამართლებდნენ, რომ საბოლოო ჯამში არამხოლოდ საქართველოს მოსახლეობა უნდა გარუსებულიყო, არამედ ამიერ და იმიერ კავკასიისა და მთელი იმპერიის "ტუზემცური" მოსახლეობა, ამიტომ ე. წ. "ტუზემცურ" ენებზე სწავლება მეფის მოხელეებისა და რუსი სწავლულების მიერ ზედმეტ შრომად იყო მიჩნეული. დედა ენაზე სწავლების შეზღუდვასა და რუსული სწავლების დანერგვასთან ერთად, ცარიზმი აფხაზეთში, სამეგრელოსა და სვანეთში ქართულად ნირვა-ლოცვის აკრძალვასაც შეუდგა, ნავარაუდევი იყო, რომ მისი ადგილიც ყველგან რუსულ ღვთისმსახურებას უნდა დაეკავებინა.

ცარიზმის ამ მზაკვრულ პოლიტიკას საბედნიეროდ მხოლოდ თითო ოროლა ბრიყვმა და გაუთვითცნობიერებელმა ადგილო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრივმა ადამიანმა თუ დაუჭირა მხარი, სამაგიეროდ მას მტკიცე პროტესტით შეხვდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, რომლის სახელით ქართველი ხალხის რუსიფიკაციას დაუპირისპირდნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ბაქრაძე და სხვა, ასევე სამღვდელოება და საზოგადოების სხვა ფენათა წარმომადგენლები.

ერთ-ერთ წერილში "ვიცინოთ ამაზე თუ ვიტიროთ"?! ი. ჭავჭავაძემ მწარე პასკვილი უძღვნა ქართული ენის ღირსების აბუჩად ამგდებ რუს კოლონიზატორთა მისწრაფებას ასე ხელოვნურად და მოურიდებლად შეეზღუდათ და აეკრძალათ ქართველი ხალხის სულიერი საზრდო, ეროვნული ღირსება და სიდიადე - ქართული ენა, რომელიც ქართველი ხალხის უდიდესი მონაპოვარი იყო ათასწლეულების მანძილზე (იხ. ი. ჭავჭავაძე, საქართველოს მატიანე, მე-7, პ. ინგოროყვასა და ლ. აბაშელის რედ. თბ., 1929, გვ. 178-188).

ცარიზმის დამქაშების კოლონიზატორულ-რუსიფიკატორულ პოლიტიკას ქართული ენის შეზღუდვისა და აკრძალვის შესახებ მამხილებელი პროტესტით - "ტყუილს მოკლე ფეხები ასხია" - შეხვდა გამოჩენილი მწერალი და პედაგოგი ი. გოგებაშვილი, რომელმაც სამარცხვინო ბოძზე გააკრა არა მხოლოდ მეფის მოძალადე მოხელეები, არამედ მათდამი აყოლილი ერთი მუჭა ადგილობრივი ადამიანები, რომელთაც "დროებაში" გამოაქვეყნეს წერილი, რომ ქართველ ბავშვებს სკოლაში ქართულის ტოლად და სწორად რუსული ენა უნდა ესწავლათ. ასეთი ბრმა და ნიჰილისტი ადამიანები ი. გოგებაშვილმა სამშობლოს ღალატში დაადანაშაულა: "რას გვიქადის ასეთი უკუღმართი აზრის სისრულეში მოყვანა?" - აღნიშნა ი. გოგებაშვილმა და თვითონვე უპასუხა: - "მეტად ცუდ მომავალს: იმერეთის დაქუცმაცებას, სამეგრელოსა და სვანეთის ვიწრო არტახებში მოქცევას, მათ მოწყვეტას დედა სამშობლოსაგან, იმას, რასაც ხისაგან მოჭრილ ტოტებს მოსდის - დაჭკნობასა და გახმობას. მისივე აზრით, რუსული დამწერლობის საფუძველზე მეგრული და სვანური ანბანის შემუშავება და მისი მეშვეობით სწავლება უნიადაგო და უკუღმართი მოვლენა იქნება, რითაც ხეპრე პოლიტიკანები ქართველთა ორივე შტოს - მეგრელებსა და სვანებს - რომლებიც მე-4 საუკუნიდან საერთო ქართული ენით მეტყველებენ ეკლესიაში, სკოლაში და საერთოდ შემოქმედებითი ცხოვრების ყველა სფეროში - არაქართველებად გადააქცევს და დაღუპავს" (ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 3. თბ., 1954, გვ. 448-474).

იმპერიის მესვეურთა მიერ ქართველთა ერთიმეორისაგან გათიშვისა და გარუსების პოლიტიკას არაერთი ადგილობრივი სწავლული დაუპირისპირდა, მათ შორის იყვნენ: ე. გაბლიანი, ბ. ნიჟარაძე, ი. მარგიანი, ლ. დადუანი და სხვ. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის თანამოაზრე და მეგობარი ეგნატე გაბლიანი წერდა: "მრავალი საბუთი პირდაპირ და ნათლად ლალადებს სვანებისა და მათი მოძმე ქართველების გენეტიკურ ერთიანობასა და ისტორიულ ნათესაობაზე, მაგრამ ამის მიუხედავად ამ საკითხზე დღემდე ბუნდოვანი წარმოდგენები და ყალბი მოსაზრებების გამოთქმა გრძელდება იმათ მხრიდან, ვისაც ქართველებზე და მათ წარსულზე წარმოდგენა არა აქვს" (ე. გაბლიანი, "სვანები და სვანური ენა", წიგნი "ძველი და ახალი სვანეთი", თბ., 1925, გვ. 172-192).

სვანეთსა და სამეგრელოში ქართული ენის უგულვებელყოფის, ვიწროკუთხურზე გადასვლისა და ქართულის ნაცვლად რუსული სწავლების დანერგვის მსურველებსა და მომხრეებს ე. გაბლიანი შეაგონებდა, რომ მათი მიზანი იყო ქართველი ხალხის გათქვეფა და გაქრობა რუსიფიკაციის გზით. ე. გაბლიანი რუს სწავლულებს ა. სტოიანოვს, ვ. ტეპცოვსა და მათ თანამოაზრეებს (რომლებიც ქართველ ერს ერთმანეთისაგან განსხვავებულ უცხოტომელებად ჰყოფდნენ) შთააგონებდა, რომ მათ წარმოდგენა არ ჰქონოდათ სვანურ-მეგრულ-ქართულის ერთიან წარმომავლობასა და ისტორიულ მსვლელობაზე, თორემ ისინი ასეთ ყალბ აზრებს არ გამოთქვამდნენ ქართველთა შემადგენლობაზე, ქართველთა უცხო ტომელებად დაყოფის წინააღმდეგ ე. გაბლიანი იმოწმებს გამოჩენილი თანამემამულე მეცნიერების დ. ბაქრაძის, ივ. ჯავახიშვილის, ნ. მარის, აგრეთვე უცხოელი ქართველოლოგების ჰ. შუხარტის. ერკერტის. გ. როზენისა და სხვათა მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ სვანური და მეგრული საერთო ძირის განაყარი ქართველური ენებია და არა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი უცხო ენები.

ქართულისაგან სვანურის განკერძოებისა და "ლუშნუ ანბაანის" საფუძველზე სვანურ-რუსული სწავლების დანერგვის წინააღმდეგ სვანეთის მკვიდრი ბესარიონ ნიჟარაძე წერდა: "სახელმძღვანელო "ლუშნუ ანბაან" ყოვლად უვარგისი რამაა, მასში ყველაფერი დომხალივითაა არეულ-დარეული და არცერთი პედაგოგიური დედააზრი არაა დაცული და გამოსახული. მისივე განსჯით, ამ ანბანის შემდგენელს ასოების შესწავლის შემდეგ მოსწავლე პირდაპირ აჰყავს ცაში და ამცნობს თითქოს მისთვის დედამიწაზე არაფერი მოიძებნებოდეს სასწავლო" (იხ. კრებული - ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, 1978, გვ. 106).

ეროვნული

ბუნებრივია, ქართველ თანამოძმეთა სვანთა, მეგრელთა, ქართლელთა და სხვათა ხელოვნური განცალკევებისა და მათი გარუსების გეგმას არა მხოლოდ ქვეყნის ცენტრისა და მისი კუთხეების ინტელიგენცია დაუპირისპირდა, არამედ რიგითი შეგნებული მოსახლეობაც. ამის თაობაზე 1898 წელს ივანე მარგიანი მულახიდან იტყობინებოდა: "სვანები მოითხოვენ ქართულ ენაზე აუცილებელ სწავლას, რადგან მას მიაჩნია, რომ უამისოდ ისინი თანამოძმეებს მოწყდებიან, ულუკმაპუროდ დარჩებიან და გაქრებიან. ამასთან, ი. მარგიანი ირწმუნება, რომ სვან ბავშვებს ეადვილებათ და ეხალისებათ მათთვის ესოდენ ახლობელი ქართული ენის სწავლა. რაც შეეხება დიდებს, - დასძენს ის, ქართული ყველამ იცის, მაგრამ ამის მიუხედავად, ისინი აუცილებელ საქმედ მიიჩნევენ ქართული წერა-კითხვის სავალდებულო სწავლების შემოღებას (იქვე, გვ. 127).

რუს ხელისუფალთა დაკვეთით ეკლესიის სფეროში ქართველთა გათიშვისა და დაკნინების პოლიტიკის გატარებას შეეცადა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი, რომელიც თავისი ეპარქიის სამღვდელო პირებს ავალებდა მეგრულად ეთარგმნათ ქრისტიანული ღვთის მსახურების ტექსტები და პრაქტიკულად გამოეყენებინათ ისინი. რუსოფილი გრ. დადიანის გარდაცვალების შემდეგ მის ადგილზე დაინიშნა ალექსანდრე ოქროპირიძე, რომელმაც მეგრული და რუსული წირვა-ლოცვის შემოღების წინააღმდეგ გაილაშქრა, ამიტომ ის კიდევაც გადააყენეს. ახლა მის ადგილზე სინოდმა დანიშნა რუსოფილი დიმიტრი აბაშიძე, რომელმაც 1906 წელს პეტერბურგში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხის განხილვისას ქართველთა ეროვნული და სულიერი ღირსების შეურაცხმყოფელი სიტყვა თქვა: რუსეთის ხელისუფლებას მოუწოდა თუ მღვდელმთავრებს კირიონსა და ლეონიდეს დააპატიმრებდა, საქართველოში არავის მოაგონდებოდა და ვერც ვერავინ გაბედავდა ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ საკითხის დაყენებას. ფაქტია, რომ მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა არასოდეს შეგუებია საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების პოლიტიკას. დრომოჭმული ტომობრივი და ვიწროკუთხობრივი პრინციპის მიხედვით, მით უფრო ეროვნული მეობის დაკარგვასა და გარუსებას, რომელთა მავნებლობასა და რეაქციულობას რიგითი მოსახლეობაც კარგად გრძნობდა, ამის გამო ყოველ ასეთ ღონისძიებას ბოიკოტით ან პროტესტით ხვდებოდა. მართლაც, 1911 წელს სოფელ წალენჯიხაში ერთ-ერთი წირვა-ლოცვის დროს მღვდელმა კალანდიამ ქართულთან ერთად მეგრულად შეასრულა ასამაღლებელი ლოცვა, რამაც სასტიკად გააოგნა და აღაშფოთა მრავალრიცხოვანი მრევლი, რომელიც წირვის დამთავრებისთანავე მღვდელს ეცა და სასტიკად სცემა. ამ ფაქტის გახმაურების გამო ხელისუფლებამ საქმის გამოძიებაში ჩააბა ზუგდიდის მაზრის გამომძიებელი გ. დადიანი, რომელიც ხალხის წინააღმდეგობის გამო იძულებული გახდა სასამართლოში არავინ მიეცა და ყველაფერი მიეჩქმალა (იხ. ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია, 1783-1921 წწ., თბ. 1997, გვ. 204-205).

ცარიზმი ერთგულ სწავლულთა მეცადინეობით 1899 წელს თბილისში რუსული ანბანის საფუძველზე გამოიცა მეგრული საკითხავი წიგნი, რომლის წინასიტყვაობაში კავკასიის განათლების მზრუნველმა ზავადსკიმ პირდაპირ ჩაწერა, რომ თითქოს ეს მოვლენა მეგრელ მკითხველს დიდად გაუადვილებდა რუსულის სწავლას (ს. კაკაბაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 205).

რუსეთის ხელისუფალთა დავალებით სახელდახელოდ შეთხზულმა სვანურ-მეგრულ ანბანმა და სახელმძღვანელოებმა გამოცდას ვერ გაუძლო, ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ ქართველთა ერთიმეორისაგან გამიჯვნისა და გათიშვის, აგრეთვე ვიწროკუთხურ-ტომობრივი სწავლების შემოღების მცდელობამ სვანეთსა და სამეგრელოში კრახი განიცადა. მიუხედავად ხელოვნური დაბრკოლებისა, ქართულ ენაზე სწავლებამ მთელ საქართველოში საყოველთაო ხასიათი მიიღო, თუმცა რუსიფიკაცია - რუსული ენის სავალდებულო სწავლება, როგორც მე-19 საუკუნეში, აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც ძალისმიერი მეთოდით გაგრძელდა.

●

ქართული ენის შეზღუდვა და აკრძალვა და რუსული ენის სწავლების საყოველთაო-სავალდებულო შემოღება, რომ ქართველთა გასათიშად და დასაკნინებლად, აგრეთვე მათი გასარუსებლად იყო გამიზნული, ამის პირდაპირი და ნათელი მაგალითია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის სრულიად საიდუმლო გეგმები და მოხსენებები რუსეთის (რსფსრ) "რევოლუციური" სამხედრო საბჭოს ე. წ. საველე შტაბისადმი. მაგალითად, ერთ-ერთ საიდუმლო დოკუმენტში, რომელიც რუსეთის სამხედრო ატაშე პ. სიტინს ეკუთვნის (1920 წელი) ლაპარაკია იმაზე, რომ ყოველი სიკეთე, რაც საქართველოს გააჩნდა (მინისმოქმედების, სამთამადნო მრეწველობის თუ სხვა სფეროში), თითქოს მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ რუსული ჭკუის, ენერგიისა და კაპიტალის შედეგი იყო, ხოლო თვითონ ქართველებს არაფერი შეუქმნიათო. ამასთან, ვითომ 1801 წელს ქართველები მუსლიმანთა სრული დამონებისაგან გადარჩენის მიზნით ნებაყოფლობით შეუერთდნენ რუსეთს. მისივე განსჯით, ვითომ რუსებს იმდენი სიკეთე მიუძღვით ქართველებისადმი, რომ ისინი სიცოცხლით არიან მათგან დავალებულნი. და რაკი 1918-20 წლებში ქართველები რუსეთის შემადგენლობიდან გამოვიდნენ და თავისი სახელმწიფო შექმნეს - "ეს მათ უსინდისობაზე, უპატრონებასა და ანგარებაზე მეტყველებს" (იხ. ნ. გელავას საარქივო პუბლიკაცია, კრებული - "საისტორიო მოამბე", №65-66, თბ., 1993-1994, გვ. 258-259).

რასაკვირველია, ასეთი მოსაზრება ეკუთვნის არა მხოლოდ რუსეთის ოფიციალურ სამხედრო ატაშეს პ. სიტინს, არამედ ეს ედო საფუძვლად რსფსრ-ს ხელისუფლების პოლიტიკას საქართველოს მიმართ, ამიტომ, ბუნებრივია, ასეთი ხელისუფლება არარად დაგიდევდა არა მხოლოდ ქართული ენობრივი ღირსების შელახვასა და აბუჩად აგდებას, არამედ ქართველთა, სუვერენიტეტს. რაკი ქართველების ფიზიკური გადარჩენა რუსებს თავიანთ დამსახურებად მიაჩნდათ, ამიტომ ქართველები, როგორც მათი სამუდამო მონები მათგან სიცოცხლით იყვნენ დავალებულნი რუსეთის ხელისუფალთა და მის წარმომადგენელთა ასეთ განწყობასა და სურვილზე მიგვითითებს ამავე ატაშეს მიერ შედგენილი მეორე საიდუმლო დოკუმენტიც, რომელშიც ჩამოყალიბებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის გეგმა და მისი შესრულების ვადა: **დაუშვებელია საქართველოს მიმართ რუსეთის წარუმატებლობა და დამარცხება, რადგან ეს რუსეთის ავტორიტეტს დასცემს მთელს აღმოსავლეთში, ამიტომ რუსეთის მიერ საქართველოს დაკავება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ - ზედმეტი სისხლისღვრის გარეშე, მით უფრო, რომ თითქოს საქართველო გამოირჩევა რუსეთისადმი მტრობით და აგრესიით, რომლის ერთ მაგალითად ატაშე პ. სიტინი საქართველოს მიერ სომხეთში ტვირთების გაუტარებლობასაც ასახელებს** (საისტ. მოამბე, №65-66, გვ. 260, ხაზგასმა ჩემია. გ. გ.)

საქართველოს მიმართ განსაკუთრებული აგრესიულობით გამორჩეული სამხედრო ატაშე პ. სიტინის საიდუმლო დოკუმენტით საქართველოს არასოდეს არ უნდა მისცემოდა რუსეთისადმი წინააღმდეგობის გაწევის საშუალება, რათა იოლად განეხორციელებინა მისი ასიმილაცია-გარუსება. რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წარმომადგენელი პ. სიტინი საქმეს ისე ხატავდა, თითქოს ქართველი შოვინისტები არა მხოლოდ ამიერკავკასიის ხალხებს უქმნიდნენ საფრთხეს, არამედ რუსეთსაც. ამიტომ, ატაშეს აზრით, სტრატეგიულ გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო, არა მხოლოდ მატერიალურად უნდა დასუსტებულიყო, არამედ ფიზიკურტერიტორიულადაც. ამასთან დაკავშირებით ხსენებული სამხედრო მოხელე სინანულით აღნიშნავდა, რომ რუსეთი სომხების საკითხში უწინ შეცდომებს უშვებდა, რადგან ის თურქეთის ქურთებს არ იყენებდა სომხების სასარგებლოდ. **საბჭოთა ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეცდეს აფხაზეთის საკითხში, მან მომენტი არ უნდა გაუშვას ხელიდან და ძველებური შეცდომა არ უნდა გაიმეოროს, რადგან ვითომ ქართულმა შოვინიზმმა წალეკა აფხაზეთი, თითქოს მენშევიკურმა საქართველომ აფხაზეთი ხელოვნურად გამიჯნა და გამოყო რუსეთისაგან. კიდევ მეტი, პ. სიტინი დიდი სინანულით მოთქვამს იმაზე, რომ რუსეთმა თავის დროზე მდინარე ბზიფის ჩრდილოეთით ზღვისპირეთის მხოლოდ მცირე ნაწილი დაიკავა, ამიტომ დასძენს, რომ ახლა მაინც დაუყოვნებლივ უნდა გადავწიოთ საზღვარი მდინარე ბზიფის მარჯვენა მხარემდე** (იხ. "საისტორიო მოამბე" №65-66, გვ. 271. ხაზგასმა ჩემია. გ. გ.).

ცხადია, რსფსრ-ს სრულუფლებიანი წარმომადგენლობა საქართველოში მარტო აფხაზეთის ხელში ჩაგდებით და საქართველოსადმი მისი წაგლეჯვით არ იყო დაკავებული, ფაქტია, რომ რუსეთი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს ამ რეგიონისა და საერთოდ შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის ხელში ჩაგდებაზე. რისთვისაც ყველა შესაძლო საშუალებასა და ხერხს მიმართავდა საქართველოს რესპუბლიკის გასანადგურებლად, პირველ რიგში, მისთვის აფხაზეთის წასართმევად. ამიტომ პ. სიტინი რსფსრ-ს სამხედრო-საველე შტაბს არწმუნებდა: თუ აფხაზი ხალხის წინაშე პლებისციტით დაისმება საკითხი სახელმწიფოებრივი ყოფის არჩევანზე, მაშინ საეჭვო არაფერია იმაში, რომ აფხაზი ხალხი რსფრსსთან სრული შეერთების გადაწყვეტილებას გამოიტანს (როგორც ჩანს, ამ მხრივ, რუსეთის იმპერიის მიერ უკვე ყველაფერი მომზადებული იყო), რასაც გეგმის შესაბამისად დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთო.

პ. სიტინი მიუთითებს რა ცარიზმის განზრახვის უდიდეს მნიშვნელობაზე - საქართველოსათვის წაერთვას აფხაზეთის რეგიონი - აღნიშნავს, რომ ასეთი აქტი, გარდა უდიდესი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობისა, რსფსრ-ს სახალხო მეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობას შესძენს დიდ სახალხო ქონებას, რომელიც ამჟამად ქართველების მიერაა იავარქმნილი (იქვე). სამხედრო ატაშე პ. სიტინისათვის არც ის იყო საიდუმლო, რომ საბჭოთა ბოლშევიკურ რუსეთს განზრახული ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის დაპყრობა და ბოლშევიზაცია წითელი არმიის ინტერვენციის მეშვეობით, ამიტომ დასძენს: თვითონ თუნდაც საბჭოთა საქართველო ვერასოდეს შესძლებს აფხაზეთის ტყეების, მადნეულის და სხვა სიმდიდრის ექსპლუატაციას, ასევე თამბაქოს დამუშავებას და მეთევზეობის წარმართვას (იქვე, გვ. 271).

რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლის გეგმა კიდევ უფრო შორს მიდის, იგი ცენტრალურ სამხედრო შტაბს სწერს, რომ აფხაზეთი თავისი მოსახლეობის შემადგენლობით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს საქართველოს გამგებლობაში, რადგან მას ნაკლები დამოკიდებულება აქვს მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან, მაგალითად, ვითომ, სოხუმის ოლქში აფხაზი მოსახლეობის 86%-ს შეადგენდა, მეგრელი 50,5%-ს, რუსი 2%-ს, ხოლო ქართველი მხოლოდ 1%-ს (ეს რა უკუღმართი ანგარიშია! გ. გ.) ამასთან, ამ გეგმის თანახმად აფხაზეთის გამოყოფა საქართველოს ეკონომიკურადაც (სურსათ-სანოვაგითაც) დაასუსტებს. დემოგრაფიული და ეკონომიკური სურათის ამგვარი ხელოვნური გაყალბების შემდეგ პ. სიტინი განაგრძობს: "Таким образом, отделение Абхазии от Грузии диктуется всеми соображениями и замедление осуществления этого может быть чревато самыми нежелательними последствиями" (იქვე),

რუსეთის წარმომადგენლობის გეგმაში საქართველოსგან სამეგრელოს გამოყოფაც შედიოდა: "აფხაზეთის კვალდაკვალ ყურადღება უნდა გამახვილდეს სამეგრელოზე - ქვეყანაზე, რომელიც აგრეთვე ენითა და ნაციონალობით განსხვავდება საქართველოსაგან და დამძიმებულია ქართველთა ბატონობით ("საისტორიო მოამბე", №65-66, გვ. 272). ამავე გეგმიდან ჩანს, რომ **რუსეთი და მისი წარმომადგენლობა განსაკუთრებით სამეგრელოს შავი ზღვის სანაპიროთი იყო დაინტერესებული, პირველ რიგში, ფოთით, რომელიც ბათუმის შემცვლელ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ნავსადგურად მიაჩნდა. ამიტომ თუ რუსეთი, აფხაზეთის მსგავსად, საქართველოსაგან სამეგრელოს ავტონომიად გამოყოფას მოახერხებდა, მაშინ ფოთიც უშუალოდ რსფსრ-ს უნდა დაქვემდებარებოდა (იქვე, გვ. 272). რუსეთის წარმომადგენლობა გეგმავდა აგრეთვე საქართველოსაგან აჭარის ავტონომიად გამოყოფასაც (რაც საბჭოთა რუსეთმა კიდევაც განახორციელა), ოღონდ გათვალისწინებული იყო, რომ, როგორც აფხაზეთისა და სამეგრელოს ნავსადგურების, ასევე აჭარის ნავსადგურის გამგებლობაც რსფსრ-ს ხელში უნდა ყოფილიყო** (იქვე, გვ. 281). ამავე გეგმაში ნათქვამია: "Вот этот путь расчленения Грузинской Республики на ряд автономных единиц - тем более подчиненых владению РСФСР".

წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის და, მაშასადამე, მისი ხელისუფლების გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე დანარჩენი საქართველოს დაქუცმაცებასაც - აი რას წერდა ამაზე ხსენებული სამხედრო ატაშე პ. სიტინი 1921 წელს, საქართველოს ძალით გასაბჭოების შემდეგ: На наш взгляд, необходимо разделить бывшую Грузинскую Республику на две совершенно самостоятельние части: западную и восточную с совершенно различными и самостоятельными органами управления" ("საისტ მოამბე, №65-66 გვ. 281). საქართველოს წვრილერთეულებად დაქუცმაცება-დაუძლურების გეგმა კიდევ უფრო შორს მიდიოდა.მართალია ის იმერეთში ნაწილობრივ მაინც უშვებდა ქართული ენის მოქმედებას, მაგრამ სამაგიეროდ აღმოსავლეთ საქართველოში კიდევ უფრო ზღუდავდა მის ასპარეზს, რადგან მის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში ჭარბად სახლობდნენ სხვადასხვა ხალხები: რუსები, თათრები, სომხები, გერმანელები, მალაკნები და სხვ. ასევე თბილისიც ქართველთა, სომეხთა და თათართა ნარევ ქალაქს წარმოადგენს, ამიტომ - რუსეთის სამხედრო შტაბის (რა თქმა უნდა, დამკვეთი ხელისუფლების) გეგმით - აღმოსავლეთ საქართველოს თითქოს სამართლიანად უნდა შერქმეოდა რუსულ-ქართულ-თათრულ-სომხური სახელწოდება. აქედან გამომდინარე, ხსენებული გეგმით აღმოსავლეთ საქართველოს მმართველობაც აქ მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლობის შერეულ კოლეგიას უნდა ეწარმოებინა - მასში შემავალი თითოეული ხალხის ენათა სრული თანასწორობის საფუძველზე. ამავე გეგმაში თითქოს გათვალისწინებული იყო ისიც, რომ ასეთი შერეულენოვანი მმართველობის შემოღება პრაქტიკულად დიდ სიძნელესთან იქნებოდა დაკავშირებული საქმის წარმოების მხრივ, მაგრამ ვითომ ეს იოლად გამოსწორდებოდა რუსული ენის საყოველთაო ცოდნით, რუსული კულტურის ავტორიტეტითა და გავლენით. ამასთან, მოცემული გეგმა (თუ დირექტივა) ითვალისწინებდა იმასაც, რომ საქართველოს ყველა საოლქო დაწესებულების სათავეში რუსი უნდა მდ-

**გარიყო,** მით უფრო, რომ სხვადასხვა ხალხს შორის თავდაპირველად მაინც ადგილი ექნებოდა უთანხმოებას ("საისტორიო მოამბე", №65-66, გვ. 271; საქართველოს ცსსა, ფ. 1874, აღწ. 1, საქმე 4, ფურც. 1-7).

ხსენებული გეგმის თანახმად ამიერკავკასია ოთხ ნაწილად იყოფოდა: სომხეთად, აზერბაიჯანად, საქართველოდ და თბილისად (ცენტრალური ოლქი), სადაც უნდა განთავსებულიყო ცენტრალურ რუსული დაწესებულებები. აქ საგანგებოდ იყო ხაზგასმული, რომ ყველა ცენტრალური დაწესებულების სფეროში სახელმწიფო ენა რუსული უნდა ყოფილიყო, ხოლო არასავალდებულო - ნაციონალური ენა. ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობაც, სადაც ნაციონალური ენა იხმარებოდა - რუსების უმაღლესი ზედამხედველობის ქვეშ უნდა ყოფილიყო და ნაციონალობებს შორის ყველა სადაო საკითხი რუს არბიტრს (მსაჯს) უნდა გადაეწყვიტა. ასეთი უნდა ყოფილიყო საქართველოს დაყოფისა და მოწყობის გეგმა, აგრეთვე რუსეთის როლი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის ბედის გადაწყვეტაში, და ეს არ იყო რომელიმე სამხედრო თუ სამოქალაქო პირის ინდივიდუალური აზრი და გეგმა, არამედ ფაქტობრივად რუსეთის ხელისუფლების და, მაშასადამე რუსეთის მმართველი წრისა და მთელი რუსეთის. საერთოდ რუსეთის იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას მე-19-20 საუკუნეებში წითელ ზოლად გასდევდა და გასდევს მეზობელი ხალხების დაპყრობა და რუსიფიკაცია, არარუსი ხალხების ასიმილაციისა და გათქვეფა-გაქრობის პოლიტიკა. ამ თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგი იყო საქართველოსთან 1783 წელს გეორგიევსკში დადებული სამოკავშირეო-მფარველობითი ხელშეკრულების ანულირება 1801 წელს, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებთან დადებული მფარველობითი აქტების გაუქმება 1804, 1857 წლებში; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია და ოკუპაცია 1921 წელს, საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ სამხედრო და დიპლომატიური ომი 1989-1993 წლებში, რაც რუსეთის მხრივ დღემდე გრძელდება გაერთიანებულ ერებში საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებით და ე. წ. "სამშვიდობო მისიის" ფორმითა და ეგიდით. მართალია, რუსეთის დამოკიდებულება საქართველოსადმი დღეისთვის თითქოს ნაწილობრივ მაინც შეიცვალა, მაგრამ მხოლოდ ფორმით, შინაარსობრივად კი იგივე დარჩა, რაც ადრე იყო. რუსეთის ძველი და ბოლოდროინდელი დამოკიდებულება საქართველოსადმი ფაქტობრივად ისე ჰგავს ერთიმეორეს, როგორც წყლის ორი წვეთი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჟურნალ "მნათობის" 1999 წლის ნომრების შინაარსი

## პოეზია

აბაშიძე ირაკლი — ხმა კატამონთან. ლექსი. № 9-10
აბრამიშვილი მარი — ლექსები. № 7-8
აბზიანიძე ზაზა — ლექსები. №1-2
გეგეჭკორი გივი — ლექსები. № 5-6
გენაძე აკაკი — ლექსები. № 11-12
დაუშვილი თამარ — ლექსები. № 9-10
თურქაძე დადუნ — ლექსები. № 9-10
კახნიაშვილი იური — ლექსები. № 7-8
კვიტაიშვილი ემზარ — ლექსები. № 3-4
კუხიანიძე ზურაბ — ლექსები. № 11-12
სვანიძე ბეჟან — ლექსები. № 5-6
მახვილაძე გიგა — ლექსები. №11-12
მიქაუტაძე ამირან — ლექსები. № 9-10
მესხი რობერტ — ლექსები. № 5-6
ოთხვანი ჟანა — შენ ხომ მზე ხარ ჩვენი!.. ლექსი. № 1-2; ლექსები. № 3-4
საბაშვილი შალვა — ლექსები. № 7-8
ფხოველი ჯარჯი — ლექსები. № 3-4
შამათავა ომარ — ლექსები. № 7-8
ძნელაძე გივი —ლექსები. № 7-8
ხუნდაძე ნოდარ — ლექსები. № 5-6
ჯანელიძე ჯანო — ლექსები. № 1-2

## პროზა. დრამატურგია

აბაშიძე მერაბ — ის ნაპერწკალი. მოთხრობა. № 5-6
არდაშელია ციალა — "იეროგლიფი". მოთხრობა. № 7-8
ბერიძე ლევან — განსაკუთრებული ნიშანი. მოთხრობა. № 5-6
დევდარიანი კლავდია — ჯვარი ვაზისა. მოთხრობა. № 9-10
დოჩანაშვილი გურამ — ძმისავ. მოთხრობა. № 3-4
კახიძე მედეა — ორი მოთხრობა. № 9-10
ლობჟანიძე ზურაბ — დავიწყებული მომავალი. მოთხრობა. № 1-2; დღე და ღამე. მოთხრობა. № 7-8
მილორავა ლევან — სიკვტილია. მოთხრობა. № 9-10
ცხაკაია კობა — არგენტინული ტანგო. პიესა. № 7-8
სამსონაძე ირაკლი — აბეშურა — ფარნავაზიანთა უკანასკნელი დედოფალი. პიესა. № 11-12
სტურუა ლია — რძეში ჩავარდნილი ქვა. შეგრძნებების რომანი. № 9-10
შატაიძე ნუგზარ — მეკვლე. რადიოპიესა. № 1-2; ორი მოთხრობა. № 11-12
ჯოისი ჯეიმზ — ულისე. თარგმანი და კომენტარი ნიკო ყიასაშვილისა. № 1-2, 3-4, 5-6, 7-8, 9-10, 11-12

## კრიტიკა. პუბლიცისტიკა

ასათიანი ნინო — ლიტერატურის თეორიის რამდენიმე საკითხი გალაკტიონ ტაბიძის წერილებში. № 3-4
ბენდელიანი ციალა — რაკურსის ძიება. № 3-4
ბიბილეიშვილი იური — დავით თედორაძე. № 7-8
ბოკუჩავა თამარ — კარიბჭესთან. №1-2
გოგიაშვილი ნუგზარ — შალვა კარმელის ლექსების ტექსტის დადგენისათვის. № 11-12
გენძეხაძე ცისანა — რაჟდენ გვეტაძე. № 7-8
თეთვაძე შოთა — "ივერია" და საქართველოს მოსახლეობა. № 9-10
კაკაბაძე მანანა — დამაარსებელი. № 9-10
მილორავა ინგა — ზმანებისა და ცხადის მიჯნაზე. № 7-8
საგინაშვილი ნელი — "სადაც გინდ ვიყო, რაც გინდ ვიყო, ვარ შენი შვილი" (გრიგოლ რობაქიძე და მიხეილ წერეთელი). № 5-6
სიგუა ალექსანდრე — ნაპოვნი ფურცლები. № 9-10
ნოზაძე ნათია — ქართული ხასიათი და საქართველოს ისტორია რომანის სამყაროში. № 5-6
ომარაშვილი ასრათ — შეცდომები დროზე უნდა გასწორდეს! № 1-2
ჩილაჩავა რაულ — "როგორც პოემის ორი შაირი". № 5-6
წერეთელი ნანა — შენიშვნები ახალშექმნილი საგნის "რელიგია და კულტურის გამო". № 3-4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭანტურია ნატო — აკაკი წერეთლის პირადი წერილების პარიზული ციკლი. № 9-10
ჭურღულია ოთარ — "ცხოვრების საზრისი" № 1-2
ხოშტარია ედიშერ, მენთეშაშვილი ავთანდილ — "საქართველოს საზღვრები". № 5-6
"ულისე" და ლიტერატურული სამყარო. თარგ. მანანა მიქელაძისა №11-12

## მეცნიერება

ბერიძე თეიმურაზ — ჯუანშერის ისტორიის ერთი ადგილის სწორად გაგებისათვის. № 5-6
გასვიანი გერონტი — ქართველი ხალხის დაქუცმაცების და რუსიფიკაციის იმპერიული პოლიტიკა. №11-12
გვასალია ჯონდო — წმინდა ნინოს ნაკვალევზე. № 9-10
დოლიძე მამუკა — პირობითობის სასიცოცხლო აზრი. № 3-4
ინაძე მერი — არგონავტთა თქმულება სტრაბონის გეოგრაფიაში. № 1-2
ლეკიაშვილი ვლადიმერ — ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიკაციის ფორმალური კრიტერიუმები. № 1-2
კენჭოშვილი ნიკოლოზ — "აბდულმესიანის" ინდური ტერმინების განმარტებისათვის. № 7-8
ნებიერიძე ნონა — ალექსანდრე ორბელიანის "დავით ალმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი". № 5-6
ომარაშვილი ასრათ — საინგილოს ონომასტიკის შესწავლის ისტორიიდან. № 7-8
სულაბერიძე გვანცა — მუსიკალური ჟანრები ქართულ ისტორიულ წყაროებში. № 9-10
შენგელია ქეთევან — ცოცხალი ფესვები. № 7-8
ხომერიკი მანანა — "აკტი გონიურის" ავტორის მასონობასთან მიმართების საკითხისათვის. № 7-8
შაყულაშვილი გიორგი — არგუმენტებით და არა ვარაუდებით. № 5-6
ჯავახიშვილი მანანა — ჟ. რიშარი — საქართველოში კათოლიკე მისიონერების შესახებ. № 1-2

## თარიღები

### პუშკინი – 200

ჭილაძე თამაზ — ცეცხლით გამოცდა. № 5-6

### გიორგი ლეონიძე – 100

ბენაშვილი გურამ — პირველი ასწლეული დიდი შემოქმედისა. № 11-12
მარკოზაშვილი შალვა — პოეტის ბავშვობა. № 11-12
ჭილაძე თამაზ — მარადიული სიჭაბუკე. № 11-12
შამანაძე ნოდარ — ჩანაწერები გოგლა ლეონიძეზე. № 11-12
ხორგუაშვილი გიორგი — სადღეგრძელო და ლექსი ერთია. №11-12

### ირაკლი აბაშიძე – 90

ბუაჩიძე ანდრო — თეთრი აჩრდილის მძებნელი. № 9-10

### მნათობი-75

შევარდნაძე ედუარდი — ჟურნალ "მნათობის" მთავარ რედაქტორს, სარედაქციო კოლეგიას, რედაქციის თანამშრომლებს და მკითხველებს. №11-12
საქართველოს მწერალთა კავშირი — ჟურნალ "მნათობის" შემოქმედებით კოლექტივს. №11-12
ნივნივაძე თამაზ — მილოცვა 75 წლის "მნათობს". №11-12
სარედაქციო წერილი — დროთა კავშირის შემკვრელი. №11-12

## ხელოვნება

კიკნაძე ვასილ — საუბარი მიხეილ თუმანიშვილის თეატრზე. № 1-2
ურუშაძე ნათელა — მხატვრული კითხვა. № 3-4; სცენაზე სათქმელად შეთხზული სიტყვა. № 5-6; ფიქრთა ბინადარი სიტყვა. № 9-10
შაიშმელაშვილი თეა — არტურ ადამოვი — "ახალი თეატრის მიმდევარი". № 9-10
წულეისკირი მაკა — ბრწყინვალე კოლორისტი. № 3-4
ჭილაძე თამაზ — დიდოსტატი. № 1-2
ჭავჭავაძე ლია — მასობრივი ხელოვნების ანტიჰუმანური ბუნების შესახებ. № 5-6
ხარაძე ეფემია — გიორგი შარვაშიძის თეატრალური შეხედულებანი. № 5-6

## ფაქტები, მოგონებები

გაბუნია ლეო — ორი პორტრეტი. № 9-10
კვერენჩხილაძე რევაზ — საქართველოს მწერალთა კავშირი 1917-1997. № 7-8

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პუბლიკაცია

ლორთქიფანიძე გრიგოლ — წერილი თედო ღლონტს. წინასიტყვაობა გრიგოლ ზარქუასი. № 1-2
გიორგი ლომთათიძის წერილები. წინასიტყვაობა და კომენტარი რუსუდან ჯანაშიასი. № 5-6
არჩილ ჩხარტიშვილის წერილები ალექსანდრე ახმეტელისადმი.
წინასიტყვაობა ლალი ყურულაშვილისა. № 7-8

## თვალსაზრისი

გოგსაძე კარლო — ბილიკები. № 3-4
კილაძე ზაურ — სულიერება. № 1-2
ქურდაძე ელენე — უხილავი ძაფი. № 1-2 ბილიკები და საფეხურები. № 9-10
ცეცხლაძე მამუკა — ალტერნატივა. № 5-6
ფრუიძე ლევან — ეროვნული მეცნიერება და თანამედროვეობა. № 7-8

## მწერლის არქივიდან

აგიაშვილი ნიკა — წერილი ირაკლი აბაშიძეს. № 3-4

## პოლემიკა

ალასანია გიული, ბერაძე თამაზ — 1995 წლის საუკეთესო შოტლანდიური წიგნი საქართველოსა და ქართველებზე. № 9-10

## რეცენზია

არველაძე ბონდო — სომხები საქართველოში. № 5-6
ბიბილეიშვილი იური — სევდაც, იმედიც. № 3-4
ბუაჩიძე ანდრო — წიგნი ქართული მწერლობისა და ისტორიის საკითხებზე. № 9-10
მუსხელიშვილი დავით — ძველი ჰერეთის მატიანე. № 9-10
ფრუიძე ლევან — სიმართლე აფხაზეთზე. № 9-10
ჩხიკვიშვილი ნინო — რეკვიემი სასიკვდილო სენით შეპყრობილთათვის. № 7-8

## ჩვენი ფოსტა

ჯავახიშვილი გიორგი — იძულებითი გამოხმაურება. № 1-2

## გამოსათხოვარი

მწერალი და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე — (ელგუჯა მაღრაძე) № 7-8
პოეტის უპირველესი ჯილდო — (შოთა ნიშნიანიძე) № 7-8
ხსოვნას პატივისცემით შეინახავენ — (რევაზ ჯაფარიძე) № 9-10

№ 398
27/XII 199

**თბილისი, რუსთაველის გამზ. №28**
**ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61**
**პ\მგ. მდივნის და განყოფილებების — 99-91-00**

გადაეცა ასაწყობად., 11.10.99 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად., 7.12.99 წ. ანაწყობის ზომა 7 1\4 x12, ფორმატი 70x108 1\16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 8.25. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 11,04. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 11.01. ტირაჟი 400. შეკვეთა №62.

**გამომცემლობა "მერანი", რუსთაველის გამზ. №42**

99 – 398
ეროვნული
ბიბლიოთეკა
ი 4890/2
1-99

ფასი ორი ლარი

ინდექსი
76125